

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ-მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტი

ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის დეპარტამენტი

რამინ ცინარიძე

„რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების
საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი”

(წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

(სპეციალობა: ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
სრული. პროფ. ვლ. ლლონტი

ბათუმი

2012

შესავალი - - - - - 3

| | |
|--|----------------------|
| თავი I. ინვესტიციები მსოფლიო ფინანსურ გარემოში და მათი ფორმირების თავისებურებები: | - - - - - 8 |
| 1.1. ინვესტიციების არსის მეცნიერული გაგებისათვის და კლასიფიკაციის თავისებურებები; | - - - - - 8 |
| 1.2. ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირი მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიაში; | - - - - - 23 |
| 1.3. კაპიტალის მოძრაობის მიმართულებები და გლობალური ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე; | - - - - - 40 |
| თავი II. უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში: | - - - - - 68 |
| 2.1. საინვესტიციო სტრატეგიის განვითარებისა და რეგულირების გზები; | - - - - - 68 |
| 2.2. საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელობა და თავისებურებები საქართველოში; | - - - - - 76 |
| 2.3. ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები და სახელმწიფო რეგულირება; | - - - - - 98 |
| თავი III. რეგიონალური საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრის მიმართულებები: | - - - - - 112 |
| 3.1. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასების მეთოდი საინვესტიციო რისკის გათვალისწინებით; | - - - - - 112 |
| 3.2. საინვესტიციო ბიუჯეტი - რეგიონის მდგრადი განვითარების მთავარი ინსტრუმენტი; | - - - - - 129 |
| 3.3. ინვესტიციები აჭარაში და რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებები; | - - - - - 146 |
| დასკვნა | - - - - - 176 |
| გამოყენებული ლიტერატურა | - - - - - 186 |
| დანართები და დამატებები | - - - - - 203 |

შესავალი

თემის აქტუალობა. ქართული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება საწარმოო ინვესტირებისათვის და ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მწვავე დეფიციტით. ამიტომ გრძელვადიან და არა სპეციალური ინვესტიციებს აქვს დიდი მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის. საინვესტიციო პროცესების კვლევის აქტუალურობა განისაზღვრება, ერთის მხრივ, იმით რომ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში საქონელ-მწარმოებლებს ესაჭიროებათ ინვესტიციები, მეორეს მხრივ, კი მათ არ შეუძლიათ ამ ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენება საინვესტიციო საქმიანობის მართვის საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის არასრულფასოვნობის გამო.

მაშასადამე, სამეურნეო საქმიანობის შიდა და გარე პირობების, აგრეთვე ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო, სამართლებრივი, სოციალური და სხვა ფაქტორების რადიკალურმა ცვლილებამ განაპირობა ინვესტიციების მართვის ეფექტიანი მექანიზმის ფორმირებისა და მისი ყოველმხრივი კვლევის გარდაუვალი აუცილებლობა. ინვესტირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მოდელის შექმნა არის ტრანსფორმირებად ეკონომიკაში საინვესტიციო რესურსების ეფექტიანი გამოყენების განმსაზღვრელი პირობა და მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში საინვესტიციო პროცესების ანალიზის პრობლემატიკას ყოველთვის ექცევდა განსაკუთრებული ყურადღება. ბოლო პერიოდის მანძილზე შესწავლილია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის, საინვესტიციო პროცესების ტერიტორიული ორგანიზაციის აქტუალური საკითხები. ამ პრობლემებმა სხვადასხვა ფორმით ასახვა პპოვეს მეცნიერულ გამოკვლევებში, რომელთა ავტორები არიან ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები: რ. ასათიანი, ნ. ჭითანავა, გ. გამსახურდია, თ. ბერიძე, რ. ბასარია, რ. გოგოხია, ვ. ზურაბიშვილი, ზ. თეთრუაშვილი, რ. კაპულია, ე. ბარათაშვილი, ვ. მელქაძე, გ. მექვაბიშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, შ. ქისტაური, ვლ. დლონტი, გ. წერეთელი, გ. ხელაია, ლ. ჩიქავა, ა. ჯიბუტი, მ. ჯიბუტი, ლ. ქოქიაური, გ. დავთაძე და სხვები. მათ შექმნეს სათანადო თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა ქვეყნის და მისი რეგიონების განვითარების ზოგადი პრობლემატიკის, მათ შორის რეგიონების საინვესტიციო პროცესების განვითარებასა და მართვასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტის მეცნიერული და პრაქტიკული შეფასების თვა-

ლსაზრისით. მაგრამ მრავალი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხი, რომელიც ეხება რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში საინვესტიციო პროცესების ანალიზის მეთოდოლოგიას, შეფასების მეთოდებს, მოდელირებასა და პროგნოზირებას, არაა ბოლომდე შესწავლილი, ხოლო რიგ დებულებებს აქვს საკამათო ხასიათი. ამიტომ მნიშვნელოვანია რეგიონული ინვესტირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის მეცნიერული კვლევა და პრაქტიკაში დანერგვა.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში რეგიონული საინვესტიციო პროცესების თეორიის, ანალიზისა და შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლების და პრაქტიკული მეთოდების სისტემური განვითარება, ანუ ანალიზი გაუკეთდეს ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონში საინვესტიციო პროცესების განვითარებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, განისაზღვროს ინვესტიციური კრიზისის გამომწვევი მიზეზები და მათი დაძლევის გზები, შესწავლილი იქნას თუ როგორ ხდება ინვესტიციური პროექტების ფინანსური უზრუნველყოფა და მისი ეფექტური გამოყენება. შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ის ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტები და პერსპექტივები, რომელიც ხორციელდება რეგიონის ინვესტიციურ პოლიტიკაში.

ამ მიზნიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნიეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- დაგაზუსტოთ თეორიულ ასპექტში ეკონომიკური კატეგორიის “რეგიონული ინვესტიციები” არსი და შინაარსი, განვახორციელოთ კლასიფიკაცია და მოვახდინოთ რეგიონული საინვესტიციო საქმიანობის მექანიზმის ორგანიზაციის მონიტორინგი;
- გამოვავლინოთ რეგიონული საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფი რეგულირების ძირითადი მიმართულებები, შევისწავლოთ საინვესტიციო სფეროს სამართლებრივი უზრუნველყოფა და განვსაზღვროთ დაბეგვრის შედაგათიანი რეჟიმის ამოქმედების შესაძლებლობა;
- დაგასაზუტოთ რეგიონის საინვესტიციო კლიმატის, საინვესტიციო აქტივობის და პოტენციალის შეფასების მეთოდიკა;
- შევიმუშაოთ რეგიონული საინვესტიციო-საფინანსო პოლიტიკის კონცეფცია, განვსაზღვროთ პრიორიტეტები;
- განვსაზღვროთ რეგიონული საინვესტიციო პროცესების როლი და ადგილი ეკონომიკურ პროცესებში და მისი მიმდინარეობა ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიაში;

- შევაფასოთ რეგიონული საინვესტიციო კლიმატი “რისკ-პოტენციალის” სიბრტყეში.
- შევიმუშავოთ რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა დაფუძნებული ძირითადი საბაზრო პრინციპების განვითარებაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია რეგიონული ინვესტიციური პროცესების მართვის მეთოდური და მეთოდოლოგიური საკითხები სამეწარმეო ბიზნესის ინოვაციურ პროცესებში საქართველოს საბაზრო ეკონომიკის განვითარების დღევანდელი დონის გათვალისწინებით, ხოლო ობიექტი – რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება-ფორმირებისას ინვესტიციური კრიზისის წარმომქმნელი გზების კვლევა და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების განსაზღვრა. კვლევა იმისა, თუ რა ქმნის ქავენაში და მის კონკრეტულ რეგიონში ინვესტიციურ კლიმატს, რა დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ახდენენ მასზე ზემოქმედებას და როგორ უნდა შეეწყოს ხელი რეგიონში ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის ფორმირებას.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ადგილობრივი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები, სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები, სტატიები. საკვლევი ობიექტის განხილვისას სისტემური მიდგომიდან გამომდინარე გამოვიყენეთ სინთეზის და ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის და სხვა მეთოდები, აგრეთვე სხვადასვა ეკონომიკურ მეცნიერებებში აღიარებულ დებულებები.

ნაშრომში გამოყენებული საინფორმაციო მასალა ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინფორმაციო ბაზას.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომში სისტემური სახით არის განხილული რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხთა ფართო წრე. წინა პლანზეა წამოწეული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და რეგიონული საინვესტიციო საქმიანობის განვითარების თანამედროვე კონცეფციის დასაბუთება. კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

➤ განსაზღვრულია საინვესტიციო აქტივობის ეკონომიკური შინაარსი, მას-ზე მოქმედი ფაქტორები და მისი მაჩვენებლები;

➤ დისერტაციაში წარმოჩენილია საბაზო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში რეგიონის საინვესტიციო გარემოს რეფორმირების კონცეფციის დებულებები. საკვალიფიკაციო გამოკვლევა წარმოადგენს კომლექსურ ნაშრომს, რომელიც იძლევა საშუალებას მოხდეს ერთიანი ეროვნული სივრცის ფარგლებში არსებული რეგიონის საინვესტიციო პრობლემების თანმიმდევრული გააზრება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით შესაძლებელია გამოვყოთ რეგიონის საინვესტიციო სისტემის, როგორც განვითარების დინამიური მოდელის, უმნიშვნელოვანესი საფინანსო და ეკონომიკური დაგეგმარების ცვლადები, დავაჯგუფოთ ისინი ერთიანად და თანმიმდევრულად, ავხსნათ მათი ოპტიმალური ფუნქციონირებისა და განვითარების თეორიული ასპექტები;

➤ თეორიულად დასაბუთებულია, რომ რეგიონის საინვესტიციო პროცესების რეგულირების პრობლემა ითხოვს მუდმივ სრულყოფას. ამიტომ შემუშავებულია ცალკეული მეთოდოლოგიური დებულებები და მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა ერთობლიობა გამოსახავს რეგიონის საინვესტიციო პროცესების თეორიული პვლევის განვითარებაში არსებულ მიღწევასა და მეცნიერულ სიახლეს;

➤ ინვესტიციების კლასიფიკაციის სხვადასხვა ნიშნების საფუძველზე ჩამოყალიბებულია მისი არსისა და დანიშნულების ჩვენისეული განმარტება;

➤ გამოკვლეულია საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების პირობები მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიაში, შესწავლილია ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის რეგიონული ასპექტები;

➤ წარმოჩენილია უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გაანალიზებულია საინვესტიციო კლიმატი საქართველოში და დასათებულია ჩვენისეული მოსაზრებები და პრაქტიკული წინადადებები ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისათვის;

➤ დეტალურად მიმოხილულია მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ფონზე კაპიტალის მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები;

➤ გაშუქებულია ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი კატეგორიის – რეგიონული საინვესტიციო პოტენციალის არსი და მოცემულია მისი შეფასების მეთოდები რეგიონული ინვესტიციური რისკის ფონზე, ახსნილია პესიმისტური, სტაბილიზაციური და ოპტიმისტური სცენარები;

➤ შემუშავებულია საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები ქვეყნის სუბიექტების დონეზე;

➤ საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოდგენილია როგორც რეგიონში საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტი და ხაზია გასმული ინვესტიციური პროექტების დაფინანსების ძირითადი მიმართულებებზე;

➤ დასაბუთებულია რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებები აჭარის მაგალითზე და სხვა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონული საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფას, რაც ბიზნესის წარმატებული განვითარების და როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის, ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა. კერძოდ, საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში რეგიონის საინვესტიციო პროცესების განვითარების მოდელის ფორმირების მიზნით შემუშავებული ძირითადი დებულებები და მიდგომები შეიძლება გამოვიყენოთ:

- როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი ნებისმიერი რეგიონის საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირების დროს;
- ზოგადსახელმწიფოებრივსა და ასევე რეგიონულ დონეზე საინვესტიციო პროცესების მართვის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გადასაწყვეტად;
- რეგიონის საფინანსო, სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით და სხვა.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და გამოკვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიების სახით საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 214 გვერდს და შედგება შესავლის, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების განსჯისა და დასკვნითი ნაწილისაგან. შედეგების განსჯა თავის მხრივ შედგება სამი თავისა და ცხრა პარაგრაფისაგან. ნაშრომში ჩართულია 14 ცხრილი, 5 ნახაზი, 16 დიაგრამა და 7 გრაფიკი. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული დანართები და წყაროების სია.

თავი I. ინვესტიციები მსოფლიო ფინანსურ გარემოში და მათი ფორმირების თავისებურებები

1.1. ინვესტიციების არსის მეცნიერული გაგებისათვის და კლასიფიკაციის თავისებურებები

ტერმინი „ინვესტიცია“ წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან (investire - შემოსვა, ჩატანა). ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკის პირობებში იყენებდნენ ტერმინს „კაპიტალური დაბანდებები“, ე.ი. დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებასა, გადიდებასა და სრულყოფაზე. ინვესტიციების, როგორც კატეგორიის ჩამოყალიბება მოხდა ახლო წარსულში, აღრე ინვესტიციის სინონიმები იყო ისეთი კატეგორიები, როგორიცაა სიმდიდრე, დანაზოგი, დაგროვება, კაპიტალი. წარმოების გაფართოებისთვის დახარჯული საინვესტიციო რესურსები დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საერთო პროდუქტის იმ ნაწილის ზრდას, რომელიც გამანაწილებელი არხების საშუალებით მოხმარდება ცხოვრების დონის უზრუნველყოფას. ინვესტიციების ცნების ქვეშ იგულისხმებოდა კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, ე.ი. ინვესტიციები გაიგივებული იყო კაპიტალურ დაბანდებთან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებით, „ინვესტიციების“ კატეგორიის შესახებ თვალსაზრისი შეიცვალა, რამაც თავისი ასახვა პპოვა კანონმდებლობაში. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში „ინვესტიციების“ ცნებისადმი მრავალმხრივი, რიგ შემთხვევაში ეკონომიკური კატეგორიის არსის განსხვავებული მიდგომებია ჩამოყალიბებული, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების კატეგორიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა პოსტცონსიალისტური ქვეწებისთვის XX საუკუნის ბოლო ათწლეულში შეიძინა, როცა დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ამოცანა და ობიექტური აუცილებლობა შეიძინა საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირებამ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციების ცნება ახლოს დგას დანაზოგების ცნებასთან. ერთი თავის თავში მოიცავს მეორეს. ჯ. კეინსის აზრით, „ისინი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, რადგან თითოეული მათგანი მოხმარებაზე შემოსავლის გადამეტების ტოლია.“ (**კეინსი 1993: 183**) მართლაც ინვესტიციები საჭიროებს დანაზოგებს, მაგრამ ყველა დანაზოგი ინვესტიციის სტატუსს ვერ დებულობს. ინვესტიციებად გადაიქცევა ის დანაზოგები, რომელთაც ირიბად თუ

პირდაპირ იყენებენ მომავალში წარმოების გასაფართოებლად და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით. ხშირად „ინვესტიციების“ ცნებას „კაპიტალდაბან-დებების“ ცნებასთან აიგივებენ. ამ უკანასკნელს უწოდებენ ძირითადი ფონდების კლავწარმოებაზე, მათ გადიდებასა და გაუმჯობესებაზე გაწეულ ხარჯებს. ოუმ-ცა დღეს ინვესტიციები ერთ-ერთი ხშირად გამოსაყენებელი კატეგორიაა, ამას-თან ამ ცნებას საკმაოდ ვიწროდ და წინააღმდეგობრივად განმარტავენ.

ასე მაგალითად, ეკონომიკური ინვესტიციები განმარტებულია როგორც „წარმოებაზე დანახარჯები და წარმოების საშუალებების დაგროვება და მატე-რიალური მარაგების გადიდება. (მაკენელი1992:388)

გ. კურტანიძის აზრით, „ ინვესტიციების ცნებაში იგულისხმება დანა-ხარჯების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება განსაზღვრულ პერიოდში კაპიტალის მიზანმიმართული ფორმით ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სფე-როში, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების (შემოსავ-ლის) მიღებისა და ინვესტორთა, როგორც ინდივიდუალური მიზნების, ისე დადე-ბითი სოციალური ეფექტის მიღწევისათვის.”(კურტანიძე 2008:5-6)

ტერმინ „ინვესტიციებს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ინვესტიციები ნიშ-ნავს აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შე-დეგის მიღების მიზნით. იგი გამოხატავს, აგრეთვე, რეალურ აქტივებს. მაგალი-თად, რაიმე საქონლის წარმოებისა და გაყიდვისათვის საჭირო მანქანებს, ან კო-დევ, ინვესტიციებია ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, პაიები, აქციები, და სხვა ფასიანი ქაღალდები, ტექნოლოგიები, მანქანები, მოწყობილო-ბა, ლიცენზიები, მათ შორის – სასაქონლო ნიშნებზეც, კრედიტები, სხვა ნების-მიერი ქონება ან ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ღირებულებები, რომ-ლებსაც სამეწარმეო და სხვაგვარი საქმიანობის ობიექტებში აბანდებენ მოგების (შემოსავლის) მიღებისა და დადებითი სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ფართო გაგებით, „ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის დაფინანსებისათვის აუცილებელ მექანიზმს უზრუნველყოფს.”(პაპავა 1995:4-6)

მაკმილანის ლექსიკონში ინვესტიციები განმარტებულია როგორც „ იმ და-ნახარჯთა ნაკადი, რომელთა დანიშნულებაცაა დოვლათის წარმოება და არა უშუალოდ მოხმარება.” (მაკმილანი 1997:258)

ინვესტიციები ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის ნორმალური განვითარება. ინვესტიციის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ა. სმიტმა და დ. რიკარდომ. (ეკონომიკი 1993:49)

დ. რიკარდო თავის შრომებში დიდ ყურადღებას უთმობდა დანაზოგების, როგორც გამდიდრების წყაროს პრობლემას, მაგრამ იგი აღნიშნავდა დანაზოგის არა მარტო დადებით გავლენას ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ შესაძლო წინააღმდეგობებსაც მათი დაუბალანსებლობის გამო.

ფრანგი ეკონომისტი ანრი კულმანი ინვესტიციების არსისა და კლასიფიკაციის პრობლემას, განსხვავებულ ჭრილში განიხილავს და გვთავაზობს განვასხვავოთ ირიბი ინვესტირება (ფულადი საშუალებების გამოყენებით) პირდაპირი ინვესტირებისაგან (ფულადი საშუალებების გამოყენების გარეშე). აღნიშნულთან ერთად იგი გამოყოფს ინვესტირების შუალედურ მექანიზმს, რომელიც დაფუძნებულია საკუთარი ფულადი კაპიტალის გამოყენებაზე (ფირმათა თვითდაფინანსების მექანიზმი). (**კულმანი 1993:152**)

მეტად საინტერესოა „ინვესტიციების“ ეკონომიკური არსის ლ. გიტმანისა და გ. ჯონკის განმარტება. კერძოდ, „ინვესტიცია – ეს კაპიტალის განთავსების ნებისმიერი ინსტრუმენტია, გათვლილი ხერხია კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის და შემოსავლების დადებითი სიდიდის მიღების მიზნით.“ (**ლორენსი ...1997:10**)

ეხვდებით ასევე განმარტებას, რომელიც ხშირად გამოიყენება რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, რომლის თანახმადაც „ინვესტიციები გამოხატავენ ქონებრივი და ინტელექტუალურ ფასეულობის ყველა ფორმას, რომელთა დაბანდება ხდება სამეწაომეო საქმიანობის ობიექტებში და შედეგად მიიღება (შემოსავალი) ან მიიღწევა სოციალური ეფექტი.“ (**ბოჩაროვი ...1993:252**)

ინვესტიციების (ინვესტირების) ეკონომიკური შინაარსის ახსნისათვის როგორც ქართველი, ისევე უცხოელი მეცნიერები, ხშირად იყენებენ პ. მასეს მიერ წარმოდეგნილ განმარტებას - „ინვესტირება წარმოადგენს დღევანდელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მისი მომავალში, საინვესტიციო დოკუმენტი გამოყენებით, დაკმაყოფილებაზე გაცვლის აქტს.“ (**მასე 1971:27**)

ინვესტიციების ცნება განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. იგი ორი სხვადასხვა მხარის – რესურსებისა და ამ რესურსების დაბანდების დიალექტიკურ ერთიანობაში განხილვით, ასევე როგორც მარაგებისა და ნაკადების კატეგორიების ასპექტით წარმოდგვიდგება და ყველაზე გავრცელებული მიდგომით „ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ძალზე ტევადი ცნებაა. იგი მოიცავს საინვესტიციო სფეროს ფუნქციონირების და რეგულირების კანონზომიერებების განმსაზღვრელ ელემენტებს, კერძოდ:

პირველი, სამეწარმეო საქმიანობაში ჩადებული რესურსები და ფასეულობები. აქ ინვესტიციები შემდეგი სახით შეიძლება განხორციელდეს:

1. უძრავი და მოძრავი ქონება (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები);

2. ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, კრედიტები, აქციები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები;

3. საავტორო უფლებებიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები, ლიცენზიები, ნოუჰორნი, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობები;

4. მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებები, აგრეთვე სხვა ქონებრივი უფლებები.

მეორე. რესურსების დაბანდებით მოცულობისა და დინამიკის წარმმართველი შემოსავლები. ამასთან, აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შემოსავლის მიღების პროცესი, მისი შექმნის კანონზომიერება „ინვესტიციების“ ცნებაში არ შედის.“ (**ქოქიაური 2002:23**)

ამავე ავტორის უფრო მოკლე განმარტებით, „ინვესტიცია დოვლათის წარმოებისა და არა საბოლოო მოხმარებისთვის გამიზნული ხარჯების ნაკადია, რომელიც გამოიყენება ძირითადი კაპიტალის გადიდების ან შენარჩუნებისთვის. იგი მატერიალური, ტექნოლოგიური, ფინანსური და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდებაა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ინვესტიციები ნიშნავს აგრეთვე აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შედეგის მიღების მიზნით.“ (**ქოქიაური 2002:20**)

გვხვდება აგრეთვე განსხვავებული მიღგომა ამ კატეგორიისადმი, რომლის ავტორებიც ჩვეულებრივ „ინვესტირების პროცესის ქვეშ გულისხმობებს მიმდინარე პერიოდში კაპიტალის ახალ ნაკადთა მოზიდვას. განასხვავებენ მთლიან და წმინდა ინვესტიციებს. მთლიანი ინვესტიციები ესაა კაპიტალის მარაგის საერთო ზრდა. საერთო ინვესტიციებიდან განახლებაზე ხარჯების გამორიცხვით დებულობენ წმინდა ინვესტიციებს.“ (**გელაშვილი 2001:20**)

საქართველოს კანონით „ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ - „ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სახვადასხვა დარგის საწარმოებში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმოო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება,“ (**საქართველო...**

2003:1) ხოლო - „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით - „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდა და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.” (**საქართველო... 1996:1)**

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს საინვესტიციო საქმიანობის ორი მხარის თანაწყობაში – რესურსების ხარჯვა და შედეგის მიღება. აღსანიშნავია, რომ ეს ორი პროცესი განსხვავებული დროითი თანმიმდევრობით შეიძლება მიმდინარეობდეს. „ერთმანეთისაგან განსხვავებენ რესურსების დაბანდებისა და შედეგის მიღების პროცესების მიმდევრობით, პარალელურ და ინტერვალურ მიმდინარეობას. ამ პროცესების მიმდინარეობისას მოგება სრული მოცულობით მიიღება ინვესტიციების დასრულებისთანავე. მათი პარალელურად მიმდინარეობისას მოგების მიღება შესაძლებელია ინვესტირების ჯერ კიდევ მთლიანად დასრულებამდე. პროცესის ინტერვალურად მიმდინარეობისას ინვესტიციების დასრულებასა და მოგების მიღებას შორის გარკვეული დრო გადის (ამ დროითი ლაგის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ინვესტირების ფორმებსა და კონკრეტული საინვესტიციო პროექტების თავისებურებებზე).” (**ქოქიაური 2007:424**)

ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასრულებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება. ისინი წინასწარ განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ამაღლებენ მის საწარმოო პოტენციალს. სწორედ, თანამედროვე ეკონომიკაში ინვესტიციების მნიშვნელობაზე და მის საჭიროებაზე მიგვითითებს მისი შემდეგი ფუნქციები:

- ძირითადი ფონდების უბრალო და ფართო განვითარების პროცესი;
- საბრუნავი კაპიტალის შევსება და უზრუნველყოფის პროცესი;
- ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორე სფეროში კაპიტალის გადადინება აქტივების ყიდვა-გაყიდვით;
- მესაკუთრეებს შორის კაპიტალის გადანაწილება აქციების ყიდვა-გაყიდვით;
- შემოსავლის შემოტანის პოტენციური უნარი;
- მატერიალურ თუ არამატერიალურ ობიექტში (ინსტრუმენტში) კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართულობა.

- მაკროდონებები ინვესტიციები წარმოადგენენ გაფართოებული კვლავ-წარმოების პოლიტიკის განხორციელების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელ კომპონენტს;
- ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისა და ყველა დარგის შეწონა-სწორებული განვითარების, მრეწველობის აუცილებელი სანედლეულო ბაზის შექმნის, სოციალური სფეროს განვითარების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მისი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის, უმუშევრობის დაძლევის, გარემოს დაცვის საფუძველს.
- მიკროდონებები ისინი აუცილებელია საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მეურნე სუბიექტის სტაბილური ფინანსური მდგომარეობისა და მაქსიმალური მოგების მისაღებად.
- ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია გამოსაშვები საქონლისა და გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის უარყოფითი შედეგების დაძლევა, ფასიანი ქაღალდების შეძენა და სხვა საწარმოების აქტივებში საშუალებების დაბანდება, ბუნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება და ა.შ.

ასრულებს რა ფუნქციებს, მაკრო დონეზე ინვესტიციებს ახასითებთ შემდეგი ამოცანები:

1. წარმოების გაფართოების პოლიტიკის რეალიზაცია;
2. სამეცნიერო –ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ხარისხის გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;
3. საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, მეურნეობრივი კომპლექსის ყველა სფეროს დაბალანსებული განვითარება;
4. სამოქალაქო მშენებლობა, ჯანდაცვის განვითარება, კულტურა, უმაღლესი განათლების დახმარება;
5. უმუშევრობის პრობლემის მოგვარება;
6. გარემოს დაცვა;
7. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

ინვესტიციების მიმართვა საზოგადოების კაპიტალის გაზრდის მიზნით (მანქანა-დანადგარების შეძენა, მათი გადაიარაღება, მშენებლობები, საინჯინრო დანადგარები) ხელს უწყობს წარმოების ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

ინვესტირება წარმოებაში, ახალ ტექნოლოგიებში გვეხმარება ყოველთვის წინ ვიყოთ კონკურენციულ ბრძოლაში, გვეძლევა საშუალება პროდუქციის ფასებზე მოქნილი რეგულირებისა.

მიკრო დონეზე ინვესტიციები საჭიროა შემდეგი ამოცანების შესახერულებლად:

- წარმოების გაფართოება და განვითარება;
- ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის დაბალი დონის შენარჩუნება;
- პროდუქციის ხარისხის ამაღლება;
- ფასიანი ქაღალდების შესყიდვა და სხვა საწარმოების აქტივებში ფულის ჩადება.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ინვესტიციების განხორციელება უნდა ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს:

- ❖ არ დაუშვას ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის მაღალი დონე;
- ❖ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება;
- ❖ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება;
- ❖ სოციალური მისიის რეალიზაცია, როგორც მთავარი კომპონენტი.


ინვესტიციები შედეგების ანალიზისათვის, მისი დაგეგმარებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე, საჭიროა მისი მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია. სტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ მისი დანიშნულების (კრიტერიუმების) მიხედვით, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მათი ერთი ნიშნის მიხედვით გაერთიანებისა. რეალური ინვესტიციების დაყოფა მოვახდინოთ შემდეგი ობიექტების მიხედვით:

- 1) მატერიალური აქტივები;
- 2) არამატერიალური აქტივები;
- 3) ძირითადი ფონდები;
- 4) საბრუნავი კაპიტალი;
- 5) გუდვილი და ფრანშიზა.

ინვესტიციები, რომლებიც განთავსებულია აქციებში, ობლიგაციებში, ან სხვა ფასიან ქაღალდებში და წარმოების აქტივებში, განეკუთვნებიან ფინანსურ ან პორტფელურ ინვესტიციებს. საერთოდ, გვაქვს ინვესტიციების კლასიფიკაციის მრავალი სახე (იხ. ნახაზი №1).

ნახაზი 1. ინვესტიციების კლასიფიკაცია ცალკეული ნიშნების მიხედვით

**ინვესტიციათა კლასიფიკაციის
ნიშნები**



1. საინვესტიციო რესურსების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ინვესტიციების სამ ტიპს:

- I. რეალური (მატერიალურ აქტივებში) ინვესტიციები;
- II. ფინანსური (პორტფელური) ინვესტიციები;
- III. ინტელექტუალური (არამატერიალურ აქტივებში) ინვესტიციები.

რეალური ინვესტიციები მოიცავს:

- წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად გამიზნულ ინვესტიციებს;
- გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისთვის გამიზნულ ინვესტიციებს;
- რეალურ ქონებრივ ინვესტიციებს (დაბანდებები ოქროს ნაწარმის, ანტიკარიატის, ხელოვნების ნიმუშების და ა.შ. შესყიდვაში).

ფინანსური ინვესტიციები გულისხმობს ფულადი სახსრების დაბანდებებს აქციებში, ობლიგაციებში, კერძო და კორპორაციულ კომპანიებში, ასევე დაბანდებებს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში (საფონდო ფასეულობებში).

ინტელექტუალური ინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას მუცნიერულ გამოკვლევებში, მუშაქთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიების გამოსაყენებლად ლიცენზიების შეძენაში, ცნობილი ფირმების საგაჭრო მარკების გამოყენების უფლების მიღებაში და ა.შ.

2. ინვესტირების პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან ინვესტიციებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კრიტერიუმის მიხედვით ერთიანი მიდგომები არ არის ჩამოყალიბებული, როგორც წესი 5 წლამდე პერიოდისთვის ინვესტიციები მოკლევადიან ინვესტიციებს მიეკუთვნება, უფრო ხანგრძლივი ვადით კი გრძელვადიანს, თუმცა ზოგიერთი ეკონომისტი მოკლევადიანად მიიჩნევს ერთ წლამდე ინვესტიციას, ხოლო გრძელვადიანად – ერთ წელზე მეტი დროით.

3. ინვესტირების რესურსების საკუთრების ფორმის მიხედვით მიღებულია:

- კერძო ინვესტიციები;
- სახელმწიფო ინვესტიციები.

4. რეგიონული ნიშნის მიხედვით მიღებულია ინვესტიციების კლასიფიკაცია:

- ქვეყნის შიგა ინვესტიციები;
- საერთაშორისო ინვესტიციები.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ინვესტიციები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით სამ ჯგუფად იყოფა: პირდაპირ, პორტფელურ და სხვა სახის ინვესტიციებად.

5. დაბანდების ობიექტის მიხედვით განასხვავებენ პორტფელურ და რეალურ ინვესტიციებს. პორტფელური ინვესტიციები ესაა დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში მათი შემდგომი კურსის ცვლილებისა და დივიდენდის მიღების, ასევე სამეურნეო სუბიექტის სამმართველო საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით. რეალური ინვესტიციები ესაა დაბანდებანი განხორციელებული მატერიალურ-სამრეწველო მარაგების ზრდისა და ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების მიზნით. მასში ხშირად აერთიანებენ ინტელექტუალურ ინვესტიციებსაც.

6. დაბანდების არეალის მიხედვით განასხვავებენ მთლიან და წმინდა ინვესტიციებს. მთლიანი ინვესტიციები ესაა მანქანა-მოწყობილობების შესაძენად, მშენებლობისა და მარაგების გაზრდის უზრუნველყოფისკენ მიმართული დანახარჯები. იგი მოიცავს დანახარჯებს მიმართულს ყველა სახის საინვესტიციო საქონლის კვლავწარმოებისკენ. რაც შეეხება წმინდა ინვესტიციებს იგი წარმოადგენს დანახარჯებს კაპიტალის ნაზრდზე. მის წყაროს წარმოადგენს ფირმის მოგება, მაშინ როცა მთლიანი ინვესტიციები დაკავშირებულია დაგროვების და აღდგენის ფონდთან.

7. ინვესტიციებში მონაწილეობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ:

- პირდაპირ ინვესტიციებს;
- არაპირდაპირ ინვესტიციებს;
- შუალედურ ინვესტიციებს.

პირდაპირი ინვესტიციები გულისხმობს, რომ ინვესტორი უშუალოდ მონაწილეობს ინვესტირების ობიექტის შერჩევაში, სახსრების დაბანდებაში, არაპირდაპირ (ირიბი) ინვესტირებაში იგულისხმება, რომ მას ახორციელებს სხვა სუბიექტი (ფინანსური ან საინვესტიციო შუამაგალი), რაც შეეხება შუალედურ ინვესტიციებს, იგი მოიცავს ინვესტირებისას საკუთარი ფულადი კაპიტალის გამოყენების მექანიზმს.

ასევე არსებობს ინვესტიციის კლასიფიკაცია რეალურ აქტივებში, რომლითაც ფირმა-ინვესტორს სურს ამოცანები გადაჭრას ამ ინვესტიციების დახმარებით:

1) ინვესტიციები ეფექტურობის ასამაღლებლად. მათი დანიშნულებაა დაწესებულებების დანახარჯების შემცირება აღჭურვილობის შეცვლის ხარჯზე, პერ-

სონალის სწავლებისა და საწარმოო სიმძლავრეების განთავსებაზე რეგიონებში, წარმოების უფრო მომგებიანი პირობებით;

2) ინკუსტიციების წარმოების გასაფართოებლად მიზნად ისახავს, საქონლის გამოშვების შესაძლებლობების გაფართოებას ადრე ფორმირებული ბაზრებისათვის, უკვე არსებული წარმოების ფარგლებში;

3) ინკუსტიციების ახალი წარმოების შესაქმნებლად ინკუსტიციების ეს მოცემული ჯგუფი უზრუნველყოფს ახალი საწარმოების შექმნას, რომლებიც გამოუშვებენ ახალ საქონელს;

4) ინკუსტიციების სახელმწიფო მართვის ორგანოების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის - ეკოლოგიური სტანდარტების ნაწილში, პროდუქციის უსაფრთხოების, ან სხვა საქმიანობის პირობებით.

ასეთი დაყოფა არ ითვლება ზუსტ და სამართლიან დაყოფად. მაგალითად, გაუგებარია ამ ოთხი ჯგუფიდან, რომელს შეიძლება მიეკუთვნოს სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტის მნიშვნელობა ინკუსტორ კომპანიის პუბლიკური იმიჯის გასაუმჯობესებლად. თუმცა, საბოლოო ჯამში, მსგავსი სახის ჩანადები თანხები ასიახება საბაზრო პირობების განმტკიცებაზე.

ვუარყოფთ რა გარკვეულ ფასეულობებსა და ზემოთ ჩამოთვლილ გამოყენებით მნიშვნელობებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მათი არსით სუსტ დამოკიდებულებაში არიან ინკუსტიციათა კატეგორიების ეკონომიკურ შინაარსთან, და უფრო მეტიც, ისინი კავშირში არიან ინკუსტიციური პროცესის ორგანიზაციულ-სამართლებრივ მხარესთან. გარდა ამისა, ეკონომიკურ განვითარებასა და გართულებას მოაქვს უფრო და უფრო ახალი ფორმების გამოვლინება, რომლებიც არ შეესატყვისება თანამედროვე კლასიფიკაციის ჩარჩოებს.

როგორც ალტერნატიული კრიტერიუმი, უნდა აღინიშნოს, რომ რეალური ინკუსტიციების ხარისხიანი თვისებების მიკუთვნება ხდება ამა თუ იმ სახესთან მათი ურთიერთმოქმედების ხასიათის და შექმნილი ეკონომიკური დამოკიდებულებისა და საზოგადოებრივი პროდუქციის წყაროების მიხედვით. ამ შემთხვევაში სასურველია გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ინტენსიური და ექსტენციური ინკუსტიციები.

ექსტენციურ ინკუსტიციებად ითვლება ინკუსტიციები, რომელთა შედეგადაც მიიღწევა გამოშვებული პროდუქციის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, საზოგადოებრივი წარმოებისა და ხარისხობრივი მიღწევების ეკონომიკურ სისტემაში არსებული სტრუქტურის შეუცვლელად.

ინტენსიურ ინვესტიციებს მიეკუთვნება კაპიტალის ისეთი დანამატი, რომელიც მოქმედი კაპიტალის, ან ახალი სახის წარმოებისა და პროდუქციის ფუნქციონირების ამაღლებას უზრუნველყოფს.

მაგალითად: ახალი ნავთობ გადამამუშავებელი ქარხნის აშენება მოგვიჩანს მხოლოდ ნავთობპროდუქციების რაოდენობრივი წარმოების ზრდას, ამიტომ ასეთი ინვესტიციები შეიძლება მიეკუთვნონ ექსტენციურს. მეორე მხრივ, ახალი კრეპინგული დანადგარის შემოღება მოქმედ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, რომელიც აამაღლებს ნავთობის გადამუშავების სიხშირეს, იქნება განხილული, როგორც ინტენსიური ინვესტიციები. რამდენადაც ისინი საშუალებას იძლევიან წარმოებული პროდუქციის სასარგებლოდ უფრო მაღალი ხარისხის გადამუშავებასა და ზრდას.

რა თქმა უნდა, მოქმედი კაპიტალის წარმოებაში ახალი წარმოებების, სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური მიღწევების შექმნაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, რეალურ, როგორც მას უწოდებენ, კაპიტალის წარმომქმნელ ინვესტიციებს. ისინი არსებითად წინ უძვიან წარმოების სტადიებს (კაპიტალის პირველსაწყისი დაგროვება) და ითვლებიან საზოგადოების შემდეგი ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის წინა პირობად, მატერიალური კეთილდღეობის საფუძლად.

ინვესტიციების კლასიფიკაციასთან ცოტა განსხვავებული მიდგომა აქვს გერმანელ მეცნიერს ბ. კერნის. „ის გამოყოფს სხვადასხვა კრიტერიუმს, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ძირითად და მეორეხარისხოვან კრიტერიუმებად. ძირითადი კრიტერიუმები ეფუძნებიან ინვესტიციების ეკონომიკურ შინაარსს, ხოლო მეორეხარისხოვანი კრიტერიუმები კი – ინვესტიციების გარე გამოვლინებებს.“ (ბლეხი ...1997:192)

ბ. კერნის აზრით, ინვესტიციების კლასიფიკაცია მეორეხარისხოვანი კრიტერიუმების საფუძველზე შეგვიძლია ვაწარმოოთ შემდეგი მიმართულებებით (იხ. ნახ. №2):

- საინვესტიციო ობიექტის მიხედვით;
- ინვესტიციის მიზეზის მიხედვით;
- საინვესტიციო სფეროს მიხედვით.

რაც შეეხბა ინვესტიციების კლასიფიკაციის მთავარ კრიტერიუმებს, ის ასე გამოიყერება:


–ხარისხობრივი განხილვა (ხარისხობრივი მონაცემები – უსაფრთხოება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, სოციალური ეფექტი):

-რიცხობრივი განხილვა (საინვესტიციო ნაკადების დაყოფა მათი ფულადი და საგნობრივი სარჯების მიხედვით);

-განხორციელების ვადების განხილვა (ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება და ექსპლუატაციის ვადა, რომელი შეიძლება იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელი);

-სხვადასხვა ინვესტიციათა ურთიერთდამოკიდებულების დონის განხილვა (ერთი პროექტი ეკონომიკურად რამდენადაა დამოკიდებული მეორე პროექტზე).


ნახ. 2. ინვესტიციების კლასიფიკაცია მეორეხარისხოვანი კრიტერიუმების მიხედვით



ინვესტიციების „ობიექტის“ კრიტერიუმის მიხედვით ვ. კერნი გამოყოფს შემდეგი ინვესტიციების სახეებს: (ნახ. №3).


ბოლო ნიშნის მიხედვით ინვესტიციები იყოფა: დამოუკიდებელი, ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთშემავსებელი და ურთიერთგამომრიცხველი. ვფიქრობთ, ბ. კერნის მიდგომა ინვესტიციების კლასიფიკაციის კრიტერიუმების შესახებ წარმოადგენს ყოველმხრივ სასარგებლო სისტემას საქართველოს თანამედროვე სინამდვილეში, განსაკუთრებით პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით.

ნახ. 3. ინგესტიციების სახეები ინგესტიციების „ობიექტის“ კრიტერიუმის მიხედვით



ზემოთ მოყვანილი მეორესარისხოვანი კრიტერიუმებით კლასიფიცირებული ინგესტიციები შეიძლება უფრო დეტალიზირებულად განვიხილოთ ინგესტიციების „მიზეზის“ კრიტერიუმის მიხედვით. აქ გამოიყოფა ინგესტიციების შემდეგი სახეები: (ნახ. 4.)

ნახ. 4. ინგესტიციების სახეები ინგესტიციების „მიზეზის“ კრიტერიუმის მიხედვით



ინგესტიცია, როგორც ზრდის მიზნების მიღწევის მეთოდი დაფუძნებულია

რიგ პრინციპებზე. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

გაცნობიერება – კაპიტალის ჩადება ხდება მფლობელის მიერ უპირატესობის განსაზღვრის პროცედურის შედეგად დაზოგვის და მოხმარების დარგში ანუ მფლობელის ინვესტორად გადაქცევის პროცესს აქვს გაცნობიერებული ხასიათი, თუმცა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

მიმართულობა – ინვესტიციას ყოველთვის აქვს გარკვეულ ობიექტზე მიმართული ხასიათი, ამასთან ინვესტიციის მიზნობრივი ხასიათი ვლინდება ინვესტიციის ალტერნატიული ობიექტების შეფასების გარკვეულ დონეზე. ფართო მასშტაბიანი ინვესტიციების შემთხვევაშიც კი მიკროდონებზე ხდება ინვესტირების ობიექტის არჩევა.

ეფექტურობა – ინვესტიციას ახასიათებს ის თავისებურება, რომ ინვესტორს უნდა მოუტანოს განსაზღვრული მოგება (აუცილებელი არ არის ფულადი ფორმით) და ამასთან, უნდა განხორციელდეს ყველა ოპტიმალური ხერხით.

განსაზღვრულობა – ინვესტიცია დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივად ან თვისებრივად (საიმედობის გარკვეული წილით) მართვისთვის საჭირო პარამეტრების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტიცია შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს.

ინვესტიციების საკმარისად მნიშვნელოვან და არსებით ნიშან-თვისებებს წარმოადგენენ:

– ინვესტორების მიერ დაბანდების განხორციელება, რომლებსაც აქვთ საკუთარი მიზნები, რაც ყოველთვის არ ემთხვევა საერთო ეკონომიკურ სარგებლიანობას;

– ინვესტიციებს აქვთ შემოსავლის მოტანის პოტენციური შესაძლებლობა;

– საშუალებების დაბანდების განსაზღვრული ვადა;

– ობიექტებსა და ინვესტირების ინსტრუმენტებში კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;

– სხვადასხვა ინვესტიციური რესურსების გამოყენება, რომლებიც ინვესტირების განხორციელების პროცესში ხასიათდებიან მოთხოვნით, მიწოდებით და ფასით;

– კაპიტალის დაბანდების რისკი.

ინვესტიცის, როგორც ეკონომიკური კატეგორიისა და კლასიფიკაციის თავისებურებების განხილვის შემდეგ ჩამოვაყალიბოთ საბოლოო განმარტება:

ინვესტიცია წარმოადგენს აუცილებელ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც დიდი როლს თამაშობს ეკონომიკის როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე –

პირველ რიგში, უბრალო და ფართო თვითწარმოებაში, სტრუქტურულ გარდაქმნებში, და შემდგომ მოგების მიღებასა და ამის საფუძველზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. ჩვენი აზრით, ის წარმოადგენს დროებით თავისუფალ სახსრების (დაგროვებულის და გამოუყენებლის შემოსავლის მოხმარებისთვის) ჩადებას სამეწარმეო საქმიანობაში მოგების მიღების (ან მისი ღირებულების შენარჩუნების) მიზნით და პერსპექტივაში სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მისაღწევად.

12. ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირი მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიაში

ინვესტიციებისა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღიარებულია. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვადასხვა შეხედულებები იმაზე, თუ როგორია ინვესტიციების ზემოქმედების მექანიზმი ეკონომიკაზე.

ცნება „ეკონომიკური ზრდის“ შინაარსი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც გრძელვადიანი ზრდის ტენდენცია პროდუქციის წარმოებისა, ეროვნული შემოსავლისა, ანუ ინდივიდუალური შემოსავლებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მოთხოვნილების ზრდის მატერიალურ საფუძველს. ამასთან ერთად, საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებას, რაც თავისთავად წარმოადგენს ნებისმიერი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მთავარ მიზანს.

ეკონომიკური ზრდა ჩაითვლება ექსტენსიურად, თუ ის ხორციელდება დამატებითი რესურსის მოზიდვის ხარჯზე და არ ცვლის შრომის ნაყოფიერების დონეს და იწვევს დაგროვილი კაპიტალის უკუგებას, არ იწვევს წარმოების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების ინტენსიურ ზრდას, ანუ ხორციელდება წარმოებაში უკვე ამოქმედებული ეკონომიკური ფაქტორებისა და მათი ეფუქტურობის ამაღლების ხარჯზე.

შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ხარისხი დამოკიდებულია ამა თუ იმ ფაქტორის წილობრივ მონაწილეობაზე, რომლებიც იწვევენ ამ ზრდას. ექსტენსიურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ შრომითი და კაპიტალური ხარჯების ზრდა; ინტენსიურს კი - ტექნოლოგიური პროგრესი, წარმოების მასშტაბით ეკონომია, ინვესტიციები ადამიანური კაპიტალისათვის, ბიზნეს-პროცესების ორგანიზაციის სრულყოფა და სხვ.

სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში ინვესტიციების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის საჭიროა მივმართოთ ეკონომიკურ თეორიას, ანუ განვიხილოთ „ინვესტიციის“ ცნების არსი ეკონომიკურ თეორიაში, სადაც ინვესტირება ნიშნავს რაიმე სახსრების „ჩადებას“ (ლათინურად „invest“) მომავალში მოგების მიღების მიზნით. ძირითადი განსხვავებები ინვესტიციის გაგებაში არის მისი ადგილისა და როლის განსაზღვრა საინვესტიციო პროცესში.

დასაქმების კლასიკური თეორიის თანახმად, ეკონომიკის საბაზრო სისტემას შეუძლია გამოიყენოს ის რესურსები, რომელიც საჭიროა მისი განვითარებისათვის. თანაც საერთო დასაქმებას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს დროებით გაუთვალიშონებელი შემთხვევების დროს (პოლიტიკური ცვლილებები, საბირჟო კრახი, ომი, სტიქიური უბედურებები და ა.შ.). მაგრამ ასეთი შემთხვევების შემდეგაც კი საბაზრო სისტემას გააჩნია თვითრეგულირების შესაძლებლობა და აგრძომატურად ადადგენს წარმოების იმ დონეს, რომელიც ითვალისწინებდა საერთო დასაქმებას. მაშასადამე, ეკონომიკურმა მოთხოვნამ უნდა უზრუნველყოს მთელი წლის განმავლობაში წარმოებული საქონლის გასაღება.

თანამედროვე ეკონომიკაში არ არსებობს გარანტია იმისა, რომ შემოსავლის მიმდები მას მთლიანად გახარჯავს და აქედან გამომდინარე ერთობლივმა მიწოდებამ შეიძლება „ვერ ნახოს“ მასზე ერთობლივი მოთხოვნა.

როგორც კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები ამტკიცებენ ასეთი უთანხმოება შემოსავალსა და გასავალს შორის შეიძლება იყოს ძალიან უმნიშვნელო. ეს განსხვავება შემოსავლის დაგროვების (შენახვის) მიზნით რეალიზებას განიცდის ეკონომიკური ინვესტიციების სახით. მათი წარმოდგენით საწარმოს საინვესტიციო ხარჯები ერთვება შემოსავალ-გასავლის ნაკადს და ავსებს ყველა იმ ჩავარდნებს მოთხოვნაში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დაგროვებამ.

დასაქმების კლასიკური თეორიის ასეთი მტკიცებები ნაწილობრივ უარყოფილია კეინსის ნაშრომში „ფულის, პროცენტისა და დასაქმების საერთო თეორია“. კეინსმა და მისმა მიმდევრებმა არ უარყვეს ინვესტიციების მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში. ეს მნიშვნელობა აისახა შემდეგი განტოლებით:

$$\mathbf{NNT} = \mathbf{Ca} + \mathbf{In} + \mathbf{Xn} + \mathbf{G}$$

სადაც, **NNT** - წმინდა ეროვნული პროდუქტია, რომელიც წარმოადგენს იმ საქონლისა და მომსახურების მთლიან საბაზრო ღირებულებას, რომელიც წარმოებული იყო ეკონომიკაში ერთი წლის განმავლობაში, იმ ღირებულების გამოკლებით, რომელიც დაიხარჯა ძირითადი ფონდის აღსადგენად;

Ca – პირადი სამომხმარებლო ხარჯები (მიმდინარე საჭიროებისათვის სა-
ქონლის შეძენა, მომსახურების ხარჯები და სხვა);

In – წმინდა ინვესტიციები (გადარიცხვების გამოკლებით);

Xn – წმინდა ექსპორტი (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის ერთი
წლის განმავლობაში);

G – სახელმწიფო ხარჯები.

ამ განტოლებით შეიძლება გავიანგარიშოთ წმინდა ეროვნული პროდუქტი
წლის განმავლობაში. მაშასადამე, საინვესტიციო ხარჯების გაზრდა ხელს უწყობს წარმოებული პროდუქციის ერთობლივ ზრდას.

კ. კეინსმა პირველ პლანზე წამოსწია ეფექტური მოთხოვნის და მისი კომ-
პონენტების – სამომხმარებლო და საინვესტიციო მოთხოვნის ფორმირების პრობ-
ლემა, აგრეთვე მათი დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორების პრობლემა. ამას-
თან, დანაზოგი და ინვესტიცია ეფექტური მოთხოვნის მოცულობაზე გავლენას
ახდენს სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებებით: დანაზოგი ამცირებს მოთ-
ხოვნას, ინვესტიცია კი ზრდის.

ინვესტიციის დონე გავლენას ახდენს საზოგადოების ეროვნული შემოსავ-
ლის მოცულობაზე; მის დინამიკაზე იქნება დამოკიდებული მრავალი მაკროპრო-
პორცია ნაციონალურ ეკონომიკაში. კ. კეინსის აზრით, ერთის მხრივ, „ინვესტი-
ციები არის კაპიტალური საკუთრების ფასეულობის მიმდინარე ზრდა მიმდინარე
პერიოდის საწარმოო საქმიანობის შედეგად“, ხოლო მეორეს მხრივ - „შემოსავ-
ლის ნაწილი მოცემული პერიოდის განმავლობაში, რომელიც მოხმარებისთვის
არ იყო წარმოებული.“ გარდა ამისა, ინვესტიცია არის „კაპიტალური საკუთრე-
ბის ფასეულობის ნებისმიერი მატება მიუხედავად იმისა, შედგება თუ არა ეს
უკანასკნელი ძირითადი, საბრუნავი ან ლიკვიდური კაპიტალისგან.“ (ეკონომი-
1993:52)

XX საუკუნის განმავლობაში ეკონომიკურ განვითარებაში დომინირებდა
პოსტულატი იმის შესახებ, რომ წარმოების განვითარების ტემპები, საზოგადო-
ების კეთილდღეობისათვის გაღებული ხარჯები მკაცრ დამოკიდებულებაშია
წარმოების ეკონომიკური სისტემის რაოდენობრივ და სტრუქტურულ ფაქტორებ-
თან. ამ თვალთახედვით სტაბილური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ
ფაქტორად სახელდებოდა კაპიტალდაგროვების ჩადება ეკონომიკაში, ანუ ინვეს-
ტიციების მოცულობა.

საინვესტიციო პროცესების განხორციელება, რომელიც განაპირობებს ეკონომიკაში მომუშავე კაპიტალის ზრდას, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას ეკონომიკური ზრდის მიღწევისა, ხოლო კავშირი კაპიტალდაგროვებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის სწავლული მეცნიერების მიერ დადგენილ იქნა ჯერ კიდევ საზოგადოებრივი ურთიერთობების მარქსის თეორიამდე.


კაპიტალდაგროვება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდა, ბევრის მიერ განიხილებოდა, როგორც აბსოლუტური სარგებელი ეკონომიკისათვის. მაგ: მერკანტილისტები მოხმარებას საერთოდ პარაზიტულს უწოდებდნენ.

XX საუკუნის 30-იან წლებში კ. კეინსის ნაშრომების გამოჩენამ, რომელიც ეძღვნებოდა ეკონომიკური ზრდის პრობლემების სხვანაირ მიღგომებსა და შეხედულებებს, რომლებიც მიმდინარეობს ეკონომიკაში, მოახდინა საზოგადოებაში ნამდვილი რევოლუცია. მათში მოცემული იყო მაკროეკონომიკური წონასწორობის სტაბილური და გრძელვადიანი განვითარების სრულიად ახალი მეთოდები.

ეს თეორია არ უარყოფდა მარქსისა და სხვა ეკონომისტების შეხედულებას, რომ წარმოების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ინვესტიციების მუდმივი ზრდის პირობებში. იგი წარმოადგენს ძირითად მამოძრავებელ ძალას, რომელიც ქმნის წინა პირობებს ეკონომიკური ზრდისა, მაგრამ ამასთან ერთად, ეს თეორია ითვალისწინებდა მოთხოვნილებებს შესყიდვებზე. კეინსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესყიდვებზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და ეროვნული შემოსავლის დონე, მისი დინამიკა განისაზღვრება არა იმ ფაქტორებით, რომელიც ამოქმედებულია ეკონომიკაში, არამედ მსყიდველობითუნარიანობაზე.

„ერთობლივი მიწოდება ნიშნავს მოთხოვნადი და საინვესტიციო საქონლის საერთო მოცულობას, რომელიც იწარმოება ეკონომიკაში და მიეწოდება საზოგადოებას. ურთიერთშერწყმული მოთხოვნილებები განსაზღვრავს ეკონომიკური კეთილდღეობის იმ მოცულობას, რომელსაც მოითხოვს საზოგადოება შემოსავლისა და გარკვეული ფასების პირობებში.“ (კეინსი 1993:157)

თუ მსყიდველობითუნარიანობა მოკლევადიან პერიოდში არის მუდმივი, მაშინ მსყიდველობითი მოთხოვნილება მაღალია, რამდენადაც იგი დამოკიდებულია მომავალი შემოსავლების იმედზე. შესაბამისად, მსყიდველობითუნარიანობა და მსყიდველობითი მოთხოვნილება განსაზღვრავს დასაქმებას, ეროვნული შემოსავლების სიმდიდრესა და საერთო წონასწორობას ბაზარზე.



ერთობლივი მიწოდებისა და მსყიდველობითი უნარის მრუდების გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს წარმოების მოცულობას, ეროვნული შემოსავლის სიდიდეებს და დასაქმებას ფასების მოცემულ პირობებში. ბაზარი კი იმყოფება მაკროეკონომიკური წონასწორობის პირობებში. კეინსმა ამ წერტილს უწოდა ეფექტური მოთხოვნის წერტილი. ამიტომაც ამ თეორიამ მიიღო ეფექტური მოთხოვნის თეორიის სახელწოდება.

მსყიდველობითი მოთხოვნილება ფორმირდება გამოყენებითი საქონლისა და საინვესტიციო საქონლის მოთხოვნიდან, ანუ მსყიდველობითი მოთხოვნილება განისაზღვრება მომხმარებლის ხარჯებისა და საინვესტიციო მოცულობებით: $AD = C + I$ (C - მომხმარებლის ხარჯები, I - ინვესტიციები), მეორეს მხრივ, ეფექტური მოთხოვნილება განისაზღვრება ეკონომიკური სისტემის ყველა მონაწილის შემოსავლებით.

შემოსავლების ერთი ნაწილი, რომელიც მიიღება ეკონომიკური სუბიექტების მიერ, ყოველთვის იხარჯება მიმდინარე გამოყენებაზე; მეორე კი გადაიდება დაგროვებისათვის. ამასთან ერთად, დაგროვება, რომელიც აკუმულირდება ეკონომიკურ სისტემაში, შეადგენს კაპიტალის დაგროვების ეკონომიკური პროცესის საფუძველს. ე.ი. ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები ეყრდნობა საზოგადოებაში მოთხოვნილებებისა და დაგროვების ტრანსფორმაციებს, ინვესტიციებში წარმოების გაფართოების მიზნით.


კეინსის მაკროეკონომიკური ანალიზის ლოგიკის საფუძველს წარმოადგენდა მარტივი მათემატიკური მოდელი, აგრეთვე ფსიქოლოგიური მოტივების სახეს ხვაობები, რომელსაც წამოსწევდნენ გარკვეული ადამიანები. კეინსის ეფექტური მოთხოვნის თეორიის გამოკვლევებში ამოსავალ წერტილად აღებულია ის იდეა,

რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად მოთხოვნაც იზრდება, ოდონდ ნაკლები პროპორციით.

„ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, არამარტო იმ წარმოდგენებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ადამიანის ბუნებაზე, არამედ წარსულის გამოცდილების დეტალურ შესწავლაზე, წარმოადგენს იმას, რომ ადამიანები მიღრეკილნი არიან გაზარდონ თავიანთი მოთხოვნილებები შემოსავლის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება შემოსავალი” (ორჟშინი 2000:151).

ეს არის ობიექტური კანონი, რამდენადაც შემოსავლების ზრდასთან ერთად ხდება მუდმივი გაჯერება მოთხოვნილებებისა და დიდი ნაწილი შემოსავლებისა შეინახება მომავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. დაგროვება, როგორც ეკონომიკური პროცესი, უწყვეტადაა დაკავშირებული კაპიტალის დაგროვებასთან, ანუ ინვესტირებასთან. მოხმარების სიდიდეებსა და რაციონალური შემოსავლების ინვესტიციების დინამიკას შორის დამოკიდებულებების განსაზღვრისათვის კეინსმა შემოიღო მოთხოვნილების ფუნქციის ცნება (ანუ დამოკიდებულება შემოსავალსა და მოთხოვნილებას შორის) და დაგროვების ფუნქციის ცნება (ანუ დამოკიდებულება შემოსავალსა შენახვას შორის).

გრაფიკი 2.



„არსებობს შემდეგი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მოთხოვნილების მასშტაბებს:

1. მოსალოდნელი შემოსავალი - შემოსავალი, რომელიც დარჩება უკელა გადასხადისა და სხვადასხვა ვალდებულებების მოხდის შემდეგ. $Y_d = Y - T$ (Y - არსებული შემოსავალია, T - გადასახადები და ვალდებულებები);

2. საშუალო მიდრეგილება მოთხოვნისადმი – დამოკიდებულება მოთხოვნილებისა შემოსავალთან. $\text{APC} = \frac{\text{C}}{\text{Y}_d}$ (C – მომხმარებლის ხარჯები);
 3. ზღვრული მიდრეგილება მოთხოვნილებისადმი - შემოსავლების ყოველ დამატებით ერთეულში მოთხოვნილების წილი. $\text{MPC} = \frac{\Delta \text{C}}{\Delta \text{Y}_d}$
- მაშინ მოხმარების ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს: $\text{C} = \text{C}_0 + \text{MPC} * \text{Y}_d$; სადაც, C_0 -ავტონომიური მოხმარების ზომაა.”(კეინსი 1993:206-210)

ეკონომიკური წონასწორობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა საერთო შემოსავლები ტოლია საერთო ხარჯებისა, რამდენადაც ერთი ეკონომიკური სუბიქტის მიერ გაცემული ხარჯები მეორესთვის არის შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლები გამოიყვანება ეკონომიკური სისტემიდან შენახვის სახით, ამას მოყვება შესაბამისი შემცირება დანახარჯებისა და ურთიერთმოთხოვნილებებისა, ე.ი. სხვადასხვა ეკონომიკური აგენტებისა და წარმოების მოცულობის შემცირება არამოთხოვნად საქონელზე, ეს კი, თავის მხრივ, მიდის ურთიერთმოთხოვნილებების შემცირებისაკენ.

კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკაში თავიდანვე ჩადებულია თვითრეგულირების რაღაც მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს ბაზარს გვერდი აუაროს ცალკეულ რყევებსა და კრიზისებს.

კლასიკური მაკროეკონომიკური თეორიის ბაზას წარმოადგენს სეის „ბაზრის კანონი.” ეს კანონი ფორმულირებულ იქნა 1803 წელს ფრანგი ეკონომისტის სეის მიერ თავის ცნობილ წიგნში—„ტრაქტატი პოლიტიკურ ეკონომიაზე”. იგი ამტკიცებს, რომ ჭარბწარმოება თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია.

სეის პოზიციის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მიწოდება ავტომატურად ბადებს მოთხოვნილებას. სეის აზრით, წარმოების მიზანს წარმოადგენს მოხმარება. მწარმოებელი ყიდის თავის საქონელს, რომ იყიდოს მეორე, ანუ ყოველი გამყიდველი აუცილებლად ხდება მყიდველი. თუ საწარმოებს შეუძლიათ აწარმოონ მეტი პროდუქცია, მაშინ მომხმარებლები შეიძენენ მეტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროდუქციის ნებისმიერი ზრდა ავტომატურდ ბადებს შემოსავლებისა და გასავლების ექვივალენტურ ზრდას, ამასთან იმ ფარგლებში, რომ ხელი შეუწყოს დასაქმებას ეკონომიკაში.

სეის ფორმულირებული კანონების წყაროები მოცემულია ადამს სმიტის ცნობილ ფრაზაში: „ის რაც ინახება წლის განმავლობაში, მოიხმარება ისევე რეგულარულად, როგორც ის, რაც ყოველდღიურად იხარჯება; ამასთან ერთად თითქმის იგივე დროის განმავლობაში, მაგრამ გამოიყენება სულ სხვა წარმო-

შობის ხალხის მიერ”. (**სმითი 1962:249**) სმიტი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ყველა დანაზოგი ავტომატურად გარდაიქმნებოდა ინვესტიციად, ინვესტიციების შედეგებს კი წარმოადგენს მეწარმეთა შემოსავლები, რომლებიც თავის მხრივ ასევე იხარჯება მოთხოვნილებაზე.

კეინსის იდეები განსაკუთრებით აქტიური და მოთხოვნადი გახდა დიდი დეპრესიის დროს. გააანალიზა რა აშშ-სა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, კეინსი მივიდა იმ დასკვნებამდე, რომლებიც სერიოზულად სცილდებოდა კლასიკური თეორიის დასკვნებს:

- ✓ საბაზრო ეკონომიკაში არ მოქმედებს არავითარი ფარული მექანიზმი, რომელიც იძლევა გარანტიას სტაბილური განვითარებისა, ეკონომიკური ზრდისა და სრული დასაქმების ფონზეც კი;
- ✓ ეკონომიკას შეუძლია მიაღწიოს წონასწორობის წერტილს და შეინარჩუნოს თავი ინფლაციისა და უმუშევრობის პირობებში;
- ✓ არ შეიძლება დაგუკავშიროთ ეკონომიკის ციკლური რყევები რაიმე გარე ფაქტორებს, მათი მიზეზები უნდა ვეძებოთ თვით ეკონომიკაში. ამის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შესაბამისობა მოხმარებას, შენახვა-ინვესტიციებსა და დასაქმებას შორის.

ეკონომიკური სისტემის წონასწორობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტოლობა მოგებასა და მოხმარებას შორის. ამასთან ერთად, საუბარია როგორც საბოლოო, ასევე საწარმოო მოხმარებაზე, ანუ ინვესტიციებზე. „ამისათვის აუცილებელია ყველა ეკონომიკური აგენტის შემოსავლები გაუთანაბრდეს სამომხმარებლო შემსყიდველუნარიანობას, ანუ სამომხმარებლო საინვესტიციო საქონელს. შემოსავლები, რომლებიც მიმართულია მიმდინარე მოხმარებასა და შენახვაზე, უნდა იყოს ტოლი საზოგადოების მიერ მოხმარებული საქონლისა.

$$Y = C + S = C + I \quad \text{ან} \quad S = I$$


სადაც, **C** -ირიბი მოთხოვნაა (მოხმარებლის ხარჯები), **S** - ირიბი დანაზოგები, **I** -ინვესტიციები.”(**კეინსი 1993:225-226**)

შემოსავლების ზრდის დროს, ეფექტური მოთხოვნილების წილობრივი წონა, რომელიც განაპირობებს სამომხმარებლო ხარჯებს, მუდმივად ეცემა. ამიტომაც შენახული ფულის ზრდადი მოცულობა უნდა დაიფაროს ინვესტიციებზე ზრდადი მოთხოვნით. ინვესტიციების ზომა წარმოადგენს ეფექტური მოთხოვნილების მთავარ ფაქტორს, მაგრამ ინვესტიციების ნორმალური ზომით უზრუნველყოფა ეყრდნობა ყველა დანაზოგის რეალურ ინვესტიციებში გადაყვანის პრობლემას.

კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენლები ვერ ხედავდნენ ამაში პრობლემას, რადგანაც ისინი გამოდიოდნენ იქიდან, რომ შენახული ფული ინგესტიციების დროს იმავდროულად გარდაიქმნება ინგესტიციად. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ შენახვის მაღალი დონე წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის პირობას, რადგან შენახული ფული არის კაპიტალის დაგროვების წყარო.

კეინსი კი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზედმეტი დაგროვება წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელ პირობას, რამდენადაც გადაჭარბებული შენახვა სხვა რა არის, თუ არა საქონლის ზედმეტი მიწოდება, ანუ იქმნება სიტუაცია რომელიც იმუქრება ჭარბწარმოების საერთო კრიზისით. ზუსტად საინვესტიციო კომპონენტს ეკუთვნის დიდი როლი ეროვნული შემოსავლის ზრდასა და დასაქმებაში (იხ. გრაფიკი 3, სადაც Q -წარმოების დონეა)

გრაფიკი 3.



გრაფიკი 3: ეკონომიკური და ფინანსურული ცალის შეცვლისა და გროვების დონეების მიზანით


„თუ მოთხოვნილების დონე წარმოადგენს მუდმივ მაჩვენებელს, მაშინ დაგროვებისა და ინგესტიციების მოცულობა ძირითადად დამოკიდებულია ბაზრის კონიუქტურაზე და მოსალოდნელ ეკონომიკურ ცვლილებებზე. შემნახველ სუბიქტთა და ინგესტორთა გარკვეული ჯგუფები არ ემთხვევიან ერთმანეთს, ფულს ინახავენ ძირითადად კერძო პირები, ინგესტორებს კი წარმოადგენენ კორპორაციები და სახელმწიფოები”. (კეინსი 1993:183)

შემნახველთა და ინგესტორთა მოტივაცია სხვადასხვაა. პირველი გადადებენ შემოსავლების გარკვეულ ნაწილს მომავალი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად, რამდენადაც არ არიან გარანტირებულნი მომავალ შემოსავლებში. მე-

ორენი კი ხელმძღვანელობენ იმით, რომ აუცილებელია წარმოების განახლება და გაფართოება, რაც არის საფუძველი ბიზნესის განვითარებისა და სტაბილური შემოსავლებისა.


საერთო ჯამში, შენახული ფული და ინვესტიციები არ შეესაბამება ერთ-მანეთს; ამიტომაც ხდება წარმოების მოცულობის რყევა, შემოსავლების, დასაქმებისა და ფასების რყევა, რასაც გამოყავს ეკონომიკა წონასწორობის მდგომარეობიდან. შესაბამისად, კეინსის ეკონომიკური წონასწორობის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური პოზიცია უჭირავს ინვესტიციების სტიმულირების პრობლემას.

გრაფიკი 4.



კლასიკური თეორიის მიხედვით ინვესტიციები ხელს უწყობს ეკონომიკაში მთლიან დასაქმებას და წარმოების მოცულობის მაქსიმალურ ზრდას. ხოლო კეინსის დოქტრინის თანახმად კი – ინვესტიციები სტიმულს მატებენ ეკონომიკურ ზრდას.

თუ სამომხმარებლო ხარჯებზე ერთობლივი მოთხოვნილების სტიმულირებას ეწინააღმდეგება კეინსის მიერ ფორმულირებული „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი”, სამაგიეროდ ინვესტიციების ზომები განსაზღვრულია „დაბანდებულ კაპიტალზე კლებადი ზღვრული ხარჯის” კანონით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს საპროცენტო განაკვეთი. პროცენტის ნორმას, შენახვასა და ინვესტიციებს შორის კავშირის გრაფიკი გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. გრაფიკი 5, სადაც, r- პროცენტის სიდიდეა).




აშკარაა, რომ ინვესტიცია არის პროცენტის ნორმის ფუნქცია: $I = I(r)$ თანაც ფუნქცია კლებადია, როგორც ეს გრაფიკზე ჩანს. რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით ნაკლებია ინვესტიციების მოცულობა, რადგანაც უფრო ნაკლები იქნება საინვესტიციო პროექტები, რომელთა მოგება გადააჭარბებს ამ განაკვეთს, მეწარმეები აგრძელებენ ინვესტირების პროცესს მანამ, სანამ კაპიტალდაბანდების ზღვრული ეფექტურობა არის საპროცენტო განაკვეთზე მეტი.

დაგროვება კი წარმოადგენს შემოსავლების ფუნქციას: რაც მეტია შემოსავლები, მით მეტია დაგროვება. თუ საპროცენტო განაკვეთი მაღალია, მაშინ დაგროვების მფლობელები არ გასცემენ დასაფინანსებლად, მათ ურჩევნიათ მიიღონ შედარებით მაღალი შემოსავლები შედარებით ნაკლები რისკით. მაგ: საბანკო შენატანების პროცენტის სახით ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით.

იმ შემთხვევებში, როცა მოსალოდნელი შემოსავლიანობა ინვესტიციებიდან მცირდება და უტოლდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, მაშინ საინვესტიციო აქტიურობა ზურგს აქცევს ეკონომიკას და იწყება ვარდნა. პროცენტის ნორმა განსაზღვრავს მომავალი ინვესტიციების მომგებიანობის ქვედა ზღვარს, რაც უფრო ქვევითაა ეს ზღვარი, მით უფრო გამოცოცხლებულია საინვესტიციო პროცესი.

რამდენადაც დაგროვებასა და ინვესტიციებს განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორები, ტოლობა დაგროვებისა და ინვესტიციებისა უფრო შემთხვევითია, ვიდრე კანონზომიერება. შედეგად ეკონომიკური სისტემის არასრულყოფილების დროს ამ ტოლობამ შეიძლება მიაღწიოს ოპტიმალურ წერტილს, რომელიც შექმნას აბამება მთლიან დასაქმებას F-ს.

გრაფიკი 6.




საერთო ჯამში იბადება კითხვა-როგორ გავუკეთოთ სტიმულირება საინვესტიციო ფონდსა და მსყიდველობით მოთხოვნილებას, რომლებიც არიან ეკონომიკური ზრდის საფუძველი. „უარყო რა სეის „უხილავი ხელის“ პრინციპი და კანონები, კეინსმა მიუთითა სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირებაში დიდ როლზე და ეკონომიკური ზრდის საფუძვლების ხელშეწყობაში.

რამდენადაც კერძო ინვესტიციები ვარდნის პირობებში მკაცრად ეცემა იმის გამოვლენით, რომ მესაკუთრეები მოგების პერსპექტივის უარყოფით მოლოდინში არიან, ეკონომიკის გამოცოცხლების კატალიზორის ფუნქცია თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ. მითუმეტეს რომ მას გააჩნია რამდენიმე ინსტრუმენტი ეკონომიკის სტიმულირებისა და ეფექტური მართვისა.

პირველ რიგში, სახელმწიფო წარმოადგენს საინვესტიციო პროცესის უმსხვილეს სუბიექტს. შემდგომ ამისა, მას შეუძლია გავლენა იქონიოს კერძო ინვესტიციების გააქტიურებაზე სახელმწიფო შესყიდვებითა და შეკვეთებით, და მესამე, სახელმწიფოს შეუძლია ურთიერთმოთხოვნილებების ფინანსური და ფულადსაკრედიტო რეგულირების სტიმულირება პირდაპირი და ირიბი მეთოდებით. შეუძლია გავლენა მოახდინოს მიდრეკილებაზე მომხმარებლებისადმი, კაპიტალის ზღვრულ ეფექტურობაზე და პროცესის ნორმაზე და ყველაფერი ამის

დახმარებით მართოს დასაქმების დონე და ეროვნული შემოსავლები (იხ. გრაფიკი 7.).

გრაფიკი 7.



სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა შეიძლება მიმართული იყოს საპროცენტო განაკვეთის დაწევაზე და ფულადი მასის გაზრდაზე. რადგან ფულის სიჭარბე წაახალისებს კერძო ინვესტორებს გააპტიურონ საწარმოო ინვესტიციები. თუმცა აქ აუცილებელია კარგად აწონილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რამდენადაც გარკვეულ მომენტში ფულად მასის შემდეგი ზრდა არ მიგვიყვანს პროცენტის ნორმის დაწევამდე, მხოლოდ გააძლიერებს ინფლაციურ ზეწლას ეკონომიკაზე.

კეინსი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა არა ფულად-საკრედიტო არამედ საბიუჯეტო პოლიტიკას. ერთობლივ მოთხოვნებზე სახელმწიფო ფინანსების ზემოქმედებისათვის კეინსი გვთავაზობდა შემდეგს:

1. სახელმწიფო ინვესტიციები;
2. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესყიდვების განხორციელება და სახელმწიფო შეკვეთების განაწილება კერძო კორპორაციებში;
3. პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება და კერძო კაპიტალდაბანდების დაკრედიტება;
4. შემოსავლების გადანაწილება მოსახლეობაში სახელმწიფო სუფსიდიების დაბალი პროცენტით.

შემოსავლების ასეთი განაწილება გამოიწვევს სამომხმარებლო საგნებისადმი უფექტური მოთხოვნილებების ზრდის ამაღლებას. შესაბამისად, ასეთი „სოციალური ინვესტიციების“ უფექტურობა მეტად საგრძნობი იქნება.

ინვესტიციების ზრდა, მათ შორის სახელმწიფოსი, ხელს უწყობს სრული დასაქმების მიღწევას და მივყავართ ეროვნული შემოსავლის ზრდისაკენ. აგრეთვე, აძლიერებს გარკვეულ ეფექტს, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში იწოდება „მულტიპლიკატორის“ ეფექტად. ცნება მულტიპლიკატორი პირველად შემოიტანა ინგლისელმა ეკონომისტმა კანმა 1931 წელს. მულტიპლიკატორში იგულისხმება კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას მოგების ცვლილებებსა და ინვესტიციების ცვლილებებს შორის, აძლიერებს ზემოქმედებას შემოსავლების ამაღლების საინვესტიციო მოთხოვნილებაზე.

საწყისი ზრდა საინვესტიციო მოთხოვნილებებისა ეკონომიკის ერთ-ერთ სფეროში მიანიშნებს წარმოების ზრდას, დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას მეორე სფეროში. ნაწილი ამ შემთხვევებისა, თავის მხვრივ, მიმართული იქნება მოხმარებაზე, ანუ გამოიწვევს ურთიერთმოთხოვნის შემდეგი ტალღის ზრდას და ა.შ. ასე რომ, პირველად საინვესტიციო ხარჯები ერთ-ერთ სფეროში გამოიწვევს მრავალჯერად ზრდას შემხები სფეროებისა. ასეთი ავტონომიური ინვესტიციები ჯაჭვისებურად აიყოლიებს საწრმოო ანუ ინდივიდუალურ ინვესტიციებს.

აშკარაა, რომ ეს პროცესი ჩაქრობადია, რამდენადაც მოხმარებისადმი მიღრეკილება ერთეულზე ნაკლებია, უსასრულობაში კი საერთოდაც მიისწრაფვის ნულისაკენ. მულტიპლიკატორის ეფექტი უკუპროპორციულია შენახვისადმი მიღრეკილების ზღვარისა.

წონასწორობის დარღვევას ინვესტიციებსა და დაგროვებას შორის მივყართ ეკონომიკაში ორ ურთიერთსაპირისპირო უარყოფით შედეგამდე-ინფლაციურ და დეფლაციურ გარღვევამდე. პირველ ეფექტს ადგილი აქვს მაშინ, როცა ინვესტიცია დაგროვებაზე მეტია. მეორე შემთხვევაში კი - დაგროვება აჭარბებს საინვესტიციო მოთხოვნილებას. დაგროვების მაღალი ნორმის გამო იკუმშება მიმდინარე მოხმარება და ეცემა მოთხოვნილება, რაც იწვევს სამრეწველო წარმოების დაცემას და უმუშევრობის ზრდას. მულტიპლიკატორული ეფექტი აქვლინდება იმაში, რომ წარმოების დაცემას ერთ სფეროში მივყავართ იგივე მოვლენისაკენ სხვა სფეროებში, ისევე როგორც უმუშევრობის ზრდას ერთ სფეროში მივყავართ უმუშევრობის ზრდამდე მეორე სფეროში.

მულტიპლიკატორის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული აქსელერატორის ცნება. თუ მულტიპლიკატორის ეფექტი ასახავს კავშირს ინვესტიციების ზრდასა და შემოსავლებს შორის ერთ-ერთ პერიოდში, აქსელერატორის ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტირების მასშტაბები მიმდინარე პერიოდში დამოკიდებულია წინა პერიოდში მოგების ზრდაზე.

მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ეფექტები საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მოხმარების შესყიდვის სიდიდეები, ინვესტირება და შემოსავლები. მოცემულ ეფექტთა შერწყმა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ეკონომიკურ მოვლენებს, ისეთებს, როგორიცაა მოხმარების ზრდა და შემოსავლების ზრდა, რომლებსაც იწვევს საინვესტიციო ხარჯები და უკუქმედებას საინვესტიციო პროცესზე, შემოსავლებსა და მოხმარებაში.

კეინსის მაკროეკონომიკური მოდელის დიდ ნაკლს ის წარმოადგენს, რომ იგი სტატისტიკურია. მასში ყველა ეკონომიკური პროცესი განიხილება ეკონომიკურ ჩარჩოებში, ხოლო ძირითადი პარამეტრები არ იცვლება დროში. ასეთმა მიღვომამ განაპირობა ამერიკის ეკონომიკის დეპრესია 30-იან წლებში. მაშინ ეკონომიკური ზრდის და ეკონომიკური დინამიკის პრობლემა არ იყო პირველ ადგილზე. კეინს უნდა გაეცა პასუხი მეორე პრინციპულ კითხვაზე: როგორ დაფარცხებინა მასიური უმუშევრობა საქმიანი აქტიურობის დაცემასთან ერთად.

თუ შევეცდებით განვიხილოთ კეინსის თეორიის გამოყენების შესაძლებლობები ქართულ ეკონომიკაში, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ძირითადი დებულებები მაკროეკონომიკური პოლიტიკისა შემუშავებული იქნა აშშ-ს ისტორიაში ყველაზე ძლიერი ეკონომიკური კრიზისის დროს. ახლა საქართველოში უმუშევრობის დონე შეიძლება ჩაითვალოს ზომიერად, თვით ეკონომიკა აჩვენებს დამაჯერებელ ზრდას და დგას ამოცანა მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ შექმნილი სიტუაცია სტაბილური ეკონომიკური ზრდისათვის მომავალში.

თუმცა გამოკვლევების ავტორთა აზრით, დღესაც კი ზოგიერთ მეოთოდებს, რომელიც ჩამოყალიბებულია კეინსის ეკონომიკურ თეორიაში არ დაუკარგავს აქტუალობა და წარმატებით შეიძლება მათი გამოყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში:

- კეინსის აზრით, მაკროეკონომიკური წონასწორობა, როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძველი მიიღწევა ეკონომიკური სისტემის მონაწილეობით შემოსავლებისა და ინვესტიციების ტოლობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსავლების ნაწილი არ მონაწილეობს ქვეყნის შიგნით მსყიდველობითი მოთხოვნილების ფორმირებაში და იდება ზედმეტი ფულის სახით მოსახლეობაში, ან გამოიდევნება ეკონომიკური სისტემიდან სხვა ქვეყნის აქტივების შეძენის გზით და მათი განლაგებით უცხო ქვეყნების ბანკებში.

- დაგროვების ინვესტიციებად ტრანსფორმირების პრობლემის პარალელურად უურადღება უნდა მიექცეს გადახდისუნარიან მოთხოვნილებას და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა არცერთ ეკონომიკას არ შეუძლია განვითარება ექსპორტირებული სექტორის ხარჯზე, თუ მას არ აქვს კარგად განვითარებული შიდა ეკონომიკა. მაგ: აშშ-ში შიდა მოხმარების დონე არის გადამწყვეტი ფაქტორი ამერიკის ეროვნული ეკონომიკის ორი მესამედისა.
- ზუსტად მოქნილ და განვითარებულ შიდა ბაზარს აქვს დიდი მნიშვნელობა მდგრადი განვითარებისათვის, რამდენადაც ამ შემთხვევაში ეკონომიკა არ იქნება დამოკიდებული მსოფლიოში საექსპორტო ფასების რყევაზე და ნაკლებად იქნება დაზარალებული ეკონომიკური კრიზისებით. გარდა ამისა, მაღალი გადახდისუნარიანი მოთხოვნილება ქვეყნის შიგნით განაპირობებს მისდამი ინტერესის ამაღლებას უცხო ქვეყნების ინვესტირების მხრიდან.

რაც შეეხება სახელმწიფოს როლს ეკონომიკის სტიმულირებაში, სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის ეფექტურობა საინვესტიციო პროცესში, რომელსაც კეინსი თვლიდა გადამწყვეტ ფაქტორად, საინვესტიციო სფეროს სახელმწიფო რეგულირებისა და სხვადასხვა ზომებთან ერთად, მოცემულ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის მეტად საჭიროა.

პირველ რიგში, სახელმწიფო ფინანსების სფეროში სიტუაცია არ იძლევა საშუალებას გავთვალით, რომ უახლოეს პერიოდში არსებითად გაიზრდება მოცულობები და საბიუჯეტო დაფინანსების კაპიტალდაბანდებები, მეორეც, ასეთი ხარჯების უკუგება კერძო საინვესტიციო სექტორთან შედარებით იქნება დაბალი.

თუმცა სახელმწიფოს გააჩნია საინვესტიციო სფეროზე შემოქმედების სხვა ბერკეტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელს გახდიდა, ის პროცესები გაეაჭირებინა, რომელიც მიმდინარეობს მასში, საუბარია აუცილებელ ცვლილებებზე კანონშემოქმედებაში, ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, რომ მიმზიდველი იყოს ქვეყნის ეკონომიკა სამამულო და უცხო ინვესტიონებისათვის. პირველ ყოვლისა, ეს არის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება მიზნებისათვის, უნდა დადგინდეს ბაზარზე ქცევის წესები, რომლის დაცვა აუცილებელი და სავალდებულო იქნება ყველა მონაწილის მიერ, ასევე უნდა იყოს დაცული ყველა ინვესტორის ინტერესი.

კეინსის ეკონომიკური სკოლის მიმართულებების გამოჩენის შემდეგ პირ-ველ ადგილზე აყენებდნენ ეკონომიკის გრძელვადიანი პერიოდისთვის ზრდის პრობლემას, თანამედროვე ეკონომიკური ზრდის თეორიაში კი შემოვიდა ეკონო-მიკური დინამიკისა და ეკონომიკის ციკლური სახეების გამოკვლევები.

ჯ. კეინსის გამოკვლევებმა, რომლებიც განიხილავდა ინვესტიციებს სტა-ტიკურ მოდელში, შემდგომი განვითარება პოვა პ. სამუელსონის, ჯ. კლარკის, რ. ჰაროდის, ე. დომარის, გ. ჰაბლერის და სხვების შრომებში, სადაც კერძოდ გამო-კლენილი იყო მულტიპლიკატორის ეფექტის ორმხრივი მოქმედება ანუ დამტკიც-ბულია, რომ ინვესტიციების მცირედი შემცირების შემთხვევაშიც კი შეიძლება მოხდეს ეროვნული შემოსავლის მკვეთრი და მრავალჯერადი შემცირება.

ეკონომიკური ზრდის განვითარების თეორიაში უდიდესი წვლილი შეიტა-ნეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან: რ.ხაროდი, ე. დომარი, ე. ჰანსენი, ჯ. ხიკრი, პ. დუგლარი, პ. სოლოუ, ი. ტინბერგენი, ჯ. მიდი, ნ. კალდორი, ი. შუმპეტერი ვ. ლეონტიევა, ლ. კონდრატიევა და სხვები.

კეინსის ზრდის თეორიაში ძირითადად გამოიყენება ისეთი ლოგიკური ინ-სტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება მოკლევადიანი წონასწორობის მოდელის პირობებში. მაგრამ მათში ცდილობენ გააერთიანონ ფაქტორთა მოთხოვნილებების ანალიზის ფაქტორები, წინადადებათა გარკვეული დინამიკა და ა.შ. ამასთან ერთად, სტრატეგიული ცვლილებები, რომლის დახმარებითაც შეიძლება ეკონო-მიკის მართვა.

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მარტივი მოდელი შემუშავებული იქნა ნეოკეინსიანელთა სკოლის წარმომადგენლების ეკონომისტ სოემის და ეკონო-მისტ ე. დომსის მიერ 40-50-იან წლებში. მათგან მოწოდებული მოდელთა ვარიან-ტები სრულად ემთხვევა ერთმანეთს და მათი განხილვა შეიძლება, როგორც ერ-თი მოდელისა, რომელმაც მიიღო „ხაროდე-დომსის“ სახელწოდება. ეს არის ერთ ფაქტორიანი მოდელი, მასში ეკონომიკური ზრდის ერთადერთ ფაქტორად მიღებული კაპიტალი.

ეკონომიკური ზრდისა და მისი ტემპების განმსაზღვრელ ფაქტორად, ნეო-კეინსიანელების აზრით, წარმოადგენს ინვესტიციების ზრდა. „ხაროდე-დომსის“ მოდელში ინვესტიციები თამაშობს უმთავრეს როლს, ერთი მხრივ, ისინი განაპი-რობებენ ეროვნული შემოსავლების ზრდას, მეორეს მხრივ, ზრდიან საწარმოების ეფექტიანობას. თავის მხრივ, შემოსავლების ზრდა განაპირობებს დასაქმების ზრდას, რამდენადაც ინვესტიციები ზრდიან საწარმოო სიძლიერეებს, ამდენად, შემოსავლების ზრდა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ გავაწონასწორო

საწარმოო სიმძლავრეები მათი გადატვირთვისა და უმუშევრობის გაჩენის გარეშე.

მოდელს საფუძვლად უდევს ორი აუცილებელი დაშვება:

- ❖ ეროვნული შემოსავლის ზრდა არის მხოლოდ კაპიტალდაგროვების ფუნქცია, ყველა დანარჩენი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ კაპიტალის მოცულობაზე, გამოირიცხება.
- ❖ კაპიტალმოცულობა არ არის დამოკიდებული საწარმოო ფასების თანაფარდობის ფაქტორებზე, იგი განისაზღვრება მხოლოდ წარმოების ტექნიკური პირობით. ამასთან ერთად, შრომის ბაზარზე ყოველთვის არსებობს დამატებითი საშუალებები, რაც განაპირობებს ფასების მუდმივობას.

ამრიგად, როგორც კლასიკური, ასევე კეინსის ეკონომიკური თეორიები საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ინვესტიციებს. ორივე სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ინვესტიციები პირდაპირ გავლენას ახდენენ წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე.

კეინსისეული წონასწორობის მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც შემუშავებული იქნა დრმა ეკონომიკური დაცემის დროს და როდესაც იდგა პრობლემა ნებისმიერი მეთოდებით გამოეცოცხლებინათ ეკონომიკა, „ხაროდე-დომსის“ მოდელისათვის დასაშვებია, ერთ-ერთი ნებატიური მოვლენა, რომელიც ამცირებს, როგორც ინვესტიციებს, ასევე მათ არათანაბარ ზრდას. ერთიც და მეორეც არყევს ეკონომიკას და გამოყავს ის წონასწორობის მდგომარეობიდან, რის შედეგიც არის ციკლური რეევები და კრიზისები.

1.3. კაპიტალის მიგრაციის თავისებურებანი მსოფლიო ეკონომიკაში

დღევანდელ მსოფლიოში იზოლირებულად ცხოვრება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მიუღებელია. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახდა. საერთაშორისო სფეროში ეკონომიკური კავშირების გაფართოებას თან ახლავს ანალოგიური პროცესები საფინანსო ურთიერთობის სფეროში. როგორც წესი, ფულად კაპიტალს გააჩნია მუდმივი თვითგაზრდის უნარი, რაც ეროვნული საზღვებიდან მისი აუცილებელი გამოსვლის სტიმულს წარმოადგენს.

მართალია, რეალურად "ღია ეკონომიკურ სივრცეში" პოსტკომუნისტური ქვეყნების ჩართვამ მისცა მათ ხელსაყრელი შესაძლებლობები განვითარებისათვის, მაგრამ საკუთარი ინტერესების დასაცავად აუცილებელი აღმოჩნდა შესაბამისი საფინანსო ბერკეტების შექმნა. ამის პირველი ნაბიჯი იყო ეროვნული ვალუტის შემოღება, რომელმაც მსოფლიოს საფინანსო კრიზისების შედეგად დაიწყო დევალვაცია.

დღეისათვის გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა მეურნეობის ყველა დარგი, თავის ირგვლივ მოიკრიბა ქვეყნების შიგა ეკონომიკის ყველა სფერო. აღნიშნული მიმართულებებიდან განსაკუთრებით ყურადსადებია ფინანსური გლობალიზაცია, რომელიც როგორც განვითარების ახალი ტენდენცია გამოვლინდა 1970-იანი წლებიდან, როდესაც „საერთაშორისო ლიკვიდობის მოცულობა და მიმდინარე გადასახადების დაუბალანსებლობა მკვეთრად გაიზარდა, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო ოქროდევიზური სტანდარტების და ფიქსირებული სავალუტო კურსების გაუქმებით, საერთაშორისო საბანკო დაკრედიტების გაფართოებით, საერთაშორისო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ემისიით, ნავთობზე ფასების გაზრდით და ა.შ.”(ცინარიძე ... 2009ბ:48)

XX საუკუნის 50-60-იან წლებში კოლონიალური რეჟიმის რღვევის შედეგად რიგ განვითარებად ქმედია ფართოდ გავრცელდა იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის სტრატეგია. ახალი დამოუკიდებელი ქმედების ლიდერებს ამგვარი ინდუსტრიალიზაცია ესახებოდათ, როგორც სწრაფი ეკონომიკური ზრდის, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვის აუცილებელი თავდაცვითუნარიანობის გაძლიერების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ინდუსტრიალიზაცია ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენდა. ხშირად იმპორტშემცვლელი სტრატეგიის ინტელექტუალურ წარმატებას მარქსისტული ან ნეომარქისისტული პოლიტიკონიური შეხედულებების პოპულარობასაც მიაწერენ, რის შედეგადაც იმპორტის ჩანაცვლებაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების თეორიამ ტრადიციული რეცეპტის სახელი მოიპოვა როგორც განვითარებად ქვეყნებში, ისე ლიბერალური პოლიტიკის ანალიტიკოსებში. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ნეოკლასიკოსი ეკონომისტები მხოლოდ იწყებდნენ ვაჭრობისა და განვითარების შესახებ აღტერნატიული თეორიის შექმნას (მაგ. რ. ვერნონის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია).

საწყის ეტაპზე იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა მართლაც შედეგიანი იყო, თუმცა დღეისათვის თითქმის ყველა ცნობილი ეკონომისტი აღიარებს, რომ იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიამ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში

ეფექტიანად ვერ იმუშავა. ამის უმთავრესი მიზეზი ახალი დარგების დაცვის არგუმენტის უკრიტიკო მიღება და ზოგადად მრეწველობაზე მსგავსი სტრატეგიული მიდგომების გავრცელების მოსალოდნელი მაკროეკონომიკური შედეგების გაუთვალისწინებლობა იყო. აღნიშნული პოლიტიკის კრახმა ორი დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია გამოიწვია ეკონომიკური განვითარების თეორიაში: იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის მომხრებმა დამოკიდებულების თეორიის მეშვეობით სცადეს აეხსნათ ეკონომიკური ვარდნა განვითარებად ქვეყნებში, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რიგ ქვეყნებში (ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა) ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის ემპირიული გამოცდილების გათვალისწინებით, ნეოკლასიკოსმა ეკონომისტებმა დაიწყეს იმპორტის ჩანაცვლების ალტერნატიული ლიბერალური თეორიის შემუშავება.

დღევანდელ საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტსა და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და პოტენციური შესაძლებლობებით, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით.

კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ, ამ რეგიონს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება-გაფართოებაში. უკანასკნელ პერიოდში კავკასიური ფაქტორი საგრძნობლად გაძლიერდა და კავკასია მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უმსხვილესი კომპანიების აქტიური ყურადღების ცენტრში მოექცა.

„საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის დონის ერთ-ერთ მაჩვენებელს უცხოური ინვესტიციების გამოყენება წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი თავის მხრივ გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ამჟამინდელ შედეგებს და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ტენდენციებს. მსოფლიო ფინანსური გლობალიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების გამოყენების სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენენ ქვეყანაში ჩამოყალიბებული კონკურენციის პირობებზე. ამიტომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია, წინასწარ პროგნოზირებული უნდა იყოს თუ რა გავლენას მოახდენს

ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროპორციებზე, საერთოდ სტაბილურობაზე.”(ცინარიძე ... 2009ბ:52)

ეკონომიკის კრიზისულმა მდგრმარეობამ ქვეყნებში ინვესტიციური აქტივობა სერიოზულად შეამცირა. შემცირების გამომწვევი მიზეზებია: კრიზისი სამრეწველო დარგებში; ინვესტიციების მკვეთრად შემცირება საწარმოო და არასაწარმოო სფეროში; საკუთრების ფორმების შეცვლა, რამაც მიგვიყვანა ინვესტიციურ სფეროში არსებული ტრადიციული ურთიერთობების მოშლამდე; ხარვეზები საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა სისტემაში, რამაც შეზღუდა ინვესტიციური რესურსების ხელმისაწვდომობა; საბანკო სისტემის არაეფექტური მუშაობა; სახელმწიფოს ინვესტიციური ფუნქციის შესუსტება; ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ინვესტიციური პროცესების ანალიზს. ასეთმა ანალიზმა უნდა მოიცვას ქვეყნის შიდა და უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რეგიონალური საინვესტიციო პროცესების შეფასება, სტრუქტურა და დინამიკა, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, ინვესტიციების ციკლური ფაზების – დაცემის, კრიზისის, გამოცოცხლების, აღმავლობის გამოვლენა და კრიზისული მოვლენების წარმოქმნის მიზეზების ახსნა.

საერთაშორისო სამეურნეო ცხოვრების გაფართოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კაპიტალის გატანა, რომელიც გულისხმობს ეროვნული საზღვრების გარეთ კაპიტალის წრებრუნვის ყველა სტადიის გატანას. კაპიტალის გატანა ჩვეულებრივ ხდება მოგების მაღალი ნორმის ქვეყანაში. მისი ზომა დამოკიდებულია კაპიტალის გამტანი (საბაზისო ანუ ექსპორტიორი) და მიმღები (რეციპიენტი ანუ იმპორტიორი) ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეზე, მსოფლიო ბაზრის კონიუქტურაზე, დარგობრივ სპეციფიკაზე.

კაპიტალის გატანა საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთი სფეროა. მისი განვითარება დაიწყო განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვებისა და მისი სიჭარბის პირობებში. კაპიტალი, როგორც ცნობილია, მიედინება იმ სფეროებისა და დარგებისაკენ, სადაც მოსალოდნელია მეტი მოგება, შემოსავალი (უპარება), მაგრამ თვით ინვესტიციების განაწილება დარგების თუ ცალკეული ინვესტიციური პროექტების მიხედვით მარტივად როდი ხორციელდება. განაწილების ეკონომიკური და არაეკონომიკური ხელსაყრელი გარემო პირობები, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და ამოცანები პირველ რიგში წარმოადგენს ინვესტიციების ეფექტიანობის ფაქტორებს. ამასთან, ცალკეული კერძო ინვესტორისათვის, როგორც წესი, ეკონომიკური შედეგი (მოგება, შემოსავალი)

განმსაზღვრელი ფაქტორია. მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, მაკროეკონომიკურ დონეზე ინვესტიციების საერთო ეფექტიანობის ფაქტორებში მხედველობაშია მისაღები სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკოლოგიური ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობები (მოსახლეობის შემოსავლები, ცხოვრების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და სხვ.)

„კაპიტალი ფართო გაგებით არის ყველაფერი, რასაც შემოსავლის მოტანა შეუძლია, ან ხალხის მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის შექმნილი რესურსები. ვიწრო გაგებით, იგი საქმეში დაბანდებული შემოსავლის მომზანი წყაროა წარმოების საშუალებების სახით (ფიზიკური კაპიტალი).“ (**ჯოლია 2002:167**)

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების განმსაზღვრელია. ამ პროცესის აქტიური და გლობალური ხასიათი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი თავისებურებაა. საქონელთან შედარებით, საზღვარგარეთ კაპიტალის უპირატესად გატანამ (თითქმის 4-5-ჯერ მეტად) ქვეყნებს შორის თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები ჩამოაყალიბა და მსოფლიო მეურნეობა უფრო მრავალფეროვანი და რთული გახდა. მაშასადამე, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა არის კაპიტალის ექსპორტი ფულადი ან საქონლური ფორმით სხვა ქვეყნებში საკუთრების შეძენისათვის.

თავდაპირველად, კაპიტალის გატანას რამდენიმე განვითარებული სახელმწიფო ახორციელებდა. მსოფლიო მეურნეობის განვითარების კვალობაზე ეს პროცესი უფრო დაჩქარდა და გაფართოვდა. იგი დღეს დინამიურად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. თუმცა, უპირატესობებს კვლავ მაღალგანვითარებული ქვეყნები ინარჩუნებენ. ამჟამად თითქმის ყოველი ქვეყანა ერთდროულად გამოდის კაპიტალის ექსპორტიორისა და იმპორტიორის როლში, ამიტომ კაპიტალის მოძრაობაში ამ ახალი მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „კაპიტალის მიგრაცია“, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალის ურთიერთშედწევას.

კაპიტალის გატანა (შეტანა) მისი მფლობელის შესაბამისად კლასიფიცირდება სამ სახედ:

1. კაპიტალის კერძო გატანა, რომელიც ძირითადად ხორციელდება უმსხვილესი კომპანიებისა და ბანკების მიერ;

2. კაპიტალის სახელმწიფო გატანა, რომელიც წარმოებს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ან სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კომპანიების მიერ;

3. კაპიტალის გატანა საერთაშორისო საფალუტო-საფინანსო კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ;

თუმცა სხვადასხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით კლასიფიკაციის სხვადასხვა სტრუქტურას. ასე მაგალითად, ლ. ქოქიაურისა და ნ. ბებიაშვილის აზრით „კაპიტალი შეიძლება ინვესტირებულ იქნას უცხოეთში და მოზიდულ იქნას უცხოეთიდან შემდეგი ფორმით:

- სამეწარმეო და სასესხო;
- კაპიტალი კერძო, სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;
- ფულადი და სასაქონლო;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციები;
- ლეგალური და არალეგალური. “(ქოქიაური ... 2007ა:92)

კაპიტალის გატანა უცხოეთში ღირებულების ცალმხრივი გადაადგილებაა, რომელიც ხორციელდება ფულადი ან სასაქონლო ფორმითა და პროცენტების ან სამეწარმეო მოგების მიღების მიზნით. აღნიშნულის შედეგად კაპიტალის გატანა წარმოებს სასესხო კაპიტალისა და სამეწარმეო კაპიტალის სახით.

სასესხო კაპიტალის გატანაში შედის: სესხი, კრედიტი, საბანკო დეპოზიტები და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშებზე არსებული სახსრები (დეპოზიტები, საკრედიტო დაწესებულებებისათვის შესანახად გადაცემული ფასიანი ქაღალდები). ამ შემთხვევაში, კაპდაბანდება უშუალოდ პროცენტის მიღებას ითვალისწინებს. ამ ფორმაში უფრო აქტიურობს სახელმწიფო კაპდაბანდება, თუმცა კერძო წყაროებიც შესამჩნევია.

სამეწარმეო კაპდაბანდება პირდაპირ და ირიბად წარმოების სფეროში ხორციელდება და დივიდენდის ფორმით მოგების მიღებასთან არის დაკავშირებული. სამეწარმეო კაპიტალი იყოფა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად და საპორტფელო ინვესტიციებად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კერძო სამეწარმეო კაპიტალის ექსპორტის ძირითადი ფორმაა. იგი უზრუნველყოფს ტრანსაციონალური კორპორაციების მიერ საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობის ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას. შესაბამისად, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეწოდება საზღვარგარეთის საწარმოებში განხორციელებულ კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის მხრიდან მათზე განხორციელებულ შესაძლებლობებს“ (ყორდანაშვილი 1998:553)

ქვეყნებისა და დარგების მიხედვით, უცხოური ინვესტიციების განაწილება თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის სტრუქტურასა და მსოფლიო მფურნეობის სუბიექტებს შორის დამოკიდებულებას ასახავს. პირდაპირი ინვესტიციებით მოწინავეთა რიგებში ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებია. ფლობენ რა ამგვარი ინვესტიციების წლიური ნაკადის 90%-ს, ისინს, იმავდროულად, კაპიტალის უმსხვილეს ექსპორტ-იმპორტიორებად გვევლინებიან. მაგალითად, „კაპიტალის ექსპორტიორებს შორის პირდაპირი ინვესტიციების ფორმით ლიდერობენ აშშ და დიდი ბრიტანეთი, შესაბამისად, 124.5 და 62.0 მლრდ დოლარი. უდიდეს იმპორტიორთა შორისაც ეს ქვეყნებია მოწინავენი – 91.0 და 37 მლრდ დოლარი.” (**თოდება ... 2001:305**)

საერთაშორისო კრედიტები ძირითადად კაპიტალის შევსებისათვის, აქციების შესაძნად დაკრედიტებისა და დაფინანსებისათვის, ფილიალების დაფუძნების, უცხოური ინვესტიციებით მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის გამოიყენება. ამჟამად სასესხო კაპიტალის ექსპორტი თავისი ტემპებითა და მასშტაბებით აღემატება სამეწარმეო კაპიტალის გატანასა და საერთაშორისო ვაჭრობას. საშუალო და გრძელვადიანი საერთაშორისო კრედიტები გამოიყენება ძირითადი კაპიტალის შესავსებად, უცხოური საწარმოების მშენებლობისა და გაფართოების დასაფინანსებლად, ახალი ფირმების შესასყიდად. სესხს ძირითადად იღებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. საერთაშორისო კრედიტებს სულ უფრო მიმართავენ საგადასახდელო ბალანსის დიდი დეფიციტის მქონე ქვეყნები. განვითარებული ქვეუნებიდან ყველაზე დიდი მსესხებლები არიან აშშ, კანადა და საფრანგეთი.

სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბება დაიწყო მსოფლიო მეურნეობასთან ერთად, თვით ეს პროცესი კი გამოვლინდა საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობებში ყველა ქვეყნის ჩართვასა და სასესხო კაპიტალის განკარძოებული ეროვნული ბაზრების ერთმანეთთან სხვადასხვა არხებით დაკავშირებაში. სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის გამანაწილებითი მექანიზმი ზემოქმედებს ქვეყანათა შორის კაპიტალის მიგრაციაზე.

კაპიტალის თავისუფალი საერთასორისო მიგრაცია მომგებიანია როგორც მსოფლიოსათვის, ისე იმ ქვეყნებისათვის, რომელთათვისაც ეს თავისუფლება დამატებით შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ საზიანო იმათვის, კისთვისაც თავისუფლება უფრო მკაცრ კონკურენციას ნიშნავს.

საერთაშორისო კრედიტების დადებითი მხარეების მიუხედავად, მისთვის ნეგატიური შედეგებიცაა დამახასიათებელი. ეს უპირველესად გამოიხატება კრე-

დიტორი ქვეყნების ეკონომიკაში დისპროპორციებისა და საგაჭრო ბალანსის გაუწონასწორობის გადრმავებაში. გარდა ამისა, სესხის ამდებ ქვეყანას უხდება პროცენტებისა და დივიდენდების გადახდა, რაც უცხოური კრედიტების არაეფექტურიანი გამოყენებების პირობებში აქვთ უფრო გადახდისუნარიანობას და მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. გადახდისუნარიანობის გამო, ხშირად ქვეყანას სჭირდება დამატებითი კრედიტების აღება, რომლებიც პროცენტების გადახდას ხმარდება და, საბოლოოდ, ქვეყნის დავალიანება სულ უფრო და უფრო იზრდება. მასთან ერთად კვლავწარმოების პროცესის ხელშეწყობის ნაცვლად, ასეთი საერთაშორისო კრედიტი კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყანაში არსებულ კრიზისს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამჟამად ყველაზე ცხოველმყოფელია მსოფლიო ეკონომიკის თეორიაში. განვითარებული ქვეყნები ცდილობენ მათ შეზღუდვას საკუთარ ტერიტორიაზე, ხოლო განვითარებადი ქვეყნები, ერთი მხრივ, შიშობენ უცხო ქვეყნის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრასა და ამიტომ ზღუდავენ უცხოურ ინვესტიციებს და მეორე მხრივ, ამ ინვესტიციების შემცირების შიშით მწვანე შუქს აძლევენ მათ. ზოგიერთ სახელმწიფოში უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის მთავრობისაგან ნებართვის მისაღებად საჭიროა გარკვეული მოთხოვნების შესრულება. მაგალითად, ადგილობრივი ნედლეულისა და კვანძების გამოყენება, კადრების მომზადება, ექსპორტის გაფართოება და ა.შ.

უკანასკნელ წლებში სწრაფი ტექნიკური ვითარდება საპორტფელო ინვესტიციები. საპორტფელო ინვესტიციები დაკავშირებულია „პორტფელის” ფორმირებასთან და ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტივების შეძენას. პორტფელი ეწოდება მეანაბრის კონკრეტული საინვესტიციო მიზნის მისაღწევად განკუთვნილ და ერთად თავმოყრილ სხვადასხვა საინვესტიციო ფასეულობათა ერთობლიობას. პორტფელი შეიძლება შეიცავდეს ერთი ტიპის ფასიან ქაღალდებს (მაგალითად, მხოლოდ აქციებს) ან სხვადასხვა სახის საინვესტიციო ფასეულობებს (აქციებს, ობლიგაციებს, თამასუქებს, სადაზღვევო პოლისებს და ა.შ.). პრაქტიკაში ერთგვაროვანი პორტფელი იშვიათი მოვლენაა. ფირმებისათვის უფრო ხელსაყრელია დივერსიფიცირებული ანუ სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების შემცველი პორტფელი.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი მიზეზია ეროვნულ ეკონომიკაში მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა. ამიტომ მეტი მოგების მისაღებად, იგი სხვა ქვეყანაში გადაიტანება. დამახასიათებელია ისიც, რომ კაპიტალის ექსპორტი შეიძლება საშინაო ინვესტიციების უკმარისობის პირობებშიც განხორ-

ციელდეს. „გასულ ათწლეულში კაპიტალის უკმარისობა მსოფლიო მასშტაბით 180-200 მლრდ დოლარით იყო შეფასებული.“ (**ავდოკუშინი 2006:49**)

ეკონომიკური ასპექტით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციის ზრდა პრაქტიკულად ვაჭრობისა და საფინანსო ნაკადების მოძრაობის გზით ხორციელდება. ერებს აქვთ საშუალება უფრო ფართოდ ჩაერთონ მსოფლიოს ბაზრებში, გამოიყენონ უფრო იაფი იმპორტი, მოწინავე ტექნოლოგიები და გააფართოვონ თავიანთი ექსპორტი. გარდა ამისა, არსებობს **საზღვარგარეთ კაპიტალის გატანის შემდეგი მიზეზები:**

1. კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეთა უთანაბრობა;
2. უცხოეთის ბაზარზე მონოპოლიზაცია;
3. კაპიტალის იმპორტირებად ქვეყანაში უფრო იაფი ნედლეულისა და სამუშაო ძალის არსებობა;
4. კეთილსასურველი საინვესტიციო პირობები;
5. სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და სხვ.

კაპიტალის გატანის მასტიმულირებელი ფაქტორებია:

•**ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირი და ურთიერთგადაჯაჭვულობა.** კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დაჩქარებაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს წარმოების ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის ექსპორტი, განსაკუთრებით, პირდაპირი ინვესტიციების სახით, წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის საერთაშორისო ხასიათის მინიჭებას. იგი უნიფიცირებულია და გეოგრაფიული, ეროვნული ან სხვა თავისებურებების გარეშე რეალიზდება. მაგ. ავტომობილები, თვითმფრინავები, რადიოელექტრონიკა, კომპიუტერები და სხვა;

•**საერთაშორისო სამრეწველო კოოპერაცია.** იგი პრაქტიკულად ტრანსეროვნული კომპანიებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების ურთიერთკავშირით ხორციელდება. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულად დამოუკიდებელი ფირმები, ტექნოლოგიური ნიშნის მიხედვით, ერთი საერთაშორისო კომპანიის ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობენ, რისთვისაც აუცილებელია კაპიტალის უცხოეთში გატანა, აქ გამოიყოფა შემდეგი ნიშნები:

1. განვითარებული ქვეყნების მიზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკა. იგი უცხო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების, მეურნეობის კონკრეტული დარგის განვითარების, სამუშაო ძალის დასაქმების ან სხვათა მიზნით არის განპირობებული;

2. განვითარებადი ქვეყნების მიმზიდველი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო. ეს პირობა უცხოელი ბიზნესმენებისათვის დამატებით მასტიმულირებელი ფაქტორია;

3. ეკოლოგიური ფაქტორები. განვითარებულ ქვეყნებში უმკაცრესი ეკოლოგიური ნორმების გამო, საერთაშორისო კომპანიებს თავიანთი კაპიტალი განვითარებად ქვეყნებში გადააქვთ;

4. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების აქტიურობა. ეს ორგანიზაციები უცხოური ინვესტიციების მოცულობებისა და ნაკად-მოძრაობების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და სხვა.

კაპიტალის ეფექტიან განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებიდან შეგვილია გამოვყოთ შიდა და გარეგანი ფაქტორები. განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე ინვესტორის მოსვლის ძირითადი მოტივები და შესაბამისად, ამ უკანასკნელთა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებში ინვესტორთა მზარდი ხარისხი არის კაპიტალის ეკონომიკურად ეფექტიანი განთავსების ძიება და ფინანსური ბაზრების დივერსიფიკაცია, მაგრამ განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობები (განათავსონ ფინანსურ ბაზრებზე ინვესტიციები), გაძლიერდა 1990-იანი წლების დასაწყისიდან. აქ ამოქმედდა რიგი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.

შინაგანი ფაქტორები: კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის კვლევის შესახებ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ კაპიტალის იმპორტიორმა ქვეყნებმა გააუმჯობესეს დაბანდებული ინვესტიციების უკანდაბრუნებადობის რისკის მახასიათებლები უცხოური ინვესტიციებისათვის და ამისათვის გამოიყენეს ორი ძირითადი მეთოდი: ჯერ ერთი, ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის ამაღლება, რაც მიიღწევა საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციით მთელ რიგ ქვეყნებში. მაგალითად, რუმინეთში–80–იანი წლების შუასახებში, ბულგარეთსა და პოლონეთში 1990–იან წლებში მოხდა საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია. უფრო მეტიც, საგალოვალდებულებებით გადატვირთულ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა, მექსიკა, ვენესუელა, ასევე ნიგერია და ფილიპინები, შიდა ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში მათი ოფიციალური მონაწილეობით; მეორეც, ოპტიმალური პირობების შექმნა ახალი წარმოების განთავსებისათვის, როგორც სტრუქტურული რეფორმების შედეგი, ეროვნული მაკროეკონომიკური პოლიტიკისადმი ნდობის განმტკიცება, რომლის შემდეგ გაც წარმატებით განხორციელდა სტაბილიზაციის პროგრამები აღმოსავლეთ უკროპის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყანათა ასოციაციასა და ლათინურ ამერიკაში.

იმის გამო, რომ ევროპის ქვეყნებში ძირითადად დაიწყეს სტაბილიზაციის პროგრამების განხორციელება და სტრუქტურული რეფორმები 1990–1991 წლებიდან, მათი ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაიწყო 1991–1993 წლებიდან. ასე მაგალითად, 80–იანი წლების შუასანებიდან ინდონეზია, მალაიზია და ტაილანდი ახორციელებდნენ ეკონომიკურ პროგრამებს, რომლებმაც განაპირობეს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ეროვნული ვალუტის დევალვაცია, შიდა საკრედიტო განაკვეთის შემცირება. 1990–იანი წლების დასაწყისში ამ მაგალითს მიბაქეს ფილიპინებში. ასე რომ, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა საგარეო ვაჭრობისათვის და ფინანსური სისტემის რეფორმირება გახდა ამ ქვეყნებში სტაბილიზაციის დონისძიებები შიდა ინვესტიციური ბაზრისათვის.

ლათინურ ამერიკაში 1980–იანი წლების ბოლოს ბოლივიამ, ჩილემ, მექსიკამ შეიმუშავეს ინფლაციასთან ბრძოლის ეკონომიკური პროგრამა. არგენტინა, ბრაზილია, ეკვადორი და პერუ მსგავსი რეფორმების განხორციელებას შეუდგნენ მხოლოდ 1990–იანი წლების დასაწყისში. სამხრეთ-აღმოსავალეთ აზის ასოციაციის ქვეყნებში მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკა შეივსო პროგრამებით, რომლებიც ორიენტირებული იყო საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, ასევე გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის ბაზრებზე.

გარე ფაქტორები: ზოგიერთი ავტორი ავტორი ეჭქვეშ აყენებს ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში კერძო კაპიტალის ნაკადების მოზიდვის გადამწყვეტ როლს. აღსანიშნავია, რომ მთავარი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში მსოფლიო კაპიტალთა ბაზრებიდან ინვესტიციური ნაკადების მიმართულებაზე, არის განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ციკლურობა. 90–იანი წლებიდან მოყოლებული მკვეთრად გაიზარდა ინვესტორთა დაინტერესება განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისადმი ორი მიმართულებით: ეს დაკავშირებულია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის შემცირებასთან. ჯერ ერთი, მსოფლიო კაპიტალთა ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება დაემთხვა აშშ-ში, იაპონიაში და ბევრ ევროპულ ქვეყანაში ეკონომიკურ დაცემას. ამან განაპირობა ის, რომ შესაძლებელი გახდა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებიდან დამატებითი მოგების მიღება. მეორეც, ამ ფაქტორმა გამოიწვია კრედიტუნარიანობის ამაღლება. შემცირდა მოვალე ქვეყნებში დეფოლტეს აღმოცენებასთან დაკავშირებული რისკი. მნიშვნელოვანია ასევე გაირკვეს, რატომ იქმნება კაპიტალის მსოფლიო ბაზრებიდან ინვესტიციების ძირითადი ნაკადები. არ არის გამორიცხული, რომ გარე ფაქტორების გავლენით აღნიშნულმა ინვესტიციურმა ნაკადებმა მიმართულება შეიცვალოს საპირისპირო

მიმართულებით, რაც კიდევ უფრო გაზრდის განვითარებადი ქვეყნების ბაზების მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას.

ასე, რომ ციკლურობის მოვლენა ეს ძირითადი გარეგანი ფაქტორია, თუმცა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის გადიდების შემდეგ 1994 წელს და მექსიკაში ფინანსური კრიზისის შემდეგ ადგილი აქვს ისეთ ეკონომიკურ მოვლენას, როგორიცაა მყარი კერძო ინვესტიციური ნაკადები, რაც გვაიძულებს ვივარაულოთ, რომ მსოფლიო კაპიტალების ბაზარზე თავის გავლენას მოახდენს გარე ფაქტორებში სტრუქტურული ცვლილებები. ორმა ცვლილებამ დონორი ქვეყნების ფინანსების სტრუქტურაში გაზარდა კერძო კაპიტალზე მოთხოვნა და განაპირობა ახალი საერთაშორისო ინვესტიციური შესაძლებლობის ჩამოყალიბება.

„თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციები განვითარებულ ქვეყნებში შეადგენს აშშ-ის მთელი საბანკო ინსტიტუტების მთლიანი პასივების მხოლოდ 2%-ს. დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 3-დან 4%-მდეა, ხოლო იგი საერთოდ არ ფიქსირდება იაპონიასა და ევროპის დარჩენილ ნაწილში. ეს მაჩვენებლები მეტყველებს განვითარებადი ქვეყნების ბაზებზე საბანკო ინსტიტუტების ინვესტიციების გაფართოვების უმნიშვნელო პოტენციალზე.” (**შენგელია 2005:84**)

საერთაშორისო ინვესტირების პრობლემების განხილვა მსოფლიო ვალის სისტემის ფორმირების ისტორიის შესწავლის (გადახედვის) საჭიროებას ქმნის. საერთაშორისო დავალიანების სისტემამ XX ს. 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ჩამოყალიბება. ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახი 1971 წელს და პირველი ნავთობის კრიზისი 1973 წელს შეიძლება განხილულ იქნას საწყის ბაზად. ამ დროიდან მოყოლებული საბანკო საქმიანობა ბევრ ქვეყანაში დაექცემდებარა ძლიერ სახელმწიფო რეგულირებას. აღნიშნული მოვლენა პირველ რიგში აიხსნებოდა გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიისა და კრიზისების გაკვეთილებით. იმასთან დაკავშირებით, რომ საბანკო უსაფრთხოება ეკონომიკაში წინა პლანზე იდგა ყოველთვის, მოგება არ განიხილებოდა პირველი რიგის ამოცანად, საბანკო აქციები აღარ ითვლებოდა კაპიტალის გადიდების მიმზიდების ინსტრუმენტად. თუმცა კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე უკვე გამოჩნდა ახალი პროგრესული იდეების კატალიზატორები. კერძოდ მოგვევლინა: „First International Citi Bank of New York” და „Bank of America.” მაგალითად ამ უკანასკნელს შესაძლებლობა მიეცა საკუთარ კაპიტალთან შედარებით მოეზიდა 20-ჯერ მეტი სახსრები. ეს იმ დროისათვის წარმოუდგენელი ფაქტი იყო.

საერთაშორისო საგარეო დავალიანების პრობლემის გამწვავების უკანასკნელი 20 წელი, პირობითად შეიძლება სამ სტადიად დავყოთ. დაუშვათ, რომ ყო-

კელი სტადია შეესაბამება მსოფლიო დავალიანების პრობლემის დამახასიათებელ ეტაპს. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა დამოკიდებულია, პირველ რიგში, რომელ ურთიერთმიმართებაზე მოვალეებსა და კრედიტორებს შორის, ასევე მოცემული პროცესის ყოველი მონაწილისათვის დამახასიათებულ კონკრეტულ გარემოებებზე.

პირველი სტადია: 1980–1985 წ.წ. ამ პერიოდში განვითარებადი ქვეყნების დავალიანების სიდიდე და სტრუქტურა შეიცვალა. მათგან საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები მსოფლიო ფინანსური სისტემის სრულუფლებიანი მონაწილეების – მსხვილი კომერციული ბანკების მოვალენი გახდნენ. ხშირად მთლიანი დავალიანების თანხა აჭარბებდა საკრედიტო ორგანიზაციის კაპიტალს და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო საბანკო სისტემას. დავალიანების მეორე ნაწილი მოდიოდა ოფიციალურ კრედიტორებზე.

მსოფლიო ვალის სისტემის განვითარების ამ სტადიაზე სავალო კრიზისი მოკლევადიანი ლიკვიდობის პრობლემის შედეგად აღიქმებოდა. იმისათვის, რომ დაებრუნებინათ განვითარებადი ქვეყნებისათვის კრედიტუნარიანობა და ხელი არ შეშლოდათ მათ ეკონომიკურ ზრდას, შეთავაზებულ იქნა ვალის დაბრუნების პერიოდების გაგრძელება, ასევე მაკროეკონომიკური სისტემის ხარისხობრივი სრულყოფა. მსოფლიო ფინანსური სისტემისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა დიდი ქვეყნები საშუალო შემოსავლით (მექსიკა, ბრაზილია). დავალიანების სფეროში მდგომარეობის უნიკალურობის გამო კრედიტორები შეთანხმდნენ ყოველი ქვეყნის კრიზისი ცალკე განეხილათ. მსოფლიო ფინანსური სისტემისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მსგავსი ტაქტიკის განვითარებისათვის საჭირო გახდა საქონლისა და მომსახურების ბაზრების გაფართოვება, ასევე ქვეყნების შიგნით გონიერული ეკონომიკური რეფორმების გატარება. ახალ სტრატეგიაში მთავარი როლი საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ)-ს და მსოფლიო ბანკს მიეკუთვნა.

მეორე სტადია: 1985–1989წწ. 80-იანი წლების შუახანებში მსოფლიო ფინანსური ბაზრების კაპიტალის მსესხებელი ქვეყნების (რომლებიც ხასიათდებოდნენ ამავდროულად საშუალო შემოსავლებით) მიერ საკრედიტო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, მსოფლიო საფინანსო სისტემისათვის კომერციული ბანკების კრებსითი ბალანსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა. ამავე დროს ცხადი გახდა, რომ მოვალეების რიგ ეკონომიკურ პრობლემას საგარაუდოზე ზედმეტად გამოხატული

სტრუქტურული ხასიათი პქონდა. მსოფლიო გალის სფეროში რეფორმების განხორციელების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები ითვლება. გარდა ამისა, ადგილი პქონდა ამ ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებას უფრო მაღალი და სტაბილური მოგების ნორმების მიღების მიზნით. სათანადო ეკონომიკური რეფორმების არარსებობა ქვეყნებში კიდევ უფრო ამწვავებდა კაპიტალის გადინების პრობლემას და ამით კიდევ უფრო ამძაფრებდა საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებულ სირთულეებს. აუკილებელი გახდა სიტუაციაში კრედიტორების მიერ ვალების რესტრუქტურიზაციის პირობების გადახედვა მისი დაფარვის პერიოდების გაგრძელების მიზნით. მაგრამ პროცენტების კაპიტალიზაცია და კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ ახალი დაკრედიტება, დავალიანების ან და მისი მომსახურების მოცულობის შემცირება გათვალისწინებული არ იყო.

მსოფლიო ბანკისა და სსფ-ის ყოველწლიურ შეკრებაზე 1985 წელს აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ჯ. ბეიკერმა გამოაცხადა ამ პერიოდისათვის მსოფლიო დავალიანების სისტემის განვითარების სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია შეიძლება დახასიათდეს როგორც აღნიშნულ პერიოდში გატარებული ქმედებების კორექტირების მცდელობა, მოვალე ქვეყნებში ფინანსური რეალობების გათვალისწინებით და იმ ფაქტის აღიარებით, რომ მოვალე ქვეყნების პრობლემები თავისი სირთულით და სტრუქტურით რამდენჯერმე აღემატებოდა ლიკვიდობის დროებით კრიზისს. თავდაპირველად მოსალოდნელი იყო, რომ მსოფლიო დავალიანების კრიზისის რეგულირება არ მოითხოვდა დიდ დროს. ოდონდ მოვალე ქვეყნებსა და კრედიტორ ქვეყნებს შორის დავალიანების კრიზისის საკითხებში სრული თანხმობის მიუხედავად, ამ უკანასკნელთა ძირითადი სტრატეგია იგივე დარჩა: კრედიტორების აქტივების ღირებულების შენარჩუნება საგარეო ვალზე მიმდინარე მომსახურების თავისდროული გადახდების მეშვეობით, აღნიშნულმა გარემოებამ მსოფლიო დავალიანების კრიზისის დარეგულირების პროცესის ობიექტურად გაჭიანურება გამოიწვია.

„ბეიკერის გეგმის“ ძირითადი სტრატეგია დებიტორი ქვეყნებისათვის ვალების მომსახურების მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად განსაზღვრული და საჭირო სტიმულების შეთავაზებას გულისხმობდა. ამ გეგმის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი იყო საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების ახალი როლი.

პირველი ეტაპი ითვალისწინებდა სსფ-ის, როგორც მთავარი მრავალმხრივი დაწესებულების განსაზღვრას. მისი ფუნქცია 1–1,5 წლის განმავლობაში ეკო-

ნომიკური სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა იყო. „ბეიკერის გეგმაში” მთავარ დაწესებულებად მსოფლიო პანკი მოიაზრებოდა. გეგმა ასევე ითვალისწინებდა რამდენიმე წლის შემდეგ გადასახდელი ვალის უმეტესი ნაწილის დაფარვის შემთხვევაში გადახდების პირობების გადახდვასაც და თვით ვალის დაფარვის ვადის გაგრძელებასაც. გეგმის მიზანი იყო მოვალე ქვეყნების ფინანსური პრობლემების მიზეზების აღმოფხვრისათვის მაქსიმალური დროის მიცემა. იმის გამო, რომ „ბეიკერის გეგმა” პანკების მიერ მოვალე ქვეყნების დამატებით დაკრედიტების ზემოქმედების ბერკეტებს არ ითვალისწინებდა, ერთობ უმნიშვნელო შედეგებით განხორციელდა. საკრედიტო ორგანიზაციები მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლებ ახალ სესხებს გასცემდნენ. პანკების მიერ ეს პერიოდი გამოყენებულ იქნა რეზერვების გასადიდებლად სუკერენულ სახელმწიფოთა ვალების დაუფარაობიდან გამოწვეული ზარალის დასაფარავად.

უნდა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში ამასთან დაკავშირებით პანკებმა მიიღეს მნიშვნელოვანი შემოსავლები, ამ დროისათვის კომპანიების შერწყმისა და შეერთების პროცესმა პიკს მიაღწია. გაჩნდა ახალი სესხები უძრავი ქონების შესაძენად და ვალების ფასიან ქაღალდებზე გაცვლის ოპერაციებზე. ასე რომ, „ბეიკერის გეგმის” მიუხედავად, პანკები უძლურნი აღმოჩნდნენ ჩამოეწერათ მოვალე ქვეყნებისაგან მიყენებული ზარალის ნაწილი. გაზრდილმა რეზერვებმა საბანკო ინსტიტუტებს საშუალება მისცეს ელიარებინათ, რომ მოვალე ქვეყნების მიერ ვალების მთლიანი დაფარვა ნაკლებ სავარაუდოა. იგი ასუსტებდა მათ აქტივებს და შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ რომელიმე დამატებითი შემოსავლის მოზიდვის პოტენციურ იარაღად.

მესამე სტადია: გრძელდება 1989 წლიდან დღემდე. 1989 წელს საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს თავიანთი შესაძლებლობების გადასინჯვა, თავიანთი რესურსების მოცემული ქვეყნების ხელისუფლების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე მოვალე ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით სავალო დოკუმენტაციის გაცვლის გზით.

1997 წლის შემოდგომიდან მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა იფეთქა სამხრეთ აზიის რეგიონში. მან გარკვეული დოზით გავლენა მოახდინა როგორც მსოფლიო, ასევე ცალკეული ქვეყნის საბანკო სისტემებზე, რამაც სათავე დაუდო მოცემული სისტემის განვითარების ახალ ეტაპს, ხოლო 2008 წლის მსოფლიო საფინანსო კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა მოწინავე ქვეყნების სამეურნეო სუბიექტებს, რამაც ავტომატურად ზეგავლენა იქონია კაპიტალის მიგრაციაზე.

ასე რომ, მსოფლიო ფინანსური ბაზრების განვითარების არასტაბილურობამ, ხშირმა ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს მათი საქმიანობის უკონტროლობა, უმართავი ხასიათი. რაც ბუნებრივია, გამოიწვევს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის დაშლას ერთიმეორის მიყოლებით.

ამრიგად, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესი წარმოადგენს ინფესტიციების ქვეყანათაშორისო მიგრაციის პროცესს მათი უცხოეთში უფრო ეფექტიანად დაბანდების მიზნით (ექსპორტიორი ქვეყნებისათვის), ასევე უცხოეთიდან აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვას ეროვნულ ეკონომიკაში მათი რაოდენობრივი და სტრუქტურული უკმარისობის პირობებში (იმპორტიორი ქვეყნებისათვის).

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მსოფლიო კაპიტალის ბაზრებიდან მნიშვნელოვანი ნაკადების იმპორტიორები 1982–1989 წლების მსოფლიო სავალო კრიზისის დასრულების შემდეგ გახდნენ. ინგესტიციური ნაკადების განსხვავებული სტრუქტურის და მასშტაბების პირობებში კაპიტალის მოდინება ყველა შემთხვევაში ობიექტურად განპირობებულია როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორებით.

პირველ მათგანს მიეკუთვნება გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური სიტუაცია, ასევე გატარებული სტრუქტურული რეფორმები ინგესტიციების იმპორტიორ ქვეყნებში. მეორეს მიეკუთვნება ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთის ციკლური ცვლილებები, აგრეთვე საბანკო ინსტიტუტების გაზრდილი ინტერესები განვითარებადი ბაზრების მიმართ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო ორგანიზაციების შესაბამისი წილი ინგესტიციურ დაბანდებებში.

ინგესტორების, კერძოდ საბანკო ინსტიტუტების გაზრდილი ინტერესი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისადმი განაპირობებდა ფინანსური ინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ცალკეული ქვეყნების და გლობალურ ეკონომიკაზე მთლიანად.

წინა ოცწლეულის ახალი მოვლენა გახდა კაპიტალის მოძრაობის პროცესში „მესამე სამყაროს” ქვეყნების აქტიური ჩართვა, რომელიც არა მარტო განვითარებული სახელმწიფოების მრეწველობაში, არამედ ახლადაღმოცენებული ბაზრების, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სწრაფად ზრდადი ზონების ქვეყნებში მიიღწევა – სამხრეთ კორეაში, ინდოეთში, ბრაზილიაში, ტაილანდში, ინდონეზიაში, ფილიპინებშე და სხვა. ცნობილი მიზიდვები ფაქტორების (იაფი ნედლე-

ული, სამუშაო ძალა, ვრცელი ბაზარი და ა. შ.) გამო, კომპანიების საქმიანობა განვითარებადი (ყოფილი სოციალისტური) ქვეყნებისაკენ არის მიმართული.

1991–2003 წლებში კაპიტალის გატანა მთლიანად მსოფლიოში 9,7–ჯერ გაიზარდა. ინვესტიციების საექსპორტო საერთაშორისო ნაკადები ამ პერიოდში მსოფლიო მშპ–ში 4,6%–დან 14%–მდე გაიზარდა. მკაცრი კონკურენცია კაპიტალის ნაციონალურ და მსოფლიო ბაზებზე და მისი ფორმების გართულება, ასევე კაპიტალდაბანდებების ექსპორტისა და იმპორტის სხვადასხვა ფორმები განაპირობებს ინვესტიციების მოცულობათა ასეთ მასშტაბურ ზრდას.

ცნობილია, რომ „პირდაპირ უცხოური ინვესტიციები ფართოდაა გავრცელებული განვითარებულ ქვეყნებში: მათზე მოდის საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის 91%, თვით ამ ქვეყნებში კი – უცხოურ ინვესტიციათა 70%-ია დაბანდებული.“ (**გრემი1999:37-42**)

დიდ ინტერესს იწვევს ახალინდუსტრიული ქვეყნების, ჩინეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება.

ახალინდუსტრიული ქვეყნების (სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი...) ეკონომიკური წარმატების ოთხი ძირითადი ფაქტორიდან ერთ-ერთი უცხოური კაპიტალის მოზიდვაა. მაგალითად, სამხრეთ კორეაში დამუშავდა უცხოური ინვესტიციებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნის ღონისძიებები: მოიხსნა შეზღუდვები ან შესუსტდა საგადასახადო განაკვეთები, შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები კაპიტალის მოზიდვისათვის განსაკუთრებული შეღავათიანი პირობებით. იმავდროულად, ეკონომიკის მთელი რიგი დარგები ჩაკეტილია უცხოური კაპიტალისათვის, მაგალითად, დაზღვევა, საბანკო საქმე, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ა.შ.

„ უცხოური კაპიტალის მოზიდვის პრობლემა მჭიდროდაა გადაჯაჭვული საკუთრების საკითხთან, რამდენადაც სწორედ საკუთრების შეძენის შესაძლებლობაა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უცხოელ ინვესტორს უბიძგებს თავისი კაპიტალის გამოყენების პერსპექტიულ მიმართულებათა ძიებისაკენ. მხოლოდ დემონოპოლიზებული საბაზო ეკონომიკის პირობებში და განვითარებული ფინანსური ინფრასტრუქტურისას იქმნება კეთილსასურველი ინვესტიციური გარემო, განსაკუთრებით კი – გრძელვადიანი პროექტების რეალიზაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პეიოდში ფინანსური სფეროს დარეგულირებისკენ აღებულმა საერთო კურსმა ხელი შეუწყო კაპიტალის გატანის ზრდასა და საერთაშორისო ფინანსური ნაკადების სწრაფ გაფართოებას.“ (**კურტანიძე 2008:106-107**)

უცხოური კაპიტალის როლი დიდია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნაშიც. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ახალ მიღწევათა გამოყენებით და ინვესტიციის ბაზრის განვითარებით, მათ შორის, უცხოური ინვესტიციების ფართო დანერგვით, მათ განახორციელებს საწარმო აპარატის კარდინალური გადაიარაღება და ახლა ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში იმყოფებიან. ინტერნაციონალური ხასიათის მქონე ინვესტირების მოქნილობა, სისწრაფე და მანევრირების უნარი განპირობებულია მძლავრი საკრედიტო-საფინანსო სისტემის არსებობით. იგი რისკისა და ბაზრის განუსაზღვრელობისაგან აზღვევს ფულად სახსრებს და უზრუნველყოფს მათ მოზიდვას პერსპექტიულ წარმოებებში, რასაც ხელს უწყობს კაპიტალის სააქციო ფორმის უპირატესობა და საფონდო ბირჟების აქტიური საქმიანობა.

ცხადია, საერთაშორისო კავშირების და მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ზრდასთან ერთად იზრდება ეროვნული მეურნეობების ურთიერთდამოკიდებულება, რამაც მათი საერთო დაცემა შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ ზომით. და მაინც, ამ მეურნეობათა ფარდობითი დამოუკიდებლობა მათი საფონდო ბაზრების ასეთსავე დამოუკიდებლობას განაპირობებს, რასაც პრაქტიკაც ადასტურებს. როგორც ფინანსურ პრესაში მოყვანილი მონაცემების შედეგები გვიჩვენებს, მთლიანობაში იმ მსოფლიო პორტფელის რისკი (ფასების ცვალებადობა), რომლის სტრუქტურა ყველა ეროვნული ბაზრის საბაზრო კაპიტალიზაციის სტრუქტურას შეესაბამება, პრაქტიკულად ყოველი ეროვნული საბაზრო პორტფელის რისკზე ნაკლებია.

გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციაა. საერთაშორისო სასაქონლო, მომსახურებისა და კაპიტალის გაცვლის ზრდა წინ უსწრებს მსოფლიო წარმოების ზრდას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მონაცემებით, 1990–2000 წლებში საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ექსპორტი ყოველწლიურად იზრდებოდა 2,6–2,8-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მსოფლიო მეპ-ი და მსოფლიო წარმოება. კაპიტალის ექსპორტი ამ პერიოდში გაიზარდა კიდევ უფრო სწრაფად. მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ტემპს ორჯერ და მეტად აღემატებოდა.

საერთაშორისო ბანკის სპეციალისტები გამოყოფენ რიგ საერთო ტენდენციებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე. მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) ეროვნული ეკონომიკის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გავლენას ახდენენ გრძელვადიანი ინვესტიციების განაკვეთების დონეზე. ქვეყნა-ბმა, რომელთაც უკეთესი მაკროეკონომიკური მონაცემები აქვთ (ე.ი. მშპ-ში ინვესტიციების მაღალი კოეფიციენტი, ინფლაციის დაბალი დონე, ეროვნული ვალუტის რეალური კურსის სტაბილურობა), მოიზიდეს უცხოური ინვესტიციების მეტი ოდენობა მშპ-სთან პროცენტული მიმართებით, მაშინ როცა ნებატიური მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნები პრაქტიკულად ვერ ახერხებენ უცხოელი ინვესტორების მოზიდვას;

ბ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის განვითარებადი ქვეყნების ბაზრების ინვესტიციების ძირითადი შემადგენელი კომპონენტი. ეს გარემოება გარკვეულწილად კი არის დამოკიდებული მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან, მაგრამ არ აისხება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სიდიდით გლობალური მასშტაბით.

გ) პორტფელური ინვესტიციები უფრო მგრძნობიარენი არიან საპროცენტო განაკვეთის დონესთან. თუმცა ამ ინვესტიციების მოცულობა 1992–1993 წლებში გაიზარდა, მიუხედავად საპროცენტო განაკვეთის ზრდისა, გლობალური მასშტაბით.

მსოფლიოში უცხოური კაპიტალის უმსხვილეს დონორად, ინვესტიციური კაპიტალის რეციფიენტად კვლავ აშშ რჩება, შემდეგ მოდის დიდი ბრიტანეთი და გერმანია, კანადა, ნიდერლანდები, ბელგია ლუქსემბურგი და შვეიცარია. განვითარებად ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლის მიხედვით გამოირჩევიან სპარსეთის უკრის ქვეყნები, თურქეთი, ინდოეთი, არგენტინა, ტაილანდი.

უცხოური კაპიტალის იმპორტიორებს შორის პირველ ადგილზეა ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, ინდოეთი, თურქეთი. უცხოური ინვესტიციების შედარებით მსხვილ რეციფიენტებს მიეკუთვნება ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები: პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი.

სამეწარმეო კაპიტალის მოძრაობაში ლიდერის პოზიციას იკავებს პორტფელური ინვესტიციები. ამ მოვლენის ობიექტური მიზეზებია:

- მსოფლიოში ინვესტიციური სიტუაციების გაუმჯობესება;
- კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან მიმართებაში პოლიტიკის ლიბერალიზაცია;
- კაპიტალის მსოფლიო ბაზარში განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრების ძლიერი ინტეგრაცია.

განვითარებული ქვეყნების ბანკები ინვესტორების ინვესტიციური შესაძლებლობების გაძლიერებას ამ ქვეყნებში დაფიქსირებული უნიკალური მოვლენის, სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდის დაფიქსირებით ხსნიან. თუმცა 1997–1998 წლების და დღეისათვის მიმდინარე მსოფლიო ფინანსურმა კრიზისებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პორტფელური ინვესტიციების მოცულობისა და გეოგრაფიული განთავსების დამოკიდებულებას მიმღებ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე. გადამწყვეტი ფაქტორია საგალო ვალდებულებების მოკლევადიანი ხასიათი, რომლებიც პორტფელური ინვესტიციების ძირითად ნაწილს შეადგენენ და საბანკო დეპოზიტებთან ერთად მტკიცედ გადაადგილდებიან ქვეყნებს შორის მოგების შენარჩუნების და აგრეთვე ზემოგების მიღების მიზნით.

უცხოური ინვესტიციები XXI საუკუნის საინვესტიციო რესურსების ყველაზე დინამიკური ნაწილი გახდა, განსაკუთრებით, მის ბოლო ათწლეულებში, როდესაც დაიწყო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი. ეკონომიკის გლობალიზაცია სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე როლი ფორმად. სწორედ ბოლო წლებში, დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილმა რაოდენობრივმა ცვლილებებმა გამოიწვია თვისებრივი ნახტომი, ეკონომიკურმა ცხოვრებამ ახალი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. გამოყოფენ ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის შემდეგ ძირითად ფორმებს:

1. საერთაშორისო ვაჭრობა (საქონლის, მომსახურებით, ტექნოლოგიებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით);

2. წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახის მქონე კაპიტალის, სამუშაო ძალის – როგორც არაკვალიფიციური და ნაკლებად კვალიფიციური მუშების სტიქიური მიგრაციის, ისე „გონების გაუონვის“ სახით);

3. საერთაშორისო ფინანსური თპერაციები (პორტფელური უცხოური ინვესტიციები, კრედიტები, საწარმოო ფინანსური ინსტრუმენტები: ფიუჩერსები, ოფციონები, სავალუტო თპერაციები).

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში არსებითად შეიცვალა აღნიშნულ ფორმებს შორის თანაფარდობა. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „აღნიშნულ სამ მიმართულებას შორის ყველაზე სწრაფად იზრდება საერთაშორისო ფინანსური თპერაციების მოცულობა, შემდეგ – კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა (პირდაპირი ინვესტიციები) და ბოლოს, საერთაშორისო ვაჭრობა.“ (აბდეევი 1994: 206)

ჩვენი აზრით, ეკონომიკის გლობალიზაციაში ბოლო ხანს წამყვან როლს თამაშობს არა საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები, არამედ სწორედ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა (ე.ი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები), ვინაოდან ეკონომიკისტთა უმრავლესობის შეფასებით, „გლობალიზაციის საფუძველი, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა და მთელი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის ხერხემალი ტრანსნაციონალური კორპორაციებია.” (მარკოვი 1996: 67-68)

კაპიტალის მოძრაობის თავისებურებებიდან დამახასიათებელია:

1. მომპოვებელი მრეწველობიდან გადამამუშავებელ მრეწველობასა და მომსახურების სფეროში კაპიტალის თანდათანობით გადასვლა, რომლებზეც დღეისათვის ყოველწლიური დაბანდების ნახევარი მოდის;

2. კაპიტალის ბაზრის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება. ოუ 70-80-იან წლებში ეს პროცესი უპირატესად ინდუსტრიულ ქვეყნებში ხორციელდებოდა, 90-იანი ქლებიდან იგი განვითარებად ქვეყნებზეც გავრცელდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ლათინური ამერიკა მოიცვა;

3. „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებსა” და დანარჩენ განვითარებად ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის გააქტიურება. ჯერჯერობით კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე აქტიურობენ ოპერატორების ქვეყნები.

21-ე საუკინის დასაწყისში ინდუსტრიული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში რეკორდული ოდენობის პირდაპირი ინვესტიციები დაბანდდა. ოუ 1993 წელს განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი ინვესტიციებმა 65 მლრდ დოლარი შეადგინა, 2002 წელს - 156 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. ინვესტიციების უმეტესი ნაკადი აზიისა და ლათინური ამერიკის 10-15 განვითარებად ქვეყნებშია კონცენტრირებული. ამ შერივ მნიშვნელოვან წარმატებას ჩინეთში მიაღწიეს.

უცხოურ კაპიტალს, უპირველესად, იზიდავს ჩინეთის ეკონომიკის სწრაფი განვითარება და პოლიტიკური სტაბილურობა. მაგ., ჩინეთის მეპ-ის ზრდა საშუალოდ 8-10%-ის ფარგლებში მერყეობს. ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპებია აზიის „დრაკონებსა” (სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია და სხვ.) და ლათინურამერიკულ „ახალ ინდუსტრიული ქვეყნებშიც” (ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა და სხვ.)

ეკონომიკურ დახმარებას განვითარებული ქვეყნები უფასოდ ან შეღავათინი კრედიტებით ეწევიან. მაგ., აშშ-მა 2003 წელს 19 მლრდ დოლარი დახმარება გაისწია (76% ეკონომიკური და 26% სამხედრო მიზნით). აქედან 3 მლრდ დოლა-

რი ისრაელმა, ხოლო 2.1 მლრდ დოლარი ეგვიპტემ მიიღო. დახმარების 65% უფასოდ, ხოლო 35% შედავათიანი კრედიტით იქნა გაცემული.

ინგესტიციების მსოფლიო ბაზრის ძირითადი ცვლილებები, რაც პირველ რიგში მის სტრუქტურაში მიმდინარე ძვრებთანაა დაკავშირებული, განპირობებულია ფინანსური გლობალიზაციით და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ტექნიკის დაჩქარებით. საერთაშორისო ინგესტირების დომინირებად ფორმად XX ს. 70-იანი წლებში განიხილება პირდაპირი ინგესტიციები, ხოლო XXI საუკუნეში წინმსწრები განვითარება პარტფელურმა ინგესტიციებმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობის გაძლიერება ხელს უწყობს ინგესტიციების მოზიდვას ინგესტიციების მსოფლიო ბაზრიდან, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, საბანკო კაპიტალის ზრდას და რისკების ხარისხობრივ მართვას. ფინანსური ინსტრუმენტების საერთაშორისო მოძრაობა სულ უფრო მეტად დამოუკიდებელ ხასიათს იძენს. ყალიბდება ე.წ. ინგესტიციების სახელშეკრულებო ფორმები: ხელშეკრულებები დაკავშირებული მომსახურებასთან და მართვასთან, მიზნობრივი სავალო სესხის ხელშეკრულებები, დაკავშირებული კაპიტალურ დაბანდებებთან, შეთანხმება ფრანჩაიზინგის შესახებ (ფრანშიზის შესახებ), შეთანხმებები ლიზინგის შესახებ, შეთანხმებები პროდუქციის დაყოფაზე. მოცემული ოპერაციების არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ითვალისწინებენ არარეზიდენტებისათვის საკუთრების უფლების გადაცემას. ეს დამახასიათებელი ნიშანია ტრადიციულად განხილულ პირდაპირ და პორტფელურ ინგესტიციებთან მიმართებაში. ოღონდ ინგესტიციების ხელშეკრულებითი ფორმა იძლევა შემოსავლის მიღების უფლებას.

მაშასადამე, კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე პირდაპირი ინგესტიციების ფორმირების წყაროების სტრუქტურაში ადგილი აქვს არსებით ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია ძვრებთან ინგესტირების სხვადასხვა ვარიანტების პრიორიტეტულობისა და უფექტიანობის სფეროში, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და კრედიტების ბაზრის ურთიერთდაკავშირებულობის გაძლიერებასთან. ინგესტიციური მოთხოვნილებების დაფინანსებისათვის კორპორაციული ინგესტირების პარალელურად გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც ერწყმის საბანკო დაკრედიტების ტრადიციული მექანიზმები. ამასთან ერთად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტების ხვედრითი წილი სტაბილურად მცირდება დაკრედიტების წესების გამკაცრების გამო. მზარდი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის სტრუქტურის ტრანსფორმაციას ძირითადი საფონდო

აქტივების ჭრილში: ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტად გამოყოფენ კომპანიების აქციებს, რომელთა ხედრითი წილი თითქმის 3–ჯერ აჭარბებს სავალო ფასიანი ქაღალდების ხედრით წილს. თანდათან კარგავს მნიშვნელობას სახელმწიფო ობლიგაციების საერთაშორისო ბაზარი. ამის მიზეზია ის, რომ განვითარებული ქვეყნები ატარებენ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც თანდათანობით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, შესაბამისად ახალი დავალიანებების შემცირების ფონზე, მეორე მიზეზია ის, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის შემცირების ფონზე იცვლება ინვესტორთა უპირატესობის მინიჭების პრინციპი, ამის გარდა იზრდება აქციების ბაზარზე ტრანსაქციური ოპერაციები.

საერთაშორისო ინვესტირების დამახასიათებელ ტენდენციებს მიეკუთვნება საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმისა და მიერთების მასშტაბების ზრდა, რომელიც ფინანსური გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელს ხდის კაპიტალების მოძრაობის ლიბერალიზაციას. საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმა და შეერთება (მაგალითად, სახელმწიფო ბანკების ჩაყლაპვა უცხოური ინვესტიციების მიერ) განხილული უნდა იქნას როგორც ინვესტიციური ოპერაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობა. XX ს. უკანასკნელ ათწლეულში სწორედ ფინანსური ორგანიზაციების შერწყმა და შეერთება და არა ინვესტიციები ახალი ბანკების შესაქმნელად გახდა ინვესტიციური საბანკო კაპიტალის ზრდის საფუძვლი. შედარებით „ახალგაზრდა“, ფორმირების პროცესში მყოფი ფინანსური ბაზარი, ჩამოყალიბებული საბანკო ინსტიტუტების შერწყმისა და მიერთების შედეგად, არსებითად მოიცავს განვითარებულ ქვეყნებს, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებს და გაცილებით მცირე ფორმით განვითარებად ქვეყნებს. თავის მხრივ ეს პროცესი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დივერსიფიცირებული საფინანსო საბანკო ჯგუფების ფორმირების პროცესი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია რიგი ფუნქციები (კორპორაციული დაკრედიტება, ინვესტიციური საქმიანობა საცალო საბანკო მომსახურება, დაზღვევა) და რითაც მომავალში შეივსება ინვესტიციების მსოფლიო ბაზარი.

ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური ინსტიტუტების ინტეგრაციით, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია შექმნას ინვესტიციური სივრცე და რომელიც ფუნქციონირებს უნიფიცირებული წესებით. ყალიბდება ინვესტირების ინტეგრირებული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციურ რესურსებზე მოთხოვნის ზრდას დივერსიფიცირებული ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის ხარჯზე. იგი ერთმანეთთან ათანხმებს

ინვესტიციური და კომერციული ბანკების ფუნქციებს, ფასიანი ქაღალდების საბირჟო და ბირჟის გარეშე ბაზრების აქტივიზაციას, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელებას.

განვითარებული ქვეყნების როლის გაძლიერება, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების როლის შემცირება ინვესტიციების მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენცია, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზრისათვის. ასე მაგალითად: იმპორტის სფეროში ინვესტიციების დაახლოებით 73% მოდის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე, 24%-ზე მეტი – განვითარებად ქვეყნებზე და 3%-ზე ნაკლები – ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე (რუსეთის ჩათვლით). ექსპორტის სფეროში ინვესტიციების 90% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე; განვითარებად ქვეყნებზე – დაახლოებით 8%; ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე (რუსეთის ჩათვლით) – 1%-ზე ნაკლები.

ინვესტიციების საერთაშორისო ბაზრის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ–ერთი თავისებურებაა ევროკავშირის, როგორც მსოფლიო ინვესტიციური ცენტრის მნიშვნელობის არსებითი გაზრდა. ევროკავშირის ქვეყნები გახდნენ ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე უმსხვილესი დონორები, უცხოური ინვესტიციების მოელი ნეტო–ექსპორტის 80% მოდის ხუთ ევროპულ სახელმწიფოზე: დიდ ბრიტანეთზე, გერმანიაზე, საფრანგეთსა, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაზე. ამავდროულად მოხდა ევროპის ქვეყნების პოზიციების გაძლიერება მსოფლიო კაპიტალების ბაზრიდან ინვესტიციების მოზიდვის სფეროში. მასთან ერთად, რეციფიენტი ქვეყნების ჯგუფში ლიდერის პოზიცია კვლავ აშშ-ს უკავია. ასე, რომ საერთაშორისო ინვესტიციების ზრდის ტემპები XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისში მეტია სამრეწველო წარმოების, მსოფლიო მეპისა და საქონლითა და მომსახურების მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპებთან შედარებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უცხოური ინვესტიციების მოძრაობა ძირითადად პოზიციურ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობაზე, ოდონდ 2008 წელს ცნობილი მოვლენების შედეგად უცხოური ინვესტიციების „ეიფორია“ დასრულდა. 2008 წელს მათმა მოდინებამ მსოფლიო ეკონომიკაში შეადგინა 735 მილიარდი დოლარი, ხოლო გადინებამ 621 მილიარდი დოლარი. მიმდინარე ფასებში, 2000 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებლები შემცირდა შესაბამისად 51% და 55%-ით. ასეთი მნიშვნელოვანი დაცემა (თითქმის ნახევარი) პირველად დაფიქსირდა მთელი 100 წლის მანძილზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ასეთი მკვეთრი დაცემის მიზეზია (როგორც გარიგებების რიცხვით, ასევე მათი

მოცულობის მიხედვით) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შერწყმისა და შეერთების მნიშვნელოვანი შემცირება, რომელზედაც მოდის ინვესტიციების მსოფლიო მოცულობის 70–დან 85%–მდე. ამასთან, ბევრი უცხოელი სპეციალისტი თვლის, რომ მსოფლიო ეკონომიკამ 2000 წლისათვის განვითარების მეტად მაღალ დონეს მიაღწია ინვესტიციების სტაბილურად საშუალო დონის პირობებში. ინვესტიციების მოცულობამ ამ პერიოდისათვის 5–ჯერ გადააჭარბა 5 წლის წინ მიღწეულ დონეს. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სპეციალისტები თვლიან, რომ 1999–2000 წლებში ადგილი პქონდა ეწ. „გაზვიადებულ ინვესტირებას“. კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ინვესტირების მასშტაბების მკვეთრი შემცირების მეორე მიზეზი არის მსოფლიო კაპიტალების ბაზარზე დაცემა, რომელიც შეეხო მსოფლიო ფინანსური კაპიტალის სამივე მთავარ ცენტრს აშშ-ს, ევროკავშირს და იაპონიას. ამავდროულად საფონდო ბაზრებზე „მერყევი“ სიტუაცია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ფინანსური რესურსების სიდიდის დაცემაზე, რომელთაც ბანკები აბანდებენ უცხოეთში.

ამა თუ იმ ქვეყნის ინვესტორების მიერ სხვა ეროვნულ ბაზრებზე ან ეპრობაზარზე ფასიანი ქაღალდების შეძენა წარმოადგენს საერთაშორისო ინვესტიციებს, რისი განხორციელების დროსაც აუცილებელია მათი შემდეგი თავისებურებების გათვალისწინება:

- 1) ფსიქოლოგიური ბარიერები;
- 2) საინფორმაციო სირთულეები;
- 3) იურიდიული სირთულეები;
- 4) დამატებითი ხარჯები;
- 5) საერთაშორისო ინვესტიციების რისკები;
- 6) საერთაშორისო ინვესტიციების უპირატესობები.

1) ფსიქოლოგიური ბარიერები. საერთაშორისო ინვესტიციებთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ბარიერებს უფრო ხშირად განაპირობებს სხვა ქვეყნების ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის, აგრეთვე, უცხო ენების, ფინანსების ბაზრებზე მიმდინარე ვაჭრობისა და ანგარიშების წესის და ა.შ. ცუდად ცოდნა. ინსტიტუციური ინვესტორები თავიანთ საერთაშორისო ინვესტიციებს ხშირად ახორციელებენ შესაბამისი ეროვნული ბაზრების ბროკერების მეშვეობით, ბევრი კერძო ინვესტორი კი ჯერ კიდევ ფრთხილად ეკიდება საერთაშორისო ინვესტიციებს.

2) ინფორმაციული სირთულეები. უცხოეთის ბაზრებისა და უცხოელი ემიტენტების შესახებ ინფორმაციის მიღება ისევე დაწვრილებით, როგორც ეს მისი ეროვნული ბაზრის მონაწილეების შესახებ შეუძლია ინვესტორს, შესაძლოა, გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდეს. თუმცა, ამჟამად მრავალი უცხოელი ბროკერი ფინანსური ანალიზის მუდმივად განახლებად მონაცემებს უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდვაში არსებული უცხოური აქციების უმტრესობაზე. ამერიკელი, იაპონელი და ევროპელი ბროკერები ასევე უზრუნველყოფენ ინფორმაციას კომპანიების მოსალოდნელ შემოსავლებზე და დროის რეალურ მასშტაბში მომუშავე კომპიუტერული სისტემებით აძლევენ რჩევებს ინვესტორებს.

3) იურიდიული სირთულეები. ამა თუ იმ ქვეყანაში შესაძლოა, უცხოელი ინვესტორებს იურიდიული სირთულეები შეექმნათ მათი კაპიტალის განთავსებისა და სამშობლოში მისი დაბრუნების, აგრეთვე მიღებული შემოსავლის გადატანის დროს. ამასვე ეკუთვნის დაბეგვრის თავისებურებები. ინვესტირების დროს, ჩვეულებრივ, შემდეგ გადასახადებს ახდევინებენ: ოპერაციაზე, კაპიტალის ნამატებზე, კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალზე (აქციებიდან მიღებული დივიდენდები და ობლიგაციებიდან მიღებული პროცენტები).

ოპერაციაზე დაწესებული გადასახადი შესაძლოა, გარიგების მოცულობის პროპორციული იყოს. მაგალითად, შვეიცარიაში ფასიან ქაღალდებზე შესრულებული ოპერაციისთვის ფედერალური მოსაკრებელი მათი მოცულობის 0,09%-ია. რუსეთში ეს გადასახადი კორპორაციულ ფასიან ქაღალდებზე 0,3%-ია და 0,1% – სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე. კაპიტალის ნამატი (ქაღალდის გაყიდვის ფასსა და მისი ყიდვის ფასს შორის არსებული სხვაობა), ჩვეულებრივ, ინვესტორის ქვეყანაში იბეგრება იმისდა მიუხედავად, თუ სად იყო ინვესტიციები, ე.ო. შიდა და საერთაშორისო ინვესტიციები ამ მხრივ ერთნაირად იბეგრება.

უცხოურ ინვესტიციებზე მიღებულ შემოსავალს ერთი ქვეყნის იურიდიული პირი უხდის სხვა ქვეყნის რეზიდენტს. ეს ხშირად წარმოშობს კონფლიქტს ეროვნულ იურისდიქციებს შორის, რადგან შესაძლებელია, ამ შემოსავლის დაბუგვრა ორივე ქვეყანას სურდეს, რაც ორმაგ დაბეგვრას გამოიწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად იდება საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა თანახმად, ინვესტორი ინვესტიციების ქვეყანაში იდებს შემოსავალს დაკავებული გადასახადის გამოკლებით და აგრეთვე საგადასახადო კრედიტს.

4) დამატებითი სარჯები. საერთაშორისო ინვესტიციებთან, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია დამატებითი სარჯები, რომლებიც მოიცავს: ამაღლებისთვის

განკუთვნილ უფრო მაღალ საკომისიოებს უცხოეთის ბაზრებზე, დიდ გადასახადს გარიგებათა გაფორმებისთვის, დიდ გადასახადს საერთაშორისო ინვესტიციების პორტფელების მმართველებისათვის.

საერთაშორისო ინვესტიციების პორტფელის მართვისათვის დაწესებული გადასახადი, ჩვეულებრივ, უფრო მეტია, ვიდრე ეროვნულისა. ამას განაპირობებს: მონაცემთა საერთაშორისო ბაზა, საერთაშორისო ბაზრის გამოკვლევები, სხვადასხვა ქვეყანაში სააღრიცხვო სისტემების განსხვავებულობა, კომუნიკაციების დირექტულება (საერთაშორისო ტელეფონი, კომპიუტერული ქსელები, საბლვარგარეთ მოგზაურობა). ასეთი ხარჯები, ჩვეულებრივ, აქტივების დირექტულების 0,1–0,3%-ით აღემატება ეროვნული ინვესტიციების პორტფელის მართვის ხარჯებს.

5) საერთაშორისო ინვესტიციების რისკები. საერთაშორისო ინვესტიციებათან დაკავშირებული რისკები მოიცავს, პირველ რიგში, ეროვნული ბაზრების იმ რისკებს, რომლებიც საერთოა ყველა ინვესტორისათვის – რეზიდენტისა თუ არარეზიდენტისათვის. ამასთან, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ინვესტორები საერთაშორისო ინვესტიციების დროს შეიძლება წააწყდნენ ისეთ რისკებს, რომლებიც მათ ეროვნულ ბაზრებზე არ არსებობს. მეორე, საერთაშორისო ინვესტიციების დროს არარეზიდენტებისათვის არსებობს დამატებითი რისკები, რომლებიც უკავშირდება მათ საქმიანობასა და კაპიტალის და მოგების გატანაზე დამატებითი შეზღუდვების შემოღებას. მესამე, ნებისმიერი საერთაშორისო ინვესტიციის თავისებურებაა უცხოური ვალუტების კურსის დაცემის რისკი, რაც იწვევს ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებას ინვესტორის ვალუტაზე გადაანგარიშებით.

6) საერთაშორისო ინვესტიციების უპირატესობები. აღნიშნული სირთულეებისა და რისკების მიუხედავად, საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობა ერთობ მაღალია და გამუდმებით მატულობს. მაგალითად, მსოფლიოს ყველა ძირითადი კორპორაციის აქციების კოტირება მრავალი ქვეყნის ბირჟებზე ხდება. მსხვილი კორპორაციები, აგრეთვე, მთავრობები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ფულად სახსრებს სესხულობენ სხვა ქვეყნებში ან ევრო-ბაზარზე თავიანთი ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით. კერძო ინვესტორებიც აფართოებენ თავიანთი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობას. ბოლოს, არსებობს მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების მქონე საერთაშორისო საფინანსო ჯგუფები და ამ სახსრებს ისინი აბანდებენ საერთაშორისო ბაზრის იმ სეგმენტებში, სადაც ყველაზე მეტი შემოსავლის მიღებაა შესაძლებელი

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიო მუსურნეობის დამახასიათებელი თავისებურება არა მარტო საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობა, არა მედ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებაა. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აქციების კოტირება, საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, მსოფლიო ინვესტიციური ბაზრები და კაპიტალთა ბაზრები მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებენ ფინანსურ-ეკონომიკურ პორტფელებზე. უფრო მეტიც, საერთაშორისო ინვესტიციური კაპიტალი განსაკუთრებულ როლს ასრულებს როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე მთლიანად მსოფლიო ფინანსური რეგიონების განვითარებაში. ზემოთ აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ინვესტიციური კაპიტალის მაღალი მოგების მქონე ქვეყნებში „გადადინებას,“ რის შედეგადაც იზრდება მსოფლიო ფინანსური და ინვესტიციის ბაზრები.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფინანსური სისტემის განვითარებისათვის აუცილებელია წარმოების ფაქტორების მაქსიმალური ურთიერთშემცვლელობა, რასაც თავის მხრივ ინვესტიციური კაპიტალის მსოფლიო მობილურობა განაპირობებს. მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ფინანსურმა კაპიტალმა, ფიზიკურ ინვესტიციებთან შედარებით, თავისი მობილურობით წამყვანი ადგილი დაიკავა, რადგანაც მას მკაცრი სავალუტო და საგადასახადო რეგულირების ქვეყნებისათვის თავის არიდების მეტი საშუალება აქვს. უმეტესი ქვეყნები ესწრაფვის მოიზიდოს და შეინარჩუნოს კაპიტალი. ინვესტიციური კაპიტალისათვის მიმზიდველი ეკონომიკური პირობების შექმნის ამოცანა სულ უფრო აქტუალური ხდება.

თავი II. უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

2.1. საინვესტიციო სტრატეგიის განვითარებისა და რეგულირების გზები

საინვესტიციო სტრატეგია – ეს არის მიზნობრივი კომპლექსი კაპიტალდაბანდებებში და ფინანსური აქტივების დაბანდებები წარმოების განვითარებაში, ინვესტიციების სტრუქტურის ოპტიმალური ფორმირება და აგრეთვე მათი მოქმედებების თანწყობა მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

აღნიშნულ ეტაპზე, საინვესტიციო სტრატეგია ძირითადად ხორციელდება საწარმოს განვითარების გეგმასთან მჭიდრო კავშირში. საწარმოს ინვესტორების სტრატეგია ყალიბდება არსებული ინვესტიციების წყაროების და ფორმების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი პოტენციალების ეფექტური გამოყენებით. საინვესტიციო სტრატეგიის ფორმირების წინა პირობას წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმირება, რომელთა მიმართებაშიც ხორციელდება საინვესტიციო პოლიტიკა.

საინვესტიციო საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება საინვესტიციო პორტფელის ფორმირებასთან მჭიდრო კავშირში. ეს ფორმირება მიეკუთვნება შუალედურ მმართველობას, რომელიც მთავრდება ცალკეული საინვესტიციო პროგრამების და პროექტების რეალიზაციით.

საინვესტიციო სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგი მიზნების მიღწევას:

1. საინვესტიციო საქმიანობიდან მაქსიმალური მოგება;
2. ინვესტორული რისკების მინიმალიზაცია;

ამისათვის აუცილებელია პროგნოზირებისას გამოვიკვლიოთ შიდა ინვესტიციური გარემო და საინვესტიციო ბაზრის კონიუქტურა:

- ტექნიკური საშუალებების მარკეტინგული გამოკვლევები;
- უფრო ახალი და მომგებიანი საინვესტიციო შესაძლებლობების მოძებნა და ფინანსური ინსტრუმენტების, ინვესტიციების პროექტების მიმზიდველობის შეფასება და მათ შორის საუკეთესოს შერჩევა.
- კაპიტალური ბიუჯეტის შემუშავება.
- ინვესტიციების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება.

საწარმოს ინვესტიციის სტრატეგიაზე მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები. მათ მიეკუთვნება განვითარების საერთო სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ბა-

ზარზე შედწევას და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას ზარალიანი საქმიანობის შემთხვევაში, აქ გამოიყოფა:

- ბაზარზე დამკვიდრება და არაწამგებიანი მოღვაწეობის უზრუნველყოფა;
- საკუთარი სეგმენტის არსებითი გაფართოება ბაზარზე და მოგების სისტემური ზრდით ოპტიმალურ დონეზე გადასვლა;
- მოღვაწეობის საქმიანობის დივერსიფიკაცია და მოგების ბალანსირებული ზრდა ოპტიმალურ დონეზე;
- საქმიანობის მოცულობის სტაბილურობის ზრდა მოგების შენარჩუნების გზით, ფინანსური და გადახდისუნარიანობის გაძლიერებით;
- საქმიანობის ფორმებისა და მიმართულებების განახლებით, მოგების ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, ტექნიკური და ორგანიზაციის პოტენციალის დონე განსაზღვრავს მის დიფერენცირებულ პოზიციას გასაღების ბაზარზე. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების არსებობა საშუალებას აძლევს საწარმოს გრძელვადიანი, საშუალო და მოკლევადიანი რეალური და ფინანსური აქტივების ინვესტიციებისათვის.

ამრიგად, ინვესტიციის სტრატეგიის განვითარება საშუალებას იძლევა აფექტური მმართველობით გადაწყვეტილების მიღების, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს საშუალებების განვითარების ცვლასა და შიგა ფაქტორების ცვლილების დონეზე.

ქვეყნის შერჩევისას კაპიტალის განაწილებაზე მიღებული ინვესტირების გადაწყვეტილება ან მასზე უარის თქმის შესახებ, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. ყველაზე რეალური ინვესტორებისათვის გამოიყოფა ფაქტორთა სამი ძირითადი ჯგუფი:

1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში;
2. საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობის ზომები;
3. ეკონომიკური ფაქტორები.

სხადასხვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფარდობითი მნიშვნელობის განსაზღვრა დამოკიდებულია: მოტივებსა და ინვესტიციების ტიპზე, დარგში დაბანდების შესაძლებლობაზე, თავად ინვესტიციის ზომასა და სტრატეგიაზე. ქვეყანაში მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ ფაქტორთა დამოკიდებულება შეგვიძლია წარმოვადგინოთ ცხრილი №1-ის სახით.

ქვეყანაში მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები.

ცხრილი №1.

| | | |
|--|--|--|
| <p>ქვეყანაში მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუ) განმსაზღვრელი ფაქტორები</p> | <p>პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაბამისობა ინვესტორის მოტივებთან</p> | <p>ქვეყანაში მიღებული ძირითადი ეკონომიკური ფაქტორები</p> |
| <p>1. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფაქტორები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა. ➤ ბაზრის ფუნქციონირებისა და სტრუქტურის ურთიერთობათა პოლიტიკა (პოლიტიკის განსაკუთრებულობა კონკურენტთა ურთიერთობაში, შერწყმასა და შთანთქმაში). ➤ ქვეყნის მონაწილეობა ს/ს საერთაშორისო შეთანხმებაში. ➤ პრივატიზაციის პოლიტიკა. ➤ საგამორო პოლიტიკა (საგარიფო და არასაბარიფო ბარიერები) და მისი შეთანაწყობა პუის პოლიტიკასთან. <p>2. ეკონომიკური ფაქტორები.</p> <p>3. ბიზნესის ხელშემწყობი დონისძიებების ფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ინვესტიციების ხელშეწყობა (ინვესტორების მოღვაწეობის გენერირება და მისი ჩართვა ინვესტორის იმიჯის შესაქმნელად, აგრეთვე ბიზნესის ხელშეწყობის პირობები). ➤ შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის. ➤ პოსტსაინვესტიციო მომსახურება ➤ დანახარჯები ადგილობრივი სტრუქტურის ურთიერთქმედებაზე (კორუფციასთან დამოკიდებულება, ადმინისტრაციული ორგანიზაციის ეფექტურობა და ა.შ.). | <p>A. გასაღების ბაზრების ძებნა:</p> <p>B. რესურსების/აქტივების ძებნა:</p> <p>C. ეფექტური დაბანდებების ძებნა:</p> | <ul style="list-style-type: none"> ➤ ბაზრის წილი და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. ➤ ბაზრის ზრდა. ➤ რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებში შეღწევა. ➤ ბაზრის სტრუქტურა. ➤ მომსმარებელთა უპირატესობა, ქვეყნის მახასიათებლები. ➤ ნედლეული. ➤ იაფი არაპალიფიციური შრომა. ➤ ტექნოლოგიური, ინოვაციური და სხვა აქტივები (მაგალითად რთველის ელექტრები). ➤ ფიზიკური ინფრასტრუქტურა (გზები, პორტები, ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაციები). ➤ რესურსების დირებულება და აქტივების კორექტირება შრომითი რესურსების მწარმოებლურობის აღრიცხვასთან მიმართებაში. ➤ სხვა წარმოების დანახარჯები. მაგ. კომუნიკაციები, სატრანსპორტო ვიზები და შუალედური საგნების დანახარჯები ქვეყნის შიგნით. ➤ რეგიონალურ-საინტეგრაციო პროექტებში მონაწილეობა, რეგიონალურ-კორპორატიული ქსელის შექმნა. |

80-იანი წლების შუა რიცხვებში ქვეყნების უმრავლესობამ მიიღო ზომები პირდაპირი უცხოური ინგესტიციების ლიბერალიზებისათვის, რამაც განაპირობა ინგესტიციების მოზღვავება და ქვეყნებს შორის კაპიტალის განთავსების მხერივ ფართო შესაძლებლობების შექმნა. ამის შემდგომ, ქვეყნებს შორის მიღებული ინგესტიციების ლიბერალიზაციის პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც საჭირო, აუცილებელი, თვითგანვითარებადი, ახლა კი არასაქმარისი გზავნილი კაპიტალის განთავსებისა კონკურენტულ მიმღებ ქვეყნებს შორის.

კიდევ ერთი შედეგი ამ მოვლენისა მდგომარეობს იმაში, რომ ინგესტორები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა კომბინაციათა მიმართულებას, მაკროეკონომიკური პოლიტიკას (ფულადი, საგადასახადო-საბიუჯეტო, სავალუტო და ა.შ.) კონკრეტული საქმიანობის პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებთან მიმართებაში, ე.ი სპეციფიკას წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის სტიმულების მობილიზება, კონკრეტულ დარგში, კონკრეტულ პირობებში.

ასეთი კავშირის პირობებში დიდ მნიშვნელობას იქნება საინვესტიციო ბიზნესში მოღვაწეობის სპეციფიკა მიმღები ქვეყნისათვის. სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის გაადვილების დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის დიდმა მსგავსებამ, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს საინვესტიციო კლიმატის ხარისხს. ეს ღონისძიებები მოიცავს: ინგესტიციების ხელშეწყობას, საფინანსო-საგადასახადო შედავათებს, შემდგომ საინვესტიციო მომსახურებას, „სამუშაოზე დანახარჯების, საკამათო მომენტების განხილვის, უთანხმოების, განსხვავებული ხედვის“ ზომების შემცირებას ბიზნესში. საინვესტიციო ბიზნესში მოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები სწრაფად ვრცელდება, როგორც ერთ-ერთი საშუალება ინგესტიციების მოზიდვისა კონკურენტულ ბრძოლაში. ისინი სულ უფრო დახვეწილი და დახელოვნებულები არიან ყველა მზარდ დონეზე ინდივიდუალურ და კონკრეტულ ინგესტორთან მიმართებაში. ამ ღონისძიებებს შორის უნდა გამოიყოს წინასაინვესტიციო მომსახურება, როგორც სამართალმემკვიდრე რეინვესტირებული შემოსავლებისა, მთლიან საინვესტიციო ნაკადზე, რამდენადაც ინგესტორის „მაყოფილება“ გამოიხატება ქვეყანაში მიღებული საინვესტიციო კლიმატის საუკეთესო რეკლამით.

ამ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში განხორციელდება შესაბამისი პოლიტიკა პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებთან მიმართებაში და მიიღება ზომები ბიზნეს საქმიანობის გაადვილებისათვის, მაშინ ინგესტორის არჩევანისას გადამწყვეტი იქნება კონკრეტული ეკონომიკური ფაქტორები ინგესტიციების განთავსების

მხედრივ. ეს ფაქტორები უცხოურ ინვესტიციებს ყოფს სამ ჯგუფად შესაბამისი ძირითადი მოტივით:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გასაღების ბაზრის ძიებაში;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რესურსების (ან აქტივების) ძიებაში;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეფექტური განაცხადის ძიებაში.

წარსულში შედარებით ადვილად განისაზღვრებოდა ინვესტიციების ტიპის შესაბამისობა ამა თუ იმ მოტივთან. ისტორიულად, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, სადაც კაპიტალის, კვალიფიციური სამუშაო ძალების, ნოუ-ჰის და ინფრასტრუქტურის, საქონლისათვის აუცილებელი რესურსების უკმარისობა იგრძნობოდა, სწორედ მსოფლიოს იმ ქვეყნებში ხორციელდებოდა ექსპორტი, ამ დეტერმინანტების მნიშვნელობა დღესაც უცვლელია. თუმცა მომპოვებელი მრეწველობის მნიშვნელობა მსოფლიო წარმოებაში შემცირდა. გარდა ამისა, განვითარებად ქვეყნებში შეინიშნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომლებიც წარმოდგენილი არიან კაპიტალით და საქონლისა და ბუნებრივი რესურსების გაყიდვისათვის საჭირო ტექნოლოგიებით.

ამ ცვლილებებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების აქტივობა ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებით დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა შეთანხმებით სააქციო კაპიტალში მონაწილეობის გარეშე და მცირე მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით. ეროვნული ბაზრის ზომა აბსოლიტურად გამოხატული მოსახლეობის რაოდენობასთან და შემოსავლებთან მიმართებაში, წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ინვესტიციების მოზიდვის მხერივ, მიმდინარე გასაღების ბაზრის ძებნისას. დიდ ბაზარს მეტი ფირმების მიღება შეუძლია და თითოეულ მათგანს ეკონომიკის მასშტაბებიდან და ზომებიდან გამომდინარე უფრო მეტი სარგებლის მიღების შანსი ეძლევა.

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაზი რისთვისაც რეგიონალური ინტეგრაცია ახორციელებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდას. რეგიონალური ინტეგრაციის ჯგუფის წევრობა შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც თავისთავად მოქმედი ეკონომიკური ფაქტორი, რამდენადაც მას პირდაპირი ზიანის მიუქნება შეუძლია, როგორც ბაზრის ზომაზე, ასევე - მის ზრდაზეც.

რეგიონალურ ინტეგრაციას შეუძლია საინტეგრაციო დონისძიებათა ფართო სპექტრის დაპყრობა, დაწყებული ფასების კლებიდან ვაჭრობის სფეროში,

დამთავრებული ქვეყნებს შორის ეკონომიკური პოლიტიკის პარმონიზებამდებაზრის სწრაფი ზრდა სტიმულს აძლევს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოური ინვესტორებს ინვესტიციების მოსაზიდად. არამობილური იაფი შრომა კიდევ ერთი ეკონომიკური ფაქტორია, რაც აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, განსაკუთრებით კაპიტალდაბანდებისათვის, ეფექტური განცხადების პოვნის თვალსაზრისით.

გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის მსოფლიო ეკონომიკის შეცვლის მირითადი განმსაზღვრები პროცესები შეეხო საინვესტიციო სფეროსაც. დია ეკონომიკის პირობებში, გაყიდვების, ტექნოლოგიებისა და კაპიტალის მზარდი მოცულობის დროს გაერთიანების დარეგულირება და პრივატიზება, უადვილებს ფირმებს საზღვარგარეთ საქონლის ხელმისაწვდომობას, მომსახურებას და წარმოების არამობილურმა ფაქტორებმა გაზარდა კონკურენცია წინათ დაცულ შიდა ბაზრებზე და აიძულა ფირმა ინვესტორებს საზღვარგარეთ მოექცენათ ახალი ბაზრები და რესურსები. ამავდროულად ტექნოლოგიურმა სიახლეებმა გააფართოვეს ფირმის შესაძლებლობები, კორდინირება გაუწიეს თავიანთი საქმიანობის საერთაშორისო წარმოების ქსელს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ფირმებმა დაიწყეს შესაძლებლობების მოდიფიცირება იმისათვის, რომ მიეღწია მიზნისათვის - საზღვარგარეთ ინვესტირებისათვის. ფირმების უმრავლესობამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში, განავითარა თავისი კონკურენტული შესაძლებლობები აქტივების პორტფელის დამატებით.

ამ მდგომარეობამ შეცვალა სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების განსაზღვრა. ტრადიციული მოტივი არ გამქრალა, მაგრამ ინვესტიციების განთავსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა. თუ ადრე ეს ტრადიციული ფაქტორები (ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა, იაფი სამუშაო ძალა, გასაღების ბაზრის ტეგადობა და ა.შ.) ინვესტორისათვის განმსაზღვრელი იყო, ახლა სხვადასხვა სტრატეგიის შემცვლელი და ფირმების ტრანსნაციონალური პროცესების განმახორციებელი აღმოჩნდა.

ტრანსნაციონალიზაციის სტრატეგია წარმოიშვა ტრადიციული „ერთჯერადი“ სტრატეგიის ეფოლუციის, უცხოური ფილიალების ავტონომიურობის საბაზისო დონის მნიშვნელობის, უბრალო ინტეგრირების სტრატეგიის, საზღვარგარეთული და მშობლიური ფირმების ძლიერი კავშირების მახასიათებლების (განსაკუთრებით იქ, სადაც ინტენსიურად გამოიყენება შრომითი რესურსები), ასევე

ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და დამოუკიდებელ ფირმებს შორის კავშირების (გარდა ფილიალებისა) არააქციონერული შეთანხმების საფუძველზე. სტრატეგიის უბრალო ინტეგრაციის პირობებში, არაკვალიფიციური შრომა წარმოადგენს ძირითად ფაქტორს ინვესტიციის განთავსების პროცესისათვის. მას ემატება სხვა ფაქტორები, ისეთები როგორიცაა: შეთავაზებული სამუშაო ძალის საიმედოობა, ადეკვატური ფიზიკური ინფრასტრუქტურა მიღევადი რესურსების ექსპორტირებისათვის. დიდი ხარისხით აღირიცხება წარმოების დანახარჯები და მცირე ხარისხით – ადგილობრივი ბაზრის მოცულობა, რამდენადმე მნიშვნელოვანია არა ეს, არამედ კავშირი მისი საშუალებით საერთაშორისო ბაზრებზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეს ტიპი დაკავშირებულია უბრალო ინტეგრაციის სტრატეგიასთან, მან დაიწყო ფართო გამოყენება გლობალიზაციის პირობებში. „ექსპორტის ზონებსა” და დარგებში ინვესტირებული ინტეგნირად გამოყენებადი შრომა გახდა განვითარების ბერკეტი უბრალო ინტეგრაციის ჩარჩოებში, საფასო პოლიტიკის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების გაუქმებით, ყველა განვითარებად ქვეყანაში ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მოგვცა სწრაფად შეცვლილიყო ხარისხი მოთხოვნის საპასუხოდ.

საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის შესაძლებლობა გახდა მეტად მნიშვნელოვანი და ასეთი შესაძლებლობის დაკარგვა შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციების დაკარგვად. ეს მთელი ძალისხმევით უბიძგებს განვითარებად ქვეყნებს შეინარჩუნოს კავშირი სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმების ან რეგიონალური ინტეგრაციული შეთანხმების საშუალებით. ვინაიდან მომსახურება სულ უფრო სავაჭრო ხასიათს იძენს, ისინი იწყებენ ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიის საზღვარგარეთ განთავსებას უბრალო სტარტეგიის საპასუხოდ. ადგილმდებარეობის უპირატესობა, რომლებიც აღირიცხება ტრანსნაციონალურ კომპანიებში განმსაზღვრელი ფაქტორია. მომსახურების დაკავებულ სფეროში სულ უფრო მეტად რთავენ კომპიუტერულ „წიგნიერებას” და საიმედო კომუნიკაციურ ინფრასატრუქტურას (ამიტომაა, რომ ყოფილი სოციალისტური „ბანაკის” ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის ტელეკომუნიკაციის სფეროში).

საერთოდ, სულ უფრო მეტი და მეტი შუალედური პროდუქტი და ტრანსნაციონალური კომპანიების ფუნქციები დაკავშირებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიამ ევოლუცია განიცადა უბრალოდ რთულ ინტეგრაციამდე. რთული ინტეგრაციის სტრატეგია (მას

ხშირად კომპლექსურს უწოდებენ) შეიძლება ჩაირთოს იქ სადაც საჭიროა დაიყოს წარმოების პროცესი სპეციფიკურ ნაწილებად, ან ფუნქციებად და თავის თავზე აიღოს თითოეულის მეტ-ნაკლებად შესაფერისი დანახარჯები კონკურენტთა პოზიციებისა და გეოგრაფიულ ადგილის გათვალისწინებით. ადრინდელ კომპლექსურ ინტეგრაციულ სტარატეგიასთან შედარებით, მეტად შეუძლიათ ტრანსნაციონალურ კომპანიებს მთლიანობაში კონკურენტუნარიანობის მაქსიმიზირება მათ კორპორაციულ სისტემაში. თუ გადავხედავთ მას, როგორც საერთაშორისო პორტფელის ადგილობრივ აქტივებთან მიმართებაში, ამ პროცესში შესვლის დროს განსხვავება სხვადასხვა აქტივებს შორის არის უფრო ბუნდოვანი.

რომ მოვიზიდოთ ასეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მაშასადამე, ტრანსნაციონალური კომპანიების კონკურენტუნარიანობის გასაფაროვებლად), მიმღები ქვეყნისათვის არ არის საკმარისი განკარგოს ინვესტიციების განვითარებისათვის აუცილებელი მხოლოდ ერთი უპირატესობა. ინვესტორები მოცემულ შემთხვევაში ეძებენ არა მარტო დანახარჯების შემცირებას და ბაზრის დიდ წილს, ასევე კავშირებს ტექნოლოგიებთან და ინოვაციურ შესაძლებლობებთან. ეს რესურსები ბუნებრივი რესურსებისაგან განსხვავებით ადამიანისეულია, ესენია – „შექმნილი აქტივები“. ასეთი აქტივების ფლობა – გადამწყვეტი ფაქტორია ფირმების კონკურენტუნარიანობისათვის, ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. მაშასადამე, ქვეყნები, რომლებიც ავითარებენ ასეთ რესურსებს, ხდება უფრო მიმზიდველი უცხოელი ინვესტორებისათვის. „შექმნილი აქტივების“ ზრდის მნიშვნელობა წარმოადგენს ეკონომიკური ფაქტორების სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებას თანამედროვე პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებში განთავსებისათვის.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ქვეყნები, რომლებსაც სურთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაშასადამე მთლიანობაში ტრანსნაციონალური კომპანიების უფექტურობის ზრდა მათი საერთაშორისო კორპორატიული ქსელის გაფართოებისათვის, საჭიროა თავი მოუყარონ მათ ძალისხმევას ასეთი აქტივების შექმნისათვის და ამ პროცესში მნიშვნელოვანია ეროვნული ხელი-სუფლების როლი. ასეთ პირობებში, მიზანმიმართული ინოვაციური სისტემის გამაგრებისათვის და წახალისებისათვის, ტექნოლოგიების გავრცელებისათვის, შემუშავებული პოლიტიკა წარმოადგენს ცენტრალურს, იმიტომ, რომ მას შეუძლია აქტივების შექმნა და განვითარება. საბოლოოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში განთავსებული კარგად დაბალანსებული და უპირატესად უნიკალური ფაქტორების კომბინაცია, ამ კომბინაციის შესაძლებლობის გამოვლენა სტრატეგია-

სთან, ტრანსნაციონალურ კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაფართოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. აქვე უნდა გვახსოვდეს, შექმნილი აქტივები ერთდროულად აფართოებს კონკურენტუნარიანობას ნაციონალურ ფირმებში. უმნიშვნელოვანებისა წამახალისებელი პოლიტიკა, რომელიც შექმნილ აქტივებს ამყარებს. ასევე პოლიტიკა პარტნიორების სტიმულირებისათვის და უკუკავშირი ადგილობრივ და უცხოურ ფირმებს შორის, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ ფირმებს განვითარდნენ და სრულყონ ეროვნული ზრდის და განვითარების ინტერესი.

ახლო პერსპექტივაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მისი განთავსების უნიკალური კომბინაციის უპირატესობა არსებითად გადამწყვეტია მიმღები ქვეყნისათვის, ამისათვის უმნიშვნელოვანებისა ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ბაზრებთან კავშირი, შექმნილი აქტივების ინოვაციური შესაძლებლობების არსებობა და ტექნოლოგიები, ფლობა იმ ფაქტორების კომპლექტისა, რომელიც გვაიძულებს მოვახდინოთ ინვესტირებული ტრანსნაციონალური კომპანიის ოპტიმიზირება სამეწარმეო პროცესში და მთლიანობაში საერთაშორისო კორპორატიულ ქსელში.

2.2. საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელობა და თავისებურებები საქართველოში

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის დონის განმსაზღვრელი ეროვნულ ეკონომიკაში არის ინვესტიციების მოცულობისა და სტრუქტურის მაჩვენებელი. ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც თავის მხრივ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის და დასაქმების უზრუნველყოფის საფუძველია.

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის სისტემატური ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ფაქტორია ეკონომიკაში საინვესტიციო რესურსების არსებობის დონე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი კლიმატისა და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური ზრდის მისაღები პარამეტრების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანები როლი ინვესტიციებმა უნდა შეასრულონ, ამიტომაც ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორადაა წარმოდგენილი.

უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან დადებით შედეგს იძლევა ეკონომიკისათვის. განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პრობლემა დაკავშირებულია საკუთარი სახსრების დეფიციტსა და მობილიზაციასთან, რომელიც საჭიროა კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად. აღნიშნული პრობლემის საფუძველია განვითარებად ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, რაც იწვევს შრომის ანაზღაურების დაბალ დონესაც. დაბალი შემოსავლის პირობებში დანაზოგები ან ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არსებობს, რაც იწვევს ეკონომიკაში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკლებობას ანუ საინვესტიციო რესურსების სიმცირეს. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებით. უცხოელი ინვესტორისთვის მიმზიდველია ის ქვეყნა, სადაც ტარდება მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და სადაც არის პოლიტიკური სტაბილურობა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში დიდია საინვესტიციო პოლიტიკის როლი. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკაში არსებული საინვესტიციო პოტენციალისა და მისი შესაბამისი რესურსების ეფექტური გამოყენება, რომელიც საბოლოოდ მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, საინვესტიციო პოტენციალის აღდგენას და საწარმოო ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებას განაპირობებს.

საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია ამ ეტაპისთვის არის ის, რომ მოვიზიდოთ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რათა ქვეყანაში აღდგეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალას წარმოადგენენ, რათა საქართველომ დირსეული აღგილი მოიპოვოს და დაიმკვიდროს განვითარებულ და მოწინავე ქვეყნებს შორის. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქვეყნის საინვესტიციო გარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი უცხოელი ინვესტორისათვის. (საინვესტიციო გარემო არის იმ სოციალური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და პოლიტიკური წინამდღვრების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის ინვესტირების მიზანშეწონილობას). ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩა-

მოყალიბებაში ძირითადად მონაწილეობას იღებენ შემდეგი ფაქტორები: მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობა, საკანონმდებლო პაზარი, სოციალურ-პოლიტიკური პორტფელი, ბიზნესის ფუნქციონირების პირობები და სხვა ფაქტორები.


საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს ქვეყნის, რეგიონის, დარგის, კორპორაციის საინვესტიციო გარემოს. მაგრამ საჭიროა ავსახოთ უკავშირიც, ე. ი. საინვესტიციო გარემოს გაფლენა საინვესტიციო აქტივობაზე. მაგალითად, საინვესტიციო გარემოს მიმდინარე მდგომარეობა განსაზღვრავს ინვესტორის აზრსა და მის საქმიანობას მომავალში ინვესტიციების დანახდებასთან დაკავშირებით. „მიმდინარე პერიოდში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს დაბანდების უფლების მოსაპოვებლად ინვესტორებს შორის გამართული კონკურენციის განვითარებას, აგრეთვე, საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ამის პარალელურად ხდება საინვესტიციო რესურსების ნაკადის შემოსვლა, რაც არსებული რესურსების უფრო რაციონალური და ეფექტური გადანაწილების შესაძლებლობას უქმნის რეგიონული განვითარების მართვის ორგანოებს.“ (ქოქიაური 2007ბ:88)

განვითარებადი ქვეყნების საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს უკავშირი ინვესტიციები ასრულებს. მათ მხოლოდ საკუთარი ძალებით საინვესტიციო პრობლემების დამლევა არ ძალუდ. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს უკავშირი ინვესტიციების პირობების და ხელსაყრელობის ანალიზს, საუკეთესო ვარიანტების შერჩევას და ა. შ.

საქართველოში უკავშირი ინვესტიციების მოზიდვა ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული, რადგან ამორტიზირებული ტექნოლოგიების პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება გამორიცხულია.

თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციური კლიმატის შესწავლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე. ინვესტიციური კლიმატი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები. მისი ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ცნება „ინვესტიციური კლიმატი“ გამოიყენება უპირატესად საბაზო ეკონომიკისათვის, როდესაც სამეურნეო გარემო არ ექვემდებარება პირდაპირ მართვას. საინვესტიციო კლიმატის სტრუქტურასა და ფორმირების ფაქტორებზე წარმოდგენას იძლევა ნახაზი 5.

ნახ. 5. საინვესტიციო კლიმატის სტრუქტურა და მისი ფორმირების ფაქტორები



თავისი შინაარსიდან და ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე ინვესტიციური კლიმატი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინვესტიციურ პოლიტიკასთან. ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად მიზანს ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატისა და ინვესტიციური პოლიტიკის გააქტიურებასათვის ოპტიმალური პორობების შექმნა წარმოადგენს, რომლის ძირითად მიმართულებებად გამოდის ღონისძიებები, დაკავშირებული სამამულო თუ უცხოური ინვესტორების საქმიანობისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნასთან.

საქართველოს რეფორმების ერთ-ერთი მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც.

მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო „ბუმი“ იწყება უცხოური კაპიტალის შემოსვლით, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგით. ამასთან, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობისას შეიძლება შედავათების შემოღება გარკვეულ სექტორებში, წარმოებისა და რეგიონების მიმზიდველობის ხელშეწყობის მიზნით.

ამრიგად, საქართველოში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ერთი მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და განვითარებას, მისთვის ხელსაყრელი პორობების შექმნას, მეორე მხრივ, ეროვნული ეკონომიკის სუვერენიტეტის საკითხებს, რაც საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენებას გულისხმობს.

დღეისათვის საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა სტიმული ეძლევათ უცხოელ ინვესტორებს, როდესაც ახდენენ პირდაპირ ინვესტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებში. აქ შეგვიძლია გამოვყოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციის ოთხი ძირითადი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები უფრო დაბალი რეალური დირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში უცხოელი ინვესტორის ძირითადი მოტივია ინვესტორი კომპანიის უფრო მომგებიან და კონკურენტუნარიან საწარმოდ ჩამოყალიბება. საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტირებას, უმეტესად, სწორედ რესურსების მაძიებლები ახორციელებენ. ქვეყანას გააჩნია ბევრი ასეთი რესურ-

სი, რომელიც ასათვისებელია, მაგრამ ადგილობრივი ძალებით ფულადი სახსრების უკმარისობის (გამოუცდელი, ცუდი მენეჯმენტის) გამო ექსპლუატაციაში ჩართვა ვერ ხერხდება. გამომდინარე აქედან, უცხოელ ინვესტორებს გზა ეხსნებათ აითვისონ ეს რესურსები და მიიღონ შესაბამისი სარგებელი.

ინვესტორთა მეორე ჯგუფს წარმოადგენენ საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრულველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების (რეგიონთა) ბაზარზე. ინვესტორთა ამ ჯგუფს პირობითად შეიძლება ბაზრის მაძიებლები ვუწოდოთ.

ინვესტორთა მესამე ჯგუფს პირობითად, ეფექტიანობის მაძიებლებს უწოდებენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, როცა მაქსიმალური უკუგება მიიღწევა. ინვესტორთა ასეთი ჯგუფები ძირითადად ახორციელებენ ინვესტირებას ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინვესტიციური ინფრასტრუქტურაა, აგრეთვე სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა.

ინვესტორთა მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ტრანსნაციონალური კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და კონკურენტურიანობის შენარჩუნებას. ამ ტიპის ინვესტორებს, პირობითად, შეგვიძლია სტრატეგიული აქტივების მაძიებლები ვუწოდოთ.

მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში უცხოური ინვესტირების როლის შეფასების პრობლემას ხანგრძლივი ისტორია აქვს. განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა ვ. ლეონტიევის კლასიკური დიფერენცირებული მოდელი, რომლის მიხედვით საბაზისო წლის ფაქტობრივი მდგომარეობის მიუხედავად, „გარდატეხის წერტილი ეკონომიკური განვითარების ტემპის მიმართ არ მიიღწევა მანამდე, სანამ მიმღებ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების საშუალო წლიური ზრდის ტემპი არ იქნება დაახლოებით 5% , ხოლო მომდევნო წლებში ინტენსიურად უნდა იზრდებოდეს მისი მოცულობა.”(ლეონტიევი 1990:204-205) საქართველოში კი, უცხოური ინვესტიციების ზრდის საშუალო წლიური მოცულობა 3%-ია მშპ-ს მიმართ (ბოლო წლებში 4.5%-ს მიაღწია).

რეგიონული თვალსაზრისით მუდმივად მძიმე სიტუაციაა და დესტაბილიზაციის მუდმივი საფრთხე საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სექტორს.

საქართველო დღეისათვის იმყოფება თავისი ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე. XX ბოლო ათწლეულის დასაწყისიდან ქვეყანა შიდა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა, რამაც გამოიწვია ეკონომიკის პარალიზება. 2003 წლიდან შექმნილმა დროებითმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ და ეკონომიკურმა პროექტებმა გამოიწვია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ მსოფლიო კრიზისისა და 2007 წლის ნოემბრიდან დაწყებული პოლიტიკური პროცესების ფონზე (შემდგომ რუსეთ-საქართველოს ომი) არაერთი უცხოური ინვესტიცის შეჩერდა. დღეს შექმნილი მდგომარეობიდან საქართველოს წარმატებით გამოყვანის ერთ-ერთ ოპტიმალურ გზად კვლავ რჩება აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც „უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებით მიიღწევა. ამასთან, აუცილებელია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულება და ინვესტიციური პოლიტიკის სრულყოფა.“ (ხარბედია ... 2009:49)

თუმცა პესპექტივებზე მსჯელობამდე აუცილებელია არსებული ვითარების ანალიზი. რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავტორიტეტულ გამოკვლევებს, რადგან საინვესტიციო ბაზარი მარკეტინგული თვალსაზრისით პროფესიული მოთხოვნის სფეროა და ამ შემთხვევაში მოქმედებს შესაბამისი პრინციპები. ანუ ამ კუთხით საქართველოს წარმოჩენისათვის მსოფლიო არენაზე გაცილებით მნიშვნელოვანია რომელიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაკეთებული შეფასებები და დასკვნები, ვიდრე საერთაშორისო ტელეარხებზე შეკვეთილი უამრავი რეკლამა თუ გადაცემა. ინვესტორები, როგორც წესი (თუ შავი ფულის გათეთრებასთან არ გვაქვს საქმე და მსგავსი რესურსების მოზიდვა არც არის სასურველი), არიან მაღალი რანგის პროფესიონალი ბიზნესმენები და მათ მოსაზიდად აუცილებელია სწორედ მსგავსი ავტორიტეტული ორგანიზაციების რეკომენდაციები. ამ მხერივ ერთ-ერთი ყველაზე „კომპეტენტურია“ მსოფლიო ბანკი.

მსოფლიო ბანკის პროექტი „Doing Business“-ი უკვე მეცხრე წელია მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას აფასებს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობის თვალსაზრისით. შეფასებები სრულდება 10 პარამეტრის მიხედვით ცალკეალკე და საბოლოოდ, როგორც კრებსითი შედეგი დგება ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგი ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით. ქვემოთ მოტანილია ცხრილი №2, სადაც ნაჩვენებია საქართველოს მიერ დაკავებული ადგილი, როგორც ცალკეული პოზიციების, ასევე საშედეგო მონაცემების მიხედვით.

საინვესტიციო კლიმატი საქართველოში „Doing Business“-ის მიხედვით&

ცხრილი №2

| წლები პარამეტრების დასახელება | 2010 | 2009 | გაუმჯობესება/ გაუარესება |
|--|-------------|-------------|-------------------------------------|
| ბიზნესის დაწყება | 5 | 5 | 0 |
| სამშენებლო ნებართვის მიღება | 7 | 9 | +2 |
| მუშახელის დაქირავება | 9 | 10 | +1 |
| საკუთრების რეგისტრაცია | 2 | 2 | 0 |
| კრედიტის მიღება | 30 | 27 | -3 |
| ინვესტორების დაცვა | 41 | 38 | -3 |
| საგადასახადო ტერიტორია | 64 | 112 | +58 |
| საზღვარგარეთთან ვაჭრობის სიადგილე | 30 | 85 | +55 |
| კონტრაქტის აღსრულება | 41 | 42 | +1 |
| ბიზნესიდან გასვლა | 95 | 95 | 0 |
| ბიზნესის კეთება (კომპლექსური) | II | 16 | +5 |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეფასებები არ ითვალისწინებს მხოლოდ ბიზნესის დაწყების პარამეტრს, როგორც დღეს ქართულ საექსპორტო სივრცეში ხშირად ისმის, ეს საკითხი მხოლოდ ერთ-ერთია 10 ნომინაციას შორის. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ „Doing Business“-ის გამოკვლევას გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, ის სიტუაციას აფასებს უფრო მეტად ფორმალური კუთხით, ანუ სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ანალიზის ფონზე და ჩრდილში რჩება ქვეყნის შიგნით არსებული არაფორმალური ურთიერთობები და ზოგადი პოლიტიკური ვითარება, რაც ზოგჯერ უფრო მეტ გავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე, ვიდრე საკანონმდებლო სივრცე.

როგორც ვხედავთ, საქართველო, „Doing Business“-ის გამოკვლევების ონაბეჭდ, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით 2009 წელს მსოფლიოში მე-16 ადგილზე გავიდა, ხოლო 2010 წელს მე-11-ზე. ეს უდავოდ დადებითი ფაქტია და ალბათ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რის გამოც საქართველოში 2008 წლის ორმაგი უმძიმესი კრიზისის შემდეგ (თუმცა, მკვეთრად შემცირებული ტემპებით), მაინც გაგრძელდა უცხოური ინვესტიციების შემოსვლა. აქვე უნდა აღინიშნოს იმ მიმართულებების შესახებაც, სადაც საქართველომ უნდა გამოასწოროს მდგომარეობა. მაგალითად, ჩვენი ქვეყანა ინვესტორების დაცვის თვალსაზრისით 41-ე ადგილზე გავიდა 2010 წელს. ეს პოზიცია თავისთავად არ არის საგანგაშო და საკმაოდ კარგ მიღწევადაც შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ცუდია დინამიკა, ამ

მხედრივ 2009 წელთან შედარებით ჩვენ უკან დავიწიეთ სამი ადგილით. ძალიან საგანგაშოა, ბიზნესიდან გასვლის მხედრივ საქართველოს მიერ 2009 და 2010 წლებში დაკავებული 95-ე ადგილი. „ობივატელს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ თუ ინვესტორს ხელოვნური და საკანონმდებლო წინაღობების გამოყენებით „არ გავუშვებო“ ბიზნესიდან, ეს დადებითად აისახება ეკონომიკაში კაპიტალის კონცენტრაციაზე, თუმცა ეკონომიკურ წრეებში საყოველთაოდაა აღიარებული, რომ დარგიდან გასვლის ბარიერები თავის მხედრივ წარმოადგენს დარგში შესვლის ბარიერებსაც, საიდანაც ინვესტიციების გატანა რთულია, იქ არც შესვლისთვის იკლავენ თავს. ამ კუთხით საჭიროა მთელი რიგირ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რაც გაამარტივებს ბიზნესის დახურვას.” (**რამიშვილი 2010:47**)

იგივე მსოფლიო ბანკის IAB (Investing Across Borders) კვლევის თანახმად (87 ქვეყნის შედარება კანონების, რეგულაციების და პრაქტიკის მიხედვით, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ უცხოურ ინვესტიციებზე), აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი ყველაზე ღიაა უცხოური კაპიტალისათვის. რეგიონში მხოლოდ ორი ქვეყანა – საქართველო და მონტენეგრო უშეებს უცხოელი მფლობელობის შესაძლებლობას კვლევით გათვალისწინებულ აბსოლიტურად ყველა სექტორში. საბანკო, სამშენებლო, ჯანდაცვის, სადაზღვევო და ტურიზმის სექტორები რეგიონის ყველა სექტორში ღიაა უცხოელი მფლობელობისათვის. თუმცა მედიისა და ტრანსპორტის სექტორები ამ მხრივ, შეზღუდულია. რეგიონში ყველაზე მეტ შეზღუდვას მედიის უცხოელ მფლობელებზე აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი და უკრაინა აწესებს. აზერბაიჯანში შეზღუდვები ქვანახშირის, გაზისა და ნავთობის სექტორებზეც კოცელდება; სომხეთში – ქვანახშირის, გაზისა და ნავთობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სექტორებზე; რუსეთში – სადაზღვევო, ტრანსპორტისა და მედიის სექტორებზე; თურქეთში – ელექტროენერგიის, ტრანსპორტისა და მედიის სექტორებზე.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში უცხოელი კომპანიები მიწის იჯარით აღებაზე უფრო ხშირად მიწის ნაკვეთს პირდაპირ ყიდულობენ. ყირგიზეთის რესპუბლიკის გარდა, რეგიონის ყველა ქვეყანაში უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია რეგიონის მასშტაბით საშუალოდ ხელმისაწვდომია. თუმცა ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. საქართველოს უშუალო მეზობლების შემთხვევაში, საკუთრების საკითხი ყველაზე ნაკლებად თურქეთშია დაცული, მიწის იჯარით აღების უფლებები – აზერბაიჯანში. ამ


ქვეყნის საჯარო მიწის ნაკვეთებზეც ინფორმაციაც ყველაზე რთულად ხელმისაწვდომია. მიწის ნაკვეთებზე სტატისტიკური ინფორმაციის ყველაზე დიდი ნაკლებობა საქართველოშია. რეგიონის მასშტაბით, მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას კერძო მფლობელისაგან სჭირდება სულ მცირე ერთი კვირიდან (საქართველო) 5 თვემდე (პოლონეთი). სახელმწიფო მიწის დაგირავებას სულ მცირე ორი თვიდან (კოსოვო) თითქმის ერთ წლამდე (ბულგარეთი) უნდა.

ინვესტიციები უზარმაზარ გავლენას ახდენენ ეკონომიკის მდგომარეობაზე, მის განვითარებასა და ზრდის ტემპებზე. ასე თუ ისე, ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ ხელი შევუწყოთ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტირების განხორციელებას, ვინაიდან დღესდღეობით ესაა ჩვენი ქვეყნის აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და დასაწყისისთვის მხოლოდ ამ სფეროს განვითარების შედეგად შეგვიძლია ვისაუბროთ ეკონომიკის, პოლიტიკური მდგომარეობის და ქვეყნის განვითარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამოდენიმე წელი საქართველო მართლაც არ უჩივის ინვესტორებს. განსაკუთრებით უცხოელს, რაც ნამდვილად სასისარულოა ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობაში. არა ერთი უცხოელია დაინტერესებული ჩვენი ტერიტორიული მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით, უნიკალური ნედლეულითა და კლიმატით. დიაგრამა №1-ში მოცემული გვაქს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლების მიხედვით (2004 - 2010წლები). დიაგრამაზე ნათლად ჩანს 2007 წლის შემდგომ განვითარების დაღმასვლა, რაც ორი მიზეზით შეიძლება ავხსნათ. ეს არის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც არა თუ საქართველო, არამედ მაღალგანვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები ჩაითრია საქმაოდ დამღუპველად. მეორე მიზეზი, ეს გახლავთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, რამაც უდიდესი დაღი დაასვა ჩვენს ქვეყანას როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და სოციალურად. მეცნიერ-ეკონომისტებისა და ექსპერტების აზრით, ეკონომიკური პრობლემები ქვეყანას შეექმნა უფრო აგვისტოს საომარი მოქმედებების გამო, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან. გარკვეულ ეტაპზე, ბევრმა უცხოურმა კომპანიამ გააჩერა ინვესტირების განხორცილება საქართველოში. მაგალითად, ყაზახეთმა უარი თქვა ბათუმში ნავთობ-ტერმინალის მშენებლობაზე, თითქოსდა ტერიტორიის უკმარისობის გამო. ასევე ყაზახურმა კომპანიამ ს.ს. “პროდკორპორაცია” უარი თქვა ფოთში მარცვლეულის ტერმინალის მშენებლობაზე.

**საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა (მლნ.
აშშ დოლარი) წლების მიხედვით (2004-2010 წლები)***


დიაგრამა №1.



2009 წელს დაახლოებით 1 900 მილიონამდე ინვესტიციის შემოსვლა იყო მოსალოდნელი, ხოლო ფაქტიური მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ ნაკლები აღოჩნდა.

ბრუნვის მოცულობა სამშენებლო სექტორში 2009წ (მლნ.ლარი)*

დიაგრამა №2.




2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ზიანი მიაყენეს ასევე თვით იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებდნენ ინვესტირებას საქართველოში. ცნობილია, რომ “ენერგო-პრო ჯორჯიამ” რუსული აგრესიის შედეგად 6 მლნ. ლარის ზარალი განიცადა. ავიადაბომბვის მსხვერპლი გახდა ასევე ცემენტის კუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქარხანა. შეფერხდა მსოფლიო ქსელის სასტუმროების “კეიმპინსკის” მშენებლობა, რომლისათვისაც 150 მლნ. დოლარის ინვე-

სტიცია იყო გათვალისწინებული. “არსენალის” პროექტის განხორციელება კი რომელიც 2010 წელს უნდა დაწყებულიყო 2 წლით გადავადდა.

კრიზისმა უაღრესად იმოქმედა სამშენებლო სექტორზე, ვინაიდან დეველოპერების 80-90% გაკოტრების საშიშროების წინაშე დადგა. მაგრამ 2009 წლიდან კვლავ მოიკიდა ფეხი და დიაგრამა №2-ზე ნათლად ჩანს ბრუნვის მოცულობის ზრდა.

სამშენებლო სექტორში წინსვლამ მოსახლეობის დასაქმებაზეც იმოქმედა, რაც დიაგრამა №3-ზე ნათლად ჩანს.

დიაგრამა №3. სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2009წ*




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2009 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 759.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდს. ამ წელს ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ქვეყნებია:

1. არაბეთის გაერთ. საემიროები – 162.8 მლნ. დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 22.4%);
2. ეგვიპტე – 161.5 მლნ. დოლარი (22.1%)
3. თურქეთი – 97.9 მლნ. დოლარი (11.8%)
4. პანამა – 74.7 მლნ დოლარი (9.7%)
5. გაერთ. სამეფო – 72.3 მლნ დოლარი (8.4%). (იხ. დიაგრამები №4-5)


**2009 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
ქვეყნების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)***

დიაგრამა №4



2009 წელს განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში ქვეყნების მიხედვით*

დიაგრამა №5.




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2009 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი მრეწველობაზე მოდის.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ დარგში სულ განხორციელდა 204.1 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია რაც მთლიანი ინვესტიციების 26.9% შეადგენს.

განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით მრეწველობის სექტორს მოჰყვება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სადაც საანგარიშო პერიოდში ჩადებული იქნა 153.6 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია (მთლიანი ინვესტიციების 20.2%), სასტუმროები და რესტორნები -134 მლნ აშშ დოლარი (17.7%), უძრავი ქონება - 132 მლნ. აშშ დოლარი (17.4%), მშენებლობა -79.7 მლნ. აშშ დოლარი (10.5%). საბანკო სექტორი -45.3 მლნ. აშშ დოლარი (6%) და სხვა -10.3 მლნ. აშშ დოლარი (1.3%). (იხ. დიაგრამა. №6).

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დარგების მიხედვით 2009 წელი
(პროცენტული გამოსახული)***

დიაგრამა №6.



თუ გადავხედავთ 2010 წლის სტატისტიკურ მონაცემებს, ინვესტიციების განვითარებამ გარკვეულ ეტაპზე იკლო. პირველ კვარტალში 76 მლნ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით განახევრებული მაჩვენებელია. ამ პერიოდისათვის, ოფიციალური სტატისტიკით, ყაზახმა ბიზნესმენმა ქვეყნიდან 14 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია გაიტანა. თუ შევადარებთ საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანში ამ პერიოდში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შესახებ არსებულ მაჩვენებლებს, ვნახავთ რომ ამ 3 ქვეყანაში ყველაზე ცოტა ინვესტიცია სწორედ საქართველოში შემოვიდა. აზერბაიჯანში 2010 წლის პირველ კვარტალში სულ 405.8 მლნ მანათის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც დაახლოებით 494.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხდა სომხეთს, იქ პირველ კვარტალში უცხოური ინვესტიციების

საერთო მოცულობამ 116.9 მლნ დოლარი შეადგინა. 2010 წელს არაბულმა ინვესტიციებმაც სერიოზულად იკლო. აზერბაიჯანში ბრიტანელები, ამერიკელები და იაპონელები ლიდერობენ, საქართველოში კი – არაბები და ოფშორული კომპანიები. ექსპერტთა აზრით ინვესტიციების გადინება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს, რაც კაპიტალის გადინებასთან ერთად სამუშაო აღგილების დაკარგვასაც ნიშნავს.

უმსხვილესი ინვესტორ ქვეყნებიდან გამოიყოფა: თურქეთი – 20.3 მლნ დოლარი (საერთო მოცულობის – 26.8%), ჩეხეთი – 19.8 მლნ დოლარი (საერთო მოცულობის – 26.1%), უგვიპტე – 18 მლნ დოლარი (საერთო მოცულობის – 23.8%), იაპონია – 15.2 მლნ დოლარი (საერთო მოცულობის – 20.7%), დანარჩენი – 2 მლნ დოლარი (საერთო მოცულობის – 2.6%).

ახლა განვიხილოთ აზერბაიჯანის სიტუაცია, სადაც განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობით პირველ ადგილზეა დიდი ბრიტანეთი – 203.1 მლნ მანათი, ანუ დაახლოებით 246.7 მლნ დოლარი, მეორე ადგილი უკავია აშშ-ს – 73.2 მლნ მანათი, ანუ 89.3 მლნ დოლარი, მესამე ადგილზეა იაპონია – 38.3 მლნ მანათი, ანუ დაახლოებით 46.8 მლნ დოლარი, შემდეგ ნორვეგია – 23.8 მლნ მანათი (დაახლოებით 29 მლნ დოლარი), თურქეთი – 18.9 მლნ მანათი (დაახლოებით 23 მლნ დოლარი), კორეა – 8.1 მლნ მანათი (9.9 მლნ დოლარი), რუსეთი – 1.9 მლნ მანათი (2.3 მლნ დოლარი).


ამავე პერიოდში უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობიდან სომხეთში ლიდერი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი გახდა – 51.9 მლნ დოლარი, მას მოჰყვება საფრანგეთი – 33.7 მლნ დოლარი, ჰოლანდია – 31.4 მლნ დოლარი.

თუმცა ცოტათი გაუმჯობესდა ვითარება საქართველოში 2010 წლის მეორე კვარტალში. სულ 197 მილიონი დოლარი ინვესტიცია შემოვიდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 11% ით აღემატება. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: ნიდერლანდები-77 მლნ აშშ დოლარი, აშშ-42 მლნ აშშ დოლარი, დიდი ბრიტანეთი 32 მლნ აშშ დოლარი. იაპონია-18 მლნ აშშ დოლარი და სხვა ქვეყნები 28 მლნ აშშ დოლარი. (იხ. დიაგრამა №7)

ყველაზე მეტი წილი ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სექტორში (53%) და მრეწველობაში (21%) ჩაიდო. შემდეგ 17 და 9 პროცენტით უძრავი ქონება და სხვა სექტორები მოდიან.

უმსხვილესი ინგესტორი ქვეყნები 2010 წლის II კვარტალში (მლნ აშშ დოლარი)*


დიაგრამა №7.



უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინგესტიციები ეკონომიკის სექტორის მიხედვით 2010

წლის II კვარტალში*

დიაგრამა №8




არსებული მონაცემებით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მოცულობამ 2010 წლის მესამე კვარტალში 160 მლნ დოლარი შეადგინა, რაც, 7%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2010 წლის მესამე კვარტალში უცხოურ ინგესტორებს შორის ყველაზე მიმ-

ზიდველი იყო საფინანსო სექტორი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, უძრავი ქონება და ენერგეტიკა.

ქვეყნების მიხედვით პირველი ხუთეული შემდეგნაერად გამოიყურება: აშშ, არაბთა გაერთიანებული ემირატები, უკრაინა, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო (იხ. დიაგრამა №9).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყნების მიხედვით 2010 წელი III კვარტალი (მლნ აშშ დოლარი)*

დიაგრამა №9



მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, რაც უფრო თავისუფალია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო მეტია შანსი რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოვა. ლოგიკურია, რომ მკაცრი კანონები და ხისტი რეგულირება ინვესტიციების შემოსვლას აფერხებს. ამასთანავე, აუცილებელია ქვეყანაში გამართულად ფუნქციონირებდნენ ისეთი ინსიტუტები, როგორებიცაა სასამართლო და საარბიტრაჟო ორგანოები.

2011 წლის პირველი კვარტალში საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ 12,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 10.9%-ით აღემატება. მთლიანი აქტივები 3,8 მლრდ აშშ დოლარია, სადაც 70.7% სარეზერვო აქტივებს უკავია, რაც წინა წლის I კვარტალის მონაცემებს 23.6%-ით აღემატება და მიმდინარე წლის 31 მარტის მდგომარეობით 2.7 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ამავე პერიოდისთვის, მთლიანმა ვალდებულებებმა 16,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი ინ-

კესტორებისადმი ვალდებულებები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8.4%-ით გაიზარდა და 8,0 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

პორტფელის ინვესტიციის ვალდებულებები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32.0%-ით არის გაზრდილი (ძირითადად საქართველოს რკინიგზის მიერ გამოშვებული ევრობონდების ხარჯზე) და 1,2 მლრდ აშშ დოლარს აღემატება. აქედან, 550,6 მლნ აშშ დოლარი სამთავრობო ევრობონდებია. სხვა ინვესტიციები საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 15.4%-ით გაიზარდა და 7,0 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. მათ შორის 5,8 მლრდ აშშ დოლარი სესხებს უჭირავს. 2011 წლის მარტში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეროვნული ბანკის სასესხო ვალდებულებები 0.4%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეულია ძირითადად საკურსო ცვლილებით და 663,0 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. სამთავრობო სექტორის სასესხო ვალდებულებები 23.2%-ით გაიზარდა სავალუტო ფონდის კრედიტების და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ხარჯზე. ამავე პერიოდში, საბანკო სექტორის სასესხო ვალდებულებები 10.0%-ით არის გაზრდილი. აქედან, გრძელვადიანი ვალი 4.3%-ით შემცირდა, ხოლო მოკლევადიანი ვალი 3.9-ჯერ გაიზარდა. გასული წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ, ვალდებულებები ნაღდი ფულის და დეპოზიტების სახით 58.7%-ით გაიზარდა. 2011 წლის მარტის ბოლოსთვის, ეროვნული ბანკის სხვა გრძელვადიანმა ვალდებულებებმა 228,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც განაწილებულ ნასესხობის სპეციალურ უფლებებს წარმოადგენს.

გარდა უშუალოდ საქართველოს მდგომარეობის განხილვისა, სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად, აუცილებელია იმ ქვეყნების მაჩვენებლების ანალიზიც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზების გამო საინტერესოა ჩვენთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ერთ ჯგუფში უნდა განვიხილოთ მეტნაკლებად თანაბარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მქონე სახელმწიფოები, რადგან ამ შემთხვევაში დაახლოებით იდენტური იქნება დაგროვების და მოხმარების პროპორციები. მთლიანად „Doing Business“-ის მიერ საშუალოზე დაბალი შემოსავლების მიხედვით რანგირებულია 54 ქვეყანა, რომელთა ნაციონალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1000-4000 აშშ დოლარია. ცხრილ №3-ში კი ჩვენს მიერ წარმოდგენილია საქართველოსა და იმ სახელმწიფოების მიერ დაკავებული ადგილები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, რომელიც ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრობასთან ერთად გეოგრაფიული მეზობლობის, თუ სხვა მსგავსების მიხედვით საინტერესოა ჩვენი ანალიზისთვის. მაგალითად, ირანის, ერაყის და სირიის მაჩვენებლები ცხრილში მოვახვე-

დრეთ რეგიონული პრინციპით, ხოლო ალბანეთი იმიტომ, რომ საქართველოსთან მსგავსი ზოგიერთი პარამეტრიც გააჩნია და ამავე დროს მდებარეობს სტაბილურ რეგიონში (ჩვენთვის საინტერესო იყო ყოველი ეს ფაქტორი რა გავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვაზე).

**საინვესტიციო კლიმატი საქართველოში და ზოგიერთ შესაბირისპირებელ
ქვეყანაში,,Doing Business“-ის მიხედვით ცხრილი №3&**

| ქვეყანა | რანგირების მიმართულებები და ქვეყნების მიერ დაკავებული აღიალი | | | | | | | | | | |
|-------------|--|-----------------------------|---------------------|-------------------------|-----------------|---------------------|--------------------|--------------------------|--------------------|---------------------|-------------------|
| | პირების რიცხვი დაზღვეული აღმნიშვნი | სამშენებლო ნებაძრის მოწვევა | მუშახლის დაკავებული | საკუთრებული რეგისტრაცია | პროცესის მიზანი | ინვესტიციების დაცვა | საბოლოო გადასახადი | საზოგადოებრივთან გარეობა | კოდექსის მიზანი | კონტაქტის ასერულება | პირების დაზღვეული |
| საქართველო | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 | 14 | 3 | 8 | 22 |
| აზერბაიჯანი | 3 | 2 | 44 | 10 | 4 | 2 | 3 | 27 | 52 | 4 | 17 |
| სომხეთი | 4 | 4 | 16 | 19 | 2 | 8 | 23 | 46 | 29 | 13 | 6 |
| ალბანეთი | 12 | 9 | 50 | 30 | 17 | 2 | 2 | 40 | 13 | 21 | 26 |
| მოლდოვა | 17 | 16 | 45 | 41 | 5 | 20 | 26 | 25 | 40 | 2 | 19 |
| ირანი | 37 | 11 | 39 | 39 | 44 | 28 | 48 | 32 | 38 | 11 | 28 |
| უკრაინა | 41 | 33 | 54 | 27 | 22 | 53 | 29 | 26 | 32 | 50 | 18 |
| სირია | 42 | 32 | 36 | 27 | 22 | 53 | 29 | 26 | 32 | 50 | 18 |
| ერაყი | 45 | 52 | 22 | 18 | 12 | 47 | 29 | 10 | 54 | 37 | 46 |

ცხრილის ანალიზი ერთი საინტერესო ფაქტით უნდა დავიწყოთ, – მსოფლიოს იმ 54 ქვეყანას შორის, რომლების ნაციონალური შემოსავლების მიხედვით „Doing Business“-ის მიერ გაერთიანებულნი არიან ერთ ჯგუფში, ლიდერობს საქართველო, მესამე ადგილზეა სომხეთი, ხოლო მეოთხეზე – აზერბაიჯანი. ეს უდავოდ დადებითი ფაქტია სამხრეთ-კავკასიის სამივე სახელმწიფოსთვის, რადგან ცალკეული ქვეყნის წარმატება ამ მხრივ მხოლოდ აძლიერებს დანარჩენი ორის პოზიციას. რაც შეეხება ჩვენს დიდ მეზობლებს ირანს, უკრაინას, ერაყს და სირიას, მათი პოზიციები ვერ არის სასურველი ამ მაჩვენებლების მიხედვით, რაც სხვადასხვა მოვლენით უნდა აიხსნას. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარ-

მოდგენა შეგვექმნას „Doing Business“-ის მიერ შესრულებული ანალიზის ობიექტურობაში და ამავე დროს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ამ ორგანიზაციის რეიტინგში დაკავებული პოზიცია, აუცილებელია განვახორციელოთ ზემოაღნიშნული და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მონაცემების ურთიერთანალიზი. ეს უკანასკნელი, როგორც აბსოლუტურ, ასევე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წარმოდგენილია ცხრილ №4-ში და ცხრილ №5-ში. ამავე დროს ჩვენ ადარ გავაანალიზებთ ირანის, ერაყისა და სირიის მონაცემებს ამ ქვეყნებში შექმნილი პოლიტიკური თუ სამხედრო მდგომარეობის გამო, რაც განსაკუთრებით არახელსაყრელს ხდის იქ ინვესტიციების განხორციელებას.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აბსოლუტური მაჩვენებლები (ნეტო, მილიონი
აშშ დოლარი) *¹**

ცხრილი №4

| წლები ქვეყნები | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|-------------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|-------|-------|------|
| საქართველო | 243 | 265 | 82 | 131 | 110 | 160 | 335 | 492 | 453 | 1170 | 1750* | 1564 | 764* |
| აზერბაიჯანი | 1115 | 1023 | 510 | 130 | 227 | 1392 | 3285 | 3556 | 1680 | -584 | -4749 | 15 | 473 |
| სომხეთი | 52 | 221 | 122 | 104 | 70 | 111 | 121 | 249 | 239 | 453 | 699 | 935 | 777 |
| მოლდოვა | 79 | 75 | 38 | 127 | 55 | 84 | 74 | 88 | 191 | 233 | 539 | 708 | 86 |
| უკრაინა | 623 | 743 | 496 | 595 | 792 | 693 | 1424 | 1715 | 7808 | 5604 | 9891 | 10913 | 4816 |
| ალბანეთი | 47 | 45 | 41 | 143 | 207 | 135 | 178 | 341 | 262 | 325 | 662 | 973 | 978 |

ცხრილი №4 და ცხრილი №5 მონაცემების ანალიზის დროს რამდენიმე პერიოდის გამოყოფა შეიძლება. პირველ ყოვლისა, ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათში ნათლად იკითხება 1998 და 2008 წლების კრიზისების გავლენა. კერძოდ, 1999 და 2009 წლებში, წინა წელთან შედარებით ყველა ქვეყნაში, გარდა ალბანეთისა და 2009 წელს აზერბაიჯანისა, მკვეთრად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საინტერესოა 1997-2004 წ.წ. პერიოდი, როდესაც ყველა განხილული ქვეყნის მიხედვით, ორივე ცხრილის მაჩვენებლებით უპირობო ლიდერია აზერბაიჯანი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ სახელმწიფოში პირდაპირი უც-

ხოური ინვესტიციების აბსოლუტური მონაცემები. აღნიშნულ პერიოდში ამ მხევრივ ის უსწრებდა უკრაინასაც, რომელიც მასზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დაახლოებით 6-ჯერ მრავალრიცხოვანი იყო.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (ნეტო, მილიონი
აშშ დოლარი) &**

ცხრილი №5

| წლები ქვეყნები | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|-------------------|-------|-------|------|------|------|-------|-------|-------|-------|-------|--------|-------|-------|
| საქართველო | 49.4 | 54.1 | 17.1 | 27.8 | 23.2 | 34.8 | 72.6 | 109.3 | 100.4 | 265.9 | 397.7 | 363.7 | 177.4 |
| აზერბაიჯანი | 142.8 | 129.5 | 63.8 | 16.2 | 27.9 | 169.8 | 400.5 | 428.4 | 200.0 | -68.7 | -552.2 | 1.7 | 53.8 |
| სომხეთი | 16.7 | 71.2 | 39.3 | 33.6 | 22.5 | 35.7 | 39.0 | 79.7 | 77.2 | 146.2 | 225.5 | 301.6 | 250.1 |
| მოლდოვა | 18.7 | 18.0 | 9.0 | 31.1 | 13.6 | 21.0 | 18.9 | 22.5 | 50.1 | 61.3 | 145.7 | 191.0 | 23.9 |
| უკრაინა | 12.4 | 14.8 | 10.0 | 12.1 | 16.3 | 14.4 | 29.8 | 36.1 | 465.8 | 119.8 | 212.7 | 235.7 | 104.7 |
| ალბანეთი | 15.3 | 14.5 | 13.3 | 46.1 | 66.8 | 43.5 | 57.4 | 110.0 | 64.7 | 104.8 | 213.5 | 313.8 | 315.4 |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციების, როგორც აბსოლუტური, ასევე ერთ სულ მოსახლეზე არსებული მონაცემები 2006-2007 წლებში უარყოფითი ციფრითაა გამოსახული, ხოლო 2008 წლისთვის კი მათვენებლები მეტად მცირეა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ წლებში აზერბაიჯანიდან გავიდა ადრე ინვესტირებული კაპიტალი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არც ამ ქვეყნის ცუდი ეკონომიკური პოლიტიკის, არც რაიმე კრიზისის ბრალი, პირიქით, შესაძლოა აზერბაიჯანის ეკონომიკაში გაიზარდა ადგილობრივი ინვესტორების და განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორის აქტივობა, რომლებმაც, როგორც ჩანს, შეიძინეს უცხოური აქტივები. ეს ქვეყანა მძლავრ ეკონომიკურ აღმასვლას განიცდის უკანასკნელ წლებში, რაც, ცხადია, ნახშირბაძების დიდი მარაგებითაა განპირობებული. აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტი დოლარის პარიტეტული მსყიდველობითი ძალის მიხედვით 80 მილიარდ დოლარს შეადგენს და იგი უკვე გვევლინება კაპიტალის ექსპორტიორადაც შესაბამისად მისი მოთხოვნილება უცხოური ინვესტიციების მიმართ აღარ არის მწვავე. ზემოთ აღნიშნულის დასტურია, თუნდაც ის ფაქტორი, რომ აზერბაიჯანმა, ამ ქვეყნის პრეზიდენტის, ილხამ ალიევის განცხადების თანახმად, საქართველოს ეკონომიკაში 3

მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტირება განახორციელდა. ეს, კი, ჩვენს ქვეყანაში განსახილველ პერიოდში შემოსული ინვესტიციების დაახლოებით 40%-ია. ცხრილ №4-ის მონაცემებიდან ერთი ფრიად დამაფიქრებელი ტენდენციაც ჩანს. კერძოდ, განხულულ სამ ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობები მკვეთრად – ორჯერ და მეტად იზრდება 2003 წელს 2002 წელთან შედარებით. მაგალითად, საქართველოში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 109%-ით, აზერბაიჯანში – 136%-ით, ხოლო უკრაინაში კი 105%-ით. უკრაინისა და საქართველოსთვის ეს პერიოდია გარდამტები ინვესტიციების მოზიდვის თავდასაზრისით, ხოლო აზერბაიჯანში უმაღლესი ზრდის ტემპი დაფიქსირდა 2002 წელს 2001 წელთან შედარებით, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა. ამ სამ ქვეყანაში ზრდის მსგავსი სინქრონული ტემპები გამოწვეულია რეგიონისადმი მსოფლიო პოლიტიკური და საფინანსო წრეების დაინტერესებით (რაშიც ცხადია ენერგორესურსების თემა გადამწყვეტია) და ამავე დროს აღნიშნული სახელმწიფოების სწორი ინტეგრაციული პოლიტიკის გატარებით (მაგალითად, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, სუამი, აბრეშუმის გზის პროექტი (ტრასეკა)).

უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებული გააქტიურება განსახილველ სახელმწიფოებში აღინიშნება 2004-2007 წ.წ. (უფრო დეტალურად შეგვიძლია ვისარგებლოთ დანართი №1 და დანართი №2) პერიოდში. აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამონაკლისია მხოლოდ აზერბაიჯანი. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ალბანეთში, რომელიც სამხრეთ ევროპის შუაგულში მდებარეობს მოსალოდნელი ზრდა ინვესტიციების თითქოს არ შეინიშნება. თუმცა, სამაგიეროდ, მისი მდებარეობა გადამწყვეტი აღმოჩნდა 2008 წლის კრიზისისგან გამოწვეული რისკების მინიმიზაციის თვალსაზრისით და 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამ ქვეყანაში არათუ არ შემცირდა, არამედ უმნიშვნელოდ გაიზარდა კიდეც. ამ მხერივ ალბანეთი უდავოდ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე საქართველო, რადგან 2008 წლის მოვლენების მსგავსი კრიზისები ევროპაში არასდროს განვითარდება. სწორედ რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იყო ის მიზეზები, რის გამოც 2009 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახევრდა, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, შექმნილ რთულ ვითარებაში 674 მილიონი დოლარის ინვესტირებაც საკმაოდ დიდ წარმატებად შეიძლება განვიხილოთ.

ქვეყნებში არსებული საინვესტიციო კლიმატის ურთიერთანალიზისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მე-5-ე ცხრილის მაჩვენებლები, რომელშიც მოტა-

ნილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ამ მხერივ 2006-2007 წლებში თვით 2008 წელსაც კი უპირობო ლიდერი იყო საქართველო, თუმცა 2009 წელს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით შემოვიდა 177 დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. ამ წელს აღნიშნული მონაცემის მიხედვით საუკეთესო იყო ალბანეთი.

აქ ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ ერთი დამაფიქრებელი ტენდენცია. გაზრდილი საფრთხის განცდამ, რაც საქართველოს მიმართ 2008 წლის ომის შემდეგ იგრძნობა, შესაძლოა დააფრთხოს ინვესტორები და მათ აირჩიონ ისეთ ქვეყნებში საქმიანობის გაგრძელება, რომლებიც გაცილებით სტაბილურ გარემოში მდებარეობენ. ამ მხერივ ჩვენი უშუალო კონკურენტები არიან ალბანეთი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, აგრეთვე, ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები. იმისათვის, რომ ეს მეტოქეობა საქართველომ დაძლიოს, საჭიროა განსაკუთრებით გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა, აგრეთვე უფრო დია და პროგნოზირებადი გახადოს გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა.

2.3. ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები და სახელმწიფო რეგულირება

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს საკუთრების ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ინვესტიციური საქმიანობის წარმატებული განხორციელებისათვის პირობების შექმნა, აგრეთვე ინვესტორების ინტერესების დაცვა. აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო სტაბილური საინვესტიციო გარემო, რისთვისაც აუცილებელია კრიზისის, ბიუროკრატიზმისა და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა.

იმისათვის, რომ ქვეყანაში ინვესტიციები განვითარდეს, აუცილებელია:

1.შემცირდეს იმ დარგების რაოდენობა, რომლებშიც უცხოელი ინვესტორების საქმიანობა იკრძალება;

2.გამარტივდეს ის მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილს;

3.უცხოელ ინვესტორებს მიეცეს საწარმოთა შექმნის უფლება 100%-იანი მონაწილეობით;

4. შესაძლებელი იყოს საზღვარგარეთ მოგებისა და დივიდენდების გატანა;

5.გამარტივდეს და მოწესრიგდეს უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის პროცედურები;

6.სულ უფრო მეტი რაოდენობით გატარდეს უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები.

და კიდევ ერთი – საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლება - ყველაზე დიდი შედავათია უცხოელი ინვესტორისათვის. ის საზღვარგარეთული საწარმოები, რომლებიც პრივილეგიებით სარგებლობენ, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ საიმპორტო მოსაკრებლისა და ბეგარის გადასახადისაგან საჭირო მასალისა და მოწყობილობების შემოტანის დროს.

საინვესტიციო აქტივობა ქვეყნის განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რომელზეც დამოკიდებულია ეკონომიკაში ზრდის ტემპები და იგი მიიღწევა საინვესტიციო რესურსების ეფექტიანი მობილიზაციისა და გამოყენების გზით. ინვესტიციების საფუძველზე ხდება ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პირობების მიღწევა, სამეწველო პოტენციალის ფორმირება, რაც განაპირობებს კიდევაც ქვეყნის კონკურენტულარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

საინვესტიციო აქტივობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც საინვესტიციო კლიმატის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობის რეალურ განვითარებას, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას და აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარებს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ფორმირების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:

- ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა;
- ქვეყნის საინვესტიციო აქტივობა.

ამასთანავე, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა თავის მხრივ დამოკიდებულია ისეთ სისტემურ მახასიათებლებზე როგორიცაა:

- ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი;
- საინვესტიციო რისკები.

გამოყოფენ საინვესტიციო კლიმატზე მოქმედ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებსაც განეკუთვნება:

- მაკროეკონომიკური ფაქტორები;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი;

- საინვესტიციო პოტენციალი;
- საინვესტიციო-საკრედიტო პოტენციალი;
- ინფრასტრუქტურული პოტენციალი;
- საბაზრო გარემოს ფაქტორები.

საინვესტიციო გარემოს ანალიზის სფეროში განხორციელებული კვლევების პიონერებად პარვარდის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლები ითვლებიან. შეფასების საფუძვლად მათ გამოიყენეს საექსპერტო შკალა, რომელიც შემდეგ მაჩვენებლებს მოიცავს:

- უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები;
- კაპიტალის გატანის შესაძლებლობები;
- ეროვნული ვალუტის მდგრადობა;
- პოლიტიკური ვითარება;
- ინფლაციის დონე;
- ეროვნული კაპიტალის გამოყენება.

საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეგიონებში საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთგავლენის პრობლემის განხილვა, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს რეგიონებზე საინვესტიციო ბაზრების განვითარებას. დღეისთვის არსებობს მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემა, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე და აფერხებს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხო ინვესტორებს საქმიანობის ჩვენს ქვეყანაში წამოწყებასა და განხორციელებაზე. მათ შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი:

- ინსტიტუციური ცვლილების ხარისხი და სიჩქარე;
- მყარი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებაში არსებული სიძნელეები;
- მქნევმენტური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის მკვეთრი დონე;
- დაგროვების არაეფუქტიანი სრუქტურა;
- ადამიანურ კაპიტალსა და ძირითად ფონდებში ინვესტიციების დაბალი დონე;
- რეგიონების მიხედვით მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მაღალი დიფერენციაცია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სიტუ-

აცია, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია, პროგნოზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო. აღნიშნული ფაქტორების თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობების არსებობა წარმოადგენს საფუძველს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, მენეჯმენტური გამოცდილების ამაღლებას, ფინანსირების სტაბილულრი წევაროების წარმოქმნას.

თუმცა უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედებს რიგი უარყოფითი ფაქტორები. მსოფლიო ბანკი გვიჩვენებს, რომ მთავარი ფაქტორები, რაც ნებატიურად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე, ეს არის:

1. პოლიტიკური განუსაზღვრელობა – 28%;
2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა – 23%;
3. გადასახადები – 19%;
4. სამართლებრივი რეგულირება – 10%;
5. კორუფცია – 10%.

მიუხედავად ამისა, ქვეყანას მაინც გარკვეული დადებითი პოტენციალი გააჩნია, რათა დააინტერესოს ინვესტორები, კერძოდ:

- მდიდარი და შედარებით იაფი საკურორტო და ტურისტული რესურსები;
- ცნობილი მინერალური და სამკურნალო წყლების უმდიდრესი მარაგი;
- შედარებით იაფი კვალიფიციური მუშახელი;
- ლიბერალური შრომითი კანონები;
- დინამიკური საბანკო სექტორი;
- საკვები რესურსებისა და არსებობის სიიაფე სხვა ქვეყნებთან შედარებით და ა.შ.

გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინსვლისა თუ განვითარებისათვის ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციები რიგ უარყოფით გავლენას ახდენენ სახელმწიფოზე, ანუ უცხოური ინვესტიციები შეიძლება აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად.

ამრიგად, სახელმწიფოს დონისძიებები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით შეიძლება დაგჭიროთ ორ ჯგუფად:

– პირველს მიეკუთვნება ინფლაციის ტემპების, უცხოური ინვესტიციების რისკების შემცირებაზე მიმართული ქმედებები და გარანტირებული გადახდები საგარეო დავალიანების მიხედვით.

– მეორე ეს არის დონისძიებები, რომლებიც ამცირებენ გადასახადებს და ამარტივებენ საბაჟო პირობებს უცხოელი ინვესტორებისათვის.

აღნიშნული დონისძიებები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და ავსებენ. ამგვარად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საინვესტიციო პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებები, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და ხელს უწყობენ საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესებას მთლიანად ქვეყანაში თუ მის ცალკეულ რეგიონებში.

ინვესტორი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ქვეყანაში არსებული იდეოლოგია და პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა. მნიშვნელოვანი საკითხია საგადასახასო კოდექსის დახვეწა. ინვესტორებისათვის მიუღებელია საგადასახადო და საერთოდ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე. თანაც ეს ცვლილებები ხშირად მარტივ, მაგრამ კარგად შენიდბულ „გამოცანაში” გამოიხატება, მაგალითად, „მიღებული ანაზღაურების შემთხვევაში” როდის არ მოუწევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს გადასახადის წყაროსთან დაკავება, „ერთი შეხედვით შეიძლება იფიქრო, რომ ეს ნორმა მოქმედებს ნებისმიერი „მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში”, მაგრამ ეს ასე სულაც არა.” (**ცინარიძე ... 2011ბ:6**)

უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში ცვლის ადრე არსებულ კონკურენციას. ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა შეიცავს ორ წრეს, შიდა – უშუალოდ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკა, გაჭრობის ლიბერალიზაცია და გარე – მაკროეკონომიკური პოლიტიკა. უცხოური ინვესტიციების შემოდინება დაკავშირებულია სახელმწიფოს სამრეწველო სტრატეგიაზე, როდესაც სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული დარგების, საწარმოების და რაიონების განვითარების გეგმა. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა გამარტივებულიყო საქმიანობის, ლიცენზიების და ნებართვების აღების პროცედურები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შედავათიანი კრედიტის არსებობის აუცილებლობა და სასამართლო სისტემების რეფორმირება.

მიღებულია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ზეგავლენა მიმღები ქვეყნისათვის შემდეგნაირად განისაზღვროს:

-ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა ზრდის კვალობაზე შრომის მწარმოებულობისა და დასაქმების ზრდა;

-მენეჯმენტური და მარკეტინგული მიღწევების დანერგვა და ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლა;

-ეროვნული ფირმებისათვის გასაღების საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების გაფართოება და სხვა.

რაც შეეხება **ნეგატიურ მხარეს** მათ შორის შეიძლება ავღვნიშნოთ:

-მიმღები ქვეყანა კარგავს ეროვნულ წარმოებასა და განვითარების სტრატეგიაზე კონტროლის მექანიზმებს;

-აირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომტანმა ფირმებმა შეიძლება გააძევონ ნაკლებად კონკურენტუნარიანი ეროვნული ფირმები;

-გრძელვადიან პერსპექტივაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანახარჯების ზრდას იწვევს;

-შიდა ბაზარზე იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია;

-ტრანსეროვნული კომპანიების შემოსვლის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება ქვეყნის პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება და ა. შ.

ამგვარად, უცხოური ინვესტიციების სფეროში არსებული პრაქტიკიდან და საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირება მნიშვნელოვანია, ამასთანავე სწორი მიმართულება არ იქნება ოუ ახალი წარმოების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური კაპიტალის იმედზე ვიქნებით. მაგრამ მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება, როგორც განვითარების ფაქტორის – ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი ერთ-ერთი ოპტიმალური პუნქტი, ხელს უწყობს ინვესტიციების შემოტანას. საქართველო არ უნდა დარჩეს მხოლოდ სატრანსპორტო–სატრანზიტო ფუნქციის ანაბარა. აუცილებელია მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში ინვესტიციების მზარდი ტემპით მოზიდვა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე პორთფელური ინვესტიციებიც, რომლის მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარება. საკუთრივ, მის განვითარებას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები: შემოსავლების დაბალი დონე, დაბალი დონის ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის გაუთვითცნობიერება საფონდო სფეროს საკითხებში და ა. შ.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არეგულირებენ საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. „საერთაშორისო დონეზე მათი რეგულირების ძირითადი ფორმაა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები. ისინი შეიძლება იყოს ორმხრივი ან მარავალმხრივი, რომელთა მონაწილეები არიან მთავრობები და ზოგჯერ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიც. ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორმხრივ შეთანხმებებს, რომელთა მთავარი ელემენტებია ორმხრივი თანამშრომლობის ფორმები და ინვესტიციების დაცვის მექანიზმები.“ (ბერკაციშვილი 2006:42)

ამ უკანასკნელს წამყვანი ადგილი უჭირავს შეთანხმებებში, რადგან სწორედ მასშია მოცემული სახსრების გადაგზავნის საშუალებები, არაკომურციული რისკების საწინააღმდეგო გარანტიები და შესაძლო უთანხმოებათა მოგვარების წესი. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მრავალმხრივ ხელშეკრულებებს ძირითადად რეგიონალ დონეზე აფორმებენ. ასეთებია ASEAN-ის საინვესტიციო ზონის, ცენტრალური აზიის ქვეყნების ჯგუფის ურთიერთინვესტიციების სტიმულირებისა და დაცვის (Economic Cooperation Organization), სამხრეთ აფრიკის თანამეგობრობის (SADC) ფინანსებისა და ინვესტიციების შესახებ შეთანხმებები და სხვა. მათში მოცემულია საინვესტიციო პოლიტიკის ზოგადი ამოცანები და გათვალისწინებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეჟიმების შეთანხმების ზომები. ამის პარალელურად, ეროვნულ დონეზე ბევრგან მოქმედებს უცხოურ ინვესტიციათა დაცვის პრინციპი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების ფარგლებში მიღებულ მთელ რიგ კრიტერიუმებს და ქვეყნებს რეკომენდაციებს აძლევენ, რომ ეროვნულ დონეზე დაბანდებებში გამოიყენონ.

საინვესტიციო აქტივობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მშპ-ში მთლიანი დანაზოგების ოპტიმალური ნორმის განსაზღვრა. მთლიანი შიდა პროდუქტის გამოყენების სტრუქტურა ძირითადად შემდეგი ელემენტებისგან შედგება: შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, მთლიან დანაზოგებისა და საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი. ამასთანავე, კონცეფციური მიდგომებით განსაზღვრულია რომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის აუცილებელია დანაზოგების დონის ამაღლება, მაგრამ დანაზოგების დონის გაზრდა აფერხებს სოციალური პრობლემების გადაჭრასა და ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ამგვარად, განსაზღვრულ დონის დანაზოგების დონის ამაღლება იწვევს ეკონო-

მიკური განვითარების დაჩქარებას, ხოლო შემდგომ უკვე საქმე გვაქვს საპირისპირო პროცესთან: ეცემა წარმოების ეფექტიანობა, რაც კლებადი შემოსავლების კანონის მოქმედებით აიხსნება.

საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ პირდაპირი და არაპირდაპირი დონისძიებები. (იხ. ცხრილი №6.)

პირდაპირი რეგულირება გულისხმობს შემდეგ ინსტრუმენტებს:

1. კანონების და შიდა ნორმატიული აქტების მიღება საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ნაწილში.
2. საინვესტიციო საქმიანობის მქონე პირების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა.
3. ხელსაყრელი პირობების შექმნა საინვესტიციო საქმიანობის განვითარებისათვის, რეგიონალური საინვესტიციო პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია.
4. საინვესტიციო პროექტების შემუშავება, დამტკიცება და დაფინანსება ქვეყნის სუბიექტების საბიუჯეტო სახსრებიდან და საინვესტიციო პროექტების კონკურსის წესით შერჩევა.
5. საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად ქვეყნის სუბიექტების საბიუჯეტო საშუალებების კონკურსის საფუძვლებზე მოწყობა.
6. კონტროლი მოლიან გამოყენებულ საშუალებებზე, გამოყოფილი ქვეყნის ბიუჯეტიდან დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე.
7. სახელმწიფო ინვესტიციებით პირდაპირი მართვა და მათში მონაწილეობა.
8. წესრიგის დამყარება და გარანტიების გადაცემაზე შეთანხმება.
9. ლიცენზირების მიმდევრობის მოწესრიგება.
10. სახელმწიფო შეკვეთებით საწარმო-რეციპიენტების ინვესტიციებით პრიორიტეტული უზრუნველყოფა.
11. უძრავ ქონებაზე ფლობის სახელმწიფო რეგისტრაციის რიგითობის მოწესრიგება, გამოყოფა რეგისტრაციაზე გადასახადის ზომისა და უძრავ ქონებაზე დარეგისტრირებული უფლების ინფორმაციის გავრცელება.
12. საინვესტიციო საქმიანობის მქონე სუბიექტების პასუხისმგებლობა კანონის დარღვევაზე, გადახედვა ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობებზე.

**საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები ქვეყნის სუბიექტების
დონეზე**

ცხრილი №6

| სახელმწიფო რეგულინგურებები | რეალიზაციის მექანიზმი | კომენტარები |
|---|---|---|
| ქვეყნის სუბიექტის საინვესტიციო პროგრამები | <ul style="list-style-type: none"> • კანონიერი მხარდაჭერა. • ორგანიზაციული მხარდაჭერა. • ფინანსური მხარდაჭერა. | |
| ქვეყნის სუბიექტის სოც-გარნ. განვითარების გეგმები, ასევე ეკონ. და სოც. ობიექტების გეგმები ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე. | <ul style="list-style-type: none"> • კანონიერი მხარდაჭერა. • ორგანიზაციული მხარდაჭერა. • ფინანსური მხარდაჭერა. | |
| პრიორიტეტული ინვესტიციური პროექტების არსებობა | <ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობა პროექტების შემუშავებაში, დადასტურებასა და ექსპერტიზაში. • ფორმირება პრიორიტეტული ინვესტიციურ პროექტების ჩამონათვალისა. • ფინანსირება (ნაწილობრივ) პრიორიტეტული ინვესტიციური პროექტების. | |
| დახმარება ინვესტიციური ინფორმაციური ინფრასტრუქტურის განვითარებაში | ინოვაციური ცენტრების შექმნა, ინკუბატორების შექმნა მცირე ბიზნესისთვის, საინვესტიციო პროექტების გამოფენების წარმოება ქვეყანაში და საზღვარგარეთ, საინვესტიციო წინადაღებების გამოქვეყნება. | |
| სახელმწიფო გარანტიები ქვეყნის სუბიექტების | <p>სახელმწიფო გარანტიების ფორმები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გარანტია მესამე პირის მიმართ გალდებულების შესრულებაზე; 2. გადასახადი ქვეყნის სუბიექტის ქონებაზე; 3. ქონების გადაცემა განკარგვის უფლებით მესამე პირის სასარგებლოდ; 4. სახელმწიფო გარანტიები ინვესტიციების დასაცავად: <ul style="list-style-type: none"> - გარანტიები იძულებითი ჩამორთმევიდან, სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების არაკანონიერი ქმედებებისგან; - საწყისი პირობების არ გაუარესება 3 წლის განმავლობაში; - გარანტიები შემოსავლების გამოყენებაზე, გაცვლის დაუბრკოლებელი შეზღუდვებით; 5. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებებში სახელმწიფო გარანტიები: <ul style="list-style-type: none"> - ინვესტიციების დაცვა, - ინვესტიციების დაზღვევა; - გარანტიები საწარმოების საქმიანობაზე საკანონმდებლო პირობების არ გაუარესებაზე, რომელიც ფიქსირდება ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. | <p>მიზანშეწონილია დაგენერიკული იქნეს საზღვრები სახელმწიფო გარანტიების მინიჭების შემთხვევებზე. ეს გარანტიები შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ საინვესტიციო პროექტებს და მხოლოდ იმ საინვესტიციო საქმიანობის მქონე სუბიექტებს, რომლებიც არ იმყოფებიან ლიკვიდაციის მდგრმარეობაში.</p> |
| საგადასახადო ლგოტები (პრივილეგიები) | <ul style="list-style-type: none"> • გადასახადი ქონებაზე. • გადასახადი მოგებაზე. • ლიცენზიის გადაცემის თავმოყრა. • მიწაზე გადასახადო. | |
| სოციალური საგადასახადო რეჟიმები | დადგენა საგადასახადო თანხების და ლგოტების ერთობლიობაში. | |
| ფინანსური დახმარება, მიმართული ცალკეული ტერიტორიული სუბიექტების | <p>ფინანსური დახმარება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პირდაპირი ინვესტირება (ქვეყნის სუბიექტის ბიუჯეტის სამუალებების ხარჯზე); 2. გაცემა სუბვენციის, სუბსიდიების, დობაციების, სესხების (ქვეყნის სუბიექტის ბიუჯეტიდან); | |

| | | |
|--|--|--|
| განვითარებაზე ფინანსური დამოტები | <p>3.სგადასახადო დაბრედიტება;</p> <p>4.საინვესტიციო კრედიტები (ქვეყნის სუბიექტის ბიუჯეტის ხარჯზე);</p> <p>ფინანსურ დამოტების განვითარება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1.დაწეარებული ამორტიზაცია; 2.გაცემა სუბსიდიების და გრანტების; 3.ტარიფული ფასდაკლებები; 4.პრიფილეგიური დაზღვევა; 5.საკრედიტო გარანტია; 6.ლგოლტები კრედიტების მიხედვით; 7.პრიფილეგიური გამოსყიდვა დაუმთავრებელი მშენებლობის; 8.გადასახადებისგან გათავისუფლება. | |
| არაფინანსური დამოტები (პრივილეგიები) | <p>პრივილეგირებული თანრიგი ბუნების გამოყენებაზე</p> <ul style="list-style-type: none"> •ლგოლტები ქვეყნის სუბიექტის უძრავი ქონების არენდით აღებაზე საინვესტიციო საქმიანობის შესრულების ნაწილში არენდირებულ ქონებასთან მიმართებაში. •ლგოლტები გადახდის ნაწილში უძრავის ქონების დაკანონებისას და ასევე ინფორმაციის გავრცელება უძრავი ქონების რეგისტრირებულ უფლებაზე. | ჩარჩოები, დადგენილი შესაბამისი ფედერალური კანონებით კანონებით. |
| კონტროლი მთლიან გამოყენებულ საშუალებებზე, გამოყოფილი ქვეყნის ბიუჯეტიდან საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე. | | |
| შეთანხმებული პროცედურების განსორციელებისათვის შემადგენლობისა და ვადების გამოყოფა. | პრაქტიკულ საქმიანობაში დოკუმენტებთან შესაბამისობაში „ერთი ფანჯრის“ პრინციპის გამოყენება. საერთო წესების შექმნა აუცილებელი შეთანხმებულ - თანაწყობილი პროცედურების გასვლისას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთელ ქვეყნის ტერიტორიაზე (მაგალითად, შემუშავება რეგისტრაციის გამარტივებულ უფლებათა ჩამონათვალის უძრავ ქონებაზე). | |
| საკადრო მხარდაჭერა ინვესტიციური ბიზნესის | <ul style="list-style-type: none"> ➤ მენეჯერთა და საჯარო მოხელეთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება. ➤ სამუშაო ხელმძღვანელების სტაჟირების ორგანიზება. ➤ კონსულტაციური ტრენინგების და სემინარების გავლა ქვეყნის წამყვანი და რეგიონალური საკონსულტაციო ორგანიზაციების მოზიდვით. | |
| სახელმწიფო რეგულირების სხვა დონისძიებები საინვესტიციო საქმიანობაში | <p>ორგანიზაციული და უფლებრივი დახმარება</p> <ol style="list-style-type: none"> 1.საინვესტიციო საქმიანობის მქონე სუბიექტების ინფორმაციით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია მსგავსი საქმიანობის შესრულებისათვის; 2.ხელშეწყობა ბიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნაში; 3.ინვესტორებისათვის დახმარების აღმოჩენა შუამდგომლობით, მიმართვით, გამოკითხვით და მათი ურთიერთქმედებით სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიებთან. 4.არენდით აღებაში ხელშეწყობა და მიწის საკუთრებაში გადაცემის მინიჭება; 5.სახელმწიფო საკუთრების ობიექტის ინვესტორის დროებით მმართველობაში გადაცემა; 6.დაუმთავრებელი მშენებლობის ოებიექტების გადაცემა. | |

არაპირდაპირ რეგულირებაში შედის:

1. ქვეყნის სუბიექტების ბიუჯეტი ჩათვლილი საგადასახადო ლგოტების (შეღა-
ვათების) გამოცემა, საგადასახადო წილების, რიგითობის და ვადების გამო-
ყოფა.
2. საინვესტიციო საქმიანობის მქონე სუბიექტებისათვის ინდივიდუალური თვი-
სებების არმქონე სპეციალური საგადასახადო რეჟიმების დადგენა.
3. რიგითობის დადგენა და შეთანხმებები საბიუჯეტო კრედიტების გაცემაში,
სესხებში და შეღავათების განაწილებაში.
4. შეთანხმებები საინვესტიციო საგადასახადო კრედიტების გაცემაზე და რი-
გითობის დადგენა.
5. დახმარების აღმოჩენა ბიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნაში, პირობების
გამოყოფა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, საინვესტიციო საქმიანო-
ბის მქონე სუბიექტებისათვის პრივილეგირებული პირობების გაცნობა მიწის
და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე.
6. გარევაჭრობის საქმიანობაზე კოორდინაცია და საინვესტიციო საქმიანობის
სუბიექტების მიერ კონტროლი მის განხორციელებაზე.

საჭიროა ადინიშნოს, რომ ყველა ნაჩვენები ინსტრუმენტების ჯგუფები მი-
ღებული სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის მართვაში, შეიძლება
ექსტრაპოლირდეს ქვეყნის სუბიექტების მართვის დონეზე.

ექსტრაპოლაციის პროცესი უნდა შეიცავდეს რამდენიმე შეზღუდვას:

-ფორმირება რეგიონალური ნორმატიულ-კანონიერი ბაზის მოცემულ სფუ-
როში და მართვა უნდა იყოს შესაბამისობაში ფედერალურ კანონმდებლობასთან;

-პრაქტიკაში რეგიონალური ინვესტიციური პროგრამები ძირითადად დეტ-
ლურად წარმოადგენს ფედერალურს და მიმართული არიან მათ რეალიზაციაში
რეგიონთა მონაწილეობით;

-ქვეყნის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები შეი-
მუშავებენ საბიუჯეტო ჭრილებს ფედერალური და რეგიონალური მიზნობრივი
პროგრამებისათვის, რომლებიც შესაბამისობაშია ქვეყნის ეკონომიკური განვითა-
რების სამინისტროსთან;

-ინვესტიციური დაფინანსება ქვეყნის სუბიექტების დონეზე ატარებს სო-
ციალურ ხასიათს და დაფუძნებულია მოსახლეობის სოციალური საქმიანობის
უზრუნველყოფის მაჩვენებლების სისტემაზე - სკოლებისადმი, საბავშო ბაღის,
ჯანმრთელობის და კულტურული დაწესებულებებისადმი;

-დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ-მმართველობით ზემოქმედების სისტემას, ანუ ღონისძიებათა სისტემა, მიმართული რეგიონის იმიჯის ამაღლებაზე და ხელშეწყობაზე ადგილობრივი და უცხოელ ინვესტორებს შორის.

რაც შეეხება მიკროდონების რეგულირების მექანიზმებს, ყველა მართული ინსტრუმენტი, რომლებითაც მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები ზემოქმედებენ საინვესტიციო სფეროზე, შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

უფლებრივი ინსტრუმენტები სხვადასხვა სფეროში გვევლინება მნიშვნელოვან საშუალებად საინვესტიციო საქმიანობის მართვის რეალიზაციისას. საკანონმდებლო პროცესისთვის ყველაზე დამახასიათებელია;

1. შემუშავება, მიღება და რეალიზაცია შემდეგი ნორმატიული აქტების:
 - ექსპერტიზისას შერჩევა და მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტის;
 - სტიმულირება საზღვარგარეთული ინვესტიციის მოზიდვაში;
 - უძრავი ქონების ბაზრის რეგულირება;
 - საინვესტიციო ციკლის ადრეულ სტადიაზე მიწის სარგებლობაზე უფლების გადაცემა;
 - მშენებლობაზე და მიწის გამოყენებაზე კანონიერი წესები.

2. ადმინისტრაციულ-ნორმატიული რეგულირება მოიცავს:

- რეგისტრაცია;
- ქვოტების განსაზღვრა;
- ლიცენზირება;
- სანქციების, ჯარიმების და შეზღუდვების განცხადება;
- შემუშავება და დამტკიცება ბრძანებების, ბრძანებულებების და ა.შ.;
- შეთანხმებულ-თანწყობილი პროცედურები;
- მუნიციპალური საკუთრების მართვა;
- დადგენილი ნორმებისა და წესებისადმი კონტროლი.

3. მუნიციპალური საკუთრების მართვის რეალიზაცია შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების მისადაგებით:

- ადგილობრივი ხაზინის ფორმირება (ორგანიზება სახაზინო ბიუჯეტის შესრულების, სახაზინო ქონების გაანგარიშება);
- გამოსაყენებელ ქონებაზე ახალი ფორმების განვითარება (ნდობითი მართვა, იპოთეკა, ლიზინგი და სხვა);
- მუნიციპალური საწარმოებით და ინსტიტუტებით მართვა;

-მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის ინსტრუმენტები (მუნიციპალური საწარმოების აქციონირება 100 %-ით მუნიციპალურ საკუთრებაში, სამუშაოები სუბიექტების საწესდებო კაპიტალში მუნიციპალური შენატანების განხორციელება, მუნიციპალური საკუთრების ობიექტის გაყიდვა კომერციულ კონკურსის საფუძველზე გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების პირობით და სოციალური შეთანხმებით);

-მუნიციპალური ქონების დაზღვევა.

4. მიწის „მშენებლობის” პოლიტიკის სისტემის ინსტრუმენტებს განეკუთვნება დაგეგმარების ინსტრუმენტები; დაბეგვრის ინსტრუმენტები; საბაზრო ინსტრუმენტები (ყიდვა-გაყიდვა); ფინანსური მხარდაჭერა; ადმინისტრაციული ინსტრუმენტები. მუნიციპალური საქმიანობის დონეზე მიწის რესურსებზე მართვისას ყველაზე ადრე ითვალისწინებენ: საკუთრების უფლების გამოყოფა ქალაქის მოწებზე; ტერიტორიული მართვის დონეზე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საქალაქო მიწების საზღვრების გავლება; მიწის საბაზრო ფასიდან გამომდინარე ქალაქის ტერიტორიაზე დიფერენცირებული გადახდის ნორმატივების გამოყოფა; საქალაქო მიწების შეფასება; ქალაქის მიწის საბაზრო ინსფრასტრუქტურის შექმნა.

5. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტები. ამ ჯგუფში ერთიანდება ყველა მოქმედებათა სახე, რომელიც წარმოიქმნება ბიუჯეტის ფორმირება- გამოყენებისას და დაბეგვრის რეჟიმების არსებობისას.

6. შეთანხმებითი რეგულატორები. ამ ტიპის ურთიერთობების საფუძვლად ითვლება შეთანხმება, ორივე მხრიდან მოქმედებათა და პასუხისმგებლობათა სისტემის არსებობით. ერთი ასეთი პროცესის სახეს წარმოადგენს მუდმივ თანამშრომლობითი ურთიერთობის მექანიზმის დანერგვა, ადგილობრივ დონეზე მუშაობით და საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციით (ტერიტორიის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რეგიონალურ ინვესტიციური პროგრამები), საინვესტიციო ვაჭრობები (კონკურსები, აუქციონები) ადგილობრივთა დაფინასნება.

7. მარკეტინგული ინსტრუმენტები იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად:

- ა). საინვესტიციო მარკეტინგი რეალიზდება შემდეგი მიმართულებებით:
- საინვესტიციო პორტფელის ფორმირებით (საინვესტიციო პოლიტიკის აწყობა და საინვესტიციო სტრატეგიის გამოყოფა, რომელიც გამოყოფს სხვადასხვა პრიორიტეტებს ძებნაში და აღნიშნული პროექტების რეალიზაცია მუნიციპალური საქმიანობის და პოტენციური ინვესტორების მონაწილეობით);

- ქალაქის საინვესტიციო პროფილის ფორმირება (ქალაქის მოცემული საინვესტიციო პროექტების ბაზა, ქალაქის საწარმოთა ბაზა, საწარმოთა ექსპორტის რუკა, საინვესტიციო კლიმატი, ქალაქის საინვესტიციო რეიტინგი, საინვესტიციო ინფრასტრუქტურა);
- ინვესტიციების წყაროების ძებნა, შერჩევა და პოტენციური ინვესტიციური პარტნიორების მიზიდვა ქვეყნის შიგნით;
- ინფორმაციის პოტენციურ ინვესტორამდე მიწოდების სისტემის შექმნა, რომლისათვის კომუნიკაციის სხვადასხვა არხები უნდა იქნეს გამოყენებული;
- საინვესტიციო პროგრამის შემუშავების და რეალიზაციისას ინვესტიციის მიმღებთა პოტენციური ზრდა (ადგილობრივი მუშაობა საწარმოებთან, საინვესტიციო წინადაღებების შემუშავება, საინვესტიციო პროექტების შეთავაზება);
- გამოკვლევების წარმოება.

ბ). ტერიტორიის მარკეტინგის ინსტრუმენტები შეიცავენ:

- საინფორმაციო სისტემის შექმნას;
- მრავალფაქტორულ ანალიზს (SWOT ანალიზი, მატრიცული ანალიზი და ა.შ.);
- მუნიციპალური საქმიანობის პროფილირებას და პოზიციონირებას მუდმივი კვლევების საფუძველზე;
- მონიტორინგის ინსტრუმენტებს და განსხვავებული კომუნიკაციის არხების ეფექტურობის შეფასებას;

გ). საინვესტიციო იმიჯის ამაღლების და ზრდის ინსტრუმენტებია:

- კონკურსების წარმოება;
- სტიმულირებითი ფასი;
- რეგიონალური სტიმულირება და ფასდაკლებები;
- პრეს-რელიზის მომზადება და გაურცელება;
- გამოფენების, ბაზრობების, პრეზენტაციების, სემინარების და კონფერენციების ორგანიზება და წარმოება;
- ინტერვიუების და პრესკონფერენციების ორგანიზება, პირადი ურთიერთობები მთელ აუდიტორიასთან;
- პირდაპირი სარეკლამო და PR კამპანიების ორგანიზება და წარმოება სხვადასხვა არხებზე სარეკლამო-საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით (ტელეგიზია, რადიო, პრესა, გარე რეკლამა).

ყველა ინსტრუმენტი საინვესტიციო საქმიანობის მართვისას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართვლობის საშუალებებში შედის უნდა იყოს მიმართული კონკურენტული უპირატესობის გამოყოფასა და ფორმირებაზე. ინვესტიციის პრო-

ცესის თავისებურებათა გათვალისწინებით მის მართვას საფუძვლად უნდა დაედოს არა მარტო ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი ზომების გამოყენება, არამედ იმ ეკონომიკური მოდელების გამოყენებაც, რომლებიც ამა თუ იმ ღონისძიებების აუცილებლობას ასაბუთებენ.

ჩვენი ხელისუფლება მართლაც ყველაფერს აკეთებს, რათა ხელი შეუწყოს და მოიზიდოს ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიცია. იმის გამო, რომ ინვესტორებს საინვესტიციო საქმიანობისას პრობლემები არ შეექმნათ, მათ ვინაობას სამინისტროები არ ახმაურებენ და მიაჩნიათ, რომ ეს ნაბიჯი არაეთიკური იქნებოდა. ასევე იმ ინვესტორებს, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ ახერხებენ სამუშაო პროცედურების დასრულებას, სახელმწიფო ვადის გადავადებას პპირდება, თუმცა ექსპერტების აზრით, ინვესტორის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებას გამოიწვევს.

თავი III. რეგიონალური საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრის მიმართულებები

3.1. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასების მეთოდი საინვესტიციო რისკის გათვალისწინებით

საქართველოში რეგიონული განვითარების დინამიკა და შესაბამისი სამართლებრივი ინიციატივების პერსპექტიულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელმწიფო მისი განვითარების ამ კონკრეტულ უტაკზე, არსებული ალტერნატივებიდან რომელ მიიჩნევს ეფექტურად და პრიორიტეტულად. რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელება შესაძლებელია დაფინანსდეს როგორც სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების (უფრო ზუსტად საინვესტიციო ბიუჯეტის), ასევე კერძო სექტორის მიერ, რომელსაც დღეისათვის ალტერნატივა არ გააჩნია. ამ მხრივ შეგვიძლია მოვიშველით ჩეხეთის მაგალითი, სადაც გაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური სააგენტო – ჩეხინვესტი მოწოდებულია მხარი დაუჭიროს უცხოურ ინვესტიციებს. ანალოგიურად უნგრეთში (მეორე ყველაზე წარმატებული ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში) რეგიონული პილიტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრომ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რეგიონული განვი-

თარების პროგრამ ების განხორციელებაში. მისი მიზანი იყო ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სამუშაო ადგილების შექმნაზე ორიენტირებული ინვესტიციების განხორციელება, კერძო ბიზნესის მხარდაჭერა ჩამორჩენილ რეგიონებში და სხვა. ზემოთქმული ინვაციების კომპლექსური დანერგვა ბუნებრივია შესაძლებელია და მეტად დროულიც საქართველოშიც, რაც წარმოუდგენელია ამათუ იმ რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასების მეთოდების გარეშე.

საინვესტიციო პროცესები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მთავარ ფაქტორს. როგორც ვნახეთ, საინვესტიციო შემადგენელი არის ეკონომიკის რეგულირების ყველა ბაზისური მოდელის ფუძემდებლური ელემენტი (კლასიკური, მონეტარისტული, კეინზიანური). საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ანტიკლური პოლიტიკის ნაწილია, შეიძლება იქცეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების კატალიზატორად.

საბაზო გარდაქმნების დასაწყისში საქონელმწარმოებლების საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს საგადსახადო და საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკამ. საფინანსო-საკრედიტო სისტემამ მიიღო პიპერტროფული განვითარება, საინვესტიციო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი გამორიცხავდა მისი გამოყენების შესაძლებლობას საწარმოო მიზნებისათვის.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა თავისი შინაარსით პოზიტიური კატეგორიაა, ამ მიზიდველობის ჩამოყალიბებაში მონაწილე რისკები კი ნეგატიური. ამიტომ არაკომერციული ინვესტიციური რისკების, როგორც საინვესტიციო მიმზიდველობის კომპლექსური ფაქტორის გათვალისწინების დროს მიზანშეწილია რისკების რიცხობრივი მახასიათებლების გარდასახვა იმ ცნების რიცხობრივ მახასიათებლად, რომელიც თავისი არსით „ინვესტიციური რისკის“ საპიროსპიროა. ამგვარ ცნებას-ინვესტიციური რისკების ცნების ანტონიმს-უნდა ვუწოდოთ „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება ინვესტორისათვის“, „ან უფრო მარტივად, საინვესტიციო უსაფრთხოება. ეს გარდასახვა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ორი კომპლექსური ფაქტორის – საინვესტიციო პოტენციალისა და ინვესტიციური არაკომერციული რისკების – ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული გავლენა საბაზისო მახასიათებელზე – საინვესტიციო მიმზიდველობაზე.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობას განსაზღვრავს საინვესტიციო პოტენციალის მდგომარეობა და ინვესტიციური რისკის დონე. რეგიონში არსებულ საინვესტიციო აქტივობას-სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში საინვესტიციო საქმიანობის რეალურ განვითარებას-ახასიათებს ინვეს-

ტიციების ინტენსიურობა. თავის მხრივ, იგი განისაზღვრება წარსული, მიმდინარე და მომავალი საინვესტიციო აქტივობით. წარსული საინვესტიციო აქტივობა ახასიათებს სისტემებში ადრე დაბანდებული ინვესტიციების ინტენსივობას და საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათი მომავალი შემოსავლიანობა, სავარაუდო კონკურენტების რაოდენობა და კაპიტალის დაბანდებისათვის ყველაზე უფრო მომგებიანო სფერო. მიმდინარე საინვესტიციო აქტივობა განსაზღვრავს სისტემის ეკონომიკური განვითარების დონეს და შესაძლებლობას გვაძლევს მოგახდინოთ დამატებითი დაბანდებების მოცულობებისა და ინვესტიციების მოსალოდნელი შემოსავლიანობის პროგნოზირება, განვსაზღვროთ ბაზარზე ინვესტორის მიერ მომავალში დაკავებული პოზიცია. მომავალი საინვესტიციო აქტივობა ორიენტირია მთელი საინვესტიციო პროცესის დასაგეგმად: დაბანდებათა მომავალი მოცულობების განსაზღვრიდან სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო გარემოს მართვამდე-კაპიტალის სასურველი ნაკადის შემოსავლის მიღწევის მიზნით. საინვეტიციო აქტივობის ამ სამი შემადგენელი კომპონენტის ანალიზი ინფორმაციას აწვდის ინვესტორს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინვესტიციების ბაზარზე კონკურენციის დონის შესახებ, მისი განვითარების ტენდენციებისა და ბაზრის შემცირების დონისძიებების შესახებ.

საქართველოს ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს რეგიონებში საკუთარი რესურსების მობილიზაციის და გარე წყაროების მოზიდვის ქმედითი მექანიზმების არ არსებობა. უაღრესად დაბალია ხარჯების დონე საინვაციო საქმიანობაზე (ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების შეძენაზე მოდის მთელი საინვაციო ხარჯების 2,2%).

ინვესტიციების ინდექსი ძირითად კაპიტალში 2001 წელს შეადგენდა 21%-ს (1990წ.=100%). თუმცა ინვესტიციების მოცულობის შემცირების ფონზე ზოგიერთ რეგიონში შეინიშნება მათი კონცენტრაციის ტენდენცია.

საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანობის საწყის წერტილს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებასთან. საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება გახდეს საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციის დასაწყისი. ქართველი და უცხოელი, კერძო თუ სახელმწიფო პოტენციური ინვესტორები დაინტერესებული არიან მიიღონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ. ასეთი ინფორმაციის შესაქმნელად საინვესტიციო პროექტის იდენტიფიკაციისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

• ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე – შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ-ინვესტორის რანგი (საერთოეროვნული კორპორაცია, რეგიონული კორპორაცია და ა. შ.). ანალიზი შეიძლება ჩატარდეს, როგორც ზოგადად საქართველოს მასშტაბით, ასევე მეზოდონებზე;

• რეგიონის (მეზოდონე) და მისი პოტენციალის დონეზე;

• საწარმოოს - საინვესტიციო პროექტის დონეზე.

პირველი ორი დონის გამოსაკვლევად საინვესტიციო პროექტის შეფასება მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას რეგიონის, საწარმოო სექტორის შესახებ, აგრეთვე რესურსების ანალიზს და წარმოების განვითარების კომპლექსური გეგმის შედგენას. მიკროეკონომიკური მიდგომა, უმთავრესად, მოიცავს მეწარმეების, ინვესტიციების ხელშემწყობი თრგანიზაციების და საფინანსო დაწესებულებების საინვესტიციო იდეების ანალიზს.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მაგალითად, იმპორტი წინა პერიოდში, მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდა) ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

მონაცემები შეიძლება შეიგვსოს ინფორმაციით, რომელიც მოიცავს კონკრეტული პროდუქციის წარმოების მეთოდებს და ტენდეციებს. ეს მნიშვნელოვანია პოტენციური ინვესტორისათვის – რადგანაც მან უნდა შეძლოს შეაფასოს არსებული შესაძლებლობები, მათი სარფიანობა, იმისათვის რომ გადავიდეს პროექტის მომზადების შემდეგ სტადიაზე.

ინფორმაციის რაოდენობრივი შეფასების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევა.

საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევის ფარგლებში ანალიზს უკეთებენ შემდეგ ასპექტებს:

• ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ვარგისია წარმოებისათვის, მაგალითად: ხის მასალა გადამამუშავებელი წარმოებისთვის;

• სოფლის მეურნეობის არსებული სტრუქტურა, როგორც სამრეწველო დარგების საფუძველი, რომლებიც ბაზირდება სოფლის მეურნეობაზე;

•მოთხოვნა გარკვეულ სამომხმარებლო საქონელზე, რომელთა მოხმარება შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის რაოდენობის ან მსყიდველობითი უნარის ზრდით;

- იმპორტი;

•გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები, რომელებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ანალოგიური ეკონომიკური ბაზის, მსგავსი განვითარების დონის და ფინანსური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა რეგიონებსა და ქვეყნებში;

•შესაძლებელი ურთიერთკავშირები ადგილობრივ ან ტრანსნაციონალური მასშტაბის სხვა დარგებთან;

•არსებული წარმოების შესაძლებელი გაფართოება ინტეგრაციის საფუძვლზე, მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობპროდუქტების გამწმენდი წარმოების გაერთიანება;

•შესაძლებელი დივერსიფიკაცია, მაგალითად, ნავთობქიმიური კომპლექსის გარდაქმნა ფარმაცევტიულ წარმოებად;

•არსებული საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებელი გაფართოება ეკონომიის მისაღებად, რაც განპირობებულია წარმოების მასშტაბის ზრდით;

- საერთო საინვესტიციო კლიმატი;

- სახელმწიფოს საწარმოო პოლიტიკა;

- საწარმოო ფაქტორების არსებობა და ლირებულება;

- საექსპორტო შესაძლებლობები.

გარემოებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს საერთო (სექტორული მიდგომა), ან კონკრეტული პროექტის (მიდგომა საწარმოს დონეზე) შესაძლებლობების შესწავლა, ან ორივე ერთად. საერთო შესაძლებლობის გამოკვლევა შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

•რეგიონის გამოკვლევა, იქნება ეს ადმინისტრაციული პროვინცია, ჩამორჩენილი რაიონი, ან პორტის მახლობელი რაიონი;

•საწარმოო გამოკვლევები, მათი დანიშნულებაა გამოავლინონ მოცემული წარმოების დარგის შესაძლებლობები;

•გამოკვლევები, რომელთა დანიშნულებაა გამოავლინონ ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობები, სასოფლო-სამეურნეო ან საწარმოო პროდუქციის შესაქმნელად.

ამგვარად მეზოდონებები ეკონომიკის სუბიექტების შესაძლებლობების და საფინანსო-ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შეფასება შეუძლებელია მათი საინვესტიციო პოტენციალის ანალიზის გარეშე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ეკონომიკის სუბიექტების რესურსების ერთობლიობა მეზოდონებები ხშირად დანაწევრებულია სხვადასხვა წყაროებებისა და შემადგენლობების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ეროვნული ან მეზოდონის საინვესტიციო პროცესების აღწერის დროს არსებობს ტერმინოლოგიური ერთიანობის პრობლემა.

“რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი – ტრანსფორმირებად გარემოში რეგიონის დამოუკიდებელი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ინტეგრაციური მახასიათებელია.” (**რიასკოვი 2000:136**)

საინვესტიციო პოტენციალის შეფასების, ტერიტორიების საინვესტიციო მიმზიდველობის მიხედვით რანჟირების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ხარროდის მოდელის ბაზაზე აგებული ოეორია.

ხარროდის მოდელში პირველად იყო ნაჩვენები ფაქტორული პარამეტრების ურთიერთკავშირი, რომლებიც ახასიათებდნენ განვითარების პოტენციალს შემოსავლების მაჩვენებლებით. მოცემული მოდელის ფარგლებში საწყის ცნებებს წარმოადგენს: „ეკონომიკური შემოსავალი” და „კაპიტალი.“ „ეკონომიკური შემოსავალი” წარმოადგენს სამეწარმეო მომსახურების ღირებულებით გამოხატულებას.

ცნება „კაპიტალი,” რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ხარისხის სირთულის ობიექტების (ქვეყანა, დარგი, რეგიონი, საწარმოო) საინვესტიციო პოტენციალის შედარებითი შეფასების მოდელებში, არის სხვადასხვა ანალიტიკური მიღების შედეგი:

ა) „კაპიტალი” არის განცალკევებული რესურსების ერთობლიობა. ეს უკანასკნელი შედგება ქონების, მოწყობილობის, საბრუნავი სახსრების, საქონლის და შუალედური პროდუქტების მარაგის, აგრეთვე მოხმარების საგნებისაგან, რომლებიც გამოიყენება მოხმარების საგნების და მომსახურების წარმოებისათვის. მთელი ეს განცალკევებული რესურსები იძენენ „ფასეულობას” და წარმოადგენენ საინცესტიციო პოტენციალის სტრუქტურულ ელემენტებს. „საინვესტიციო ფასეულებების” შექმნის ძირითადი ფაქტორია სამეწარმეო უნარი და „ეკონომიკური მინდობილობის” მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური შემოსავლების მიღების შესაძლებლობას (ალბათობას). წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალური რესურსები გადაიქცევა ინვესტიციებად, თუ ისინი უზრუნველყოფენ მოგების მიღების შესაძლებლობას;

ბ) „კაპიტალი” - ეს არის შუალედურ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელთა მთავარი დანიშნულებაა გაზარდონ საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერება;

გ) „კაპიტალი”- ეს არის ყველა კვლავწარმოებული საქონლის ერთობლიობა. „კაპიტალის” ექონომიური არსი იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რას ქმნის იგი, არამედ მის კვლავწარმოებაშია;

დ) „კაპიტალი” არის სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებიც ცვალებად რესურსს აქცევს ეკონომიკურ შემოსავლად. კაპიტალის ღირებულება განაპირობებულია შემოსავლის ღირებულებით („კაპიტალური რესურსები-შემოსავალი-შემოსავლის ღირებულება-კაპიტალის ღირებულება”).

„ქართული პრაქტიკა ადასტურებს, რომ საინვესტიციო პოტენციალის დაცემის პირველ სიგნალს წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული კადრების გადინება. ეს პროცესი ამცირებს ადგილობრივი ბიუჯეტების საგადასახადო ბაზას, რაც განაპირობებს მოსახლეობის რიგი სოციალური ჯგუფების მდგომარეობის გაუარესებას, რომლებიც შემოსავლებს ღებულობენ ბიუჯეტიდან.” (**ლლონტი 2007:135**)

საერთო კეთილდღეობის შემცირებას პრაქტიკულად კაპიტალის გადინება ყოველთვის თან სდევს. ეს კი რეგიონულ პროცესს აძლევს კუმულატურ ხასიათს. აქედან შეიძლება გავაკეთოთ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: რეგიონების ეკონომიკური კეთილდღეობა და ვარდნა არის თვითგანვითარებადი პროცესი, რომელიც აძლიერებს არათანაბარ რეგიონულ განვითარებას.

პრაქტიკისათვის ცნობილია საინვესტიციო კლიმატისა და რისკების ეროვნული რეიტინგები, რომლებიც ცნობილი საექსპერტო სააგენტოების მიერ **Moodys, Standard & Poor, IBCA** პერიოდულად ქვეყნდება მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ჟურნალებში „Euromoney”, „Fortune”, „The Economist”.

საინვესტიციო მიმზიდველობის ინტეგრალური შეფასების სისტემა დაფუძნებულია ორი ზომვადი სიდიდის, ორი ძირითადი მაჩვენებლის ურთიერთკორელაციაზე: საინვესტიციო რისკი და საინვესტიციო პოტენციალი. ამის საშუალებით ერთის მხრივ შესაძლებელია რეგიონში სავარაუდო ბიზნესის მასშტაბების შეფასება, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელია დადგინდეს რამდენად სარისკოა ამ ბიზნესის განვითარება. რისკ-პოტენციალის სიბრტყეში მოცემულია შემდეგი გრადაცია:

პოტენციალი:

მაღალი (ციფრული აღნიშვნა 1),

საშუალო (2),

დაბალი (3).

რისკი:

დაბალი (ანბანური აღნიშნვა A),

საშუალო (B),

მაღალი (C),

ძალიან მაღალი (D).

შესაბამისად ყოველი რეგიონის რეიტინგი აღინიშნება ანბანურ-ციფრობრივი კომბინაციით. ზოგადად აღნიშნული მეთოდიკა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საინვესტიციო კლიმატის შეფასების მეთოდიკა, რომელიც აერთიანებს ქვეყნისა და რეგიონის ობიექტურ შესაძლებლობებს (საინვესტიციო პოტენციალი) და ინვესტორის საქმიანობის პირობებს (საინვესტიციო რისკი).

გასაგებია, თუ რატომ არ არის საკმარისი გადაწყვეტილებების მისაღებად მხოლოდ პოტენციალის, ან მხოლოდ რისკის განხილვა. რეგიონი შეიძლება საუკეთესო იყოს პოტენციალის თვალსაზრისით - მაგალითად, იქ არის ნედლეული, რესურსები ან მოსახლეობაა მდიდარი, მაგრამ თუ პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია, ან გარემო იმდენად დაბინძურებული, რომ კიდევ ერთ ქარხანას მოსახლეობა უბრალოდ ვერ აიტანს, ინვესტიციებზე ცოტანი თუ დათანხმდებიან.

საინვესტიციო პოტენციალი (ტერიტორიის საინვესტიციო ტევადობა) წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელების ობიექტურ წინაპირობათა ჯამს, რომელიც დამოკიდებულია როგორც ინვესტირების ობიექტების, სფეროების არსებობაზე და მრავალფეროვნებაზე, ასევე - მათ ეკონომიკურ ჯანმრთელობაზე.

საინვესტიციო პოტენციალი ითვალისწინებს ძირითადად მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს, ტერიტორიის გაჭერებას წარმოების ფაქტორებით, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნას და სხვა მაჩვენებლებს. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი ყალიბდება რვა კერძო პოტენციალისაგან:

• ნედლეულ-რესურსული (ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეების საბალანსო მარაგით უზრუნველყოფა);

• შრომითი (შრომითი რესურსები და მათი საგანმანათლებლო დონე);

• საწარმოო (რეგიონში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთიანი შედეგი);

- ინოვაციური (რეგიონში მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დონე);
- ინსტიტუციური (საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების ხარისხი);
- ინფრასტრუქტული (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ინფრასტრუქტულული უზრუნველყოფა);
- საფინანსო (საგადასახადო ბაზის მოცულობა და რეგიონის საწარმოების მომგებიანობა);
- სამომხმარებლო (რეგიონის მოსახლეობის ერთობლივი მსყიდველობითი უნარი).

მაშასადამე, საინვესტიციო პოტენციალის შეფასება ეფუძნება მოყვანილი რვა პოტენციალიდან ცალკეულის ეტაპობრივ შეფასებას, ხოლო შემდეგ საინფორმაციო ბაზაზე დაყრდნობით ყალიბდება ერთიანი, ინტეგრალური შეფასება.

საინვესტიციო რისკების განსაზღვრის დროს განსაკუთრებულია გამოვლინდეს ინვესტორების რისკი და რეგიონის რისკი. კონკურენტუნარიანობასთან მომართებაში უფრო მნიშვნელოვანია თავად რეგიონის რისკები ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. რეგიონში შესაძლებელია საინვესტიციო რისკების მართვა, მაგრამ ეს მართვა შეზღუდულია და განისაზღვრება თავად რისკების გაანგარიშებების უტყუარობით. ყველა სახის საინვესტიციო რისკების მართვა შეიძლება განხორციელდეს მისი საკუთარი ხერხების გამოყენებით. მაგალითად, ინვესტიციების პოლიტიკური რისკები რეგიონში ძალიან ძნელად ექვმდებარებიან მართვას, მათი ეკონომიკური დაზღვევა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ, რეგიონის მხოლოდ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს, რომლებიც სპეციალიზირდებიან პოლიტიკური რისკების დაზღვევაზე, შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ამგვარი მართვა. ინვესტიციების ტექნიკური რისკები ყველაზე ადვილად ემორჩილებიან მართვას, რამდენადაც სამეურნეო რეგიონსა და ინვესტორს შორის იდება შესაბამისი ტექნიკური ხელშეკრულება და საინვესტიციო პროექტის ერთ-ერთი მონაწილე სრულად კისრულობს ვალდებულებას ინვესტიციის ტექნიკურ შესრულებაზე, ინვესტიციების კომერციული რისკს რეგიონში თავის თავზე იღებს დამზღვევი რომელიც მოცემულ რეგიონში, ემსახურება მეურნეობრიობას.

რეგიონების რანჟირების აღნიშნული მეთოდიკის მეორე შემადგენელს წარმოადგენს საინვესტიციო რისკის მაჩვენებელი. საინვესტიციო რისკის სიდიდე აჩვენებს ინვესტიციების დანაკარგების და მათგან მოგების მიღების ალბათობას. განიხილება რისკის შემდეგი სახეები:

• ეკონომიკური - ტენდენციები რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. მისი სიდიდის გათვლისას შესაძლებელია „მთლიანი რეგიონული პროდუქტის” (მრა) მაჩვენებლის გამოყენება. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ რეგიონის რისკს ახასიათებს არა თვით მთლიანი რეგიონული პროდუქტი, არამედ მისი სიდიდე, გაანგარიშეული ერთ სულ-მოსახლეზე. მისი შედარება სახელმწიფო ანალოგიურ მაჩვენებელთან საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ რეგიონის მეტ ან ნაკლებ ეკონომიკურ რისკიანობაზე. საერთო-სახელმწიფო მაჩვენებელს თუ ერთის ტოლად ჩავთვლით, შესაძლებელია რეგიონის დონეზე ამ მაჩვენებლის გადახრის ინდექსის და ასეთი პროცენტის (წრფივი და შედარებითი გადახრის) გათვლა და გათვალისწინება. „რეგიონული რისკის გაანგარიშების დროს, მთლიანი რეგიონული პროდუქტის საფუძვლად აღებისას, საჭიროა არა მარტო მისი რეგიონული დონის სახელმწიფოსთან ფარდობის, არამედ მისი შებრუნებული მაჩვენებლის გაანგარიშებაც. ასეთი მიდგომის შედეგად უველა ფაქტორს ერთნაირი მიმართულება მიეცემა, დიდ კოეფიციენტს უნდა შეესაბამებოდეს მეტი რისკი, რადგან ეს უფრო მოსახერხებელი მომავალი მუშაობისათვის და იგი მონაცემების დამუშავების აუცილებელ პირობას წარმოადგენს;”(დაგთაძე ... 2009:146)

• საფინანსო - რეგიონული ბიუჯეტისა და საწარმოების ფინანსების დაბალანსებულობის ხარისხი. იგი ხასიათდება რეგიონული ფინანსური სფეროს მდგომარეობით, რომელიც თავის მხრივ, ფორმირდება ისეთი ფაქტორების ზეგაფლენით, როგორებიცაა: რეგიონის საწარმოთა საქმიანობა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, დაკავშირებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფორმირებასთან. ეს ორი მაჩვენებელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, საუბარია ისეთ კორელაციურ დამოკიდებულებაზე, რომლის დროსაც წყვილადი კორელაციის კოეფიციენტი ტოლია 0.99-ის (თუ გამოვრიცხავთ ზემდგომი ბიუჯეტიდან ტრანსფერებს), რაც მიუთითებს სრულ დამოკიდებულებაზე. ე. ი. მათი ერთდროულად გამოყენება შეუძლებელია, თუმცა ორივე მათგანი ხასიათდება ისეთი შედეგობრივი ხარისხობრივი მაჩვენებლით, როგორიცაა რეგიონული ბიუჯეტის დაბალანსებულობა. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მაჩვენებელი არ არის დაკავშირებული მთლიანი რეგიონული პროდუქტის მაჩვენებელთან. მათ შორის წყვილადი კორელაციის კოეფიციენტი (პირსონის მიხედვით) შეადგენს 0.70-ს;

• პოლიტიკური - არჩევნების შედეგების მიხედვით მოსახლეობის პოლიტიკურ სიმპატიათა განაწილება, ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტულობა. იგი მაშინ იჩენს თავს, როცა მოსახლეობას რაიმე რადიკალური მოსაზრებები

გაუჩნდება. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ნორმალური საარჩევნო სისტემით და კანონმდებლობით, რადიკალური განწყობილებები შეიძლება დემოკრატიულად გადაიფაროს. ამ უკანასკნელთა განწყობა, თავის მხრივ, პოლიტიკური რისკის შემცირებაზე მიუთითებს. მოცემული ორი ფაქტორის ურთიერთზემოქმედება ასახვას პოლიტიკური მოსახლეობის ხელის მაჩვენებელში, როგორიცაა თანაფარდობა დემოკრატი და რადიკალური მოსახლეობის ხელის მორის. სწორედ, მოცემული თანაფარდობა ასახავს და ახასიათებს პოლიტიკურ რისკს. ეს მაჩვენებელი არაა დაკავშირებული არც მთლიან რეგიონულ პროდუქტთან და არც „ბიუჯეტის დაბალანსებულობის“ მაჩვენებელთან, მათი წყვილადი კორელაციის კოეფიციენტები უმნიშვნელოა;

•სოციალური - სოციალური დაძაბულობის დონე. ეს არის სოციალურ დაძაბულობათა (გაფიცვები, მანიფესტაციები, არეულობები და სხვა) წარმოშობის რისკი. რა თქმა უნდა, იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დაბანდების საერთო რისკიანობაზე და მისი გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია. იგი ხასიათდება ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა მოსახლეობის მთლიან მოცულობაში საცხოვრებელ მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეების ხელის მილი, მოცემულ მაჩვენებელს, ზემოთ განხილულ მაჩვენებლებთან ისეთი წყვილადი კორელაციის კოეფიციენტი გააჩნია, რომ მათ შორის არ არის მჭიდრო კაგშირი;

•ეკოლოგიური - გარემოს დაბინძურების დონე, რადიაციულის ჩათვლით. იგი გამოხატავს გარემოს ზედმეტად დაბინძურების ალბათობას და ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევის მოცულობა, წარმოების და მოხმარების ტოქსიკური ნარჩენების წარმოქმნასა და გამოყენებას შორის სხვაობა. პირველი მაჩვენებლის გამოყენება ფაქტიურად შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ მას და მრპ-ს შორის წყვილადი კორელაციის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, რაც მათ შორის პირდაპირ ფუნქციურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

•კრიმინოგენური - რეგიონში დამნაშავეობის დონე, დამნაშავეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ესაა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის, ანუ დანაშაულის ჩადენის ალბათობა. მისი მახასიათებელი მაჩვენებელია რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა 10.0 ათას მოსახლეზე. მოცემული მაჩვენებლის ზემოთ განხილულებთან წყვილადი კორელაციის კოეფიციენტები ისეთია, რომ არც მათ შორის არის მჭიდრო კავშირი;

•საკანონმდებლო - ამა თუ იმ სფეროში ან დარგში ინვესტირების იურიდიული პირობები, წარმოების ცალკეული ფაქტორების გამოყენების წესი. იგი ასახავს სხვადასხვა სფეროებსა თუ დარგებში ინვესტიციების დაცვის, ინვესტიციებისა და წარმოების ფაქტორების გამოყენების იურიდიულ საფუძვლებს. მისი სიდიდის გამოთვლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან გასათვალისწინებელი პირობები მრავალფეროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამ რისკის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც სახელმწიფოს, ასევე რეგიონების დონეზე მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები, აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს საინვესტიციო საქმიანობას ან არაპირდაპირად ქხება მას.

რისკი თითქოს აჯამებს „თამაშის წესებს” საინვესტიციო ბაზარზე. საინვესტიციო პოტენციალისაგან განსხვავებით ბევრი რამ ამ წესებიდან შეიძლება უეცრად შეიცვალოს იმდენად, რამდენადაც იცვლება ადამიანის ხასიათი და აზრი, ამიტომ რისკი თვისობრივი მახასიათებელია.

კანონმდებლობა წარმოადგენს საინვესტიციო რისკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს. რეგიონთაშორისი მიდგომის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონთა უმრავლესობის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს საერთო სახელმწიფო საკანონმდებლო ფონი, რომელიც აწესრიგებს საინვესტიციო საქმიანობას მხოლოდ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. გარდა ამისა კანონმდებლობა, როგორც წესი, არა მარტო გავლენას ახდენს საინვესტიციო რისკის ხარისხზე, არამედ აწესრიგებს ამა თუ იმ სფეროში ან დარგებში ინვესტირების შესაძლებლობებს, განსაზღვრავს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ცალკეული ფაქტორების გამოყენების წესს.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება შეიძლება ავაგოთ შედეგი კლასიფიკაციით:

1A ტიპი - მაქსიმალური შესაძლებლობები მინიმალური რისკის პირობებში.

2A ტიპი - საშუალო შესაძლებლობები მინიმალური რისკის პირობებში.

3A ტიპი - ჯგუფი დაბალი შესაძლებლობებით და მინიმალური რისკით.

1B ტიპი - ჯგუფი მაღალი პოტენციალით და ზომიერი რისკით.

2B ტიპი - ჯგუფი საშუალო პოტენციალით და ზომიერი რისკით.

3B ტიპი - ჯგუფი დაბალი პოტენციალით და ზომიერი რისკით.

3B1 ტიპი - დაქვეითებული პოტენციალი და რისკის ზომიერი ინდექსი.

3B2 ტიპი - რეგიონები უმნიშვნელო პოტენციალით და რისკის ზომიერი ინდექსით.

1C ტიპი - რეგიონების ჯგუფი მაღალი პოტენციალით და მაღალი რისკით.

2C ტიპი - ჯგუფი საშუალო პოტენციალით და მაღალი რისკით.

3C1 და **3C2** ტიპი - რეგიონები დაბალი პოტენციალით და მაღალი რისკით.

3D ტიპი - რეგიონები დაბალი პოტენციალით და ექსტრემალური რისკით.

აღნიშნულ რეგიონებში ჯგუფები 1A და 2A, 1B, 2B შეიძლება განვიხილოთ როგორც პოტენციური „ზრდის პოლუსები”.

საექსპერტო შეფასებები მომავალში პპოვებენ ფართო გავრცელებას. თუმცა რეიტინგების საყოველთაო გამოყენება შექმნის მრავალ პრობლემას მათი უტყუარობის შემოწმებასთან დაკავშირებით, (**როჟკოვი ... 2001:76**) რადგანაც ექსპერტთა შეფასებები სუბიექტურია. მათზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ფაქტორები. ეს კი იწვევს ერთი და იმავე ეკონომიკური ინდიკატორის და მოვლენის სხვადასხვანაირ ინტერპრეტირებას.

დიდი მოცულობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინების შესაძლებლობა წარმოადგენს საექსპერტო მოდელების უმთავრეს ღირსებას. თუმცა ობიექტურობის დონის ამაღლებისათვის საჭიროა მათი შევსება სატატისტიკური მონაცემების სისტემით და გამოთვლებით, რაც შესრულებული იქნება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მეთოდიკის გამოყენებით.

საბიუჯეტო-საფინანსო ფედერალიზმის განვითარების პირობებში იქმნება პირობები პრინციპულად ახალი საინვესტიციო კავშირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის რეალურ ჩართვას კვლავწარმოებით პროცესში.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის სივრცითი და დროითი „გაშლა“ განაპირობებს მისი როგორც სისტემის განხილვას. ამ სისტემის ცალკეულ ელემენტებს შორის კავშირები უნდა იყოს მოწესრიგებული საინვესტიციო პოტენცი-

ალის ეფექტიანი რეალიზების თვალსაზრისით ობიექტების, ფორმების, დონეების და დროის მიხედვით.

ამრიგად, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი (რსპ) წარმოადგენს რიგი პარამეტრების ფუნქციას: წარმოების ფაქტორების არსებობა, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ინსტიტუციალური გარემოს განვითარების მაჩვენებლები და სხვა:

$$\text{რსპ} = f(x_1 + x_2 + x_3 + \dots + x_n).$$

ამასთან, ზემოქმედების ფაქტორები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად:

- პირობით-მუდმივი, რომელთა დონე უცვლელი რჩება ტექნოლოგიებისა და საზოგადროებრივი ურთიერთობების განვითარების მოცემულ დონეზე (ბუნებრივ-კლიმატური, რესურსული, გეოპოლოტიკური და ა.შ.), ანუ მათ ცვლილებებს აქვს გადატანითი ხასიათი;

- ცვლადები, რომლებიც შეიძლება შეიცვალონ ტექნოლოგიების მოცემული დონის ჩარჩოებში. მათი მოძრაობის ხასიათი - უწყვეტია. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ცვალებადი ფაქტორების მაგალითია მოცემულ რეგიონში ინვესტორის საქმიანობის საკანონმდებლო სფერო.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: $\text{რსპ} = \sum \text{პმფ} + \sum \text{ცფ}$, სადაც

პმფ - პირობით-მუდმივი ფაქტორებია;

ცფ - ცვლადი ფაქტორები.

პრაქტიკული გამოთვლებისათვის მიზანშეწონილია შემოვიტანოთ ფაქტორთა ორივე ჯგუფის მნიშვნელობის კოეფიციენტები, რადგანაც მათ შესაძლებელია არ გააჩნდეს ადეკვატური წონის მნიშვნელობები, ანუ:

$$\text{რსპ} = k_1 \sum \text{პმფ} + k_2 \sum \text{ცფ}, \quad \text{თანაც } k_1 + k_2 = 1$$

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი, საინვესტიციო ტევადობის ცნებისაგან განსხვავებით, განსაზღვრავს რეგიონში დაბანდებული ინვესტიციების მაქსიმალურად შესაძლებელ მოცულობას, მიზანშეწონილობის (ეკონომიკური ეფექტიანობის) პირობების გათვალისწინებით.

ამრიგად, დავადგინოთ ცნებათა თანამიმდევრობა: რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი მოიცავს კატეგორიებს - საინვესტიციო მიმზიდველობა, საინვესტიციო კლიმატი, ეკონომიკური პოტენციალი. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ორი ტერმინი - საინვესტიციო და ეკონომიკური პოტენციალი. შეფასების შემთავაზებული მეთოდების ანალიზის დროს, როგორც ეკონომიკური პოტენციალის შემთხვევაში, ისე საინვესტიციოს, შეიძლება შევამჩნიოთ მათი გასაოცარი არა

მხოლოდ კორელაცია, არამედ სინქრონულობაც. თუმცა, გავრცელებული თვალსაზრისით, ეკონომიკური პოტენციალის ცნება მთავარი დომინირებადია ცნებათა იერარქიაში, მაგრამ ჩვენი აზრით ადგილი აქვს შემდეგს: კატეგორიები „საინვესტიციო პოტენციალი“ და „ეკონომიკური პოტენციალი“ სინონიმური ცნებებია და მიეკუთნებიან ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზის განსხვავებულ ასპექტებს. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც კორექტირებულია ზოგადეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. იგი გამოიყენება ეკონომიკური მეცნიერების უფრო ვიწრო სფეროში - საინვესტიციო საქმიანობაში.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ რეგიონების რანჟირება, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის აბსტრაქტული შეფასება არ იქნება დაკავშირებული კონკრეტული დარგის და სამეურნეო სუბიექტის მოთხოვნილებებთან ის სრულყოფილად ვერ ასახავს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის მთელ არსეს და პრაქტიკულ მნიშვნელობას. „ისევე, როგორც ყველა გასაშუალოებული მაჩვენებელი - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის მაჩვენებელი წარმოადგენს მხოლოდ მიახლოებით ორიენტირს, რომელიც მნიშვნელოვანია მაკროდონის პროცესების ეკონომიკური შეფასებისას, და არა მიკროდონის - საწარმოს დონის. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის მაჩვენებელს არ შეუძლია შეაფასოს კონკრეტული დარგის საქმიანობა და კორპორატიული ეფექტიანობა.“**(ლლონტი 2007:143)**

როგორც ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა მეზოეკონომიკის სუბიექტის საინვესტიციო პოტენციალის ცვლადები, როგორც მაკროეკონომიკური გარემოს ელემენტები, დინამიკაში იცვლებიან. აქედან გამომდინარე სუბიექტს თავისი საქმიანობის ძირითადი პარამეტრების შენარჩუნებისა და განვითარების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შეუძლია მონიტორინგის განხორციელება, საინვესტიციო პოტენციალის ცვლილების პროგნოზირება, საქმიანობის დაგეგმვა ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, მაგალითად: პესიმისტური, სტაბილიზაციური, ოპტიმისტური.

თითოეულ სცენარში საინფორმაციო-ანალიტიკურ ბაზას წარმოადგენს მეზოეკონომიკის სუბიექტის საინვესტიციო პოტენციალის მახასიათებელთა ნაკრები. კერძოდ, მაკროეკონომიკურ გარემოში საინვესტიციო საქმიანობის პროგნორების მიზნით შეიძლება შევადგინოთ რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის

ცვლილების ტენდენციების მატრიცა (ცხრილი №7), რომელიც ასახავს მეზოეკონომიკის სუბიექტის რეაქციისა და დონისძიებების რამდენიმე ვარიანტს.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ტენდენციების მატრიცა

ცხრილი №7

| გარემო ტენდენციე- ბი | ეკონომიკუ- რი | სამარ- თლებრივი | ინსტიტუციო- ნალური |
|----------------------------|------------------|--------------------|-----------------------|
| პოზიტიური | +1 | +1 | +1 |
| სტაბილური | 0 | 0 | 0 |
| ნეგატიური | -1 | -1 | -1 |

ზოგადი სახით, მაკროეკონომიკური გარემოს ცვლილების მეტად შესაძლო ინტეგრალური ტენდენცია (T_{Pmax}), შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გაანალიზებულ ტენდენციათა გასაშუალებით:

$$T_{Pmax} = \sum_{i=1}^N (a_i * x_i),$$

სადაც a_i ($\sum a_i = 1$) მაჩვენებლის კუთრი წონაა, როგორც წესი, წონა გამოითვლება ყოველი კონკრეტული ტენდენციის მნიშვნელობის ხარისხის შესაბამისად;

x_i – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ერთ ტენდენციას;

N – მაკროეკონომიკური გარემოს შემადგენელთა რიცხვია.

ზემოთ განხილული შემთხვევისათვის (ცხრილი №7) შესაძლო ინტეგრალურ ტენდენციას აქვს სახე:

$$T_{Pmax} = \sum_{i=1}^3 (a_i * x_i).$$

რეგრესიის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$T_{Pmax}^p = \sum_{i=1}^3 \left(a_i * \sum_{j=1}^{K_i} z_j \right), \text{სადაც}$$

T_{Pmax}^p – ინტეგრალური ტენდენციაა;

$\sum_{j=1}^{K_i} z_j$ – რეგრესიის განტოლება i -ური ტენდენციისათვის;

j – i-ური ტენდენციის რეგრესიის განტოლებაში ნიშნადი პარამეტრების რაოდენობაა.

განვიხილოთ დაწვრილებით რამოდენიმე სასაზღვრო სცენარი.

პესიმისტური სცენარი. პესიმისტური ეწოდება სცენარს, რომლისთვისაც $T_{\text{max}} = -1$, ანუ ეკონომიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ გარემოებას აქვთ ნეგატიური ტენდენცია. პრაქტიკაში, ეს ხშირად ნიშნავს, რომ ეკონომიკურ გარემოში, მაგალითად, მცირდება მოსახლეობის ჯამური მსყიდველობითუნარიანობა, იზრდება წარმოების დანახარჯები; სამართლებრივ გარემოში - დებულობენებ საქმაოდ მკაცრ კანონებს, ილახება აქციონერთა უფლებები, ვიწროვდება ინსტიტუციონალური გარემო. ამ შემთხვევაში, მაგალითად, კორპორაციას შეუძლია დაიწყოს ანგიკრიზისული ღონისძიებების გატარება.

ზომიერად-პესიმისტური სცენარი. ზომიერად პესიმისტური სცენარი მიმდინარეობს მაშინ, როცა ერთ ან ორ გარემოს გააჩნია ნეგატიური ტენდენცია, დანარჩენები კი სტაბილურია, ანუ: $-1 < T_{\text{max}} < -0,3$. პრაქტიკაში, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ეკონომიკურ გარემოში იზრდება ინფლაციის მოლოდინი, მცირდება რეალური მოთხოვნის ინდექსი, სამართლებრივი გარემო არ იცვლება, ინსტიტუციონალურ გარემოში კი, მაგალითად, არსებობს უთანხმოება მომწოდებელთან. ამ სიტუაციაში კორპორაცია ატარებს კერძო ღონისძიებებს თითოეული კონკრეტული მიმართულების შესაბამისად და მათი შედეგების მიხედვით იღებეს გადაწყვეტილებებს ინვესტირების შესახებ.

სტაბილიზაციური სცენარი. სტაბილიზაციური სცენარი ($-0,3 < T_{\text{max}} < 0,3$) მიუთითებს, რომ ნებისმიერ განსახილველ გარემოში არ არსებობს რაიმე სახის ნეგატიური დინამიკა. ეს ნიშნავს, რომ კორპორაციისათვის იქმნება განვითარებისა და ეფექტუანობის ზრდის პირობები. ამიტომ საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ფინანსირების ახალი წყაროების მოზიდვა წარმოების გაფართოების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯების ოპტიმიზაციისათვის.

ზომიერად ოპტიმისტური სცენარი. ეს სცენარი მიმდინარეობს მაშინ, როცა ერთ ან ორ გარემოს აქვს პოზიტიური დინამიკა, დანარჩენი კი, სტაბილურია. მაგალითად, $0,3 < T_{\text{max}} < 1$. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკას გააჩნია ზრდის ტენდენციები, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა იზრდება, დებულობები ახალ კანონებს, რომლებიც ასახავს ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე რეალობებს. ინსტიტუციონალური გარემო სტაბილურია, ანუ ყველა ვალდებულება სრულდება ხელშეკრულებებითა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ასეთ სიტუაციაში კორპორაციას შეუძლია ინვესტორების აგრესიული სტრატეგიის გამოყენება, ცალკეულ გარემობებში პოზიტიური ტენდენციების გამოყენებით შეეცადოს განახორციელოს გარღვევა დანარჩენებში. მაგალითად, კორპორაციას შეუძლია განახორციელოს PR აქციები ინსტიტუციონალური გარემოს ახალ მონაწილეთა (აქციონერები, მომხმარებლები და სხვა) მოზიდვისათვის.

ოპტიმისტური სცენარი. ოპტიმისტური სცენარი, რომელსაც ახასიათებს $T_{P\max} = +1$ თანაფარდობა, მიუთითებს ძალიან ხელსაყრელ კლიმატზე ინვესტიციების განხოციელებისათვის. ამ პირობებში საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები შეიძლება იყოს:

- მართვის ოპტიმიზაცია, მისი მომზადება კორპორაციის შესაძლებელი გაფართოებისათვის;

- ახალი კაპიტალის მოზიდვისათვის ემისიის მომზადება და განთავსება;
- შემოსავლების გადანაწილება საინოვაციო პროცესში.

მაკროგარემოს ცვლილების დინამიკის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ განსაზღვრული ინსტრუმენტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად დავაკვირდეთ ტენდენციებს და მოვახდინოთ სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვარება.

კერძოდ, სამართლებრივი სფეროს მდგომარეობის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სამართლებრივი ველის ეფექტიანობის მაჩვენებელი (მსე). სამართლებრივი გარემოს და საკანონმდებლო წინააღმდეგობების კომპლექსური შეფასება, საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ სამართლებრივი გარემოს მიმდინარე მდგომარეობა.

3.2. საინვესტიციო ბიუჯეტი - რეგიონის მდგრადი განვითარების მთავარი ინსტრუმენტი

ზოგადად - ქვეყნის და კერძოდ - რეგიონული ეკონომიკის მდგრადი განვითარება ნიშნავს ისეთ მდგომარეობაში გადასვლას, როდესაც არსებობს რომელიმე დარგის აღმავლობის არა ცალკეული მაგალითები, არამედ მიიღწევა მთვლი ეკონომიკური სისტემის დინამიური განვითარება. ეკონომიკური განვითარების საყოველთაოდ აღიარებულ ინდიკატორს წარმოადგენს რეალური ინვესტიციები – მათი მოცულობის ზრდა მიუთითებს ეკონომიკურ აღმავლობაზე. რეგიონული საინვესტიციო აქტიურობის ამოცანის გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკაგში-

რებული რეგიონული დაგროვების პროცესის გაფართოებასთან და სამეურნეო სუბიექტების, მოსახლეობის საინვესტიციო აქტიურობის ზრდასთან, აგრეთვე საინვესტიციო პროცესების ეკონომიკურ რეგულირებაში რეგიონულ ადმინისტრაციის როლის გაძლიერებასთან.

„რეგიონული ინვესტიციები წარმოადგენს ცალკეული სამეურნეო, მმართველობითი სუბიექტების და მოსახლეობის საერთო ხარჯებს, კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების ფორმას რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. რეგიონული ინვესტიციების მიზანია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, ხოლო შედეგს წარმოადგენს - წარმოების რეგიონული სტრუქტურის სრულყოფა, რეგიონის ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაში წარმოქმნილი დისპროპორციების დაძლევა, სამეურნეო დამოუკიდებლობის დონის ამაღლება, მდგრადი საფინანსო ბაზის ფორმირება, სოციალური ამოცანების გადაჭრა.” (**ლლონტი ... 2011:135**)

რეგიონული დაგროვების პროცესში იგულისხმება: პირველი, ახალი საწარმოო ფონდების შექმნა ან ძველის რეკონსტრუქცია; მეორე, ფულადი სახსრების (დამატებითი პროდუქტი) განსაზღვრული მასის აუმჯულაცია კაპიტალური სამუშაოების დასაფინანსებლად, დაგროვებით იქმნება ზრდის პოტენციალი.

რეგიონების საინვესტიციო განვითარება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ისინი განსაზღვრავენ კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში ეკონომიკური კონიუქტურის ზოგად და სპეციფიკურ მახასიათებლებს, მაგრამ საბოლოო ჯამში შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება:

1. რეგიონში საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გარე საინვესტიციო რესურსების მოზიდვის სტიმულირება. მათი მიმართვა ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში, რაც უნდა განხორციელდეს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შესაბამისად.

2. საკუთარი საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის მიზნით რეგიონულ ბიუჯეტში საინვესტიციო ხარჯების უზრუნველყოფის დამატებითი საფინანსო არხის – საინვესტიციო ბიუჯეტის - გამოყოფა, რაც უნდა განხორციელდეს საინვესტიციო ბაზრის რეგულირების აქტივიზაციისათვის.

ეკონომიკური ზრდის წყაროთა შორის, ტრადიციული შეხედულებებით, საბიუჯეტო ინვესტიციებს ძალიან უმნიშვნელო როლი ეკუთვნის. დღეს, ჩვენი აზრით, არსებობს ორი დომინირებადი გარემოება, რომლებიც ზრდის საბიუჯეტო ინვესტიციების მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდის წყაროების სტრუქტურაში.

პირველი სახელმწიფომ ვერ “აამოქმედა” საინვესტიციო პროცესის საბაზო მოდელი. რეალური საფინანსო-ეკონომიკური სექტორის მდგომარეობა ისეთია, რომ საწარმოები საკუთარი საშუალებებით (მოგება და ამორტიზაცია) მიმდინარე ეტაპზე და უახლოეს პერიოდშიც ვერ შეძლებენ საერთო კაპიტალური დაბანდებების დაფინანსებას. ინვესტიციების გარე წყაროები - ბანკების, სხვადასხვა ინსტიტუციონალური ინვესტორების (საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები, არასახელმწიფო საპენსიო ფონდები) და მოსახლეობის სახსრები ვერ უზრუნველყოფენ ტრანსფორმაციას. მათ განკარგულებაში არსებული საფინანსო რესურსების ინვესტირება გრძელვადიან პროექტებში არ მოხდება, როგორც მოცემული ინსტიტუტების განუვითარებლობის გამო, ასევე სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის მიმართ უნდობლობის გამო. ასეთ პირობებში სახელმწიფოს ამოცანაა პერსაექტივაში ეკონომიკური მდგრადობის მისაღწევად – უზრუნველყოს საბიუჯეტო ინვესტიციების მოცულობების გაფართოვების ხარჯზე საინვესტიციო პროცესის საბაზო მოდელის თანმიმდევრული ეტაპობრივი დანერგვა, იმისათვის რომ საწარმოებმა და ძირითადმა საინვესტიციო ინსტიტუტებმა შეძლონ ახალ რეჟიმში ფუნქციონირება.

მეორე. არსებობს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაფართოების გლობალური (საერთაშორისო) ტენდენცია. მსოფლიო ბანკის ანგარიშის-„მსოფლიო განვითარების შესახებ - 1997”-თანახმად, სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკურად განვითარებულ ქავენებში შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 50%-ს, და განვითარებადში - დაახლოებით 25%-ს. „ეფექტიანი სახელმწიფო წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური სფეროს მდგრადი განვითარების წინა პირობას... ის იმყოფება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცენტრში, მაგრამ არა როგორც ზრდის უშუალო წყარო, არამედ როგორც პარტნიორი, კატალიზატორი და დამხმარე.”(სახელმწიფო...1997:6) თავის დროზე პ.სამუელსონი აღწერდა ერთობლივი სახელმწიფო ხარჯების ზრდის ისტორიულ ტენდენციას და ახასიათებდა აშშ-ს მთავრობას, როგორც ყველაზე მსხვილ საწარმოს მსოფლიოში. (სამუელსონი 1992: 150) დღეს სახელმწიფო სექტორის წილი კაპიტალდაბანდებების ძირითად კაპიტალში ევროპის კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში შეადგენს 4 %-დან (ლუქსემბურგი) - 35 (საფრანგეთი, პორტუგალია) და 40 პროცენტამდე (საბერძნეთი). (ევროპაშინი 1998:85)

მსოფლიო ბანკის ექსპერტები, ახდენდნენ რა აპელირებას, საბიუჯეტო ფუდერალიზმის ფუძემდებელ პრინციპებთან, განსაზღვრავენ ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ინვესტიციების კომპეტენციის სფეროს. „ ... ადგილობრივმა

მმართველობამ პასუხი უნდა აგოს იმ ინვესტიციებზე, რომლებიც შეესაბამება მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად გაწეულ ხარჯებს (სკოლებზე, საავადმყოფოებზე, გზებზე და რეგიონული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებზე)… გრძელვადიან ინვესტიციებზე დაკისრებული პასუხისმგებლობების გადანაწილების პრინციპი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ხარჯებზე მიმაგრებული პასუხისმგებლობების პრინციპს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საინვესტიციო და მიმდინარე ხარჯების შესაბამისობის „უზრუნველსაყოფად.”(პაპავა 2000:165) მოცემული თეორიული დებულება განსაზღვრავს რეგიონის საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებებს.

დღეს ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ყურადღება გამახვილებულია მიმდინარე ამოცანების გადაჭრაზე და საინვესტიციო პოლიტიკის მიზანია, ძირითადად, რეგიონის მოსახლეობის ცხოველქმედების ხელშემწყობი დარგების განვითარება, რაც გამართლებულია და ეკონომიკურად მიზანშეწონილია. მაგრამ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საინვესტიციო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულების და რეალიზაციის გეგმის შემუშავების გარეშე მნიშვნელოვნად მცირდება საბოლოო შედეგიანობა, რაზეც მეტყველებს საწარმოო პოტენციალის საფინანსო მდგომარეობა, პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოების დინამიკა, სოციალური სფეროს განვითარების დონე. ამიტომ უახლოეს პერსპექტივაში უურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგი სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაზე:

- რეგიონში ძირეული სტრუქტურული დეფორმაციების ლიკვიდაცია, რაც გამოწვეული იყო საქმიანი, მათ შორის საინვესტიციო აქტიურობის დაცემით;
- ბაზარზე გადასვლის არახელსაყრელი სასტარტო პირობების ნებატიური შედეგების ნიველირება;
- არსებული საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ნგრევის შეჩერება;
- ინვესტიციების რეგულირების სახელმწიფო მექანიზმის სრულყოფა საფინანსო რესურსების გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების სტიმულირების და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის მიზნით.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ რეგიონულ-დარგობრივი სპეციალიზაციისათვის საინვესტიციო ხელშემწყობის მიზანშეწონილობა.

რეგიონული ბიუჯეტის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის სტრატეგიული ამოცანების რეალიზაცია ხორციელდება სახელისუფლებო ორგანოების მიერ რეგიონულად დეტერმინირებული მოქმედების საფუძველზე. ეს მოქ-

მედებები არის ინდივიდუალური და განპირობებულია რეგიონული განვითარების პრიორიტეტებით. მაგრამ, მიუხედავად მათი ინდივიდუალურობისა, ყველა ეს მოქმედება უნდა იყოს დასაბუთებული და მათი განხორციელება უნდა მოხდეს ერთიანი ტექნოლოგიით.

საინვესტიციო ბიუჯეტის ფუნქციონირების საერთო ლოგიკური სქემა ემყარება იგივე პრინციპულ ელემენტებს, რაც მიმდინარე ბიუჯეტის: ის უნდა იყოს აუცილებელი და სამართლებრივად უზრუნველყოფილი კონკრეტული მუხლების თვალსაზრისით; მისი მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს რეალური რესურსების მოცულობას; მისი რეალიზაცია უნდა იძლეოდეს მარეგულირებელი ღონისძიებების არჩევის შესაძლებლობას, რომლებიც ადეკვატური იქნება მოცემულ სიტუაციაში და უზრუნველყოფს დაგეგმილი მოქმედებების შესრულების შედეგიანობის ობიექტურ კონტროლს. განვიხილოთ ეს ელემენტები უფრო დაწვრილებით.

საინვესტიციო ბიუჯეტის ფორმირების კონცეფციამ უნდა უზრუნველყოს საინვესტიციო პოლიტიკის ამ ინსტრუმენტის ქმედითუნარიანობა ყველა საბიუჯეტო დონეზე. ამიტომ აუცილებელია მკვეთრად განისაზღვროს: პირველი, იდეოლოგია, რომელსაც ეფუძნება საინვესტიციო ბიუჯეტის ფუნქციონირება, მეორე, - მისი ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა, მესამე, რეგიონული განვითარების პრიორიტეტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეფასება და მათი უზრუნველყოფის შესაძლებლობა საინვესტიციო ბიუჯეტის მეშვეობით.

საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოადგენს რეგიონის საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის შედარებით ახალ ინსტრუმენტს. მიუხედავად, იმისა რომ საბიუჯეტო კანონმდებლობაში ის საქმაოდ დიდი ხნის მანძილზე „ჩაწერილი”, მას ჯერ მინც არ მიუღია სათანადო საკანონმდებლო და საორგანიზაციო-ტექნოლოგიური გაფორმება.

საინვესტიციო ბიუჯეტის განსაკუთრებულ სტატუსს უპირველესად განაპირობებს ის გარემოება, რომ საინვესტიციო ბიუჯეტი არის სახელმწიფო (მუნიციპალური) ორგანოების ხელთ არსებული ბერკეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური განვითარება. მოცემულ შემთხვევაში განვითარება ნიშნავს საგადასახადო პოტენციალის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას, წარმოების ვარდნის შეჩერებას, ე.ი. რეგიონულ ეკონომიკაში შექმნილი დისპროპორციების დაძლევას. ამასთან საინვესტიციო ბიუჯეტის რესურსების მიმოქცევა უფრდნობა მირითადად საბაზრო პრინციპებს, მაშასადამე უნდა უზრუნველყოს გარკვეული კომერციული ეფექტის მიღწევა. აქედან გამომდინარე უნდა გამოვ-

ყოთ რეგიონული განვითარების პრიორიტეტების მხარდაჭერის ორი ჯგუფი (მიმართულება):

1.კრიზისული. რეგიონის ტერიტორიაზე არაჯანსაღი ობიექტების არსებობა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, რომლებიც აფერხებენ რეგიონის ნორმალურ განვითარებას. საინვესტიციო ბიუჯეტის სახსრების გამოყენებას ამ მიზნით არ მოაქვს პირდაპირი კომერციული ეფექტი. მოცემულ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტის საბიუჯეტო ეფექტიანობა განისაზღვრება საბიუჯეტო ხარჯების შემცირებით გრძელვადიან პერსპექტივაში. დასახელებული დისპროპორციების დაძლევა მოგვცემს საშუალებას პერსპექტივაში შევამციროთ დატვირთვა მიმდინარე ბიუჯეტზე.

2.პერსპექტიული (ზრდის წერტილი). პრიორიტეტთა ეს ჯგუფი ითვალისწინებს, რეგიონის განვითარების თვალსაზრისით, წარმოების და საქმიანობის პერსპექტიულ სახეობათა მხარდაჭერას. ამ მიმართულებით საბიუჯეტო ინვესტიციების გამოყენება უზრუნველყოფს დანახარჯების სწრაფ ამოგებას და დაბანდებების მაღალ ეფექტიანობას, აგრეთვე მისცემს იმპულსს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას.

საინვესტიციო ბიუჯეტის კონცეფციის პირველ პრინციპულ მომენტს წარმოადგენს მისი აუცილებლობის დასაბუთება. საინვესტიციო ბიუჯეტის შიდა სტრუქტურა, რომელიც რეგიონის დონეზე ფორმირდება, უნდა დეტალურად გამოსახვდეს რეგიონული ბიუჯეტის საინვესტიციო პროფილს. რეგიონის ეკონომიკური განვითარების წყაროების სტრუქტურაში საინვესტიციო ბიუჯეტის ჩართვის მიზანია არა კერძო ინვესტიციებისთვის კონკურენციის გაწევა, არამედ საწარმოებისა და ინსტიტუციონალური ინვესტორებისათვის საკუთარი სახსრების ნაკლებობის შევსება. საინვესტიციო ბიუჯეტის ფუნქციონირება უნდა დაემორჩილოს რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო მიზნებს. საბიუჯეტო ინვესტირების მექანიზმების ამუშავება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ჩარევა არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელი და უალტერნატივო (საბაზრო კონიუნქტურა არ უწყობს ხელს კერძო ინვესტიციების მოზიდვას, ან არ არსებობს მოცემულ ობიექტებში ინვესტირების საბაზრო მოტივაცია). ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს შეზღუდული ბიუჯეტის საინვესტიციო რესურსების კონცენტრაციას რეგიონის ეკონომიკის მნიშვნელოვან ობიექტებზე. ამიტომ საინვესტიციო ბიუჯეტის სახსრებმა უნდა უზრუნველყოს:

-წარმოების და დარგების მინიმალური განვითარება, რომლებიც საბაზრო კრიტერიუმების თვალსაზრისით არიან არამიმზიდველი, მაგრამ მათი ფუნქციონირება აუცილებელია რეგიონის ეკონომიკისათვის;

- ტექნიკის მიღწევების და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ეფექტს მოგვცემს გარკვეული დროის შემდეგ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა გააჩნია რეგიონული კვლავწარმოების სტრუქტურის სრულყოფისათვის;

- რეგიონში ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება და კვლავწარმოება;

- ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც იმპულსს მისცემენ ახალი მომიჯნავე საწარმოებების შექმნას და კერძო კაპიტალის მოზიდვას (ელექტროენერგეტიკა, საგზაო მშენებლობა, ნედლეულის პირველადი გადამუშავება, იმპორტის შემცვლელი წარმოება).

ამის გარდა საინვესტიციო რეგიონული პროგრამები, რომელთა დაფინანსება ხდება ბიუჯეტიდან, უნდა ითვალისწინებდნენ ადგილობრივი სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ამაღლებას.

საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოადგენს რეგიონში საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს. ამიტომ მისი სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების ფორმირება დაკავშირებულია ამ სფეროში ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის პრობლემასთან. ცენტრმა უნდა განსაზღვროს საინვესტიციო სტრუქტურული პოლიტიკის მთავარი კონტურები და საერთო ნორმები (გადასახადები, სანქციები, შეღავათიანი კრედიტების პირობები, სუბსიდიები, საამორტიზაციო და საბაჟო პოლიტიკა და ა.შ.). რეგიონს კი უნდა მიეცეს უფლება შეიტანოს ამ ნორმებში შეთანხმებული დამატებები და ცვლილებები ტერიტორიის თავისებურებებიდან და საბაზრო გარდაქმნების ტემპებიდან გამომდინარე. ასეთი ფუნქციების გამიჯვნა აუცილებელია საინვესტიციო რესურსების მიზნობრივი გამოყენების და შედეგების კონტროლის უზრუნველსაყოფად.

რეგიონების დონეზე აუცილებელი სტრუქტურული გარდაქმნების პრიორიტეტული მიმართულებები განისაზღვრება მეურნეობის სპეციალიზაციით და არსებული სტრუქტურული დეფორმაციის ხასიათით.

ზემოთ ჩამოყალიბებული დებულებები გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სფეროში ხელისუფლების რეგიონული ორგანოების მოქმედების სფეროები: ა) საინვესტიციო პროცესების მა-

რეგულირებელი კანონმდებლობის მიღება; ბ) ინვესტორებისათვის (საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში) სხვადასხვა შედავათების დაწესება და ფინანსური და არაფინანსური ხასიათის სტიმულების მიცემა; გ) ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საორგანიზაციო სტრუქტურების შექმნა; დ) საქუთარი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად თანხების აკუმულირება. ამ ამოცანების გადაჭრა უშუალოდ აისახება საინვესტიციო ბიუჯეტის სტრუქტურაზე და მისი ფუნქციონირების პირობებზე, აგრეთვე - მთლიანად კონკრეტული რეგიონის საფინანსო პოლიტიკაზე.

მიმდინარე ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის ძირითადი პრინციპი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად) – „ხელშეწყობა”, ე. ი. მიღწეულ დონეზე სოციალურ-სამეურნეო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ობიექტების და ხელშემწყობი დონისძიებების ჩამონათვალი არის შედარებით მუდმივი როგორც შემადგენლობით, ისე ხანგრძლივობით. საინვესტიციო ბიუჯეტის ფორმირების დომინირებადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მის სახელწოდებაში - „განვითარება”, გულისხმობს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის სხვადასხვა შემადგენლების სტრუქტურის შეცვლას. ამიტომ, ამათუ იმ ობიექტის ჩართვას რესურსების მომხმარებელთა რიცხვში წინ უნდა უსწრებდეს დახმარების გამოყოფის დასაბუთება კონკრეტული რეგიონული სიტუაციის სიმწვავის და შინაარსის გათვალისწინებით.

საინვესტიციო ბიუჯეტის ფორმირების დროს, მის ხარჯვით ნაწილში ამათუ იმ მუხლის ჩართვის დროს, აუცილებელია დავადგინით რამდენად უზრუნველყოფილი იქნება ეს ხარჯები შესაბამისი რესურსებით. ასეთი ექსპერტიზა, ჩვენი აზრით, უნდა გახდეს აუცილებელი ტექნოლოგიური პირობა რეგიონული ბიუჯეტის (ან საინვესტიციო ბიუჯეტის) კაპიტალური ხარჯების დაგეგმის პროცესში. ამასთან კონკრეტული დონისძიების რესურსებით უზრუნველყოფის დონე უნდა იყოს მნიშვნელოვანი, სხვანაირად ყოველწლიური საინვესტიციო ბიუჯეტი გადაიქცევა პოლიტიკური დეკლარაციების კრებულად. ამის გარდა, საინვესტიციო ბიუჯეტის შედეგების შესრულების კონტროლის და შეფასების აუცილებლობა მოითხოვს მის სარესურსო უზრუნველყოფას, არა მარტო მიზნობრივი გამოყენების, არამედ კონკრეტული შედეგების მიღების თვალსაზრისითაც.

უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი გადაწყვეტილებების რესურსული უზრუნველყოფა როგორც რეგიონულ (ნაკლებად), ასევე ზოგადსახელმწიფოებრივ (მეტწილად) დონეზე იმ მოცულობისაა, რომ ვერ მოგვცემს კონკრეტულ შედეგს. საუბარია ისეთ შედეგზე, რომელიც შეესაბამება ტერმინებს - „განვითარება”, „გა-

უმჯობესება.” მოცემულ შემთხვევაში ცნებები „კონტროლი” და „შეფასება” მოიცავს მხოლოდ გადაწყვეტილების ფორმალური შესრულების ფაქტს და არა შედეგს.

საინვესტიციო ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედების საშუალებებით წარმოადგენს გაცილებით რთულ წარმონაქმნს, ვიდრე მიმდინარე ბიუჯეტი. პირდაპირი ინვესტიციების გარდა ის შეიცავს საინვესტიციო ბაზრის რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებსაც.

ჩვენ ვთვლით, რომ ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ნებისმიერ გადაწყვეტილებას ეკონომიკური, საბიუჯეტო ან სოციალური პოლიტიკის სფეროში, რომელიც მოიცავს ცნებეს „- განვითარება”, „გაუმჯობესება”, „სტაბილიზაცია”, უნდა გააჩნდეს რაოდენობრივი გამოხატულება საინვესტიციო ბიუჯეტის მუხლებში. მაგალითად, მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები, რომლებსაც აწესებენ ხელისუფლების რეგიონული ორგანოები საინვესტიციო აქტიურობის სტიმულირებისათვის, უნდა იყოს ასახული საინვესტიციო ბიუჯეტის ხარჯების მუხლებში, რადგან ისინი წამოადგენენ საბიუჯეტო რესურსების პირდაპირ დანაკარგებს. ეს აუცილებელია, საგადასახადო პოტენციალის აღეკვატური და მისი საბიუჯეტო რესურსებში რეალიზაციის ხარისხის შეფასებისათვის.

ფართო გაგებით, პირდაპირი და არაპირდაპირი რეგულირების ზომების შეთავსება განისაზღვრება რეგიონის განვითარების დონით (სუსტად განვითარებულებში და „დეპრესიულებში” - პირდაპირი რეგულირება ჭარბობს), საბაზრო ურთიერთობების მიმართ ადაპტაციის დონით (იმ რეგიონებში, სადაც საბაზრო ურთიერთობები მეტწილად დამკვიდრდა ფართოდ გამოიყენება არაპირდაპირი რეგულირება), რეგიონის პრიორიტეტულობის ხარისხით და შესაბამისი ცენტრალიზებული მხარდაჭერით (იქ სადაც ის მეტია - უფრო ფართო პირდაპირი რეგულირების შესაძლებლობები, და პირიქით).

რა თქმა უნდა, დასახული შედეგების მიღწევის, ან რეგიონული განვითარების პრიორიტეტების ცვლილების შემთხვევაში საინვესტიციო ბიუჯეტის როლი და სტრუქტურა შეიცვლება. სიმძიმის ცენტრი შესაბამისად საინვესტიციო პროცესის პირდაპირი რეგულირების მეთოდიდან გადავა არაპირდაპირზე: საგადასახადო შეღავათების მინიჭება, ინვესტიციების დაცვის გარანტია, რეგიონული ადმინისტრაციის მხრიდან საინვესტიციო პროექტების საინფორმაციო ხელშეწყობა (პატრონაჟი).

ზემოთქმული გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას. ისეთ პირობებში, როდესაც ეკონომიკაში საბაზრო საწყისები სუსტია, ინვესტიციების დაფინანსებაში არასახელმწიფო სექტორის წილი უმნიშვნელოა, ხოლო არაპირდაპირი რეგულირების მეთოდები ვერ ახდენს სასურველ ზემოქმედებას საინვესტიციო აქტიურობაზე - ბიუჯეტიდან პირდაპირი ინვესტიციები იძენენ დიდ მნიშვნელობას. საინვესტიციო პროცესის გააქტიურების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად უნდა იქცეს საინვესტიციო ბიუჯეტი.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ცალკეული დარგის პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა, რაც საბოლოოდ იწვევს მოთხოვნას ინვესტიციების განხორციელებაზე. აღნიშნულს ემატება სახელმწიფოს მხრიდან ცალკეული ინფრასტრუქტურის შექმნასა თუ რეაბილიტაციაზე განსახორციელებელი დონისძიებები, რაც მთლიანობაში ზრდის საინვესტიციო საქმიანობის მოცულობას.

სირთულეები, რომლებიც ახლავს ყველა საბიუჯეტო დონეზე საინვესტიციო ბიუჯეტის შესრულებას, განპირობებულია არა იმდენად სახელმწიფო ფინანსების საერთო კრიზისით, რამდენადაც სახელმწიფო პოლიტიკის კონცეპტუალური გაურკვევლობით საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტის – საინვესტიციო ბიუჯეტის ფუნქციონირების სფეროში.

საინვესტიციო ბიუჯეტიდან მიმართული საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვის პირობას წარმოადგენს მიმდინარე და საინვესტიციო ბიუჯეტების ფიზიკური გაყოფა და მათი წარმომქმნელი საფინანსო ნაკადების განცალკევება. აღნიშნული მოთხოვნა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველი, - საინვესტიციო ბიუჯეტის ფარგლებში საფინანსო რესურსების მიმოქცევა ხორციელდება დაბრუნებადობის, ვადიანობის და გადამხდელობის პირობით. რაც განსხვავდება მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტის რესურსების მიმოქცევისაგან, რომელთა განაწილება ხდება დაუბრუნებლობის და უსასყიდლობის საფუძველზე; მეორე, - მიმდინარე ბიუჯეტის შესრულების დროს ლიკვიდურობის შეფერხების შემთხვევაში, ბიუჯეტების ასეთი განაწილება შესაძლებელს გახდის დავიცვათ საინვესტიციო ხარჯები და შევინარჩუნოთ რეგიონში ეკონომიკური ზრდის მოცემული წყარო.

ოპერაციების ეკონომიკური ხასიათის და მათი განხორციელების მიზნების შესაბამისად შეიძლება განვიხილოთ საბიუჯეტო ხარჯების შემდეგი სქემატური გაყოფა. განვიხილავთ ხარჯების სამ ჯგუფს:

-მიმდინარე (საქონლის შეძენა და მომსახურების ანაზღაურება, სუბსიდიფენდი და მიმდინარე ტრანსფერტები);

-კაპიტალური (კაპიტალური დაბანდებები ძირითად ფონდებში, სახელმწიფო მარაგისა და რეზერვის შექმნა, მიწის და სხვა არამატერიალური აქციების შეძენა, კაპიტალური ტრანსფერტები);

-კრედიტები (მართვის სახელმწიფო ორგანოების გადასახდელები, რომლებიც წარმოქმნიან ფინანსურ მოთხოვნებს სხვა ეკონომიკური ერთეულების მომართ, ან იძენენ წილობრივ მონაწილეობას საწარმოს საქციო კაპიტალში).

თავის მხრივ, რეგიონის დონეზე ეკონომიკური კლასიფიკაციის „საინვესტიციო ბიუჯეტის“ ელემენტის ფორმირების ლოგიკა ყალიბდება შემდეგი მოსაზრებების მიხედვით:

- საინვესტიციო ბიუჯეტის სტრუქტურა ყალიბდება რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით (ე. ი. მოცემული რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის პარამეტრების მიხედვით).

- საინვესტიციო ბიუჯეტში ასახული ხარჯები წარმოადგენს რეგიონის ბიუჯეტის საინვესტიციო ხარჯების ყველაზე მობილურ ნაწილს, რადგანაც მათი ფორმირება ხდება რეგიონული განვითარების პრიორიტეტებიდან და მიმართულებებიდან გამომდინარე, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე (ბიუჯეტის დაგეგმის მომენტში და უახლოეს პერსპექტივაში) არის ყველაზე აქტუალური;

- საინვესტიციო ბიუჯეტის საბიუჯეტო კლასიფიკაციამ უნდა უზრუნველყოს მისი მოქნილობა და გაითვალისწინოს მისი სტრუქტურის ცვლილების შესაძლებლობა განვითარების პრიორიტეტების ცვლილების შემთხვევაში.

ამასთან ბიუჯეტის შედგენის ლოგიკამ უნდა ასახოს სამი შემადგენლის ურთიერთკავშირი: ხარჯების მიზანი, ხარჯის ობიექტი (ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ რეგიონული განვითარების პრიორიტეტებს, ხოლო სახსრების მიმღებები ამ შემთხვევაში იქნება ამ პრიორიტეტების რეალიზატორი სუბიექტები, რომლებმაც გაიარეს საკონკურსო შერჩევა) და საბოლოო შედეგი. მაშასადამე, საინვესტიციო ბიუჯეტის შედგენა უნდა მოხდეს პროგრამულ-მიზნობრივ საფუძვლზე.

მიმდინარე და საინვესტიციო ხარჯების ბიუჯეტების გაყოფა (ე.ი. მიმდინარე ბალანსის და კაპიტალური ოპერაციების ბალანსის მიხედვით) გულისხმობს აგრეთვე მიმდინარე და საინვესტიციო შემოსავლების ბიუჯეტების გაყოფასაც.

საქართველოში რეგიონული ბიუჯეტის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი) შემოსავლების ფორმირებისა და გამოყენების თანამედროვე მექა-

ნიზმი საინვესტიციო მიზნებზე საბიუჯეტო სახსრების გამოყენების საშუალებას არ იძლევა. აქ თავს იჩენს მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთი პრინციპის შესრულების მიმართ ორმაგი სტანდარტი, რომლის თანახმადაც ყველა შემოსავლები უნდა ემსახურებოდეს ყველა ხარჯების დაფარვას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინადაღება - შემოსავლების და დეფიციტის დაფინანსების წყაროების მიზნობრივი დაკავშირება გარკვეული სახის შემოსავლებთან - არ ეწინააღმდეგება რეგიონული ბიუჯეტის საერთო ხარჯების დაფარვის პრინციპს, რადგანაც აქ საუბარია სხვადასხვა ეკონომიკური ბუნების მქონე ხარჯების ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

საერთაშორისო საბიუჯეტო პრაქტიკაში ამ გარემომ პპოვა თავისი ასახვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული სახელმწიფო ფინანსების სტანდარტების კლასიფიკაციის პრინციპული სქემა გულისხმობს საერთო შემოსავლების გაყოფას მიმდინარე შემოსავლებზე (მათ შორის საგადასახადო და არასაგადასახადო) და კაპიტალზე ჩატარებული ოპერაციების შედეგად მიღებულ შემოსავლებზე. ამასთან კაპიტალზე ოპერაციების შედეგად მიღებულ შემოსავლებში შედის სხვადასხვა სახის კაპიტალური აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავლები და ნებაყოფლობითი შენატანები კაპიტალდაბანდებებზე არასახელმწიფო წყაროებიდან. ასევე ხდება ტრანსფერების კლასიფიცირება დანიშნულების მიხედვით - მიმდინარე ხარჯები და კაპიტალდაბანდებები. როგორც ცნობილია ოფიციალური ტრანსფერები, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არის უსასყიდლო, დაუბრუნებელი, არააუცილებელი შემოსავლები ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან ან საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან.

ვინაიდან საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოადგენს რეგიონული ბიუჯეტის საინვესტიციო ხარჯების განცალკევებულ ნაწილს, ამიტომ საბიუჯეტო ხარჯების რეალური გამიჯვნის მისაღწევად, აუცილებელია განვსაზღვროთ ზოგადად - კაპიტალური ხარჯების და კერძოდ - საინვესტიციო ბიუჯეტის ხარჯების წყაროები.

რეგიონული ბიუჯეტის საინვესტიციო ხარჯების დასაფინანსებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის საბიუჯეტო შემოსავლები. ოუ შევაფასებთ მათი გამოყენების შესაძლებლობებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

გადასახადები. საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს ბიუჯეტის მიმდინარე გალდებულებების უზრუნველყოფის ყველაზე საიმედო წყაროს. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება საინვესტიციო მიზნებისათვის

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე (საგადასახადო) შემოსავლები გადააჭარბებენ საბიუჯეტო სფეროს მიმდინარე მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში ბიუჯეტის გრძელვადიანი და მიმდინარე მდგრადობის ერთდროულად უზრუნველყოფა შეიძლება გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის აქტუალიზაციით, ანუ ხელისუფლების რეგიონული ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო მიზნებისათვის აწესებენ სხვადასხვა სახის შეღავთებს გადასახადებზე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგადასახადო შემოსავლების თანამედროვე დინამიკა და საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულება ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების 70%-იან დაფინანსებასაც კი. რაც უახლეს პერიოდში გამორიცხავს ამ სახის შემოსავლების გამოყენებას საინვესტიციო ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

არასაგადასახადო შემოსავლები. საბიუჯეტო შემოსავლების მოცემული ჯგუფი მოიცავს მნიშვნელოვან რეზერვებს, რომელთა მობილიზაციამ შეიძლება წარმოქმნას დამატებითი სახსრები, როგორც მიმდინარე, ასევე საინვესტიციო ბიუჯეტებში. საქმე იმაშია, რომ საბიუჯეტო შემოსავლების მოცემული კატეგორია მოიცავს, როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალური ხასიათის ოპერაციებს. საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაციის თანახმად, არასაგადასახადო შემოსავლები მოიცავენ:

- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი;
- სალიცენზიო მოსაკრებელი;
- სახელმწიფოს ქონების (მათ შორის) მიწის იჯარიდან მიღებული შემოსავლები;
- მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლები;
- შემოსავალი არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან;
- სახელმწიფო სესხის, დეპოზიტის, ვექსილის და სხვა სახის პროცენტი (სარგებელი), ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაცემული სახსრებიდან მიღებული პროცენტი;
- ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავალი;
- კლასიფიცირებული სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლები;
- სხვა არასაგადასახადო შემოსავლები.

სახელმწიფო ქონების მართვიდან მიღებული შემოსავლები უნდა ჩაირიცხოს რეგიონულ ბიუჯეტში და შემოსული სახსრები – ინვესტირების ფორმით უნდა მოხმარდეს ამ ობიექტების ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობასა და რეგიონის

სამრეწველო პოტენციალის მოდერნიზაციას. თანხების ასეთი გამოყენება სავსებით შეესაბამება ეფექტურობის მოთხოვნას.

რაც შეეხება პრივატიზაციიდან, ან აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს, თეორიული თვალსაზრისით ამ თანხების გამოყენების განსაკუთრებული წესები არ არსებობს. ჩვენი თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება ამ თანხების ჩადება გრძელვადიან აქტივებში, რაც ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებს საშუალებას მისცემს მიიღონ ამ აქტივებიდან დიდი ხნის განმავლობაში შემოსავლები. მთლიანობაში კი „არასაგადასახადო შემოსავლების“ ჯგუფის კომპონენტებით მიღებული შემოსავლების გამოყენება საინვესტიციო მიზნებისათვის დამოკიდებული იქნება საგადასახადო შემოსავლების დინამიკაზე და მიმდინარე ხარჯების მათ მიერ უზრუნველყოფაზე.

ტრანსფერები. საინვესტიციო ბიუჯეტის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროდ ტრანსფერების გამოყენებას გამორიცხავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ტერიტორიული ბიუჯეტებისათვის გადაცემული ტრანსფერების გაანგარიშების მეთოდიკის ანალიზი, საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ მათ აშკარა არა საინვესტიციო ხასიათზე. ასე, ტრანსფერების გამოყოფისას, ტერიტორიული ბიუჯეტის პროგნოზირებული მინიმალურად აუცილებული ხარჯების შემადგენლობაში არ შედის ხარჯები კაპიტალდაბანდებებზე. ამგვარად, საბიუჯეტო რეგულირება, ტრანსფერების მექანიზმის გამოყენებით, ფაქტიურად ემსახურება რეგიონების მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების დონის გამოთანაბრებას.

ჩვენ ვიზიარებთ პოზიციას, რომ საჭიროა საბიუჯეტო გამოთანაბრების სისტემის დაყოფა - მიმდინარე და კაპიტალურ შემადგენელ ნაწილებად.

ტრანსფერების ზოგადი განმარტება არ გამორიცხავს ცენტრალიზაციის რომელიმე დონეზე (ფედერალურზე ან რეგიონების ჯგუფების დონეზე) სპეციალური ფონდების შექმნას. მათი დანიშნულება იქნება საინვესტიციო საბიუჯეტო რესურსების აკუმულირება იმ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ რეგიონის და რეგიონთა ჯგუფების საკუთარი საფინანსო პოტენციალის განვითარება. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონების ეკონომიკური ურთიერთობების რეგიონთაშორისო ასოციაციების პოტენციალი.

სუბვენციები. ჩვენი აზრით ისინი წარმოადგენენ საბიუჯეტო ურთიერთობების ყველაზე პროგრესულ ელემენტს. სუბვენციის მექანიზმის ისეთი პარამეტრები, როგორიცაა მიზნობრივი დასაბუთებულობა, საინვესტიციო პროექტების ფინანსირებაში რეგიონული მონაწილეობა, მათი რეგიონული შესრულება და აუ-

ცილებელი ანგარიშგება, მთლიანად შეესაბამება საინვესტიციო ბიუჯეტის ფუნქციონირების კონცეფციას. ამავე დროს, თუ მივიღებთ მხედველობაში ცნებების „კაპიტალური ხარჯები” და „საინვესტიციო ბიუჯეტი” ასიმეტრიულობას (ანუ განსხვავებას ზოგადად რეგიონული ბიუჯეტის საინვესტიციო რესურსებისა და კერძოდ, საინვესტიციო ბიუჯეტის რესურსების მიმოქცევას შორის), მიზანშეწყილია განვიხილოთ სუბვენციები როგორც სოციალური ხასიათის საინვესტიციო ხარჯების უზრუნველყოფის წყარო. ესე იგი სუბვენციებით შეიძლება დავაფინანსოთ ის ობიექტები, რომლებიც ქმნიან რეგიონული განვითარების პრიორიტეტთა ჯგუფს, იგივე ეხება ტრანსფერებსაც.

კრედიტები. ეკონომიკური თეორიის თანახმად ნებისმიერს შეუძლია სასესხო საშუალებების გამოყენება (საბანკო კრედიტები, სასესხო ინსტრუმენტების გმისია) საინვესტიციო მიზნებისათვის, რაც განპირობებულია მათი საბაზრო ბუნებით. „სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობა... ეცემა ბიუჯეტში არასამეწარმეო ხასიათის დანახარჯების ზრდასთან ერთად. თუ ასეთი სახის ხარჯების დაფინანსება ხდება სესხებით, მაშინ არა მარტო ფერხდება შემდგომი ზრდის პროცესი, არამედ ხდება სასესხო ფონდის ნაწილის სტერილიზება უკვე მისი გამოყენების სტადიაზე.”(მნაცაკანოვა 1986:15)

საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად მოკლევადიანი საკრედიტო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა დამოკიდებულია დეფიციტის ხასიათსა და სტრუქტურაზე. დაუშვებელია სესხების გამოყენება მიმდინარე ხარჯების მუხლებით შექმნილი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად. ამასთანავე, ცნობილია შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოები იყენებენ მოკლევადიან კრედიტებს თავიანთი ბიუჯეტების ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად. ეს გამართლებულია იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნა სალაროს გარღვევა, რომელიც არ უქმნის საბიუჯეტო მდგრადობას სერიოზულ საფრთხეს. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის პირობებში და ისიც მოცემულ რეგიონის სამეურნეო კონიუნქტურის შესაძლო ცვლილებების ზუსტი პროგნოზირების შემთხვევაში.

ცხრილი №8-ში ზოგადი სახით მოცემულია რეგიონის ბიუჯეტიდან განხორციელებული საინვესტიციო ხარჯების და საინვესტიციო ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების პოტენციური წყაროების ჩამონათვალი.

ვინაიდან საინვესტიციო ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსება ატარებს საკრედიტო ხასიათს, ამიტომ საბიუჯეტო მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა მისი მოცულობის გონივრული განსაზღვრა. რეგიონული ბიუჯეტის და-

გეგმვის და მისი საინვესტიციო შემადგენელის განსაზღვრის დროს ხელისუფლების რეგიონულმა ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ მკაცრი მეთოდოლოგიური მიდგომებით.

საბიუჯეტო რესურსების გამოყენების მიმართულებები

ცხრილი №8

| საბიუჯეტო შემოსავლების სახეები | გამოყენება | | |
|---|----------------------|-----------------------|--------------------------------|
| | მიმდინარე ხარჯები | კაპიტალური ხარჯები | მათ შორის საინვესტიციო ბიუჯეტი |
| გადასახადები | + | + | |
| არასაგასახადო | + | + | + |
| ტრანსფერები | + | + | |
| სუბვენციები | | + | |
| საბიუჯეტო | | + | |
| კრედიტები და სესხები: მათ შორის გრძელვადიანი და მოკლევადიანი | + | | |
| საინვესტიციო ბიუჯეტიდან ადრე განხორციელებული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები | | + | + |

რეგიონული ბიუჯეტის საინვესტიციო შემადგენლის რაციონალური მოცულობის განსაზღვრის მნიშვნელობა განპირობებულია მისი მდგრადობის უზრუნველყოფის აუცილებლობით. საინვესტიციო ბიუჯეტი ჩვენს მიერ განხილული იყო, როგორც საბიუჯეტო ხარჯების ყველაზე პროგრესული ელემენტი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ბიუჯეტის მდგრად ფუნქციონირებას და განვითარებას (საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურის ადაპტაციას რეგიონული განვითარების მოთხოვნების ცვლილებასთან). მდგრადი განვითარების თეორია განსაზღვრავს, რომ სისიტემის ასეთი ელემენტი უნდა შეადგენდეს მის მცირედ ნაწილს, რომ მასში არ დაირღვეს საერთო წონასწორობა.

შესაბამისად, საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობა, ერთის მხრივ, უნდა იყოს მცირე მიმდინარე ხარჯებთან შედარებით, მაგრამ მეორეს, მხრივ უნდა იყოს მნიშვნელოვანი რეგიონისთვის იმ პრობლემის (თუ პრობლემების) გადაჭრის თვალსაზრისით, რომლის გადაწყვეტაზეც ის არის ორიენტირებული. აქედან გამომდინარეობს კრიტერიუმების პრობლემა, რომელთა შესაბამისადაც უნდა დაიგებოს რეგიონულ დონეზე საინვესტიციო ხარჯების მოცულობა.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, რომელშიც არის საინვესტიციო ბიუჯეტის რაოდენობრივი მოცულობის განსაზღვრის მცდელობა, გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ სამი მაჩვენებელი. ეს მაჩვენებლები შეიძლება გამოვიყენოთ მოცემული პრობლემის გადაჭრის დროს:

1. სესხების მოცულობა, რომელთა მოზიდვა- ათვისება შეუძლია რეგიონს;
2. საქართველოს ეკონომიკის (ან რეგიონული ეკონომიკის) რენტაბელობის კოეფიციენტი. იგულისხმება, რომ საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობა უნდა განისაზღვროს განსახილველ პერიოდში ეკონომიკის ეფექტიანობით და რენტაბელობით.
3. ინვესტიციების ზღვრული მოცულობა, რომელიც შეაჩერებს რეგიონული ეკონომიკის რდგევას (ნგრევას).

მოცემული მეთოდიკის შემუშავების დროს უნდა გავითვალისწინოთ გარდამავალი პერიოდის თავისებურებები, სხვადასხვა რეგიონების საბაზო ურთიერთობებისადმი ადაპტაციის განსხვავებული ხარისხი (სოციალური სფეროს კომერციალიზაციის დონე, საბინაო რეფორმის მიმდინარეობა და ა. შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში საბიუჯეტო უზრუნველყოფის ერთიან ნორმატივებზე დამყარებული მეთოდიკა შეამცირებს საბიუჯეტო პროექტების შედეგიანობას და ეფექტიანობას.

საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობის განსაზღვრა და ფორმირება დეტერმინირებულია შემდეგი ფაქტორების გავლენით: ინვესტიციების სფეროში ხელისუფლების რეგიონული ორგანოების უფლებამოსილებების სტრუქტურით და მოცულობით; ბიუჯეტის საფინანსო შესაძლებლობებით (საშემოსავლო პოტენციალი და მიმდინარე ხარჯებში დეფიციტის არსებობა); სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დონით.

კაპიტალური ხარჯების და საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობების, აგრეთვე მათ შორის თანაფარდობის განსაზღვრის დროს უნდა გავითვალისწინოთ რეგიონის განვითარების პრიორიტეტებში რეალურად არსებული დიფერენციაცია. ზოგიერთ რეგიონში ბიუჯეტის მდგრადობის ამაღლება შეუძლებელია ტერიტორიაზე სოციალური დატვირთვის შემცირების გარეშე. შესაბამისად, ასეთ

რეგიონებში საინვესტიციო ბიუჯეტის მითითებულ ნაწილებს შორის თანაფარდობა გადაიხება საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობის ზრდისაკენ. ანუ, იმ ხარჯებისაკენ, რომელთა მიზანი იქნება სამეურნეო-სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება.

3.3. ინვესტიციები აჭარაში და რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ დასავლეთ და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ადმინისტრაციული ცენტრი: ბათუმი, ფართობი: 2.9 ათასი კვ.კმ (საქართველოს ტერიტორიის 4.2 %), მოსახლეობა: 400 ათასი, სამხრეთით ესაზღვრება თურქეთს, 5 ადმინისტრაციული რაიონი: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი. იგი საქართველოს შავი ზღვისპირეთის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და სწრაფად განვითარებადი ეკონომიკით ის საერთაშოროსი ბაზარს სთავაზობს მზარდ და ათვისებად პოტენციალს. ეკონომიკური რეფორმები წარმატებით ხორციელდება რეგიონში, რაც განაპირობებს ინფრასტრუქტურის დინამიურ ზრდას. რეგიონში ხელსაყრელი და მისაღები პირობებია ბიზნესის განვითარებისთვის ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ასევე ეკონომიკის სხვა სფეროში. ეკონომიკური რეფორმების შემდეგ პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, რაც დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. რეგიონის ინვესტიციების პოტენციალი შეიძლება შეფასდეს რამოდენიმე ამერიკული მილიარდი დოლარით. რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა კერძო სექტორი. დაახლოებით 40 სასტუმრო აშენდა სანაპირო ზოლში, მათ შორის ისეთი ცნობილი ბრენდები როგორიცაა „შერატონი”, „რედისონი”, ასევე სამომავლო პროექტებს წარმოადგენს „პილტონი”, „პაიატი” და „კემპინსკი”. რეგიონში სამშენებლო ბუმია. სამშენებლო ტერიტორია 1 400 000 კვ.კმ-ს მოიცავს, რაშიც აჭარის რეგიონში ინვესტიციების ზრდა აისახება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიბერალური რეფორმებით. ამასთან აჭარის რეგიო-

ნი გეოეკონომიკური მდებარეობით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სისტემით, საერთაშორისო ზრდით საკმაოდ მიმზიდველია უცხოულთათვის. 2008 წელს ჩვენს რეგიონში განხორციელებულმა ინვესტიციების საერთო მოცულობამ 130 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 95 მილიონი დოლარი უცხოურ ინვესტიციებს, ხოლო 35 მილიონი ადგილობრივ ინვესტიციებს წარმოადგენდა. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა რეგიონალური ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, კერძოდ: ტურიზმი, მშენებლობა, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა და მომსახურების სხვადასხვა სფერო. დარგებს შორის მოზიდულ ინვესტიციათა რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა ტურიზმის სექტორი, რაც ძირითადად განპირობებულია ჩვენი რეგიონის ტურისტული პოტენციალით, ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული საპრივატიზაციო პროცესით და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებით მაქსიმალურად გააუმჯობესონ და გამოიყენონ აჭარის ტურისტული პოტენციალი.

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. ამ როლი და მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების, ქალაქებისა და კერძოდ აჭარის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დაწარებული აღდგენა-განვითარებისათვის დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მობილიზებასა და გამოყენებას. ამ საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ინვესტიციებს, ადგილობრივი კერძო მეწარმეების და მოსახლეობის ფინანსურ კაპიტალს, მაგრამ ეს შესაძლებლობანი შეზღუდულია მათი უქმარისობის გამო. ასეთ პირობებში ტურისტული სექტორის კრიზისიდან გამოყვანისა და განვითარების აუცილებელი პირობაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მისი მიზანმიმართული, ეფექტიანი გამოყენება, რაც საბოლოოდ ახალი სამუშაო ადგილებისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების გარანტია. უმუშევრობის დონეზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილ №9-ში მოცემული ანალიტიკური მონაცემები.

აქვე რეგიონის სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან ყურადღება გასამახვილებელია დამატებულ ღირებულებაზე, რომელიც წარმოდგენილია სექტორული სახით (დიაგრამა №1) და რეგიონულ პროდუქტზე. წინასწარი მონაცემებით მრა-მა 2010 წელს მიმდინარე ფასებში შეადგინა 1 362 მლნ ლარი. ეს მაჩვე-

ნებელი 14,9%-ით აღემატება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (დიაგრამა №10).

**15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება
ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით (2008-2009)(ათასი კაცი) გ**

ცხრილი №9

| აჭარის ა.რ. | 2008 | 2009 |
|--|--------------|--------------|
| სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 164,2 | 190,2 |
| დასაქმებული | 122,2 | 148,2 |
| დაქირავებული | 44,7 | 50,4 |
| თვითდასაქმებული | 77,4 | 97,7 |
| გაურკვეველი | 0,1 | 0 |
| უმუშევარი | 42,1 | 42,1 |
| მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ | 111,2 | 103,6 |
| უმუშევრობის დონე (%) | 25,6 | 22,1 |
| აქტიურობის დონე (%) | 59,6 | 64,7 |
| დასაქმების დონე (%) | 44,4 | 50,4 |

აჭარის მთლიანი რეგიონული პროდუქტი გ

დიაგრამა №10


| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010* |
|---------------------------------------|-------------|-------------|-------------|-------------|--------------|
| ნომინალური მთლიანი რეგიონული პროდუქტი | 739 | 967 | 1 224 | 1 185 | 1 362 |

ამ მაჩვენებლებზე დაყრდობით აჭარა ქვეყნის ეკონომიკის „ოაზისად“ უნდა მივიჩნიოთ, რაშიც დიდია უცხოური ინვესტიციების წილი. ინვესტიციების მსხვილ მასშტაბებზე მეტყველებს თანამედროვე სასტუმრო კომპლექსისა და გასართობი ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობები მთელი რეგიონის ფარგლებში. აღნიშვნის დირსია აგრეთვე მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციები მშენებლობის სექტორში. დღეს აჭარაში ნამდვილი სამშენებლო ბუმია, ერთდროულად შენდება უამრავი მსხვილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი. ბათუმში ბევრი მსოფლიო სტანდარტის სასტუმრო აშენდა, გაკეთდა ახალი ბულვარი, მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის. როგორც ჩანს სამშენებლო ბუმი შა-

ვი ზღვისპირა ქალაქში ჯერ კიდე წინაა. ამას უკვე მოჰყვა მიწის ნაკვეთებზე ფასების ზრდა, რაც უნდა ვიგარაუდოთ, რომ ინგესტორთა გააქტიურებისა და შესაბამისად გაზრდილი მოთხოვნის ლოგიკური შედეგია. ბოლო პერიოდში, აჭარის პოპულარიზაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად გაიზარდა მოთხოვნა ზღვისპირა ტერიტორიებზე. აქ მიწის ნაკვეთებს სააგარაკეზე მეტად ბიზნეს-ინტერესებისათვის ყიდულობენ. ამიტომ ბათუმში მიწის ნაკვეთებზე ფასებმა თბილისის ფასებს გაუსწრო.

2009 წლის აჭარის მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოდგენილი სექტორული სახით გ

დიაგრამა №11



უკანასკნელი წლების განმავლობაში აჭარის არ-ის ტერიტორიაზე პრივატიზებულია დაახლოებით 500 მლნ. ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება, რაც თავის მხრივ იწვევს დამატებით კაპიტალდაბანდებათა განხორციელებას ინგესტორებისაგან. იქმნება ახალი და ფართოვდება არსებული ბიზნესები. 2008 წელს კაპიტალურმა შემოსავლებმა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ქონებიდან და მიწებიდან ბიუჯეტში შეადგინა **24 436 300 ლარი**, მათ შორის:

ა) ქონების პრივატიზებიდან – 18 029 880 ლარი (შედის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პრივატიზებულიდან შემოსული თანხაც).

ბ) მიწის პრივატიზებიდან – 6 387 670 ლარი;

გ) ავტომანქანების პრივატიზებიდან – 18 750 ლარი (2008 წლის გან-
ბავლობაში განხორციელდა 31 ერთული ავტომანქანის აუქციონის ფორმით პრი-
ვატიზება).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების პრივატიზებიდან ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართული იქნა 18 343 520 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2008 წლის განმავლობაში პრივატიზებულია 113 ობიექტი. მათ შორის:

– აუქციონის წესით პრივატიზებული იქნა 100 ობიექტი, აქედან პირობებიანი აუქციონის წესით პრივატიზებულია 15 ობიექტი.

– პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებული იქნა 13 ობიექტი.

გარდა ამისა, 2008 წელს პრივატიზებული იქნა 31 ერთული დასახელების ავტომანქანა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პრი-
ვატიზებული იქნა 1 ობიექტი (სახელმწიფო ქონება), რომლიდანაც აჭარის ავტო-
ნომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხა 315 000 ლარი. 2008 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების პრივატიზები-
დან მთლიანად ბიუჯეტში (აჭარის და ცენტრალურ ბიუჯეტში) მიმართულია 50 721 552 ლარი. 2007 წ.– 48 293 463 ლარი (კაპიტალური შემოსავლები), ხოლო
2006 წ.–53 116 520 ლარი (კაპიტალური შემოსავლები).

2008 წელს მოხდა მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზება. მათ შორის: შპს „ტერმინალი 99“-ის 100%-იანი წილი, შპს „ბათუმის საბითუმო სავაჭრო ბა-
ზა“-ს 100%-იანი წილი, შპს „ქ. ბათუმის №3 საავადმყოფოს“ 100%-იანი წილი,
დაბა ჩაქვში სასტუმრო „ოაზისის“ მიმდებარედ მიწის ნაკვეთი, ქ. ბათუმში მდე-
ბარე ყოფილი „კომისარიატის“ შენობა-ნაგებობა, ბათუმში მდებარე ყოფილი რე-
დაქცია „აჭარის“ შენობა-ნაგებობა და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ
პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას პირობების განსაზღვრის
დროს დიდი ყურადღება ექცევა საწარმოების შექმნას და მოსახლების დასაქმე-
ბას.

2008 წელს პრივატიზებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთ-
რებაში არსებული 12 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების 100%-იანი
წილი. თითქმის ყველა პრივატიზებული შპს იყო არარენტაბელური და ჰქონდათ
მრავალი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დავალიანება, რაც მნიშვნელოვნად ამ-
ცირებდა მათ საბაზრო დირექტულებას.

ინვესტიციები არაფინანსურ აქტივებში გ

პროგნოზი მლნ. ლარი ცხრილი №10

| <i>N^o</i> | | 2007 წელი | 2008 წელი | 2009 წელი | 2010 წელი | 2011 წელი | 2012 წელი | სულ 2007-2012 წლებში |
|----------------------|---|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|----------------------------|
| I | ინვესტიციების მოცულობა | 374,5 | 464,3 | 552,5 | 641 | 730 | 863,5 | 3 625,8 |
| II | სახელმწიფო ინვესტიციები | 66,4 | 88,3 | 99 | 117 | 117 | 125 | 612,7 |
| 02.01 | გზები | 36,3 | 35 | 40 | 45 | 40 | 40 | 236,3 |
| 02.02 | განათლება, კულტურა და სპორტი | 6,2 | 10,2 | 10 | 12 | 15 | 20 | 73,4 |
| 02.03 | კეთილმოწყობა და კომუნალური ინფრასტრუქტურა | 23,9 | 43,1 | 49 | 60 | 62 | 65 | 303 |
| III | კერძო ინვესტიციები | 308,1 | 376 | 453 | 524 | 613 | 738,5 | 3013,1 |
| 03.01 | საავადმყოფოები | 8,5 | 10 | 20 | 22 | 24 | 26 | 110,5 |
| 03.02 | ტურიზმის ობიექტები | 78,5 | 171 | 182 | 180 | 180 | 185 | 976,5 |
| 03.03 | რკინიგზა | 13,5 | 10 | 10,5 | 11 | 113 | 15 | 73 |
| 03.04 | აეროპორტი | 64,6 | 1 | 2 | 3 | 4 | 5,5 | 80,1 |
| 03.05 | ინვესტიციები ბიზნესის სხვადასხვა სფეროში (მრეწველობა, ტრანსპორტი, მომსახურება და ა.შ.) | 90 | 120 | 160 | 210 | 270 | 360 | 1210 |
| 03.06 | ბინათმშენებლობა | 35 | 44 | 55 | 70 | 90 | 110 | 404 |
| 03.07 | ინვესტიციები საბრუნავ საშუალებებში | 18 | 20 | 24 | 28 | 32 | 37 | 159 |

გამომდინარე იქნდან, რომ მათი საერთო ღირებულება ძალიან მცირეა და
შეუძლებელია მათი პრივატიზაციით რაიმე სერიოზული ფისკალური ეფექტის
მიღწევა, მათი საპრივატიზებოდ გამოცხადება მოხდა რამოდენიმეჯერ 30-70%-
იანი ფასდაკლბით, რადგან უმრავლესი მათგანი ამორტიზირებულ მდგომარეობა-
შია და სავარაუდოდ სახელმწიფო უახლოეს მომავალში საერთოდ დაკარგავს
მათი პრივატიზების შესაძლებლობას. მაგალითად, 2007 წლისათვის არაფინან-

სურ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 374 მლნ. ლარს გადააჭარბა, ხოლო 2010 წელს 641 მლნ ლარს მიღწია (იხ. ცხრილი №10).

აჭარაში ძირითადი მყიდველი ბიზნესმენთა ის კატეგორიაა, რომელიც სასტუმროს დასასვენებელი ან გასართობი კომპლექსის აშენებას გეგმავს. საფუძველი ჩაეყარა და მიმდინარეობს “ქართული ანბიის” მონუმენტის მშენებლობა (დასრულდა უკვე). 130 მეტრიანი მონუმენტი ბულვარში დაიდგა და მას კოშკის ფორმა აქვს. მასზე ანბანის ასოები თანმიმდევრულად განლაგდება, კოშკის თავზე რესტორანი, კაფები, ობსერვატორია და ტელესტუდია მოეწყობა და ანბის ფუნქციასაც შეასრულებს. მშენებლობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციით ხორციელდება, მისი დასრულება კი მიმდინარე წელს იგეგმება. ფერის მთაზე დაიწყო ბათუმი ფუნიკულიორის მშენებლობა. კოშკის თავზე დაიდგმება სფეროს ფორმის მინის კონსტრუქცია, სადაც მოთავსდება წრიული მოძრავი რესტორანი, რომლის ერთ სრულ ბრუნს 60 წუთში შეასრულებს.


უკვე დიდი ხანია რაც მინდინარეობს ძველი ბათუმის რეაბილიტაცია. სამ წლიანი პროექტის დასრულებას მიმდინარე წლის ბოლოსათვის ვარაუდობენ. დამთავრდა გზების მშენებლობა და კომუნიკაციების გამოცვლა, რასაც ავარიული ბინების რეკონსტრუქციის სამუშაოები მოჰყვება და პროექტი დასრულების ფაზაში შევა. რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ქალაქში მთლიანად გამოიცვალა კომუნიკაციები და წყალგაყვანილობის სისტემა. პროექტის ავტორების განცხადებით, ძველი ბათუმი ქვეყნის ისეთივე ისტორიული და არქიტექტურულად განსხვავებული ქალაქი უნდა გახდეს, როგორიც სიღნაღია.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად 2010 წელს აჭარაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ მიაღწია 375 მლნ ლარს და მოცემულ წელს უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი (კერძო ინვესტიციებიდან) იყო საგრძნობლად მაღალი (73.5%). ბოლო წლებში ინვესტიციების დინამიკაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი №11 და დიაგრამა №12.

აჭარის რეგიონში 2004-2010 წლებში განხორციელებული კერძო ინვესტიციები (მლნ. აშშ. დოლარი) [2]

ცხრილი №11

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | Total |
|------------------|------|------|------|------|------|------|------|-------|
| სულ ინვესტიციები | 50 | 100 | 140 | 200 | 130 | 140 | 147 | 907 |
| ადგილობრივი | 29 | 54 | 60 | 72 | 35 | 42 | 39 | 330 |
| უცხოური | 22 | 46 | 80 | 128 | 95 | 98 | 108 | 577 |



აღსანიშნავია ისიც, რომ 2010-2011 წელს დასრულდა მსოფლიო ბრენდის სასტუმროთა მშენებლობა, რაც ბათუმს შესანიშნავ იქრსახეს მატებს და ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. ეს სასტუმროებია:

- Sheraton Palace;
- Radisson Blue;
- Piazza.

„საქართველოს ბანკი“ ბათუმში სასტუმრო "Radisson Blu Hotel Batumi"-ს მშენებლობა 27 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხით დააფინანსა. აღნიშნული თანხა სასტუმროს მშენებლობის დასრულებასა და აღჭურვას მოხმარდა. როგორც ბანკში აცხადებენ, „საქართველოს ბანკი“ აქტიურად განაგრძობს სასტუმროების მშენებლობის სექტორის დაფინანსებას საქართველოში და, 2010 წელს თბილისში წარმატებულად გახსნილი Holiday Inn-ის შემდეგ, მსოფლიოში კიდევ ერთი ცნობილი ბრენდის სასტუმროს მშენებლობის დაფინანსება გადაწყვიტა. ამგვარად, „Radisson Blu Hotel Batumi"-სთვის სესხის გამოყოფა არის კიდევ ერთი მაგალითი ქართული ბანკის მიერ ადგილობრივი სასტუმროს მშენებლობის დაფინანსებისა. სასტუმრო „Radisson Blu Hotel Batumi"-ს მშენებლობა ტურიზმისა და დასვენების სექტორში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი აღმოჩნდა.

მიმდინარეობს ასევე ისეთი გრანდიოზული კონსტრუქციების მშენებლობა როგორებიცაა:

- გასართოვი ცენტრი თავისი რესტორნებით „არგო”
- სასტუმრო „Kempinski;”
- ბათუმის კონსერვატორია (დასრულდა);
- სასტუმრო „Hilton;”
- Sokar & McDonalds.

იგეგმება ასევე:

- „Cube Tower”-ის მშენებლობა ბათუმის სანაპიროზე;
- „Hotel Belle Vue;”
- „Sea Shore Hotel;”
- სასტუმრო „Rainbow” რომელიც ყოფილი ფოსტის ტერიტორიაზე აიგება;
- სასტუმრო „hayat;”
- უზარმაზარი სასტუმრო ბათუმის ჩოგბურთის მოედანთან შეა ბულვარში.

რეგიონში დასრულებული და მიმდინარე პროექტებიდან ხაზგასასმელია შემდეგზე: აჭარის გაზიფიკაცია–2008-2011წწ. ORIO გრანტი (ნიდერლანდების მთავრობა და სოკარ ჯორჯია) – 22.5მლნ ევრო;

ბათუმის წყლით მომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია–გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკი (KFW)–გრძელვადიანი სესხი (72მლნ ევრო): ფაზა I–22.5მლნ ევრო (2007წ), ფაზა II–39.5მლნ ევრო (2008წ), ფაზა III–10 მლნ ევრო (2010წ);

ჩაქვის წყლის სათაო ნაგებობისა და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია: მუნიციპალური განვითარების ფონდი (დასრულდა 2007 წელს – 834000 ევრო–პროექტის ღირებულება);

ქობულეთის წყლით მომარაგებისა და სანიაღვრე წყლების რეაბილიტაცია: მუნიციპალური განვითარების ფონდი, EBRD, MCG და ნიდერლანდების მთავრობა (პროექტ ORET-ის ფარგლებში)–15.2 მლნ ევრო.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია საპარამის მართვის ახალი „თაუერის” მშენებლობა. „თაუერის” მშენებლობის დროს 1 200 კაცამდე, ხოლო ოპერირების პროცესში 500 კაცამდე დასაქმდება. სანავიგაციო კოშკის პროექტი ესპანურმა საპროექტო კომპანიამ „CMD-Architect“ მოამზადა, ხოლო თვითონ პროექტს ქართული სამშენებლო კომპანიები განახორციელებენ. „თაუერის“ საფუძველი 900 მ2

დაიკავებს, ხოლო მისი სიმაღლე 130 მ იქნება. 2006 წელს კომპანია „აჭარა რიზორ-თს ჰოლდინგ ბი.ვი”-ის მიერ პრივატიზებული იქნა სს „აჭარის კურორტები” (21 ტურისტული ობიექტი) და სს „მესხეთის” აქციათა პაკეტი, სადაც უნდა აშენდეს და ექსპლუატაციაში შევიდეს თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსები. ამასთან სასტუმრო მესხეთის ადგილზე ასევე უნდა აშენდეს 5 ვარსკვლავიანის სასტუმრო, რომელსაც ოპერირებას გაუწევს „რამადა.”

შპს „GIMG” შპს „ბათუმის ცენტრალური სტადიონის” ადგილას უზრუნველყოფს თანამედროვე დონის სასტუმრო კომპლექსის, ბიზნეს-ცენტრის, აშენებასა და ექსპლუატაციაში შეყვანას. კომპანია განახორციელებს 35 000 000 აშშ დოლარის ინვესტირებას და დასაქმებულია არანაკლებ 500-მდე ადამიანი.

2009 წლის ბოლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ გახდა ცნობილი, რომლის განხორციელებაც ბათუმში 2011 წლისათვის უნდა დასრულებულიყო. მაგრამ, როგორც სჩანს, პროექტის მსვლელობა შეფერხებით მიმდინარეობს. საუბარია მრავალფუნქციური კომპლექსის „ბათუმის კარიბჭის” მშენებლობაზე. 40-სართულიანი კომპლექსის მშენებლობა 2010 წლის აპრილში უნდა დაწყებულიყო და 2011 წელს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, ამ ეტაპზე საპროექტო დოკუმენტები მზადების პროცესშია და, შესაბამისად, ვერც მშენებლობის დაწყების თარიღი სახელდება. კომპლექსი გააერთიანებს, როგორც სასტუმროს, ასევე საცხოვრებელ ბინებს, სავაჭრო კომპლექსებს, საკონფერენციო დარბაზებს, სპორტულ მოედნებსა და კაზინოებს. „ბათუმის კარიბჭი” ბათუმში ყოფილი „რივერას” ტერიტორიაზე აშენდება, რაც ინვესტორს დაახლოებით 200 მლნ დოლარი დაუჯდება.

ცნობილია, რომ „ბათუმის კარიბჭის” ააშენებს რუმინეთის უმდიდრესი ადამიანი დინუ პატრიჩიუ, რომელიც საქართველოში „ლიბერთი ბანკის” სოლიდური აქტივების მფლობელია. „ბათუმის კარიბჭის” პროექტზე კანადელი არქიტექტორები მუშაობდნენ, კომპლექსს სვანური კოშკის ფორმა აქვს და იგი ყველაზე მაღალი შენობა იქნება, როგორც საქართველოში, ასევე მთელს შავი ზღვის სანაპიროზე.

ეს არის მოკლე ჩამონათვალი იმ პროექტებისა, რომლის მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს ან უახლოეს მომავალში დაიწყება ბათუმში. ყველაფერი ეს კი ერთ მიზანს ემსახურება, ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქის, ინფრასტრუქტურის განვითარებას და უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას ქვეყანაში.

2010 წელს ინვესტორები ქობულეთითაც დაინტერესდნენ. 12 ოფიციალურ განაცხადს შორის, რომელიც ქობულეთში 16 სასტუმროს ააშენებს, ფიქსირდება ერთი სომხური კომპანია, თუმცა აჭარის მთავრობაში აცხადებენ რომ დაინტერესება ესტონელმა და ებრაელმა ინვესტორებმა გამოთქვეს. პრეზიდენტის ინიციატივის თანახმად ინვესტორი ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში სასტუმროს აშენების შემთხვევაში 15 წლის განმავლობაში მოგების და ქონების გადასახადისგან განთავისუფლდება. ქვეყნის მთავრობა ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში მოქმედ ინვესტორებთან დათმობაზე მიდის. როგორც ირკვევა, კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში ტურისტულ ზონაში სასტუმროს ჩაბარების ბოლო ვადა 2011 წლის პირველი სექტემბერი იყო და თუ ინვესტორი მშენებლობას ვადებში ვერ დაასრულებდა, ობიექტი ჩამოერთმეოდა. თუმცა, ტურისტული ზონის შესახებ კანონპროექტის ბოლო ვარიანტით, მშენებლობის ვადას სპეციალური კომისია უველა ინვესტორისთვის ინდივიდუალურად დაადგენს. პარლამენტმა კანონი მესამე მოსმენით უკვე დაამტკიცა.

მიუხედავად იმ როგორი პრობლემებისა, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლადაა აჭარის რეგიონისა და კერძოდ, ბათუმის ტურისტულ სექტორში, არსებული ინფრასტრუქტურა სისტემატურად უმჯობესდება. კერძოდ, გასულ წლებში ქალაქში აშენდა ახალი თანამედროვე საერთაშორისო კლასის აეროპორტი და რამდენიმე ევროპული ტიპის სასტუმრო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარტო 2009 წელს, რომელიც რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებისა და მსოფლიო კრიზისის შემდეგ ერთ-ერთი უველაზე უმძიმესი წელი იყო მთლიანად ჩვენი ქვეყნისა და რეგიონებისათვის, ბათუმში ამოქმედდა საერთაშორისო დონის 11 ახალი სასტუმრო 620 ადგილით.

დღეისათვის მშენებლობის პროცესშია რამდენიმე მაღალი კლასის სასტუმრო და „საზოგადოებროვი კების ობიექტების ფართო ქსელი-რესტორნები, კაფე-ბარები, და სწრაფი კვების სხვა ობიექტები ბათუმის ცენტრში. ახლო მომავალში დასრულდება ავტობანის მშენებლობა, რომელიც ბათუმთან დააკავშირებს დედაქალაქს და საქართველოს სხვა უმნიშვნელოვანეს ქალაქებს ახალი ეგროპული დონის გზატკეცილით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტთა რაოდენობას და ქალაქის, როგორც ქვეყნის ტურისტული ცენტრის მნიშვნელობას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელებული ინვესტიციების სასიკეთო შედეგები ნათელ გამოხატულებას პოულობს შემოსული

ტურისტების რაოდენობის ზრდაზე და ეს პირდაპირპოპორციული დამოკიდებულება ნათლად ჩანს ცხრილ №12-ში.

**ბათუმში განხორციელებილი ინვესტიციები და შემოსულ ტურისტთა რაოდენობა
2005-2009 წლებში †**

ცხრილი №12

| № | მაჩვენებელთა დასახელება წელი | წლები | | | | | ზრდა 2005 – 2009წწ. |
|---|---|-------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|---|
| | | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | |
| 1 | ინვესტიციების მოცულობა სულ (მლნ ლარი) | 45.0 | 105.0 | 170.0 | 164.6 | 221.7 | 4.9- ჯერ |
| 2 | ტურისტთა რაოდენობა სულ (ქაცი) მათ შორის: შიდა უცხოელი | 66775 53655 13120 | 134244 102079 32165 | 189696 131059 58637 | 179728 129092 50636 | 266783 181160 80623 | 4.0- ჯერ 3.4- ჯერ 6.2- ჯერ |

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, ბათუმში ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა წინა წელთან შედარებით, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ 2008 წელი, როცა ინვესტიციები წინა წლის მიმართ შემცირდა 3%-ით, რაც რუსეთ-საქართველოს აგვისტოს საომარ მოქმედებებს უკავშირდება. მთლიანად კი საანალიზო პერიოდში (2005–2009 წწ.) ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 45 მლნ ლარიდან 221,7 მლნ ლარამდე ანუ 4,9-ჯერ. ამასთან, საინტერესოა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდში ტურიზმში ინვესტიციების საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 71,5% შეადგინა, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

ამჟამად საქართველოს ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების, აგრეთვე ქალაქ ბათუმის მერიის ძალისხმევით მობილიზებულია ასეულობით მლნ ლარის ადგილობრივი, სახელმწიფო და განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციები და მიმდინარეობს დიდი ძალისხმევა ქალაქ ბათუმის არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ შავი ზღვის რეგიონის ტურისტულ ცენტრად გადაქცევის ამბიციური გეგმის განხორციელებისათვის. ამ გეგმის საფუძველზე ტარდება დიდი სამუშაოები ქალაქის ძველი ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციისა და ახლის

მშენებლობის, აგრეთვე ზღვისპირა კულტურისა და დასვენების პარკის გაფართოება – განვითარების მიმართულებით. სულ ხუთი წლის მანძილზე (2010–2014 წწ.) განზრახულია ერთი მილიარდ სამას სამ მილიონამდე ლარის ინვესტიციის განხორციელება, რამაც უნდა უზრუნველყოს ქალაქის შავი ზღვისპირეთის რეგიონის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა და ლირსეული ადგილის დაკავება საერთაშორისო ტურისტულ რუკაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა ბათუმის საკურორტო–ტურისტული მეურნეობის განვითარების 2010–2014 წლების სტრატეგიული გეგმის ანალიზი (იხ. ცხრილი №13).

**ბათუმის საკურორტო–ტურისტული მეურნეობის განვითარების 2010-2014 წლების
სტრატეგიული გეგმა † ცხრილი №13**

| № | დონისძიებათა დასახელება | დაფინანსება პერიოდების მიხედვით | | | | | სულ 2010– 2014 წწ. |
|----|--|------------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|-----------------------------|
| | | 2010 წ. წ. | 2011 წ. წ. | 2012 წ. წ. | 2013 წ. წ. | 2014 წ. წ. | |
| 1. | ახალი მაღალი დონის სასტუმროების აშენება, სასტუმრო ბიზნესის გაფართოება, განვითარება (მლნ ლარი) | 80.0 | 95.0 | 50.0 | 75.0 | 75.0 | 375.0 |
| 2. | ტურიზმის ახალი ფორმების განვითარება განსაკუთრებით არასეზონურობის დროს (მლნ ლარი) | 114.0 | 114.0 | 114.0 | 69.0 | 69.0 | 480.0 |
| 3. | ტურისტებისათვის მომსახურების სახეობების გაფართოება (მლნ ლარი) | 31.5 | 11.5 | 16.0 | 41.5 | 11.5 | 112 |
| 4. | მარკეტინგი (ათასი ლარი) | 16.5 | 11.5 | 11.5 | 11.5 | 11.5 | 62.5 |
| 5. | ბათუმის ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია (მლნ ლარი) | 90.0 | 90.0 | 80.0 | 20.0 | 20.0 | 300.0 |
| 6. | ზღვისპირა ბულვარის და პარკის განვითარება (მლნ ლარი) | 6.0 | 6.0 | 6.0 | – | – | 18.0 |
| 7. | სანაპირო ზოლის დასუფთავება და მკოლოგიური ლონისძიებები (მლნ ლარი) | 3.5 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 2.0 | 17.5 |

ცხრილის ანალიზიდან ირკვევა, რომ საანალიზო პერიოდში განსაკუთრებული უურადღება მიექცევა ახალი ევროპული ტიპის სასტუმროების ინტენსიურ მშენებლობას, მცირე ბიზნესის გაფართოებას და სატრანსპორტო გზების მიმდებარე ტერიტორიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. სწორედ ამ მიზნის

მისადწევად ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს 2010–2014 წლებში 375 მლნ ლარის ინვესტიციების განხორციელებას.

„ქალაქი, როგორც არაჩვეულებრივი კლიმატური კურორტი, უნდა ფუნქციონირებდეს და გამოიყენებოდეს ტურისტების მიერ არასეზონურობის დროსაც, ე.ი. შემოდგომა–ზამთრის პერიოდებში, რათა მოზიდული იქნას ტურისტთა მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა.“ (**მიქაშვიძე ... 2010:236**)

სწორედ ამ მიზნით, ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ტურიზმის ახალი ფორმების განვითარებას, რომელთა შორის მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა: ბიზნესტურიზმს, საკონფერენციო და საკრუიზო ტურიზმის განვითარებას, აგრეთვე ბათუმის საერთაშორისო შეხვედრების, სპორტული ღონისძიებების და გონივრული თამაშების ცენტრად გადაჭცევას. ამ მიზნების განხორციელებისათვის დაგეგმილია 480 მლნ ლარის ინვესტიციები.

ქალაქის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს საერთაშორისო გამოფენებზე ბათუმისა და აჭარის პრომოუშენს, ინტერნეტისა და მედიის აქტიური რეკლამის წარმოებას, აგრეთვე ბეჭდვითი სარეკლამო მასალების შექმნასა და მის გავრცელებას. ამ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის გამიზნულია 62,5 ათასი ლარის ინვესტიციების განხორციელება. ბათუმის ძველი ისტორიული უბნების რეკონსტრუქციას და მის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს ბათუმის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის განხორციელებისათვის საანალიზო პერიოდში გამიზნულია 300 მლნ ლარის ინვესტიციის დაბანდება. მსოფლიოში ნაკლებად შეიძლება მოიძებნოს ქალაქი, რომელსაც მსგავსი ზღვისპირა დასასვენებელი პარკი გააჩნდეს. ამიტომ, ქალაქის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ზღვისპირა პარკის გაფართოებას 1,7 კმ-ით და მის კეთილმოწყობას, რაზეც გამიზნულია 18 მლნ ლარის ინვესტიციების განხორციელება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ინვესტიციების საერთო მოცულობაში სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა შხოლოდ 17,7%, ხოლო დანარჩენი 82,3% კერძო სექტორზე (ძირითადად უცხოურ ინვესტიციებზე). რაც შეეხება შემოსულ ტურისტთა საერთო რაოდენობას, იგი აღნიშნულ პერიოდში 66775 კაციდან გაიზარდა 226783 კაცამდე, ანუ 4,0–ჯერ, მათ შორის შიდა ტურისტები 53655 კაციდან 181160 კაცამდე ანუ 3,4–ჯერ, ხოლო უცხოელი ტურისტებისა 13120 კაციდან 80623 ათას კაცამდე ანუ 6,2–ჯერ.

აჭარის რეგიონის და კერძოდ ბათუმის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილი ათვისების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს საზღვაო და სამთო ტურიზმის კომბინირებული გამოყენება. სწორედ ზღვისპირა და სამთო კურორტების ერთობლივი გამოყენება უნდა გახდეს მომავალში ტურიზმის ის პერსპექტიული მიმართულების, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს არა მარტო შიდა, არამედ უცხოელი ტურისტების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებები. ამიტომ ამ სახის ტურპროდუქტზე მუშაობის გააქტიურება არა მარტო ბაზრის სეგმენტაციის გაფართოების, არამედ ტურისტული შემოსავლის ზრდის უმნიშვნელოვანების ფაქტორად უნდა იქცეს.

რაც შეეხება აჭარის მთიანეთს, უკვე ფუნქციონირებს ქედლებისა და გომარდულის სამთო-სათხილამურო ბაზები. უახლოეს ხანებში ზამთრის ტურისტული კომპლექსის მშენებლობა გოდერძის უღელტეხილზეც დაიწყება. პერსპექტივაში მან კონკურენცია გუდაურს უნდა გაუწიოს. მათთან ერთად ერთიან ტურისტულ სისტემაში ღომას კურორტიც მოქმედება. ბიზნეზმენთა ჯგუფმა საზეიმოდ დააფუძნა ასოციაცია „„წინაველა,““ რომლის ფუნქციაა კურორტის მშენებლობით დაინტერესებული ინვესტორების გაერთიანება. მთა ღომაზე ინვესტორების მოზიდვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით უკვე მიმდინარეობს 10-კოლომეტრიანი გზის რეაბილიტაცია.

იწყება მთიანი აჭარის ენერგორესურსების ათვისების ახალი ხანა. პროექტის ხანგრძლივობა 6 წელია. 2012 წლის თებერვლისთვის მოსამზადებელი სამუშაობები დასრულდება და ამის შემდეგ დაიწყება გვირაბების, კაშხლების მშენებლობა. ამ ეტაპზე კაშხლების მშენებლობა იგეგმება ზამლეთში, დანდალოში, ვაიოსა და ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავის სიახლოეს ისევ მდინარე აჭარისწყლზე. ოთხივე ჰესის დადგმული სიმძლავრე 300 მეგავატი იქნება. პროექტი 660 მილიონ ამერიკულ დოლარადაა შეფასებული.

წინასწარი ვარაუდით, ჰესების მშენებლობაზე 1000-მდე ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდება. ჰესების ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ 100 ადგილობრივი სპეციალისტი მუდმივ სამუშაოს გაიჩენს.

„ერთი წლის წინათ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი მდინარე აჭარისწყალზე ოთხი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აგების შესახებ. უპირატესობა მოიპოვა ნორვეგიულმა კომპანიამ „ქლინ ენერჯი ინვესტმა.“ ეს კომპანია და პარტნიორი ბრიტანული კომპანია „მოტ მაგდონალდსი“, ქართული კომპანიები „გროს ენერჯი გრუპი“, „გამა კონსალტინგი“, „ჯეოგრაფიკი“ აქტიურად ჩაერთნენ წინასაპროექტო

სამუშაოებში. გარკვეული გათვლები უკვე გაპეთდა, ფირმებს აქვთ წინასწარი მონახაზი აჭარისწყლის ჰიდრორესურსების ათვისების პოტენციალზე.” (ცინარიძე 2011გ:6)

რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების შედეგად ინვესტიციების მოცულობა და ახალი საწარმოების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამას ხელს უწყობს **საბანკო სექტორის** განვითარებაც, რომლის მნიშვნელოვანი ზრდა სახეზე გვაქვს ((იხ. ცხრილი №14) და დიაგრამა №13 (დანართიდან)).

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებათა მიერ გაცემული
სესხები სფეროების მიხედვით 2007 წელს გ**

(ცხრილი №14) (ათასი ლარი)

| სულ აჭარა | სულ | მათ შორის | | | |
|---|---------|---------------------|--------------------|---------------------|--------------------|
| | | მოკლევადიანი სესხი | | გრძელვადიანი სესხი | |
| | | ეროვნულ ვალუტაში | უცხოურ ვალუტაში | ეროვნულ ვალუტაში | უცხოურ ვალუტაში |
| სულ აჭარა | 293 721 | 52 120 | 34 807 | 58 973 | 147 821 |
| მათ შორის | | | | | |
| სოფლის მეურნეობა, მეტყველეობა, თევზჭრა | 483 | | 17 | 32 | 434 |
| მრეწველობა | 2 992 | 900 | 1 603 | 35 | 454 |
| მშენებლობა | 39 060 | 4 732 | 5 520 | 9 333 | 19 475 |
| ვაჭრობა და მომსახურება | 103 242 | 13 780 | 16 918 | 13 117 | 59 427 |
| სასტუმროები და რესტორნები | 2 256 | | 4 | | 2 252 |
| ენერგეტიკა | 495 | 101 | | 141 | 253 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 16 168 | | | | 16 168 |
| ფიზიკური პირები | 81 148 | 11 649 | 9 128 | 20 381 | 39 990 |
| დანარჩენი სფეროები | 47 877 | 20 958 | 1 617 | 15 934 | 9 368 |

კერძოდ, აჭარაში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გაცემული სხვადასხვა სახის კრედიტების მოცულობა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში 2004 წელს შეადგინა 34 716 ათას ლარი. 2005 წელს—62 034 ათასს, ზრდა—78,7%. 2006 წელს კი—165 067 ათასი ლარი (2005 წელთან მიმართებაში 2.7-ჯერ მეტი). 2007 წელს—293,7 მლნ. ლარამდე. უნდა აღინიშნოს, რომ გაცემული კრედიტებიდან მნიშვნელოვანი წილი მოდის გრძელვადიან კრედიტებზე და ხდება მათი დივერსიფიცირება ეკონომიკის სფეროების მიხედვით.

2010 წლის მონაცემებით აჭარაში საფინანსო საქმიანობას ახორციელებს 12 ბანკი და 3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მათ მიერ 2010 წელს გაცემული იქნა 475096 ათასი ლარი, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში—148253 ათასი ლარი და უცხოურ ვალუტაში—326846 ათასი ლარი. თანაც, შიდა მეურნეობებზე გაცემულიყო 177144 ათასი ლარი და დარგებზე—297952 ათასი ლარი.

2010 წელს აჭარაში გაცემული სესხების მოცულობა 86,7 %-ით აღემატება 2009 წელს გაცემული სესხების მოცულობას. 2009 წელს დაფიქსირებული იყო საფინანსო სექტორის არააქტიურობა, რაც განპირობებული იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით, ხოლო 2010 წელს საბანკო სფეროა გააქტიურება აღნიშნული კრიზისის დაძლევაზე მიუთითებს. რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებლებს ის ასე გამოიყურება: ვაჭრობა—37%, მშენებლობა—13%, სასტუმროები და რესტორნები—11%, ჯანდაცვა—3%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა—4%, ოპერაციები უძრავი ქონებით—4%, სოფლის მეურნეობა—3%, ფინანსური შუამავლობა—3%, მრეწველობა—1%, მომსახურების სხვა სახეები—21% (იხ. დიაგრამა №14, №15 დანართიდან).

ინვეტიციების ანალიზის ბოლოს მოკლედ მიმოვინილოთ რეგიონის ბიუჯეტში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ცვლილება: 2008 წელი—არაფინანსური აქტივების ცვლილება: ზრდა—36 524,1 ათასი ლარი, კლება—24 436,3 ათასი ლარი, მთლიანი სალდო—3856,6 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების ცვლილება: ზრდა არ არის, კლება 2931,6 ათასი ლარი, 2009 წელი—არაფინანსური აქტივების ცვლილება: ზრდა—13 464,4 ათასი ლარი, კლება—9232,2 ათასი ლარი, მთლიანი სალდო—5661,7 ათასი ლარი, ფინანსური აქტივები—ზრდა არ არის, კლება 840,4—ათასი ლარი, 2010 წელი—არაფინანსური აქტივები—ზრდა—13 470,9 ათასი ლარი, კლება—4 800,4 ათასი ლარი, მთლიანი სალდო 3 316,4 —ათასი ლარი, ფინანსური აქტივების ცვლილება: ზრდა არ არის, კლება— 838,6 ათასი ლარი.

2011 წელს დაგეგმილია არაფინანსური აქტივების ცვლილება-20, 217,2 ათასი ლარი, კლება-19000,0 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების ცვლილება ზრდა არ არის დაგეგმილი, კლება-3200 ათასი ლარი-ათასი ლარი.

ინვესტიციური პოლიტიკა, გამოდის რა, როგორც სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობა, ზემოქმედებს იმ განსხვავებებზე (უმეტესად სუბიექტურზე), რომლებიც ქმნიან ივესტიციურ კლიმატს. მისი აქტუალიზაცია ხდება ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების სტრატეგიის შემუშავებითა და რეალიზაციით. ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესების ღონისძიებათა ერთობლიობა – ინვესტიციური პოლიტიკა, ისევე როგორც ფინანსური პოლიტიკა, რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის როგორც რეგიონის ეკონომიკაზე, ისე მეურნე სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი.

„ინვესტიციური პოლიტიკის უმთავრესი მიზანის ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატისა და ინვესტიციური პოტენციალის გააქტიურებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. მის ძირითად მიმართულებებად განიხილება ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია სამამულო და უცხოური ინვესტორების საქმიანობის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასთან.“(დავთაძე ... 2009:62)

აღნიშნული, თავის მხრივ, შემოსავლიანობის გადიდებისა და რისკების მინიმიზაციისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური განვითარების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნებიდან გამომდინარეობს.

სახელმწიფოს ინვესტიციური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა ყველა მეურნე სუბიექტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლების, ეკონომიკური აღმავლობის, წარმოების ეფექტიანობის ზრდის და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

თანამედროვე პირობებში ეფექტიანი რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი ძირითადი საბაზრო პრინციპების განვითარებას:

➤ ინვესტიციური საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის სრულყოფა;

- ინვესტიციური პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებზე ინვესტიციური პოლიტიკის კონცენტრირების განხორციელებას;
- რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ფარგლებში კორპორაციათა ძალისხმევის გაერთიანებას ერთობლივი ინტერესების რეალიზების მიზნით;
- განვითარების დადებითი და უარყოფითი ტენდენციების სისტემატიურ მონიტორინგს;
- ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნას და მის გაუმჯობესებაზე ბაზე ზრუნვას.

ინვესტიციურ პოლიტიკას ყველა რეგიონში გარკვეული თავისებურებები ახასითებს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ❖ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკით;
- ❖ არსებული სამრეწველო პოტენციალის მასშტაბით;
- ❖ ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ენერგო რესურსების აღჭურვის დონით;
- ❖ გეოგრაფიული მდებარეობით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით;
- ❖ დემოგრაფიული ვითარებით;
- ❖ უცხოური ინვესტიციებისათვის რეგიონის მიმზიდველობით და ა.შ.

ინვესტიციათა თეორიის თანახმად, ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენს:

- მიზანმიმართულობა;
- ეფექტურობა;
- მრავალვარიანტულობა;
- მოქმედებათა რეგულირებადობა;
- სისტემურობა;
- მოქნილობა;
- რესურსების ათვისებისათვის მზადყოფნა;
- კომპლექსურობა;
- სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოება.

ამასთან, „ ეს პრინციპები უნდა რეალიზდებოდნენ როგორც მეურნე სუბიექტის, ისე მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანოთა დონეზე.”(დავთაძე ... 2008:24)

ინვესტირება უნდა იქნეს დაკავშირებული რეგიონში სოციალურ დინამიკასთან, ანუ დასაქმების, რეგიონის მოსახლეობის სასიცოცხლო დონის ამაღლების, რეგიონული ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში მუშაკების კვალიფიკაციის ზრდის უზრუნველყოფასთან. სხვაგვარად, რომ ითქვას, ინვესტიციები უნდა იქნენ დაკავშირებულნი რეგიონის მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის განვითარებასთან. გარდამავალ ეკონომიკაში ეს პრობლემა დებულობს განსაკუთრებით აქტუალურ ხასიათს.

საერთო სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების დონეზე ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას და შესაბამისად, ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებას. მათ შორის, იგი ორიენტირებული უნდა იყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე საქმიანი ადამიანებისათვის.

მაშასადამე, „რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს იმ ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ტარდება სახელმწიფოსა და საწარმოს მიერ ინვესტიციების სტრუქტურისა და მასშტაბების დადგენის სახით, რომელიც მიმართულია მათ გამოყენებაზე, მიღების წყაროებზე საშუალებების განახლების აუცილებლობის და მათი ტექნოლოგიური დონის ამაღლების გათვალისწინებით.“**(ცინარიძე 2011ა:47)** სამამულო ეკონომიკურ მეცნიერებაში საინვაციო პროცესის კვლევის მეთოდოლოგია, როგორც რეგიონის კონკურენტუნარიანობის განვითარების ერთ-ერთი ხერხი, წარმოადგენს რთულ კატეგორიას, რამდენადაც მის საფუძველს წარმოადგენს მთელი რიგი ფაქტორების და ტენდენციების, ზოგჯერ კი სხვადასხვა მიმართულების მქონენი მრავალგარიანტული, მრავალკრიტიკული შეფასება.

რეგიონული ინვესტიციების ზრდის დაჩქარებისთვის გამოვიყენოთ კოეფიციენტები კრიტერიუმების ზრდის სახით, მიმართულების კრიტერიუმის ასარჩევად, რომლითაც საინვესტიციო რესურსები გადანაწილდება.

ძირითადად გამოვიყენოთ აქსელერატიული ტიპის კოეფიციენტების ანგარიშის შედეგები. ის დარგები სადაც უფრო მეტი აქსელერატიული ეფექტი აღინიშნება შეიძლება განხილული იყოს როგორც პრიორიტეტული დაფინანსების დარგები. განვიხილოთ ინვესტიციების რეგიონალური მართვის სამი ვარიანტი.

პირველ შემთხვევაში ინვესტიციების წილი ვთქვათ ორ პრიორიტეტულ დარგში იზრდება 0.5%-ით და ადგენს რეგიონალური ინვესტიციების საერთო მოცულობის 0.6%-ს. მეორე ვარიანტში ვთქვათ ინვესტიციების წილი ერთ-ერთ დარგში იზრდება 1%-ით. მესამე ვარიანტი ითვალისწინებს ერთდოროულ ზრდას ორი-

ვე პრიორიტეტულ დარგში. ყველა ვარიანტში დასაშვებია, რომ იმ დარგებში, სა-დაც მაღალი კოეფიციენტებია ზრდასთან ერთად მოხდეს ინვესტიციების პროპო-რციული დაწევა წარმოებისა და ეკონომიკის დარგებში, რომლებშიც არ შეინიშ-ნება აქსელერატიული ეფექტები.

ინვესტიციების რეგიონალური მართვის დროს გამოიყენებენ იგივეობის სი-სტემას. იგივეობის სისტემა შეიძლება გამოყენებული იქნეს მართვის ორი ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად. პირველ რიგში იგი შეიძლება გამოყენებული იქნას საინვესტიციო პროცესების პარამეტრების ფორმირებისას. საინვესტიციო პროცე-სის პარამეტრები განისაზღვრება გაფართოების კოეფიციენტების ანალიზის სა-ფუძველზე. ეს ამოცანა შეიძლება რამდენადმე მოდიფიცირებული იყოს განაწი-ლების ეფექტის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ მმართველობის გადაწყვეტილების მომენტიდან მისი ეფექტის გამოვლენა შეიმჩნევა ორ წელში. პირველ რიგში მიიღება გადაწყვეტი-ლება ინვესტიციების რეციპენტების ცვლილებაზე, თვითონ ინვესტიციების სტრუქტურის ზრდა ხდება შემდგომ პერიოდში.

მეორე ტიპის ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად ისევე, როგორც პირველი ამოცანის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნას იგივეობის სისტემა. ამ შემთხვევაში რეგიონალურ მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზე-მოქმედება საინვესტიციო პარამეტრების მოცულობის ზრდაზე აქსელერატიული ეფექტის გამოყენების გზით, მაგრამ კიდევ შეუძლია კორექტირება მაკროეკონო-მიკური პროპორციისა. მოცემული იგივეობის სისტემის გამოყენება დაყოფილი უნდა იქნას ოთხ ეტაპად:

პირველი ეტაპის ამოცანას შეადგენს რეგიონალური მთავრობის მიერ, რო-გორც მართველი ქესისტემისა, განსაზღვროს ინვესტიციების მიზნობრივი მნიშვ-ნელობა და მისი ზრდა მოკლევადიან პერიოდში (1-2წ). რეგიონალურმა მთავ-რობამ ისინი უნდა დაადგინოს, როგორც ფედერალური მთავრობის რეკომენდა-ციებით და მითითებებით, ასევე რეგიონის განვითარების ტემპების საკუთარი წა-რმოდგენის საფუძველზე, რომლებიც გამაგრებულია ისეთ დოკუმენტებში, როგო-რებიცაა რეგიონალური განვითარების პროგრამა და რეგიონალური ბიუჯეტი.

მეორე ეტაპი - მოსამზადებელია. ამ ეტაპის ამოცანაა შემდგომი ანგარი-შისათვის საინფორმაციო ბაზის ფორმირება. მის ჩარჩოში ხორციელდება პირ-ველადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, რომელიც აუცილებელია ძი-რითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების რეტროსპექტიული და პროგნოზული მნიშვნელობის შესაფასებლად.

გაფართოების კოეფიციენტის შესაფასებლად გამოიყენება მონაცემები ძორითად მაკროეკონომიკურ აგრეგატებზე და ავტონომიური ხარჯების მოცულობაზე, მათ შორის ექსპორტის მოცულობაზე, უცხოურ ინვესტიციებზე, მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერების მოცულობაზე. აქსელერატიული ტიპის გაფართოების კოეფიციენტის შესაფასებლად აუცილებელია მონაცემებში აღნიშნული იყოს დამატებითი ლირებულების მოცულობა გასულ და იმის წინა პერიოდში ეკონომიკური და სამრეწველო დარგების ჭრილში. ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დასკვნები გაკეთდეს მაკროეკონომიკური ტენდენციების მაჩვენებლების ცვლილებაზე მომავალ პერიოდში. ამ ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს საინვესტიციო შეთანხმება უცხოულ პარტნიორებთან ან დამოუკიდებელი გამოკვლევები.

ასე მაგალითად, მიღებული განვითარების კონცეფციები ნიშნავს კონსოლიდირებული ბიუჯეტების პროგნოზის ფორმირებას სამ წლამდე პერიოდზე. არსებითად გამარტივდეს მიმდინარე ტრანსფერტების და ინვესტიციების მიღების პროცედურა ფედერალური მთავრობისაგან რეგიონში.

გაანგარიშებისას წარმოშვება ავტონომიური ხარჯების საპროგნოზო შეფასების აუცილებლობა, რომელშიც საკმაოდ პოპულარული პროგნოზირების მეთოდია კორელაციურ-რეგრესული ანალიზი, რომლის გამოყენებისათვის აუცილებელია რიგითი წლების მონაცემები, რომლის განმავლობაში შეინიშნებოდა ხარისხიანი ერთფეროვნება ეკონომიკური პროცესებისა.

არსებობს სიძნელეები დარგობრივი აქსელერატორების შეფასებაში. ყველა ინვესტიცია განხორციელებული სამრეწველო ქედისტემაში არ უზრუნველყოფენ მისი შემოსავლების ზრდას. ზოგჯერ რეგიონში შეიძლება განხორციელდეს ინვესტიცია ცენტრალური მთავრობისაგან და არ იყოს შიგა რეგიონული მოთხოვნის ზრდით გამოწვეული, რადგანაც ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელებული კაპიტალური დაბანდება, არ არის ინდუცირებული ინვესტიციები, ისინი არ მონაწილეობენ აქსელერატიული ტიპის გაფართოების ეფექტებში და უნდა გამოირიცხოს ანგარიშიდან.

ამიტომ ინფორმაციის მომზადებისას აქსელერატორების შეფასებისთვის აუცილებელია იმის ანალიზი რამდენადაა ინვესტიციები ამა თუ იმ დარგში, ნამდვილად არის თუ არა განპირობებული შემოსავლების შიგა სისტემის ზრდით და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით. ის დარგები, რომელთა წარმოების ზრდა იყო განპირობებული ავტონომიური ინვესტიციებით ან ინდუცირებული ინვესტიციებით, რომლებმაც არ გამოიწვიეს წარმოების ზრდა გამოირიცხება აქსელერა-

ტიული ეფექტების ანგარიშებიდან. ასევე ანგარიშიდან უნდა გამოირიცხოს ის დარგებიც რომლებსაც არ განუხორციელებიათ ინვესტიციები საცდელ პერიოდში.

მესამე ეტაპის შინაარსს შეადგენს პროგნოზული ნამატების შეფასება, როგორც მულტიპლიკატიური, ასევე აქსელერატიული სისტემის გაფართოებით. წარმოების ნამატის ანგარიში, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო სფეროზე, მოითხოვს პროგნოზულ შეფასებას ავტონომიური ხარჯების ნამატისა.

ავტონომიური ხარჯების გაფართოების კოეფიციენტის ანგარიში შეიძლება ორი მეთოდით იქნეს განხორციელებული: პირველ შემთხვევაში შეპირისპირდება გასული წლის ფაქტიური მონაცემები და წინასწარი შეფასება მიმდინარე წლისა. მეორე შემთხვევაში ანგარიში იწარმოება გასული წლის მონაცემების და გასული წლის წინა პერიოდების მონაცემების საფუძველზე. ავტონომიური ხარჯების ამა თუ იმ ელემენტის სიმყარის მდგრადობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნას არა ერთი, არამედ რამოდენიმე საპროგნოზო შეფასება, რომლებიც აღწერენ ამ ელემენტების ქცევის ძირითად მოსალოდნელ ტრაექტორიებს.

დარგობრივი აქსელერატორის განსაზღვრისათვის აუცილებლია შეფარდება მიმდინარე წლის დამატებითი ღირებულების ნამატისა გასული წლის ინდუცირებულ ინვესტიციებთან. აქსელერატიული ტიპის კოეფიციენტისა და მულტიპლიკატიური ავტონომიური ხარჯების გაანგარიშებისას ჩნდება კითხვა იმაზე, თუ რომელ პერიოდში იქნას გამოყენებული მონაცემები.

აქსელერატორის თავისებურება მდგრადირეობს იმაში, რომ მისი გავლენა წარმოებაზე გამოჩნდება პერიოდში, რომელიც მოსდევს პერიოდს, რომელშიც განხორციელებული იყო ინდუცირებული ინვესტიციები. შესაბამისად დარგობრივი აქსელერატორების გასაანგარიშებლად აუცილებელია გამოყენებული იქნას ინვესტიციები წინა პერიოდის და პროგნოზული ნამატი მათ მიერ გამოწვეულ მიმდინარე პერიოდში, ან წლის წინა პერიოდის ინვესტიციები და წარმოების ნამატი გასული პერიოდისა.

ინვესტიციების დარგებს შორის გადანაწილების დროს ორიენტირება უნდა გაკეთდეს გაფართოებაზე, რომელიც პრაქტიკაში მიიღწევა რამდენიმე ინტერაციის გზით. პირველი ინტერაციის დროს ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზირება ხორციელდება ინვესტიციების სტრუქტურის სავარაუდო მონაცემებზე, რეგიონის ძირითადი მმართველი სუბიექტების მიერ. შემდგომი

ინტერაციის დროს ინვესტიციების სტრუქტურა კორექტირდება აქსელერატიული ტიპის გაფართოების დარგობრივი კოეფიციენტების სიდიდის შესაბამისად.

მეოთხე ტიპის ამოცანას შეადგენს საბოლოო დამამთავრებელი შეფასება, პროგნოზული და მიზნობრივი მნიშვნელობის შეპირისპირება.

თუ კი ყველა მიღებულ ვარიანტში პროგნოზული მნიშვნელობა მაღალი ან თანაბარია მთლიანი მნიშვნელობისა, მაშინ ინვესტიციების სტრუქტურა არ ითხოვს შემდგომ კორექტირებას და დამატებით ზემოქმედებას მმართველი ქვესისტემისა. ამ შემთხვევაში შემდეგი ნაბიჯია მაკროეკონომიკური აგრეგატების შეფასება.

თუ კი მიღებული პროგნოზული მნიშვნელობა დაბალია მთლიან დონეზე, მაშინ აუცილებელია დაბრუნება მესამე ეტაპზე და უნდა გადაიხედოს ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა, გაიზარდოს დარგებში ინვესტიციები, გაფართოების მცირე კოეფიციენტებით და შემცირდეს იმ დარგებში, რომლებშიც არ არის გაფართოების ეფექტები.

ამრიგად, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი რეკომენდაციები, მათი პრაქტიკულად გამოყენების შემთხვევაში აძლევს რეგიონალურ ორგანოებს შეზღუდული ინვესტიციების მართვის დროს გამოიყენოს ისინი საუკეთესოდ.

საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე სრულყოფისათვის აუცილებელია განისაზღვროს:

1. კონკრეტული საინვესტიციო რეგიონული პრიორიტეტები;
2. უნდა ჩატარდეს რეგიონების ფინანსური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, რათა დაზუსტდეს რეგიონული თვითდაფინანსების რეალური შესაძლებლობები;
3. ცენტრალური ბიუჯეტის საშუალებების განაწილების დროს უზრუნველყოფილ იქნეს რეგიონული და დარგობრივი შეთანაწყობა;
4. ჩატარდეს რეგიონული თავისებურებების შედარებით სრული აღრიცხვა საბაზო რეფორმების გატარების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტიციურ პროცესებზე;
5. განხორციელდეს ადგილობრივი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თანაბარი პირობები ყველა რეგიონისათვის ინვესტიციების მიზნებისათვის.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების შემუშავებას, რომელთა ძირითად მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის იმ წინასწარგანსაზღვ-

რული დონის მიღწევა და შენარჩუნება, რომელიც აუცილებელია სტაბილური წარმოებისათვის, სოციალური სფეროს განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაჭრა დააჩქარებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, კერძოდ:

- ❖ საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- ❖ რეგიონის განვითარების ფონდის შექმნა;
- ❖ ინვესტიციების დაზღვევის ეფექტური სისტემის ფორმირება;
- ❖ რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კვლავ აქტიური საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება;
- ❖ რეგიონში ინსტიტუციური ინვესტიციების ხელშეწყობა;
- ❖ ინვესტორებისათვის მეთოდური და საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და მოდერნიზაცია, რეგიონებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და საინოვაციო პროექტების დაფინანსება, მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის დანერგვა მოითხოვს დიდ კაპიტალს. საქართველოს დანაზოგების დაბალი დონის, შემოსავლების მობილიზების შეზღუდული შესაძლებლობებისა და, ამის შედეგად, ძირითად კაპიტალში ინვესტირების დაბალი მაჩვენებელის გათვალისწინებით, ერთადერთი გზა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის დაგროვება და მოდერნიზაცია, არის ინვესტირება. ასეთ დროს, ბუნებრივია, მკვეთრად იზრდება უცხოური დაფინანსებისა და ინვესტიციების როლი, რომლებიც ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის შეხიბით განაპირობებენ არამარტო შესაძლებლობების, მატერიალური სიმდიდრისა და ახალი სამუშაო ადგილების გენერირებას, არამედ ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და დამატებითი ლირებულების შექმნას ეწევ ექსტრაფინანსური სარგებლის და ტექნოლოგიური დიფუზიის ხარჯზე. ტექნოლოგიური დიფუზია არის ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, მოწინავე მენეჯერული გამოცდილების, პროდუქტიულობის ზრდის მასტიმულირებელი იდეებისა და ნოუ-პაუთა გაზიარება და ტრანსფერი მიმდებ ქვეყანაში. აღნიშნული ტიპის ინვესტიციებს თან ახლავს მოწინავე ცოდნა პროდუქციის გადამუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და, ასევე, ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის შესახებ. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოედინება ინვესტიციების თანადროულად, რაც უზრუნველყოფს პროექტების მდგრადობას და იძლევა ტექნიკური ინოვა-

ციების ათვისების შესაძლებლობას. ტექნოლოგიურ ტრანსფერს თან ახლავს მომდები ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული უცხოელი ინვესტორების ინიციატივები, კერძოდ, ადგილობრივი მუშახელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემწყობი ტრენინგების ჩატარება, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკის და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვა, საჭიროა სპეციალური საგადასახადო სტიმულების შექმნა ქვეყნის რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ინოვაციების წასახლისებლად, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის მიერ შემუშავებულ საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციებში 2011 – 2017 წლებისათვის, ხაზგასმულია ორი წლის განმავლობაში გადასახადებისაგან გათავისუფლება ან დიფერენცირებული საგადასახადო შეღავათების შემოღება იმ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდება ქვეყნის რეგიონებში (თბილისის გარდა). აქვე აღნიშნულია, რომ „მსგავსი ტიპის შეღავათების აუცილებელ წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს ინვესტორის მიერ შემდეგი ვალდებულებების აღება:

- ❖ განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 2% უნდა ითვალისწინებდეს კვლევა-განვითარების ხარჯებს;
- ❖ განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 1% უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ადამიანური რესურსების ტრენინგის და გადამზადების ხარჯებს;
- ❖ ადგილობრივად პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, მოცემული პროდუქციის არანაკლებ 30% უნდა იყოს საექსპორტო;
- ❖ დასაქმებული მუშა ხელის და სხვა ადამიანური რესურსების არანაკლებ 70% უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობა;
- ❖ განხორციელებული ინვესტიცია უნდა ითვალისწინებდეს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერს და ადგილობრივ სამიმწოდებლო ბაზართან მჭიდრო ურთიერთობას.“**(საქართველო... 2010ა:85)**

ვინაიდან აღნიშნული პირობების შესრულება (ნაწილობრივ ან ერთობლიობაში) პირდაპირპროპორციულ კავშირშია დამატებით, დიფერენცირებულ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობასთან, იგი ეფუძნება მხოლოდ კორპორატიული დისკრეციისა და ნებაყოფლობითობის პრინციპს. ინვესტორის მხრიდან ამგვარი ინტერესის არქონის შემთხვევაში, მისი საქმიანობა რჩება არსებული საინვესტიციო და საგადასახადო კანონმდებლობის რეჟიმში.

არსებითად, ეს მიღებოდა ეხმაურება მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის თანამდებობის ძალისხმევას:

ა) შექმნას დამატებითი სტიმულები მეტი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად;

ბ) გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული სარგებელი და მათი დამატებული დირექტულება ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის (მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერი, ინვესტირება და რეინვესტირება კვლევა-განვითარებაში, ადამიანური რესურსების განვითარებაში) წახალისებითა და ამ მიმართულებით ლიბერალური, მაგრამ აქტიური სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებით.

აღნიშნული ამოცანა, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს არსებული ლიბერალური საინვესტიციო პოლიტიკისა და გარემოს გადახედვას, არამედ ქმნის წახალისების დამატებით მექანიზმებს იმ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც ზემოთ გაწერილი პირობების ნებაყოფლობით დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიიღებენ ექსტრა საგადასახადო შედაგათებს. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ამოქმედებული განხხვავებული საგადასახადო რეჟიმი უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მისგან მიღებული სარგებელი მხოლოდ შეზღუდულად და ირიბად ემსახურება ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის საერთო სტიმულირებას, მაშინ როცა წარმოდგენილი მიღგომები ითვალისწინებს რეგიონულ დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის თანამდებას. რეგიონული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების უმნიშვნელო როლი საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში და ადგილებზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში შეუძლებელს ხდის ეკონომიკური პროცესების სათანადო სტიმულირებას რეგიონებში. ამჟამად, ისინი არ ფლობენ აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად როგორც სათანადო რესურსებს, ისე კარგად ფორმულირებულ და არაორაზროვან სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ამ მხრივ, შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა და ეფექტური თანამშრომლობა სამხარეო ადმინისტრაციებსა და შესაქმნელ რეგიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს შორის მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალს და წახალისებს უკუკავშირებს ადგილობრივ საწარმოებსა და შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის.

ამასთან, ვინაიდან ადგილობრივ თვითმმართველობებს და რეგიონულ ადმინისტრაციებს საქართველოში არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება უცხოელი ინვესტორების მოზიდვის თვალსაზრისით, რეგიონული ადმინისტრაციების ნაყოფი-

ერი საქმიანობა ამ მიმართულებით მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას მოქმედ ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან. თუ გავითვალისწინებო რომ ამჟამად, ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს გააჩნია შეზღუდული ფუნქციები და შტატი (არ შეიმუშავებს საინვესტიციო პროექტებს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონულ დონეზე შემოიფარგლება ძირითადად საშუალებო ფუნქციით მთავრობასა და უცხოურ ინვესტორს შორის), აუცილებელი ხდება სააგენტოს დებულების გადასინჯვა და შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმის მომზადება, რაც სხვა საკითხებთან ერთად, შესაძლოა უკავშირდებოდეს რეგიონებში საინვესტიციო სააგენტოს ფილიალების შექმნას.

რეგიონების როლი საინვესტიციო პროცესებში უმნიშვნელოა. ხშირად, რეგიონის ინოვაციური პოტენციალი არსებითად იზღუდება ფინანსურ-ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორებით. ეს შეზღუდვები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ფინანსური ხასიათის შეზღუდვები - რეგიონის ეკონომიკის მიერ შექმნილი ფულადი სახსრების ძირითად მასას კონტროლს უწევს ცენტრალური ხელისუფლება.

2. ტერიტორიული ხასიათის შეზღუდვები - რეგიონისთვის შეუძლებელი ხდება იქ განლაგებულ, მაგრამ იმგვარად ინტეგრირებულ საწარმოთა ინოვაციური პროგრამის განხორციელება, რომელთა გამაერთიანებელი ცენტრი მდებარეობს რეგიონის გარეთ.

3. სპეციფიკური რეგიონული შეზღუდვები - დღევანდელ პირობებში, ფულადი ნაკადები უმთავრესად მიმართულია არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად.

ამ სიძნეების გადალახვის აუცილებელი რგოლია რეგიონის განვითარების შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგია - საინოვაციო-საინვესტიციო რეგიონული სტრატეგია, რომელსაც შეუძლია ცალკეულ რეგიონებში განსაკუთრებული საინოვაციო სისტემის და საგადასახადო სტიმულების შექმნით, შესაძლებელი გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსის ეფექტური გამოყენება. კერძოდ, არსებობს ინოვაციური პროექტების სტიმულირებისა და გადასახადების ოპტიმიზების რამდენიმე შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს:

- ინოვაციური პროექტების განმახორციელებელი საწარმოების გადასახადებისაგან დროებით განთავისუფლებას;

- გადასახადებისაგან დროებით განთავისუფლებას ინოვაციური პროექტების დაწერგვის ფინანსური შედეგებით;
- საგადასახადო დანახარჯების სადაზღვევო გადასახადად გარდაქმნას; ეს უკანასკნელი აერთიანებს საგადასახადო და სადაზღვევო მექანიზმებს, ქმნის საფინანსო საფუძველს საინოვაციო პროექტების სადაზღვევო მხარდაჭერისთვის;
- ლიზინგური სქემებით ოპერირებას, რაც საშუალებას იძლევა უფრო აქტიურად და მოქნილად მოხდეს ინოვაციური ტექნოლოგიების ტრანსფერი და განვითარება.

ასეთი სტრატეგიის შემუშავებამ და განხორციელებამ არსებითად დადებითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს, როგორც რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ისე მთლიანად რეგიონის განვითარებაზე.

კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების გათვალისწინებით საერთაშორისო პრაქტიკაში გამომუშავებულია იჯარის ელემენტების გამოყენება საკრედიტო ვალდებულებების დაფინანსებაში, სადაც ფინანსური და მატერიალური ნაკადები შერწყმულია ურთიერთქმედების ერთიან კომპლექსში, ფინანსურ-ქონებრივ ურთიერთობაში. ამ დროს წარმოქმნილ ურთიერთობათა კომპლექსმა მიიღო ლიზინგის სახელი, რომელიც ფართოდ გაგრცელდა უკანასკნელ ათწლეულში. საქართველოში ინოვაციური სისტემური გარდაქმნების საფუძველი უნდა გახდეს ლიზინგური ურთიერთობების პრობლემის დაყენების, პერსპექტივის და განვითარების კანონზომიერების შემდგომი შესწავლა და მისი ეფექტური დაწერგვა.

საქართველოში ინოვაციური ლიზინგური სისტემის დასამკვიდრებლად აუცილებელია ინოვაციური ლიზინგური ურთიერთობების რეალიზაციის სფეროს განსაზღვრა, ლიზინგური ურთიერთობების საინოვაციო ბაზრის ფორმირებისა და ინოვაციური ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა. შესაბამისად, აუცილებელია, ინოვაციური ლიზინგური ურთიერთობების ობიექტურ-სუბიექტური სტრუქტურის გამოვლენა, ეკონომიკურ სისტემაში მიკრო, მეზო და მაკროდონეებზე მათი სპეციფიური ფუნქციების და თავისებურებების რეალიზაცია. ამდენადვე მნიშვნელოვანია ინოვაციური ლიზინგური ურთიერთობის სახელმწიფო სტიმულირების შესაძლებლობის შემდგომი შესწავლა და შესაბამისი დონისძიებების შეთავაზება.

გვიქრობთ აქტუალურია რეგიონალური სადაზღვევო და საფინანსო ბაზრის განვითარების საკითხებიც. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში რეგიონის საფინანსო-ეკონომიკური განვითარება საქართველოს საზოგადო-

ებრივი განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. „ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა დაეყრდნოს საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნას და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, რაშიც დიდი წვლილი რეგიონულ ჭრილში სადაზღვევო ბაზრის სრულყოფას უჭირავს.“(ცინარიძე 2009ა: 97) რეგიონული სადაზღვევო სისტემის განვითარების ტენდენციებისა და პროპორციების შესწავლა საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ მაკორექტირებელი სიგნალები, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის, ასევე ქავენის და რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკისათვის. ამიტომ აქტუალურად გვეჩვენება რეგიონული სადაზღვევო პროცესების ანალიზის, მოდელირებისა და პროგნოზირების მეთოდების სრულყოფა.

დღეს საქართველოში მთლად ნათელი არ არის საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მცირეა მტკიცე ფინანსური მდგომარეობის ბანკები, პრაქტიკულად არ არსებობენ კერძო საპენსიო ფონდები, სადაზღვევო ფონდები სრულყოლად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო ბაზრის თითქმის ყველა ობიექტი ჩვენთან ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ეკონომიკას ესაჭიროება სტრატეგიული ინვესტორები და არა ე.წ. „ცხელი ფულის“ დამანგრეველი შემოდინება და გადინება.

დასკვნა

ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონის საინვესტიციო საქმიანობის მდგომარეობის ანალიზისა და საინვესტიციო პოტენციალის ფორმებისა და მეთოდების, რეგიონული ინვესტიციური პროცესის სხვა თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ კონკრეტული დასკვნები და წარმოვადგინოთ მათი შესაბამისი წინადაღებები;

1. დღევანდელ საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტსა და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძღვა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და პოტენციური შესაძლებლობებით, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით.

2. საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის დონის ერთ-ერთ მაჩვენებელს უცხოური ინვესტიციების გამოყენება წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი თავის მხრივ გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ამჟამინდელ შედეგებს და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ტენდენციებს. მსოფლიო ფინანსური გლობალიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების გამოყენების სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენენ ქვეყანაში ჩამოყალიბებული კონკურენციის პირობებზე. ამიტომ სახელმწიფოს უნდა პქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია, წინასწარ პროგნოზირებული უნდა იყოს თუ რა გავლენას მოახდენს ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროპრეციებზე, საერთოდ სტაბილურობაზე.

3. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა და რადიკალური შემობრუნება ეკონომიკისაკენ ობიექტურად მოითხოვს მართვის საბაზო ეკონომიკის მეთოდებზე გადასვლას და, შესაბამისად საინვესტიციო გარემოს სრულყოფას სახელმწიფო თუ რეგიონულ დონეზე, მისი ნორმალური ფუნქციონირების სტრატეგიის განსაზღვრას.

4. საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს და სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებაში შეტანილი ცვლილებები შეიძლება შევაფასოთ, როგორც დადებითი

მოვლენა, რომელი გამოიხატავს პრაქტიკაში ინვესტიციების საბაზრო პრინციპების რეალიზებას.

5. ინვესტიციები უზარმაზარ გავლენას ახდენენ ეკონომიკის მდგომარეობაზე, მის განვითარებასა და ზრდის ტემპებზე. ასე თუ ისე, ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ ხელი შევუწყოთ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტირების განხორციელებას, ვინაიდან დღესდღეობით ესაა ჩვენი ქვეყნის აღმაფლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და დასაწყისისთვის მხოლოდ ამ სფეროს განვითარების შედეგად შეგვიძლია ვისაუბროთ ეკონომიკის, პოლიტიკური მდგომარეობის და ქვეყნის განვითარებაზე.

6. საქართველოს ეკონომიკის რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც.

7. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრულმაშტაბიანი ამოქმედება შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას მოითხოვს. ადგილობრივი საწარმოები დაბალი მწარმოებლურობის გამო ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი ინვესტიციების მტკიცე ბაზის შექმნას. ამ დროს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური უზრუნველყოფის ერთადერთ გზად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რჩება.

8. ინვესტიციის არსისა და მნიშვნელობის მრავალი განმარტების შეჯერების საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ინვესტიცია წარმოადგენს აუცილებელ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც დიდი როლს თამაშობს ეკონომიკის როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე - პირველ რიგში, უბრალო და ფართო თვითწარმოებაში, სტრუქტურულ გარდაქმნებში, და შემდგომ მოგების მიღებასა და ამის საფუძველზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. ჩვენი აზრით, ის წარმოადგენს დროებით თავისუფალ სახსრების (დაგროვებულის და გამოუყენებლის შემოსავლის მოხმარებისთვის) ჩადებას სამეწარმეო საქმიანობაში მოგების მიღების (ან მისი დირექტულების შენარჩუნების) მიზნით და პერსპექტივაში სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მისაღწევად.

9. სახელმწიფოსა თუ მისი ცალკეული რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში ინვესტიციების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის საჭიროა მივმართოთ ეკონომიკურ თეორიას, ანუ განვიხილოთ „ინვესტიციის“ ცნების არსი ეკონომი-

კურ თეორიაში. ინვესტირება ნიშნავს რაიმე სახსრების „ჩადებას“ (ლათინურად „invest“) მომავალში მოგების მიღების მიზნით. ძირითადი განსხვავებები ინვესტიციის გაგებაში არის მისი ადგილისა და როლის განსაზღვრა საინვესტიციო პროცესში.

10. მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიაში ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის გაანალიზების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კეინსისეული წონასწორობის მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც შემუშავებული იქნა ღრმა ეკონომიკური დაცემის დროს და როდესაც იდგა პრობლემა ნებისმიერი მეთოდებით გამოეცოცხლებინათ ეკონომიკა, ხაროდე-დომსის მოდელისათვის დასაშვებია, ერთ-ერთი ნეგატიური მოვლენა, რომელიც ამცირებს, როგორც ინვესტიციებს, ასევე მათ არათანაბარ ზრდას. ერთიც და მეორეც არავს ეკონომიკას და გამოყავს ის წონასწორობის მდგომარეობიდან, რის შედეგიც არის ციკლური რყევები და კრიზისები.

11. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესი წარმოადგენს ინვესტიციების ქვეყანათაშორისო მიგრაციის პროცესს მათი უცხოეთში უფრო ეფექტიანად დაბანდების მიზნით (ექსპორტიორი ქვეყნებისათვის), ასევე უცხოეთიდან აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვას ეროვნულ ეკონომიკაში მათი რაოდენობრივი და სტრუქტურული უკმარისობის პირობებში (იმპორტიორი ქვეყნებისათვის).

12. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის დამახასიათებელი თავისებურება არა მარტო საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობა, არამედ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებაა. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აქციების კოტირება, საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, მსოფლიო ინვესტიციური ბაზრები და კაპიტალთა ბაზრები მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებენ ფინანსურ-ეკონომიკურ პირობებზე, უფრო მეტიც, საერთაშორისო ინვესტიციური კაპიტალი განსაკუთრებულ როლს ასრულებს როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე მთლიანად მსოფლიო ფინანსური რეგიონების განვითარებაში.

13. ახლო პერსპექტივაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მისი განთავსების უნიკალური კომბინაციის უპირატესობა არსებითად გადამწყვეტია მიმდები ქვეყნისათვის, ამისათვის უმნიშვნელოვანებია ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ბაზრებთან კავშირი, შექმნილი აქტივების ინოვაციური შესაძლებლობების არსებობა და ტექნოლოგიები, ფლობა იმ ფაქტორების კომპლექტისა, რომელიც გვაიძულებს მოახდინოთ ინვე-

სტირებული ტრანსნაციონალური კომპანიის ოპტიმიზირება სამეწარმეო პროცესში და მთლიანობაში საერთაშორისო კორპორატიულ ქსელში.

14. საინვესტიციო სტრატეგია ძირითადად ხორციელდება საწარმოს განვითარების გეგმასთან მჭიდრო კავშირში. საწარმოს ინვესტორების სტრატეგია ყალიბდება არსებული ინვესტიციების წყაროების და ფორმების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი პოტენციალების ეფექტური გამოყენებით. საინვესტიციო სტრატეგიის ფორმირების წინა პირობას წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმირება, რომელთა მიმართებაშიც ხორციელდება საინვესტიციო პოლიტიკა.

15. სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის გაადვილების დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის დიდმა მსგავსებამ, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს საინვესტიციო კლიმატის ხარისხს. ეს ზომები მოიცავს: ინვესტიციების ხელშეწყობას, საფინანსო-საგადასახადო შედავათებს, შემდგომ საინვესტიციო მომსახურებას, „სამუშაოზე დანახარჯების, საკამათო მომენტების განხილვის, უთანხმოების, განსხვავებული ხედვის“ ზომების შემცირებას ბიზნესში. საინვესტიციო ბიზნესში მოქმედების შემარბილებელი ზომები სწრაფად ვრცელდება, როგორც ერთ-ერთი საშუალება ინვესტიციების მოზიდვისა კონკურენტულ ბრძოლაში. ისინი სულ უფრო დახვეწილი და დახელოვნებულები არიან ყველა მზარდ დონეზე ინდივიდუალურ და კონკრეტულ ინვესტორთან მიმართებაში. ამ ზომებს შორის უნდა გამოიყოს წინასაინვესტიციო მომსახურება, როგორც სამართალმემკიდრე რეინვესტირებული შემოსავლებისა, მთლიან საინვესტიციო ნაკადზე, რამდენადაც ინვესტორის „კმაყოფილება“ გამოიხატება ქვეყანაში მიღებული საინვესტიციო კლიმატის საუკეთესო რეკლამით.

16. თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციური კლიმატის შესწავლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც საერთო სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე. ინვესტიციური კლიმატი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები. მისი ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო „ბუმი“ იწყება უცხოური კაპიტალის შემოსვლით, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით. ამასთან, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობისას შეიძლება შედავათების შემოღება გარკვეულ სექტორებში, წარმოებისა და რეგიონების მიმზიდველობის ხელშეწყობის მიზნით.

17. საქართველო დღეისათვის იმყოფება თავისი ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე. XX ბოლო ათწლეულის დასაწყისიდან ქვეყანა შიდა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა, რამაც გამოიწვია ეკონომიკის პარალიზება. 2003 წლიდან შექმნილმა დროებითმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ და ეკონომიკურმა პროექტებმა გამოიწვია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ მსოფლიო კრიზისისა და 2007 წლის ნოემბრიდან დაწყებული პოლიტიკური პროცესების ფონზე (შემდგომ რუსეთ-საქართველოს ომი) არაერთი უცხოური ინვესტიცის შეჩერდა. დღეს შექმნილი მდგომარეობიდან საქართველოს წარმატებით გამოყვანის ერთ-ერთ ოპტიმალურ გზად კვლავ რჩება აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა.

18. ინვესტიცია არის ისეთი ფაქტი რამ, რომელსაც სჭირდება მშვიდი ადგილი, სადაც ფინანსებს საფრთხე არ ემუქრება. დღეს, როდესაც ერთის მხრივ ინვესტორებს აქ ეპატიურები, მეორეს მხრივ კი საფრთხეზე საუბრობ, რომ წარმოსადგენი არაა, რომ ინვესტორი აქ არ ჩამოვა. ერთი მხრივ, ქართული ეკონომიკის მდგრადი განვითარება სწორედ პირდაპირ ინვესტიციებზეა დამოკიდებული, მაგრამ მეორე მხრივ, მოსახლეობის კეთილდღეობას და სიდარიბის აღმოფხვრას ეს რამდენად უწყობს ხელს, სხვა საკითხია. ფაქტია, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში გაზრდილი ინვესტიციების მიუხედავად, საქართველოში უმუშევრობა იზრდება, ხოლო მოსახლეობის კეთილდღეობა მცირდება. აღნიშნული ტენდენცია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც დაფიქსირდა. ამის დამადასტურებელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, სადაც ძირითადად ევროპული და ამერიკული, ანუ ჯანსაღი ინვესტიციები ხორციელდებოდა, მაგრამ რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, უმუშევრობისა და სიდარიბის მაჩვენებელი არ მცირდებოდა. საქართველოსთვის პრობლემას ევროპული და ამერიკული ინვესტიციების სიმწირე წარმოადგენს. ნებსით თუ უნებლიერ, ხელისუფლება იძულებულია კაპიტალი, ხშირ შემთხვევაში, ოფშორული ზონებიდან და აზიის ქვეყნებიდან მოიზიდოს.

19. კვლევის მიხედვით, რაც უფრო თავისუფალია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო მეტია შანსი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვა: მკაცრი კანონები და ხისტი რეგულაციები კი ამას აფერხებს. მეორე მხრივ, აუცილებელია ქვეყანაში გამართულად ფუნქციონირებდნენ საჭირო ინსტიტუტები, ეს ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და მათ პროგრესულ ზრდას.

20. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური

სიტუაცია, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია, პროგნოზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო. აღნიშნული ფაქტორების თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობების არსებობა წარმოადგენს საფუძველს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების შემოგანას, მენეჯმენტური გამოცდილების ამაღლებას, ფინანსირების სტაბილური წყაროების წარმოქმნას.

21. საინვესტიციო აქტივობა ქვეყნის განვითარების ერთეულთ უმნიშვნელოვანებს პირობას წარმოადგენს, რომელზეც დამოკიდებულია ეკონომიკაში ზრდის ტემპები და იგი მიიღწევა საინვესტიციო რესურსების ეფექტური მობილიზაციისა და გამოყენების გზით. ინვესტიციების საფუძველზე ხდება ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პირობების მიღწევა, სამეწველო პოტენციალის ფორმირება, რაც განაპირობებს კიდევაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

22. რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა თავისი შინაარსით პოზიტიური კატეგორიაა, ამ მიზიდველობის ჩამოყალიბებაში მონაწილე რისკები კი ნეგატიური. ამიტომ არაკომერციული ინვესტიციური რისკების, როგორც საინვესტიციო მიმზიდველობის კომპლექსური ფაქტორის გათვალისწინების დროს მიზანშეწონილია რისკების რიცხობრივი მახასიათებლების გარდასახვა იმ ცნების რიცხობრივ მახასიათებლად, რომელიც თავისი არსით „ ინვესტიციური რისკის“ საპირისპიროა. საინვესტიციო პოტენციალი ითვალისწინებს ძირითადად მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს, ტერიტორიის გაჯერებას წარმოების ფაქტორებით, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნას და სხვა მაჩვენებლებს.

23. მათემატიკური მოდელების საფუძველზე შემუშავებულია რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის გამოთვლის მეთოდი; მოცემულია შესაბამისი კლასიფიკაცია. რეგიონულ დონეზე განიხილება რისკის სახეები; საინვესტიციო მიმზიდველობის ინტეგრალური შეფასების სისტემა დაფუძნებულია ორი ზომვადი სიდიდის, ორი ძირითადი მაჩვენებლის ურთიერთკორელაციაზე: საინვესტიციო რისკი და საინვესტიციო პოტენციალი. ამის საშუალებით, ერთის მხრივ, შესაძლებელია რეგიონში საგარაუდო ბიზნესის მასშტაბის შეფასება, ხოლო მეორეს მხრივ გარკვევა, თუ რამდენად სარისკოა ამ ბიზნესის განვითარება.

24. საინვესტიციო რისკების განსაზღვრის დროს განსაკუთრებულია გამოვლინდეს ინვესტორების რისკი და რეგიონის რისკი. კონკურენტუნარიანობასთან

მიმართებაში უფრო მნიშვნელოვანია თავად რეგიონის რისკები ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. რეგიონში შესაძლებელია საინვესტიციო რისკების მართვა, მაგრამ ეს მართვა შეზღუდულია და განისაზღვრება თავად რისკების გაანგარიშებების უტყუარობით. ყველა სახის საინვესტიციო რისკების მართვა შეიძლება განხორციელდეს მისი საკუთარი ხერხების გამოყენებით.

25. როგორც ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა მეზოეკონომიკის სუბიექტის საინვესტიციო პოტენციალის ცვლადები, როგორც მაკროეკონომიკური გარემოს ელემენტები, დინამიკაში იცვლებიან. აქედან გამომდინარე სუბიექტს თავისი საქმიანობის ძირითადი პარამეტრების შენარჩუნებისა და განვითარების ეფექტოანობის ამაღლების მიზნით შეუძლია მონიტორინგის განხორციელება, საინვესტიციო პოტენციალის ცვლილების პროგნოზირება, საქმიანობის დაგეგმვა ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, მაგალითად: პესიმისტური, სტაბილიზაციური, ოპტიმისტური.

26. რეგიონული ინვესტიციები წარმოადგენს ცალკეული სამეურნეო, მმართველობითი სუბიექტების და მოსახლეობის საერთო ხარჯებს, კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების ფორმას რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. რეგიონული ინვესტიციების მიზანია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, ხოლო შედეგს წარმოადგენს - წარმოების რეგიონული სტრუქტურის სრულყოფა, რეგიონის ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაში წარმოქმნილი დისკროპორტული დაბლეგა, სამეურნეო დამოუკიდებლობის დონის ამაღლება, მდგრადი საფინანსო ბაზის ფორმირება, სოციალური ამოცანების გადაჭრა.

27. საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოადგენს რეგიონის საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის შედარებით ახალ ინსტრუმენტს. მიუხედავად, იმისა რომ საბიუჯეტო კანონმდებლობაში ის საქმაოდ დიდი ხნის მანძილზე „ჩაწერილი”, მას ჯერ მაინც არ მიუღია სათანადო საკანონმდებლო და საორგანიზაციო-ტექნოლოგიური გაფორმება. მისი ფორმირების კონცეფციამ უნდა უზრუნველყოს საინვესტიციო პოლიტიკის ამ ინსტრუმენტის ქმედითუნარიანობა ყველა საბიუჯეტო დონეზე. ამიტომ აუცილებელია მკვეთრად განისაზღვროს: პირველი, იდეოლოგია, რომელსაც ეფუძნება საინვესტიციო ბიუჯეტის ფუნქციონირება; მეორე, - მისი ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა; მესამე, რეგიონული განვითარების პრიორიტეტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეფასება და მათი უზრუნველყოფის შესაძლებლობა საინვესტიციო ბიუჯეტის მეშვეობით.

28. საინვესტიციო ბიუჯეტის განსაკუთრებულ სტატუსს უპირველესად განაპირობებს, ის გარემოება, რომ საინვესტიციო ბიუჯეტი არის სახელმწიფო (მუ-

ნიციპალური) ორგანოების ხელთ არსებული ბერკეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური განვითარება. მოცემულ შემთხვევაში განვითარება ნიშნავს საგადასახადო პოტენციალის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას, წარმოების ვარდნის შეჩერებას, ე.ი. რეგიონულ ეკონომიკაში შექმნილი დისპროპორციების დაძლევას.

29. საინვესტიციო ბიუჯეტი წარმოადგენს რეგიონში საინვესტიციო პოლიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს. ამიტომ მისი სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების ფორმირება დაკავშირებულია ამ სფეროში ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის პრობლემასთან. ცენტრმა უნდა განსაზღვროს საინვესტიციო სტრუქტურული პოლიტიკის მთავარი კონტურები და საერთო ნორმები (გადასახადები, სანქციები, შეღავათიანი კრედიტების პირობები, სუბსიდიები, საამორტიზაციო და საბაჟო პოლიტიკა და ა.შ.). რეგიონს კი უნდა მიეცეს უფლება შეიტანოს ამ ნორმებში შეთანხმებული დამატებები და ცვლილებები ტერიტორიის თავისებურებებიდან და საბაზო გარდაქმნების ტემპებიდან გამომდინარე. ასეთი ფუნქციების გამიჯვნა აუცილებელია საინვესტიციო რესურსების მიზნობრივი გამოყენების და შედეგების კონტროლის უზრუნველსაყოფად.

30. ისეთ პირობებში, როდესაც ეკონომიკაში საბაზო საწყისები სუსტია, ინვესტიციების დაფინანსებაში არასახელმწიფო სექტორის წილი უმნიშვნელოა, ხოლო არაპირდაპირი რეგულირების მეთოდები ვერ ახდენს სასურველ ზემოქმედებას საინვესტიციო აქტიურობაზე - ბიუჯეტიდან პირდაპირი ინვესტიციები იძუნენ დიდ მნიშვნელობას. საინვესტიციო პროცესის გააქტიურების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად უნდა იქცეს საინვესტიციო ბიუჯეტი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ცალკეული დარგის პროდუქციასა თუ მომსახურეობაზე მოთხოვნის ზრდა, რაც საბოლოოდ იწვევს მოთხოვნას ინვესტიციების განხორციელებაზე. აღნიშნულს ემატება სახელმწიფოს მხრიდან ცალკეული ინფრასტრუქტურის შექმნასა თუ რეაბილიტაციაზე განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც მთლიანობაში ზრდის საინვესტიციო საქმიანობის მოცულობას.

31. საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობის განსაზღვრა და ფორმირება დეტერმინირებულია შემდეგი ფაქტორების გავლენით: ინვესტიციების სფეროში ხელისუფლების რეგიონული ორგანოების უფლებამოსილებების სტრუქტურით და მოცულობით; ბიუჯეტის საფინანსო შესაძლებლობებით (საშემოსავლო პოტენცი-

ალი და მიმდინარე ხარჯებში დეფიციტის არსებობა); სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დონით.

32. რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს დონისძიებათა სისტემას, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

33. რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს იმ ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ტარდება სახელმწიფოსა და საწარმოს მიერ ინვესტიციების სტრუქტურისა და მასშტაბების დადგენის სახით, რომელიც მიმართულია მათ გამოყენებაზე, მიღების წყაროებზე საშუალებების განახლების აუცილებლობის და მათი ტექნოლოგიური დონის ამაღლების გათვალისწინებით. სამამულო ეკონომიკურ მეცნიერებაში საინვაციო პროცესის კვლევის მეთოდოლოგია, როგორც რეგიონის კონკურენტუნარიანობის განვითარების ერთ-ერთი ხერხი, წარმოადგენს რთულ კატეგორიას, რამდენადაც მის საფუძველს წარმოადგენს მთელი რიგი ფაქტორების და ტენდენციების, ზოგჯერ კი სხვადასხვა მიმართულების მქონენი მრავალვარიანტული, მრავალკრიტერიული შეფასება.

34. ინვესტიციების მოზიდვა და მიმართვა რეალურ ეკონომიკაში, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს ინდუსტრიის მდგრადობის ზრდას. ამასთან მნიშვნელოვანია რამდენად მოხერხდება დახვეწილი საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, პრიორიტეტების სწორი შერჩევა და ძირითადად შედეგზე – რეგიონის ეკონომიკური მდგრადობის ზრდაზე ორიენტაცია.

35. საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეგიონებში საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთგავლენის პრობლემის განხილვა, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს რეგიონებზე საინვესტიციო ბაზრების განვითარებას. დღეისთვის არსებობს მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემა, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე და აფერხებს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხო ინვესტორებს საქმიანობის ჩვენს ქვეყანაში წამოწყებასა და განხორციელებაზე.

36. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების შემუშავებას, რომელთა ძირითად მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის იმ წინასწარგანსაზღვ-

რული დონის მიღწევა და შენარჩუნება, რომელიც აუცილებელია სტაბილური წარმოებისათვის, სოციალური სფეროს განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის.

37. ვინაიდან ადგილობრივ თვითმმართველობებს და რეგიონულ ადმინისტრაციებს საქართველოში არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება უცხოელი ინკუსტორების მოზიდვის თვალსაზრისით, რეგიონული ადმინისტრაციების ნაყოფიერი საქმიანობა ამ მიმართულებით მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას მოქმედ ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან. თუ გავითვალისწინებთ რომ ამჟამად, ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს გააჩნია შეზღუდული ფუნქციები და შტატი (არ შეიმუშავებს საინვესტიციო პროექტებს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონულ დონეზე, შემოიფარგლება ძირითადად საშუალებრივ ფუნქციით მთავრობასა და უცხოურ ინვესტორს შორის), აუცილებელი ხდება სააგენტოს დებულების გადასინჯვა და შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმის მომზადება, რაც სხვა საკითხებთან ერთად, შესაძლოა უკავშირდებოდეს რეგიონებში საინვესტიციო სააგენტოს ფილიალების შექმნას.

38. ქმედითი საინვესტიციო პოლიტიკის მომზადებისა და რეალიზებისთვის აუცილებელია რეგიონებსა და ეკონომიკის დარგებში ჩამოყალიბებული საინვესტიციო სიტუაციის შეფასების კრიტერიუმების ნათლად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, ეკონომიკური რეალიების ადეკვატური მეთოდური აპარატის შემუშავება და მისი თანმიმდევრულად გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ა). ქართული ბიბლიოგრაფია:

1. **აბრალავა 2001:** აბრალავა ა., „გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ: ორგანიზაციულ - ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში,” თბილისი.
2. **აბრალავა 2005:** აბრალავა ა., „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია.” „ინოვაცია,” თბილისი.
3. **აბრალავა ...2009:** აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., „საინოვაციო მენეჯმენტი,” სტუ, თბილისი;
4. **ამაღლობელი 1998:** ამაღლობელი დ., საქართველოს საინვესტიციო და საგადასახადო გარემო. “ბიულეტენი”. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №5;
5. **ამაღლობელი 1999:** ამაღლობელი დ., „საქართველოს ბიზნეს გარემო და უცხოური ინვესტიციები”. “ბიულეტენი”. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №19;
6. **ბალცეროვიჩი 2002:** ბალცეროვიჩი ლ., „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში”, თბილისი.
7. **ბასარია ... 1995:** ბასარია რ., მესხია ი., „გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები.” სტატისტიკის გამომცემლობა, თბილისი;
8. **ბარათაშვილი ...2011:** ბარათაშვილი ე. ქუთათელაძე რ. გვაჯაია ლ. უურაშვილი გ.. „საინვესტიციო მენეჯმენტი,” თბილისი.
9. **ბარათაშვილი...2001:** ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., „საინვესტიციო პროექტის მენეჯმენტი (უცხოეთის გამოცდილება),” გამომცემლობა „რუბიკონი,” თბილისი;
10. **ბებიაშვილი 2008ა:** ბებიაშვილი ნ., „საინვესტიციო გარემო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში”, უურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №3;
11. **ბებიაშვილი 2008ბ:** ბებიაშვილი ნ., „საინვესტიციო პროექტების შემუშავება და გადაწყვეტილების მიღება,” უურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №6;
12. **ბერკაციშვილი 2006:** ბერკაციშვილი გ., „უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო პოლიტიკა”, უურნალი „ეკონომიკა“, №6, თბილისი;
13. **ბასილია... 2001:** ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველო XXI საუკუნის მიჯნაზე,” თბილისი;

14. **გადელია 2002:** გადელია დ., „რეგიონის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალი.” თბილისი;
15. **გამსახურდია 1995ა:** გამსახურდია გ., „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე,” გამომცემლობა თსუ, თბილისი;
16. **გამსახურდია 1995ბ:** გამსახურდია გ., „საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის საკითხები,” თბილისი;
17. **გამსახურდია 1997:** გამსახურდია გ., „ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ პერიოდში,” გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი;
18. **გამსახურდია 1999:** გამსახურდია თ., „ეკონომიკური პოლიტიკა და საინვესტიციო ურთიერთობების რეგულირების საკითხები,” იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში,” შრომების კრებული, IV ტომი, მთ. რედაქტორი ნ. ჭითანავა. თბილისი;
19. **გამსახურდია 2005:** გამსახურდია თ., ხურცია ლ., „საინვესტიციო პროცესის ეკონომიკური არსის გაგებისათვის,” ჟურნალი „ეკონომიკა,” №3-4;
20. **გაფრინდაშვილი 1999:** გაფრინდაშვილი ე., „ინვესტიციური სფეროს განვითარების პრობლემები,” იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში,” შრომების კრებული, IV ტომი, მთ. რედაქტორი ნ. ჭითანავა, თბილისი;
21. **გელაშვილი 2000:** გელაშვილი მ., „ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება როგორც სოციალური მოვლენა,” იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში,” შრომების კრებული, V ტომი, თბილისი;
22. **გელაშვილი 2001:** გელაშვილი მ., „საინვესტიციო აქტივობის ეფექტიანობის შეფასება საბაზრო ეკონომიკის პირობებში,” (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი;
23. **გვარუციძე ... 2008:** გვარუციძე ა., გვაჯაია ლ., „უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ინვაციურ განვითარებაში,” ჟურნალი „ეკონომიკა,” №1-2;
24. **გვაჯაია 2009:** გვაჯაია ლ., „საწარმოთა საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ფორმები,” ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა,” №9;

25. **გიორგაძე 2001ა:** გიორგაძე მ., „ინვესტიციების მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში”. (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი;
26. **გიორგაძე 2001ბ:** გიორგაძე თ., „ინვესტიციური პროცესების ძირითადი ტენდენციები”, ქურნალი „ეკონომიკა”, №3-4;
27. **გიგმანი ...2001:** გიგმანი ლ.ჯ., ჯონკი მ.დ., „ინვესტირების საფუძვლები”, თარგმანი ინგლისურიდან (რედაქტორი ქ. ლ.ოქიაური), თბილისი;
28. **გოგონია 1998:** გოგონია რ., „გარდამავალ პერიოდში პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობის საკითხისათვის”, ქურნალი „ეკონომიკა”, №1-3;
29. **გრიგოლია ... 2006:** გრიგოლია ნ., ფირცხალავა ნ., „ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონული ასპექტები”, ქურნალი „ეკონომიკა”, №6;
30. **გრეპემი 1999:** გრეპემი ე., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. ეკონომიკური რეფორმები დღეს”, №1;
31. **დათაშვილი ...2010:** დათაშვილი ვ., ქოქიაური ლ., „ინტელექტუალური კაპიტალის არსი და განვითარება”, ქურნალი „სოციალური ეკონომიკა”, №1;
32. **დარბუაშვილი 2001:** დარბუაშვილი ნ., „საგადასახადო პოლიტიკა და ქვეყნის ინვესტიციური უსაფრთხოება”, ქურნალი „ეკონომიკა”, №3-4;
33. **ელიავა 1996:** ელიავა ლ. „ინვესტიციური კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები”, ქურნალი „ეკონომიკა”, №1-3;
34. **თეთრუაშვილი 1998:** თეთრუაშვილი ზ., „ინვესტიციური პროცესების რეგიონული რეგულირება საქართველოში საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში”, გამომცემლობა „ლოგიქსი”, გორი;
35. **თოდუა ... 2001:** თოდუა გრ., და ვეშაპიძე შ., (რედაქტორები) „მსოფლიო ეკონომიკა”, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი;
36. **თურმანიძე 2009:** თურმანიძე ა., „ინვესტიციების საქმიანი ურთიერთობის ფორმები”, თბილისი;
37. **კაპაბაძე 1999:** კაპაბაძე ვ., „საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი და წინადაღებები მისი სრულყოფის შესახებ”, ქურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა”, №6-7;
38. **კაპულია 2001:** კაპულია რ., „ფინანსების მართვა და საქართველო გარდამავალ პერიოდში”, “შრომები”. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, საგამომცემლო ფირმა „სიახლე”, თბილისი;
39. **კაპულია 2004:** კაპულია რ., „ფინანსების თეორია”, თბილისი;

- 40. კასრაძე 2000:** კასრაძე ნ., „უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში,” იხ. “საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”. შრომების კრებული, V ტომი, მთ. რედაქტორი ნ. ჭითანავა. თბილისი;
- 41. კასრაძე 2006:** კასრაძე ნ., „ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები და ინვესტიციური პროცესების რეგულირების ინსტრუმენტები,” ჟურნალი „ეკონომიკა,” №6;
- 42. კიკნაძე 2008:** კიკნაძე ნ., „ინვესტიციების მართვა სამეწარმეო ფირმების ინოვაციურ პროცესებში,” (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი;
- 43. კურტანიძე 2008:** კურტანიძე გ., „ფინანსური ინვესტირების პროცესთა განვითარების პერსპექტივები საქართველოში,” (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი;
- 44. ლალიძე 2008:** ლალიძე ლ., „საქართველოს საინვესტიციო აქტივობის მაკროეკონომიკური ასპექტები,” (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი;
- 45. ლეიიაშვილი 2001:** ლეიიაშვილი პ., „აქტიური საინვესტიციო პოლიტიკისაკენ,” ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა,” №7-8;
- 46. მაღლაკელიძე ... 2008:** მაღლაკელიძე ე., მაღლაკელიძე ვ., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პიპოთებები და მოდელების საგარეო ვაჭრობის ოეორიაში,” ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2;
- 47. მიქაშვილიძე ... 2010:** მიქაშვილიძე ვ., მიქაშვილიძე ქ., „უცხოური ინვესტიციები და ბათუმის საკურორტო ტურისტული სექტორის განვითარების პერსპექტივები,” საუნივერსიტეტო შორისო სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი „ ბიზნესი და მენეჯმენტი”, №2;
- 48. მოურავიძე 2000:** მოურავიძე დ., „რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირების მეცნიერული საფუძვლების შესახებ: გამოცდოლება, ამოცანები, მიმართულებები,” ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ.V, თბილისი;
- 49. მოურავიძე 2001:** მოურავიძე დ., „საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები,” კრებული „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები”, ბათუმი;

- 50. მუმლაძე 2001:** მუმლაძე ა., „უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში,” თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
- 51. ნანობაშვილი 2001:** ნანობაშვილი გ., „საქართველოს საინვესტიციო გარემო და საფონდო ბაზარი,” ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №3;
- 52. პაპავა 1995ა:** პაპავა ვლ., „ეკონომიკური რეფორმის ძირითადი თავისებურებანი საქართველოში,” ქურნალი „ეკონომიკა“, №4-6;
- 53. პაპავა 1995ბ:** პაპავა ვლ., „ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი “შოკური თერაპიიდან” - სოციალურ სტიმულირებამდე,” თბილისი;
- 54. პაპავა 1995გ:** პაპავა ვლ., „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე,” გამოცემლობა „მეცნიერება”, თბილისი;
- 55. პაპავა 2000:** პაპავა ვლ., „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები,” გამომცემლობა „კომპანია იმპერიალი,” თბილისი;
- 56. პაპავა 2001:** პაპავა ვლ., „საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია,” ქურნალი „სოციალური ეკონომიკა,” №5;
- 57. პაპავა 2002:** პაპავა ვლ., „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა,” „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია,” თბილისი;
- 58. პაპავა 2003:** პაპავა ვლ. „საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში”. გამომცემლობა „სიახლე”, თბილისი;
- 59. პაპავა 2005:** პაპავა ვლ., „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პრაქტიკა),” თბილისი;
- 60. რამიშვილი 2010:** რამიშვილი ბ., „საინვესტიციო გარემო საქართველოში,” ქურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” დეკემბერი;
- 61. საქართველო... 1996:** საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ,“ თბილისი;
- 62. საქართველო... 2003:** საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ,“ თბილისი;
- 63. საქართველო... 2006:** საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ,“ თბილისი;
- 64. საქართველო... 2009:** საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, „საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება,” თბილისი;

65. **საქართველო... 2010ა:** საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2011 – 2017 წლებისათვის,” თბილისი;
66. **საქართველო... 2010ბ:** საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2010 – 2017 წლებისათვის,” თბილისი;
67. **სილაგაძე 1997:** სილაგაძე ა., „საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ზოგიერთი საკითხი,” კრებული “სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში,” თბილისი;
68. **სიჭინავა 2007:** სიჭინავა ა., „ინვესტიცია და ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონის მაჩვენებლები,” ჟურნალი „ეკონომიკა,” №10-12;
69. **სიჭინავა 2010:** სიჭინავა ა., „ინვესტიციები: თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა,” თბილისი;
70. **სიხარულიძე 2005:** სიხარულიძე დ., „საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების სტრატეგია,” ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა,” თბილისი;
71. **ქოქიაური 1995:** ქოქიაური ლ., „საბირუო და საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელობა ფინანსური ბაზრის ფორმირებისათვის,” გამომცემლობა „სამთავისი,” თბილისი;
72. **ქოქიაური 1997:** ქოქიაური ლ., „ინვესტიციების ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში,” ჟურნალი „ეკონომიკა,” №8-10;
73. **ქოქიაური 2000:** ქოქიაური ლ., „ინვესტიციური საქმიანობის პრობლემები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე,” (მეორე გამოცემა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
74. **ქოქიაური 2001ა:** ქოქიაური ლ., „მცირე ბიზნესის საინვესტიციო მხარდაჭერის საკითხისათვის,” ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა,” №4;
75. **ქოქიაური 2001ბ:** ქოქიაური ლ., „საბირუო და ინვესტიციური ბაზრების განვითარების პერსპექტივები საქართველოში,” თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
76. **ქოქიაური 2002ა:** ქოქიაური ლ., „ინვესტიციის ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პერსპექტივა,” გამომცემლობა „სიახლე,” თბილისი;
77. **ქოქიაური ... 2005:** ქოქიაური ლ., კურტანიძე გ., „საერთაშორისო ინვესტიციები გამოცდილება და პერსპექტივები საქართველოსათვის ბაზრის პირობებში,” ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №7;

78. **ქოქიაური 2006:** ქოქიაური ლ., „საქართველოში საინვესტიციო გარემოს ფორმირების ძირითადი მიმართულებები,” ქურნალი „ეკონომიკა,” №9-10;
79. **ქოქიაური ... 2007ა:** ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ., „კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი ტენდენციები ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში,” ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №11;
80. **ქოქიაური 2007ბ:** ქოქიაური ლ., „ინვესტიციების თეორიული გენეზისი,” თბილისი;
81. **ქოქიაური 2009:** ქოქიაური ლ., „საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტები მიმართულებები საქართველოში,” ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №6;
82. **ლავთაძე ... 2008:** ლავთაძე გ., იფშირაძე ა., „ინვესტიციური პოლიტიკა, მისი როლი და შემუშავების პრინციპები თანამედროვე ეტაპზე,” ქურნალი „ეკონომიკური პროფილი,” №4;
83. **ლავთაძე ... 2009:** ლავთაძე გ., ჩიხლაძე ნ., „იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები,” ქურნალი;
84. **ღლონტი 2003ა:** ღლონტი ვლ., „რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოდელი,” ქურნალი „სოციალური ეკონომიკა,” №5;
85. **ღლონტი 2003ბ:** ღლონტი ვლ., „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მართვა (რეგიონული ასპექტი),” ქურნალი „სოციალური ეკონომიკა,” №6;
86. **ღლონტი 2007:** ღლონტი ვლ., „რეგიონი (ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები),” ბათუმი;
87. **ღლონტი ... 2011:** ღლონტი ვლ., ცინარიძე რ., „საინვესტიციო ბიუჯეტი – რეგიონის მდგრადი განვითარების მთავარი ინდიკატორი,” შრსუ, შრომები (სოციალურ, ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა სერია) III, თბილისი;
88. **ყოლბაია 2006ა:** ყოლბაია ი., „უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები და ფორმები,” ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №7;
89. **ყოლბაია 2006ბ:** ყოლბაია ი., „უცხოური ინვესტიციების გარანტიისა და შეზღუდვის სახელმწიფო სისტემა,” ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №9;
90. **ყორდანაშვილი 1998:** ყორდანაშვილი ლ., „საერთაშორისი ბიზნესი,” თბილისი;
91. **ყორდანაშვილი 2001:** ყორდანაშვილი ლ. „საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები,” გამომცემლობა თსუ, თბილისი;
92. **შალამბერიძე 2009:** შალამბერიძე ხ., „საინვესტიციო პროცესი ფინანსური მსოფლიო კრიზისის პირობებში,” ქურნალი „ეკონომიკა,” №8-9;

- 93. შარაშენიძე 2008:** შარაშენიძე ი., „სახელმწიფოს როლი საინვესტიციო პოტენციალის ფორმირებაში,” ქურნალი „ეკონომიკა,” №7;
- 94. შენგელია 2005:** შენგელია ქ., „გლობალური ეკონომიკა და საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა,” ქურნალი „ეკონომიკა“, №9;
- 95. შენგელია ... 2006:** შენგელია ქ., კოკაია ქ., „საზღვარგარეთის პირდაპირი ინვესტიციები, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა და გლობალიზაცია,” ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №7;
- 96. შენგელია ... 2007:** შენგელია თ., გელაშვილი გ., „პირდაპირი ინვესტიციების როლი ბიზნესის აქტივიზაციაში,” ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №9;
- 97. შმიდტი 2007:** შმიდტი მ., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში: მოიტანს თუ არა შედეგს ინვესტიციების ხელშეწყობის აქტიური პოლიტიკა?” „ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი“ – საქართველოს ეკონომიკურ ტენდენციები კვარტალური მიმოხილვა, იანვარი;
- 98. ჩიქავა 2006:** ჩიქავა ლ., „ინოვაციური ეკონომიკა,” თბილისი.
- 99. ჩიქოვანი 2001:** ჩიქოვანი დ., „საგადასახადო პოლიტიკა როგორც საინვესტიციო კლიმატის შექმნის უმნიშვნელოვანები ბერკეტი“. „მაკრო მიკრო ეკონომიკა,” №5;
- 100. ცინარიძე 2009ა:** ცინარიძე რ., „სადაზღვევო ბაზრის ფორმირება-გნითარების რეგიონული ასპექტი,” ქურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” ივლისი-აგვისტო;
- 101. ცინარიძე ... 2009ბ:** ცინარიძე რ., აბუსელიძე გ., „ფინანსური გლობალიზაცია და საქართველო”, ქურნალი „ეკონომიკა“ №10-12;
- 102. ცინარიძე ... 2009გ:** ცინარიძე რ., ფუტკარაძე ს., „კანონის არამართლზომიერი გამოყენებით დღგ-ს გადამხდელები კვლავაც უკანონოდ ისჯებიან,” ქურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” ივლისი-აგვისტო;
- 103. ცინარიძე ... 2009დ:** ცინარიძე რ., ფუტკარაძე ს., „მეწარმე უკანონოდ არ უნდა ისჯებოდეს,” ქურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” ნოემბერი;
- 104. ცინარიძე ... 2010:** ცინარიძე რ., ფუტკარაძე ს., „სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია-უფლფი გადასახადის გადამხდელთავის,” ქურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” ოქტომბერი;
- 105. ცინარიძე 2011ა:** ცინარიძე რ., „რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე“, ქურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” სექტემბერი;

106. **ცინარიძე ... 2011ბ:** ცინარიძე რ., ფუტკარაძე ს., „მარტივი „გამოცანა” მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეთათვის”, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” აპრილი-მაისი;
107. **ცინარიძე 2011გ:** ცინარიძე ო., „ენერგორესურსების ათვისების ხანა იწყება”. (გაზეთი „აჭარა”), 16-17 ივნისი, №67, <http://www.gazetajara.ge>;
108. **წიკლაური 2002:** წიკლაური გ., უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება,” ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №6;
109. **წიკლაური 2010:** წიკლაური ნ., „რეგიონული პოლიტიკა, ეკონომიკური ინტებრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში,” საუნივერსიტეტო მთარისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“, №2;
110. **ჭითანავა 1995:** ჭითანავა ნ., „საბაზო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები),” თბილისი;
111. **ჭითანავა 1996:** ჭითანავა ნ., „საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების თეორიისა და ორგანიზაციის პრობლემები,” საქართველოს ვაჭრობის, მრეწველობისა და ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი;
112. **ჭითანავა 1999:** ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება),” ნაწილი II, თბილისი;
113. **ჭითანავა 2000:** ჭითანავა ნ., „სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები გარდამავალ პერიოდში,” ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. V, თბილისი;
114. **ჭითანავა 2001:** ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები,” ნაწილი III, „სეპსკი,” თბილისი;
115. **ჯიბუტი 2001:** ჯიბუტი მ. „მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების უახლესი ისტორია და პერსპექტივები,” კრებული – “ეკონომიკის აქტუალური საკითხები”, ტ. XVI, თსუ, თბილისი;
116. **ჯოლია 2002:** ჯოლია გ., „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,” თბილისი;
117. **ხარბედია ... 2009:** ხარბედია ლ., გვიჩია მ., „უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში,” ჟურნალი „ეკონომიკა“, №8-9;

118. ხმალაძე 1999: ხმალაძე პ. „უცხოური ინვესტიციების გამოყენების გაუმჯობესების გზები,” შრომების კრებული “საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში,” ტ. IV მთ. რედაქტორი ნ. ჭითანავა. თბილისი;

უცხოური ბიბილიოგრაფია:

119. აბდეევი 1994: აბდეევი გ., „ინფორმაციული ცივილიზაციის ფილოსოფია: პროგრესული განვითარების წრფის დიალექტიკა, როგორც XX საუკუნის ზოგადსაკაცობრივო პუმანური ფილისოფია,” გამომცემლობა „იდეა,” მოსკოვი.

აბდეევი 1994: Абдеев Г., „Философия информационной цивилизации: диалектика прогрессивной линии развития как гуманная общечеловеческая философия XX века,” Издат., „Мысль,” Москва;

120.ავდოკუშინი 2006: ავდოკუშინი ე.ფ., „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,” დამხმარე სახელმძღვანელო, მოსკოვი.

ავდოკუშინ 2006: Авдокушин Е. Ф. „Международные экономические отношения,” Учебн. пособие, Москва;

121.აიშიევი ... 1996: აიშიევი ვ.დ., ფილიპოვი ვ.ი. აიშიევი ა.ა., „ინვესტიციები,” გამომცემლობა „იგეფი,” ირკუტსკი.

აიშიევი ... 1996: Аюшиев В.Д. Филиппов В.И. Аюшиев А.А. „Инвестиции,” Изд.-во „ИГЭФ,” Иркутск.

122. ბალაცკი 1999: ბალაცკი ე., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და შიდა საინვესტიციო აქტიურობა,” ჟურნალი „მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები,” №11.

ბალაცკი 1999: Балацкий Е. „Прямые иностранные инвестиции и внутренняя инвестиционная активность,” журнл. «МЭиМО», № 11;

123. ბირმანი ... 1997: ბირმანი გ., „საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი” (ინგლისურიდან თარგმანი ლ.პ. ბელაშვილის რედაქტორობით), ჟურნალი „ბანკები და ბირჟები,” გამომცემლობა „იუნიტი,” მოსკოვი.

ბირმანი ... 1997: Бирман Г., Шмидт С. „Экономический анализ инвестиционных проектов” (Пер. с англ.-го. Под ред. Л.П.Белых), журнл. „Банки и биржи,” ЮНИТИ, Москва;

124.ბერებნი ...1991: ბერებნი გ. პორანეგი პ.მ., „სამრეწველო პოტენციალის კვლევის მომზადებისათვის საჭირო სახელმძღვანელო,” გამომცემლობა „იუნიტი.”

- ბერენსი ...1991:** Behrens W. Hawranek P.M., „Manual for the Preparation of industrial Feasibility Studies,” UNIDO Publication;
125. **ბლეხი ...1997:** ბლეხი ი., გეთცე უ., „საინვესტიციო გათვალები, საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები და მოდელები,” კალინინგრადი.
- ბლეხი ...1997:** Блех Ю., Гетце У., „Инвестиционные расчеты, Модели и методы оценки инвестиционных проектов,” Калининград;
126. **ბოჩაროვი ...1993:** ბოჩაროვი ვ., პოპოვი რ., „საწარმოთა საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი,” სანქ-პეტერბურგი.
- ბოჩაროვი ...1993:** Бочаров В., Попов Р., „Финансово-кредитный механизм регулирования инвестиционной деятельности предприятия,” СПБ;
127. **გრიცაი 1988:** გრიცაი ო.ვ., „დასავლეთ ევროპა: რეგიონალური კონტრასტები მეცნიერებლ-ტექნიკური პროგრესის ახალ ეტაზე,” გამომცემლობა „მეცნიერება,” მოსკოვი.
- გრიცაი 1988:** Грицай О.В., „Западная Европа: Региональные контрасты на новом этапе НТР,” Издат., „Наука,” Москва;
128. **გუსევი 1995:** გუსევი პ., „საინვესტიციო საქმიანობა რუსეთის რეგიონებში,” ჟურნალ „ეკონომიკის კითხვარი,” №3.
- გუსევი 1995:** Гусева К., „Инвестиционная деятельность в регионах России,” Журнал „Вопросы Экономики,” N 3;
129. **ევრგრაშინი 1998:** ევრგრაშინი ა., „ინდიკატური დაგეგმვის ფრანგული პრაქტიკიდან,” „რუსეთის ეკონომიკის ჟურნალი,” №2.
- ევრგრაშინი 1998:** Евграшин А., „Из практики французского индикативного планирования,” „Российский экономический журнал,” №2;
130. **ეკონოვი 1993:** ეკონოვი მ., „ეკონომიკური კლასიკოსების ანთლოგია,” მოსკოვი.
- ეკონოვი 1993:** Эконов М., „Антология экономической классики,” Москва;
131. **ეკონომიკური ...1992:** „ეკონომიკური ტექნიკა კაპიტალდაბანდების ანალიზისათვის”. ინგლისური, ნიუ-ჯერსი.
- ეკონომიკური ...1992:** Au T. Engineering Economic for Capital Investment Analysis's,” Englewood, New Jersey;
132. **გიატინი 2004:** გიატინი გ.ა., „ინვესტიციების ეკონომიკური შეფასება,” მოსკოვი.
- გიატინი 2004:** Вяткин М. А., „Экономическая оценка инвестиций,” Москва.;

133. **Чорбоги 1998:** Чорбоги გ.მ., „უცხოური ინვესტიციების რეგულირება განვითარებად ქვეყნებში,” „საგარეო ეკონომიკური ბიულეტენი,” № 12;
- Чорбоги 1998:** Зотов Г.М., „Регулирование иностранных инвестиций в развивающихся странах,” „Внешнеэкономический бюллетень,” 1998, № 12;
134. **იაკობს ... 1988:** იაკობს, შანფორდ ლ., „საინვესტიციო ქალაქი,” გაზეთი „ვოლსტორითი,” 2 დეკემბერი.
- იაკობს ... 1988:** Jacobs, Sanford L. “Investment City,” „The Wall Street Journal,” December 2;
135. **იგოშინი 2000:** იგოშინი ნ. ვ., “ინვესტიციები,” გამომცემლობა „იუნიტი,” მოსკოვი.
- იგოშინი 2000:** Игошин Н.В., „Инвестиций,” Издат. „ЮНИТИ”, Москва;
136. **კარავაევი 1995:** კარავაევი ვ., „რეგიონალური საინვესტიციო პოლიტიკა: საერთაშორისო გამოცდილება და რუსეთის პრობლემები,” გამომცემლობა „მეცნიერება,” მოსკოვი.
- კარავაევი 1995:** Караваев В. Региональная инвестиционная политика: российские проблемы и международный опыт. Издат. „Наука,” Москва;
137. **კეინსი 1993:** კეინსი ჯ. „ფულის, პროცენტის და დასაქმების საერთო თეორია,” გამომცემლობა „ეკონომიკა,” მოსკოვი.
- კეინსი 1993:** Кейнс, Дж., „Овощая теория занятости, процента и денег,” Издат. „Экономика,” Москва;
138. **კულმანი 1993:** კულმანი ა., „ეკონომიკური მექანიზმები,” გამომცემლობა „პროგრესი,” მოსკოვი.
- კულმანი 1993:** Кульман А., „Экономические механизмы,” Издат. „Прогресс,” Москва.;
139. **კრილოვი 1999:** კრილოვი ვ.ი., „უცხოურ სახელმწიფოთა პროგრამა ინვესტიციების სტიმულირებისათვის,” „საგარეო ეკონომიკური ბიულეტენი,” № 9.
- კრილოვი 1999:** Крылов В.И., „Программа иностранных государств по стимулированию инвестиций,” „Внешнеэкономический бюллетень,” № 9;
140. **ლეონტევი 1990:** ლეონტევი ვ., „ეკონომიკური ესე – კვლევები, პოლიტიკა და ფაქტები,” მოსკოვი.
- ლეონტევი 1990:** Леонтьев В., „экономическое эссе исследования, факты и политика,” Москва;

141. **ლივენცევი ...2004:** ლივენცევი ნ.ნ., კოსტიუნინი გ.ნ., „კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა,” გამომცემლობა „ეკონომისტი,” მოსკოვი.
- ლივენცევი ...2004:** Ливенцев Н.Н., Костюнина Г.Н., „Международное движение капитала,” Издат. „Экономист”, Москва;
142. **ლორენცი ... 1997:** ლორენცი ჯ., მაიკლ დ. ჯონკი, „ინვესტიციების საფუძვლები,” გამომცემლობა „საქმე,” მოსკოვი.
- ლორენცი ... 1997:** Лоренс Дж. Гитман., Маикл Д. Джонки., „Основы инвестирования,” Издат. „дело”, Москва;
143. **მაკონელი1992:** მაკონელი კ.რ., ბრიუ ს.ლ., „ეკონომიკა,” მოსკოვი.
- მაკონელი1992:** Макконел К. Р., Брю С. Л., „Экономика,” Москва;
144. **მაკმილლანი 1997:** „მაკმილლანის თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ლექსიკონი,” მოსკოვი.
- მაკმილლანი 1997:** „Словарь современной экономической теории Макмиллана,” Москва;
145. **მასე 1971:** მასე პ., „კაპიტალდაბანდებების განსაზღვრის ოპტიმალური მეთოდები და კრიტერიუმები,” მოსკოვი.
- მასე 1971:** Массе П., „Критерии и методы оптимального определения капиталовложений,” Москва;
146. **მნაცაკანოვა 1986:** „წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებისა და საკრედიტო სისტემის ურთიერთკავშირის გაძლიერება 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში,”/ სერია კაპიტალისტური ქვეყნების აქტუალური სავალუტო-საფინანსო პრობლემები, მეოთხე გამოცემა, „იუნიონი,” მოსკოვი.
- მნაცაკანოვა 1986:** Мнацаканова Е.М., „Усиление взаимосвязей бюджетов ведущих капиталистических государств с кредитной системой в конце 70-х начале 80-х гг. /Сер. Актуальные валютно-финансовые проблемы капиталистических стран. Вып.4. - „ЮНИОН”, Москва;
147. **მარკოვი 1996:** მარკოვი ა.ი. (რედაქტორი) „დასავლეთის თანამედროვე ეკონომიკური თეორია,” გამომცემლობა „ფინანსთინაზმი,” მოსკოვი.
- მარკოვი 1996:** „Современные экономические теории Запада,” (ред. Марков А.И.), Издат. „Финанстинфом,” Москва;
148. **ნოვიცკი 1999:** ნოვიცკი ნ., „საინვესტიციო საქმიანობის ორიენტირები,” ჟურნალი „ეკონომისტი,” №3.

- ნოვიცკი 1999:** Новицкий Н., „Ориентиры инвестиционной деятельности,” Журнал „Экономист,” №3;
- 149.ორეშინი 2000:** ორეშინი ვ., (რედაქტორი), „ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირება,” გამომცემლობა „მეცნიერება,” მოსკოვი.
- ორეშინი 2000:** „Государственное регулирование инвестиций,” Отв. ред. В.Орешин, Издат. „Наука,” Москва;
- 150.რაევსკი ...2006:** რაევსკი ვ.ვ., ტრეტიაკოვი ა.გ., „საინვესტიციო აქტუალურობა რეგიონში,” გამომცემლობა „ეკონომისტი,” მოსკოვი.
- რაევსკი ...2006:** Раевский С.В., Третяков А.Г., „Инвестиционная активность в регионе,” Издат. „Экономист,” Москва;
- 151. რიასკოვი 2000:** რიასკოვი ს.ნ., „საინვესტიციო პოტენციალის ფორმირება და მისი გამოყენების ოპტიმიზაცია (რეგიონალური ასპექტი) – ავტორევერატი – საჯარო სამსახურის რუსეთის აკადემია, მოსკოვი.
- რიასკოვი 2000:** Рясков С.Н., „Формирование инвестиционного потенциала и оптимизация его использования (региональный аспект),” – Автореферат – РАГС, Москва;
- 152. როჟკოვი ... 2001:** როჟკოვი ი.უ., ტერსკი მ., „რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი და რეგიონალური საინვესტიციო რისკის წონა,” ხაბაროვსკის სამართლისა და ეკონომიკის სახელმწიფო აკადემიის უწყებანი.
- როჟკოვი ... 2001:** Рожков Ю., Терский М., „Инвестиционный потенциал региона и масса регионального инвестиционного риска,” Вестник Хабаровской государственной академии экономики и права.
- 153. სამუელსონი 1992:** სამუელსონი პ., „ეკონომიკა,” სახელმძღვანელო, ტ. I, მოსკოვი.
- სამუელსონი 1992:** Самуэльсон П., „Экономика,” Учеб-к. Том I, Москва;
- 154.სახელმწიფო...1997:** „სახელმწიფო ცვალებად მსოფლიოში” (მსოფლიო ბანკი, მსოფლიო განვითარების ანგარიში-1997, მოკლე მიმოხილვა), ქურნალ „ ეკონომიკის კითხვარი,” №7.
- სახელმწიფო...1997:** „Государство в меняющемся мире” (Всемирный банк. Отчет о мировом развитии - 1997. Краткое содержание), Журнал „Вопросы Экономики,” №7;
- 155.სმითი 1962:** სმითი ა., „გამოკვლევები ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ,” „სოციალურ-ეკონომიკური სახელმწიფო გამომცემლობა,” მოსკოვი.

- 155. 1962:** Смит А., „Исследование о природе и причинах богатства народов,” Издат. „Соцэкгиз,” Москва;
- 156. 1998:** სინჩენკო ს., „ინვესტიციების კლასიფიკაცია დასავლეთისა და ერთვნულ ლიტერატურაში, ინვესტიციები რუსეთში,” მოსკოვი.
- 157. 1994:** სინჩენკო ს., „რეგიონული პოლიტიკის დილემები აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. ფედერალიზმის მაგალითი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკაში.” „Dilemmas of regional policies in Eastern and Central Europe. The example of federalism in the Federal Republic of Germany,” Konrad Adenauer Stiftung e. V. San Augustin;
- 158. 2000:** ტუმუსოვი ფ.ს., „რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი: თეორია,” გამომცემლობა „იუნიტი,” მოსკოვი.
- 2000:** ტუმუსოვი ფ.ს. Инвестиционный потенциал региона: Теория. Издат. „ЮНИТИ”, Москва;
- 159. 2000:** ფაბოცი ფ., „ინვესტიციების მართვა,” თარგმანი ინგლისურიდან, გამომცემლობა „ინფრა,” მოსკოვი.
- 2000:** ფაბოცი ფ., „Управление инвестициями,” Пер. с англ.-го, Издат. „ИНФРА,” Москва;
- 160. 1999:** ფოლომეგი ა., რევაზოვი ვ., „რეგიონის რეგიონთა საინვესტიციო კლიმატი და მისი გაუმჯობესების გზები,” ქურნალი „გკონომიკის კითხარი,” №9.
- 161. 1999:** ფოლомьев А., Ревазов В., „Инвестиционный климат регионов России и пути его улучшения,” жур. „Вопросы экономики,” №9;
- 162. 1998:** ქოქიაური ლ., „საინვესტიციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე,” გამომცემლობა „სამთავისი.”
- 1998:** ქოქიაური ლ., „Проблемы инвестиционной деятельности в Грузии на современном этапе,” Издат. „Самтависи;”
- 163. 2001გ:** ქოქიაური ლ., „უცხოური კაპიტალის მოზიდვა საქართველოში,” „ეკონომიკა და საზოგადოება,” №11-12.
- 2001გ:** ქოქიაური ლ., „привлечении иностранного капитала в Грузию,” „Общество и экономика,” №11-12;

- 164.ქოქიაური 2002ბ: ქოქიაური ლ., „საქართველოს საინვესტიციო კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები,” საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი, №1, თბილისი;
- ქოქიაური 2002ბ: Kokiauri L., „Social and Economic Aspects of Investment Crisis Georgia,” Bulletin of The Georgian Academy of Sciences, №1, Tbilisi;
- 165.ქოქიაური 2002გ: ქოქიაური ლ., „მცირე ბიზნეს-ინვესტიციების ხელშეწყობის პრობლემები საქართველოში,” საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი, №2, თბილისი.
- ქოქიაური 2002გ: Kokiauri L., „The problems of Promotion of Small Business Investment in Georgia,” Bulletin of the Georgian Academy of Sciences, №2, Tbilisi;
- 166.ღლონტი 2003გ: ღლონტი ვლ., „აჭარის ავტონომიური რესპულიკის განვითარების პროგრამა და რეგიონის ეკონომიკური სტრატეგიის არჩევა,” ჟურნალ „მუნიციპალური ეკონომიკა,” №3;
- ღლონტი 2003გ: Глонти В., „Выбор экономической стратегии региона и программа развития Аджарской автономной республики,” Журнал „Муниципальная экономика,” №3;
- 167.ღლონტი 2003დ: ღლონტი ვლ., „მუნიციპალურ დონეზე მეურნეობრივი სუბიექტების საქმიანობის სტიმულირებისა და მოტივაციის სოციალური პრობლემები,” ჟურნალ „საქალაქო მართვა,” №12.
- 168.ღლონტი 2003დ: ღლონტი ვლ., „Глонти В., „Социальные проблемы мотивации и стимулирования деятельности хозяйствующего субъекта на муниципальном уровне,” Журнал „Городское управление,” №12;
- 169.ღლონტი 2003ქ: ღლონტი ვლ., „გარდამავალი პერიოდი: რეგიონალური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები,” გამომც.-ბა „აჭარა,” ბათუმი.
- 170.ღლონტი 2003ქ: Глонти В., „Переходный период: социально-экономические проблемы регионального развития,” Издат. „Аджара,”, Батуми, 2003;
171. ღლონტი 2004ა: ღლონტი ვლ., „საქართველოს რეგიონალურ საგადასახადო ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები,” ჟურნალ „ფინანსები და ბანკები,” №7.
- ღლონტი 2004ა: Глонти В., „Направления совершенствования деятельности региональных налоговых органов Грузии,” Журнал „Финансы и кредит,” №7;

- 172.ღლონგი 2004ბ:** ღლონგი ვლ., „საქართველოს სოციალური სტრუქტურა საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (რეგიონალური ჭრილი),” ჟურნალი „სოციალური კვლევები,” №10.
- ღლონგი 2004ბ:** Глонти В., „Социальная структура Грузии в условиях рыночных преобразований (региональный срез),” Журнал „Социологические Исследования,” №10;
- 173.შარპი ...1997:** შარპი პ., ალექსანდერ გ., ბეილი ჯ., „ინვესტიციები,” თარგმანი ინგლისურიდან, მოსკოვი.
- შარპი ...1997:** Шарп К., Александр Г., Бэйли Дж., „Инвестиции,” Пер. с англ. Москва;
- 174.ჩერევიკინი ... 2000:** ჩერევიკინი მ.ი., ქდანი გ.ვ., „რეგიონი: რეგიონალური საინვესტიციო პოლიტიკისა და საინვესტიციო პოტენციალის შეფასება,” ჟურნალი „ეკონომიკა და სოციოლოგია,” №2.
- ჩერევიკინი ... 2000:** Черевикина М.Ю. Ждан Г.В., „Регион: оценка инвестиционного потенциала и региональная инвестиционная политика,” Журнал „Экономика и социология,” №2;
- 175.ხოლტი რობერტი ...1994:** ხოლტი რობერტი ნ., ბარნეს სემ ბ., „საინვესტიციო დაგეგმვა,” თარგმანი ინგლისურიდან, გამომცემლობა „საქმე,” მოსკოვი.
- ხოლტი რობერტი ...1994:** Холт Роберт Н., Барнес Сем Б., „Планирование инвестициями,” Пер. с англ-го, „Дело,” Москва;
- 176.ხომკალოვი 2001:** ხომკალოვი გ.ვ., „საინვესტიციო ობიექტების მიმზიდველობის შეფასება: თეორია და პრაქტიკა,” გამომცემლობა „იგზა,” ირკუტსკი.
- ხომკალოვი 2001:** Хомкалов Г.В., „Оценка привлекательности объектов инвестирования: теория и практика,” Изд-во „ИГЗА,” Иркутск;

დანართები და დამატებები:

ა) წყაროები:

- 1. & - წყარო:** მსოფლიო ბანკის პროექტის - **“Doing Business”** -მონაცემები;
- 2. * - წყარო:** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- *1 - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2007 და 2009 წლებში მნიშვნელოვნად განსხვავდება მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებისაგან, თუმცა, რადგან სხვა ქვეყნების შემთხვევაში ვერდნობით ამ უკანასკნელის მონაცემებს, საქართველოს შემთხვევაშიც მისით ვისარგებლებთ.**
- 4. გ - წყარო:** აჭარის არ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- 5. †-წყარო:** ბათუმის მერიის საფინანსო ეკონომიკური სამსახური (2010-2014 წლების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

დანართები:

დანართი №1

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით

| 1000 აშშ დოლარი | | | | | | | |
|--------------------|-----------------------------------|-----------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| ქვეყნის კოდი | ქვეყნები | I პლ. 2010* | II პლ. 2010* | III პლ. 2010* | IV პლ. 2010* | 2010* | I პლ. 2011* |
| | სულ | 75 735,2 | 196 867,4 | 160 433,4 | 120 020,0 | 553 056,1 | 173 697,0 |
| | მათ შორის: | | | | | | |
| | ევროპაგშირ ის ქვეყნები | 32 096,3 | 66 364,0 | 60 624,6 | 15 639,9 | 174 724,8 | 115 862,3 |
| 040 | ავსტრია | 1 863,0 | 2 321,4 | 1 374,3 | 279,5 | 5 838,2 | 1 686,9 |
| 056 | ბელგია | 8,3 | -3,3 | 9,0 | 3,4 | 17,4 | 6,3 |
| 100 | ბულგარეთი | 5,7 | -45,7 | -47,9 | -16,4 | -104,3 | -48,1 |
| 196 | კვიპროსი | -1 396,3 | -5 085,5 | 2 867,9 | -7 006,2 | -10 620,1 | 41 424,4 |
| 203 | ჩეხეთი | 19 777,9 | -2 962,1 | 8 567,8 | -27 851,8 | -2 468,2 | 856,7 |

| | | | | | | | |
|-----|----------------------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|------------------|-----------------|
| 208 | დანია | 53,7 | 92,4 | -126,4 | 3,5 | 23,1 | 81,6 |
| 233 | ქსტონეთი | - | -127,7 | -258,6 | -20,3 | -406,6 | -16,8 |
| 246 | ფინეთი | - | - | 414,4 | -231,0 | 183,3 | - |
| 250 | საფრანგეთი | -1 245,3 | -9 713,0 | 7 760,9 | -3 728,2 | -6 925,6 | 7 864,3 |
| 276 | გერმანია | 1 715,2 | 3 565,4 | 3 152,1 | 2 387,1 | 10 819,9 | 5 571,3 |
| 300 | საბერძნეთი | 921,1 | 78,4 | 749,8 | 5 147,3 | 6 896,5 | -524,6 |
| 348 | უნგრეთი | - | - | - | - | - | - |
| 372 | ირლანდია | 39,5 | -4,7 | 20,6 | 35,1 | 90,5 | 26,0 |
| 380 | იტალია | -946,2 | -379,2 | 336,4 | 1 386,1 | 397,1 | 213,4 |
| 428 | ლატვია | -0,1 | -0,3 | -5,5 | -0,7 | -6,6 | -0,6 |
| 440 | ლიბერტა | 228,5 | 594,0 | 1 199,3 | 856,0 | 2 877,8 | 517,0 |
| 442 | ლუქსემბურგი | 3 330,2 | 2 703,0 | -664,7 | 2 228,3 | 7 596,8 | 1 836,8 |
| 470 | მალტა | - | - | - | 6 821,0 | 6 821,0 | 3 695,4 |
| 528 | ნიდერლანდები | 8 622,4 | 76 589,9 | 27 956,3 | 29 997,2 | 143 165,8 | 25 147,8 |
| 616 | პოლონეთი | 1,8 | 4,4 | 12,1 | 5,2 | 23,4 | 10,0 |
| 620 | პორტუგალია | -14,0 | 30,6 | 11,9 | -8,0 | 20,5 | 5,6 |
| 642 | რუმინეთი | - | - | 134,2 | -93,6 | 40,6 | -22,0 |
| 703 | სლოვაკეთი | 2,2 | - | - | - | 2,2 | - |
| 724 | ესპანეთი | - | 122,4 | 77,0 | 84,6 | 284,1 | 21,9 |
| 752 | შვედეთი | 506,3 | 995,3 | 1 898,7 | -1 802,7 | 1 597,5 | -1 234,1 |
| 826 | გაერთიანებული სამეფო | -1 377,5 | -2 411,7 | 5 185,2 | 7 164,5 | 8 560,6 | 28 743,2 |
| | დსთ-ის ქვეყნები | -3 369,9 | 25 721,2 | 26 800,5 | 19 339,5 | 68 491,2 | 40 325,4 |
| 031 | აზერბაიჯანი | 6 492,4 | 14 564,4 | 16 226,0 | 9 304,6 | 46 587,4 | 11 731,1 |
| 051 | სომხეთი | -1 107,3 | -819,8 | -12 832,2 | -67,9 | -14 827,2 | -80,6 |
| 112 | ბელარუსი | -59,9 | 3,6 | -101,6 | -15,6 | -173,6 | -37,5 |
| 398 | ყაზახეთი | -14 020,4 | -2 668,4 | -2 976,2 | 1 966,3 | -17 698,6 | 7 874,0 |
| 417 | ყირგიზეთი | -0,8 | 0,3 | -0,1 | 1,7 | 1,0 | 1 111,6 |
| 498 | მოლდოვა | - | - | - | - | - | - |
| 643 | რუსეთი | 5 312,0 | 17 603,5 | 18 664,0 | 9 680,6 | 51 260,1 | 19 823,2 |
| 804 | უკრაინა | 14,2 | -2 962,3 | 7 829,5 | -1 594,0 | 3 287,4 | -79,2 |


| | | | | | | | |
|-----|-------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|------------------|----------------|
| 860 | უზბეკეთი | - | - | -9,0 | 63,9 | 54,8 | -17,1 |
| | | | | | | | |
| | დანარჩენი ქვეყნები | 44 648,5 | 87 661,3 | 54 917,7 | 72 371,4 | 259 599,0 | 8 832,2 |
| 032 | არგენტინა | - | - | - | - | - | - |
| 036 | ავსტრალია | 3,2 | 5,5 | -152,8 | 9,9 | -134,1 | 17,0 |
| 044 | ბაჰამები | - | - | - | - | - | - |
| 084 | ბელიზი | 345,3 | 30,0 | 107,1 | -383,6 | 98,8 | -3 071,8 |
| 092 | ვირჯინის პ- ბი (ბრიტ.) | -9 114,8 | 31 467,3 | -2 491,2 | 6 263,0 | 26 124,2 | 19 555,7 |
| 124 | კანადა | 67,2 | -0,8 | 372,9 | 16,8 | 456,1 | 3 136,4 |
| 136 | კაიმანის პ-ბი | 39,8 | 1 829,6 | 1 013,1 | 1 906,0 | 4 788,5 | 3 663,5 |
| 156 | ჩინეთი | -1 366,4 | -690,1 | -636,0 | -627,0 | -3 319,5 | 1 143,8 |
| 292 | გიბრალტარი | 847,0 | -24 276,5 | 669,2 | 400,9 | -22 359,4 | 221,4 |
| 352 | ისლანდია | - | 12,8 | 1,2 | 715,3 | 729,2 | -28,6 |
| 356 | ინდოეთი | 2,2 | 250,0 | -133,5 | 150,6 | 269,3 | 7 481,6 |
| 364 | ირანი | 209,3 | 126,4 | 219,1 | 435,5 | 990,2 | 279,4 |
| 368 | ერავი | - | - | - | - | - | - |
| 376 | ისრაელი | 1 298,6 | 714,4 | 251,6 | 897,0 | 3 161,6 | 830,8 |
| 392 | იაპონია | 15 651,0 | 18 306,4 | 3 879,6 | -20 225,5 | 17 611,5 | -8 648,2 |
| 400 | იორდანია | -375,9 | -944,9 | -5 953,2 | 792,2 | -6 481,8 | -732,5 |
| 410 | კორეა | - | - | - | - | - | - |
| 422 | ლიბანი | - | 18,2 | - | - | 18,2 | - |
| 434 | ლიბია | - | - | - | - | - | - |
| 438 | ლიბერია | -189,6 | 588,3 | 10 859,9 | 7 394,3 | 18 652,9 | 211,4 |
| 578 | ნორვეგია | -262,6 | 384,8 | -681,8 | 2 085,1 | 1 525,6 | -452,0 |
| 584 | მარშალის პ- ბი | 1 262,1 | 979,0 | 1 146,8 | 1 126,6 | 4 514,4 | 1 185,3 |
| 591 | პანამა | -1 079,3 | -224,2 | 949,4 | -36,1 | -390,1 | -1 967,1 |
| 659 | სენტკიტს- ნევის | - | - | - | - | - | - |
| 682 | საუდების არაბეთი | - | - | - | - | - | - |

| | | | | | | | |
|-----|--|----------|----------|----------|----------|------------------|-----------|
| 690 | სეიშელები | 541,6 | 965,0 | 2 617,2 | 3 142,8 | 7 266,6 | 2 339,0 |
| 756 | შეკოცარია | -246,7 | 19,9 | 1 382,1 | 1 111,4 | 2 266,7 | -1 708,6 |
| 760 | სირია | 3,0 | 1,1 | 0,4 | 6,0 | 10,5 | 0,4 |
| 784 | არაბულის გაერთიანებუ ლი ქმირატები | -320,8 | 12 671,0 | 13 500,3 | 14 031,9 | 39 882,4 | 5 486,7 |
| 792 | თურქეთი | 20 303,6 | 3 248,6 | 6 345,7 | 7 603,0 | 37 501,0 | 13 901,6 |
| 818 | კვაკი | 18 000,0 | - | - | - | 18 000,0 | - |
| 840 | აშშ | -969,3 | 42 179,5 | 21 650,6 | 45 555,4 | 108 416,2 | -34 012,9 |
| | დანარჩენი ქვეყნები | - | - | - | - | - | 4,9 |
| | ქვეყნა უცნობია | - | - | - | - | - | - |
| | საერთორგან იზაციები | 2 360,3 | 17 121,0 | 18 090,6 | 12 669,2 | 50 241,1 | 8 672,2 |

* წინასწარი მონაცემები

- წყარო:**
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
 2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
 3. საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
 4. აჭარის ავტონომიური ოკეპუბლიკის საბანკო დაწესებულებათა მიერ გაცემული სესხები სფეროების მიხედვით 2007 წელს.

დიაგრამა №13



**საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ქვეყნების მიხედვით**

| 1000 აშშ დოლარი | | | | | | |
|--------------------|----------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|--------------------|
| ქვეყნის კოდი | ქვეყნები | I ველი 2007 | II ველი 2007 | III ველი 2007 | IV ველი 2007 | 2007 |
| | სულ | 421 369,5 | 401 452,0 | 489 112,4 | 702 907,6 | 2 014 841,6 |
| | მათ შორის: | | | | | |
| | ევროპავშირის ქვეყნები | 253 377,8 | 212 103,6 | 219 570,4 | 447 674,3 | 1 132 726,1 |
| 040 | ავსტრია | 737,2 | 3 063,6 | 1 472,4 | 6 111,3 | 11 384,4 |
| 056 | ბელგია | 8,5 | 48,0 | 1 495,8 | 11,4 | 1 563,7 |
| 100 | ბულგარეთი | 0,9 | 9,2 | 0,9 | 9,6 | 20,6 |
| 196 | კვიპროსი | 4 075,6 | 12 895,8 | 44 024,2 | 87 648,0 | 148 643,6 |
| 203 | ჩეხეთი | -1 293,6 | 72 114,8 | 1 793,1 | 155 312,1 | 227 926,4 |
| 208 | დანია | 133 959,7 | 5 471,8 | 8 579,8 | 10 115,0 | 158 126,2 |
| 233 | ესტონეთი | 400,0 | 29,3 | 24,0 | 140,6 | 594,0 |
| 246 | ფინეთი | - | - | - | - | - |
| 250 | საფრანგეთი | 12 303,8 | 4 070,0 | 12 629,7 | 14 722,5 | 43 726,0 |
| 276 | გერმანია | 7 227,3 | 8 772,0 | 9 857,0 | 31 131,4 | 56 987,8 |
| 300 | საბერძნეთი | 568,1 | 361,4 | 189,1 | 231,1 | 1 349,7 |
| 348 | უნგრეთი | - | 309,1 | - | 701,0 | 1 010,1 |
| 372 | ირლანდია | -9,5 | -2 002,9 | 139,7 | 209,5 | -1 663,2 |
| 380 | იტალია | 2 951,7 | 2 922,6 | 4 918,9 | 4 434,8 | 15 228,1 |
| 428 | ლატვია | 1 618,9 | 180,9 | 430,6 | 871,7 | 3 102,1 |
| 440 | ლიტვა | -166,9 | 392,4 | -166,8 | 268,7 | 327,3 |
| 442 | ლუქსემბურგი | 28,4 | 28,4 | 9 105,7 | 83,2 | 9 245,7 |
| 470 | მალტა | - | - | - | - | - |
| 528 | ნიდერლანდები | 39 888,2 | 80 930,9 | 104 794,4 | 73 663,6 | 299 277,2 |
| 616 | პოლონეთი | 2,3 | 2,3 | 4,7 | 9,8 | 19,1 |

| | | | | | | |
|-----|-------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| 620 | პორტუგალია | - | - | 13,2 | - | 13,2 |
| 642 | რუმინეთი | - | - | - | - | - |
| 703 | სლოვაკეთი | - | - | - | - | - |
| 724 | ესპანეთი | - | 1 532,3 | 2 004,0 | 54,0 | 3 590,2 |
| 752 | შვედეთი | 690,9 | 3 473,7 | 1 975,0 | 639,5 | 6 779,1 |
| 826 | გაერთიანებული სამეფო | 50 386,3 | 17 498,1 | 16 284,9 | 61 305,5 | 145 474,8 |
| | | | | | | |
| | დსთ-ის ქვეყნები | 51 802,7 | 72 970,7 | 50 475,4 | 63 140,2 | 238 389,0 |
| 031 | აზერბაიჯანი | 14 144,6 | 8 407,2 | 6 739,4 | 12 076,8 | 41 368,1 |
| 051 | სომხეთი | 200,7 | 101,4 | -6 123,8 | 926,4 | -4 895,4 |
| 112 | ბელარუსი | 9,5 | 16,2 | 21,4 | 5,7 | 52,8 |
| 398 | ყაზახეთი | 8 312,8 | 44 050,9 | 3 182,3 | 32 940,2 | 88 486,2 |
| 417 | ყირგიზეთი | - | - | - | - | - |
| 498 | მოლდოვა | - | - | - | - | - |
| 643 | რუსეთი | 28 959,4 | 20 325,0 | 22 569,5 | 17 142,6 | 88 996,5 |
| 804 | უკრაინა | 175,7 | 70,0 | 24 086,6 | 48,5 | 24 380,8 |
| 860 | უზბეკეთი | - | - | - | - | - |
| | | | | | | |
| | დანარჩენი ქვეყნები | 112 520,1 | 112 623,5 | 211 996,6 | 192 292,4 | 629 432,6 |
| 032 | არგენტინა | - | 13,2 | 10,1 | 17,2 | 40,6 |
| 036 | ავსტრალია | 164,9 | 9,6 | 33,0 | - | 207,5 |
| 044 | ბაჰამები | 0,4 | 0,8 | 1,1 | -5,5 | -3,2 |
| 084 | ბელიზი | 784,0 | 1 305,9 | 6 430,0 | 1 786,6 | 10 306,5 |
| 092 | ვირჯინის კბი (ბრიტ.) | 29 785,8 | 36 185,3 | 65 895,6 | 55 948,8 | 187 815,5 |
| 124 | კანადა | 250,6 | 135,6 | 142,3 | 860,2 | 1 388,8 |
| 136 | კამბანის კბი | 675,5 | 561,5 | 646,4 | 1 221,6 | 3 104,9 |
| 156 | ჩინეთი | 3 033,1 | 666,4 | 3 363,1 | -185,5 | 6 877,1 |
| 292 | გიბრალტარი | 535,6 | 2 753,9 | 1 781,6 | 1 056,4 | 6 127,5 |
| 352 | ისლანდია | 103,3 | 64,2 | 64,2 | -50,1 | 181,7 |


| | | | | | | |
|-----|----------------------------------|----------|----------|----------|----------|------------------|
| 356 | ინდოეთი | - | 61,9 | - | - | 61,9 |
| 364 | ირანი | 31,8 | 22,5 | 13,8 | 40,3 | 108,3 |
| 368 | ერაყი | 35,4 | - | - | - | 35,4 |
| 376 | ისრაელი | 259,5 | 1 671,0 | 6 547,0 | 1 018,4 | 9 496,0 |
| 392 | იაპონია | 7 309,5 | 8 022,2 | 9 228,0 | 9 808,6 | 34 368,3 |
| 400 | იორდანია | - | - | - | - | - |
| 410 | კორეა | - | - | - | - | - |
| 422 | ლიბანი | 34,0 | 34,0 | 34,0 | 34,0 | 135,9 |
| 434 | ლიბია | - | - | - | - | - |
| 438 | ლიბერტარიანი | 87,8 | 3,4 | 2 944,3 | -372,8 | 2 662,7 |
| 578 | ნორვეგია | 6 791,1 | 6 744,2 | 8 378,0 | 12 286,8 | 34 200,1 |
| 584 | მარშალის კ-ები | 16,7 | 83,0 | 104,8 | 1 246,0 | 1 450,4 |
| 591 | პანამა | 2 103,4 | 624,4 | 1 471,4 | 1 978,5 | 6 177,7 |
| 659 | სენტკიტს-ნევისი | - | - | - | - | - |
| 682 | საუდიების არაბეთი | - | - | - | - | - |
| 690 | სეიშელები | - | - | 4 688,3 | - | 4 688,3 |
| 756 | შვეიცარია | 1 457,4 | 5 498,1 | 2 681,2 | 1 218,0 | 10 854,7 |
| 760 | სირია | - | 2,9 | - | 1,0 | 3,9 |
| 784 | არაბეთის გაერთიანებული ქმირატები | 5 383,2 | 2 079,5 | 51 810,0 | 71 586,1 | 130 858,7 |
| 792 | თურქეთი | 29 091,3 | 20 037,9 | 30 241,5 | 14 500,4 | 93 871,1 |
| 818 | ებები | - | - | - | - | - |
| 840 | აშშ | 24 585,8 | 26 042,1 | 15 487,0 | 18 297,3 | 84 412,2 |
| | დანარჩენი ქმედები | - | - | - | - | - |
| | ქვეყანა უცნობია | - | - | - | - | - |
| | საერთაშორისო ორგანიზაციები | 3 668,9 | 3 754,2 | 7 070,0 | -199,2 | 14 293,9 |

* წინასწარი მონაცემები


წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის აგტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

დიაგრამა №14



დიაგრამა №15



დანართი №3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით
2007წ.

| 1000 აშშ დოლარი | | | | | |
|---------------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|--------------------|
| | I კვ. 2007 | II კვ. 2007 | III კვ. 2007 | IV კვ. 2007 | 2007 |
| სულ | 421 369,5 | 401 452,0 | 489 112,4 | 702 907,6 | 2 014 841,6 |
| მათ შორის: | | | | | |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 46,3 | 4 518,3 | 10 642,7 | 320,5 | 15 527,9 |
| მრეწველობა | 84 768,2 | 62 352,2 | 121 595,6 | 129 524,9 | 398 240,9 |
| ენერგეტიკა | 5 704,7 | 115 351,6 | 44 296,4 | 197 228,4 | 362 581,1 |
| გარენებლობა | 71 044,7 | 31 872,4 | 54 238,1 | 14 736,5 | 171 891,8 |
| სასტუმროები და რესტორნები | 8 423,0 | 24 997,9 | 66 548,4 | 142 106,5 | 242 075,9 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 173 838,6 | 120 475,1 | 59 075,8 | 63 305,2 | 416 694,7 |
| უძრავი ქონება | 1 648,3 | 1 551,4 | 4 043,6 | 23 300,6 | 30 543,9 |
| დანარჩენი მომსახურება ¹ | 53 819,5 | 19 286,1 | 23 733,4 | 43 891,8 | 140 730,7 |
| საფინანსო სექტორი ² | 13 449,2 | 16 142,2 | 87 226,0 | 20 097,1 | 136 914,5 |
| უცხობი ³ | 8 627,0 | 4 904,8 | 17 712,3 | 68 396,1 | 99 640,2 |

* წინასწარი მონაცემები;

¹ ვაჭრობა; განათლება; ჯანდაცვა და სოც. მომსახურება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

² საფინანსო სექტორი 2009 წლიდან საბანკო სფეროს გარდა მოიცავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც;

³ პრივატიზაციის პროცესის შედეგად არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესყიდული უძრავი ქონება და მათი მომავალი საქმიანობის პროცესი ამ ეტაპზე განსაზღვრული არაა.

წერო:

- 1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეპონომიკური საქმიანობის შესახებ“);
- 2.საქართველოს ეროვნული ბანკი;
- 3.საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- 4.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

დანართი №4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინფორმაციის წყაროების მიხედვით

2007წ.

| 1000 აშშ დოლარი | | | | | |
|--|------------------|------------------|------------------|------------------|--------------------|
| | I კვ. 2007 | II კვ. 2007 | III კვ. 2007 | IV კვ. 2007 | 2007 |
| მათ შორის: | | | | | |
| საწარმოთა ექონომიკური საქმიანობის გამოკვლევა | 308 051,0 | 279 018,4 | 348 108,7 | 595 397,5 | 1 530 575,6 |
| პრივატიზაცია | 99 869,4 | 106 291,4 | 53 777,8 | 87 413,0 | 347 351,5 |
| საფინანსო სექტორი** | 13 449,2 | 16 142,2 | 87 226,0 | 20 097,1 | 136 914,5 |
| სულ | 421 369,5 | 401 452,0 | 489 112,4 | 702 907,6 | 2 014 841,6 |

* წინასწარი მონაცემები


** საფინანსო სექტორი 2009 წლიდან საბანკო სფეროს გარდა მოიცავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც.

წყარო:

- 1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ექონომიკური საქმიანობის შესახებ“);
- 2.საქართველოს ეროვნული ბანკი;
- 3.საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- 4.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

დიაგრამა №16

ინვესტიციები პრივატიზებულ ობიექტებში (2004-2010) მდნ. აშშ დოლარი



დანართი №5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინფორმაციის წყაროების მიხედვით

2010წ.

| 1000 აშშ დოლარი | | | | | | |
|--|-----------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| | I კვ. 2010* | II კვ. 2010* | III კვ. 2010* | IV კვ. 2010* | 2010* | I კვ. 2011* |
| სულ | 75 735,2 | 196 867,4 | 160 433,4 | 120 020,0 | 553 056,1 | 173 697,0 |
| მათ შორის: | | | | | | |
| საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა | 44 023,6 | 484,0 | 99 709,5 | 63 969,2 | 388 186,3 | 126 858,4 |
| პრივატიზაცია | 21 097,8 | 4 412,6 | 11 028,6 | 12 881,7 | 49 420,7 | 7 043,0 |
| საფინანსო სექტორი** | 10 613,8 | 11 970,9 | 49 695,3 | 43 169,1 | 115 449,1 | 39 795,6 |

* წინასწარი მონაცემები

** საფინანსო სექტორი 2009 წლიდან საბანკო სფეროს გარდა მოიცავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც.

წერო:

- 1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
- 2.საქართველოს ეროვნული ბანკი;
- 3.საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- 4.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

დანართი №6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით

2010წ.

| 1000 აშშ დოლარი | | | | | | |
|---------------------------------------|-----------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| | I კვ. 2010* | II კვ. 2010* | III კვ. 2010* | IV კვ. 2010* | 2010* | I კვ. 2011* |
| სულ | 75 735,2 | 196 867,4 | 160 433,4 | 120 020,0 | 553 056,1 | 173 697,0 |
| მათ შორის: | | | | | | |
| სოფლის მეურნეობა, თევზეურა | 2 552,1 | 2 379,8 | 924,6 | 4 717,6 | 10 574,1 | 1 611,7 |
| მრეწველობა | 24 170,7 | 42 026,3 | 3 228,8 | 21 359,7 | 90 785,4 | 82 791,9 |
| ენერგეტიკა | 19 361,5 | -2 642,5 | 16 044,0 | -11 883,3 | 20 879,7 | 19 945,5 |
| მშენებლობა | 557,1 | -8 075,1 | 2 158,1 | 2 513,8 | -2 846,1 | 14 364,5 |
| სასტუმროები და რესტორანები | 11 712,8 | -15 006,6 | 1 322,3 | 5 422,2 | 3 450,6 | 3 391,0 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | -15 664,3 | 104 361,0 | 40 538,7 | 64 630,8 | 193 866,2 | 1 828,2 |
| უძრავი ქონება | 2 799,7 | 33 178,2 | 33 599,0 | 14 798,9 | 84 375,8 | 7 048,1 |
| დანარჩენი მომსახურება ¹ | 19 631,9 | 28 062,2 | 12 318,0 | 1 233,0 | 61 245,1 | 2 920,5 |
| საფინანსო სექტორი ² | 10 613,8 | 11 970,9 | 49 695,3 | 17 227,5 | 89 507,5 | 39 795,6 |
| უცნობი ³ | - | 613,3 | 604,6 | - | 1 217,9 | - |

* წინასწარი მონაცემები;

- 1 გაჭრობა; განათლება; ჯანდაცვა და სოც. მომსახურება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.
- 2 საფინანსო სექტორი 2009 წლიდან საბანკო სფეროს გარდა მოიცავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც;
- 3 პრივატიზაციის პროცესის შედეგად არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესყიდული უძრავი ქონება და მათი მომავალი საქმიანობის პროფილი ამ ეტაპზე განსაზღვრული არაა.

წყარო:

- 1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეპონომიკური საქმიანობის შესახებ“);
- 2.საქართველოს ეროვნული ბანკი;
- 3.საქართველოს ეპონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- 4.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეპონომიკის სამინისტრო.